პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენციის მასალების კრებული

ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები
თანამედროვე ეტაპზე

COLLECTION OF MATERIALS OF SCIENTIFIC- PRACTICAL CONFERENCE OF ECONOMISTS OF GEORGIA

Actual Problems of Economic Development at Current Stage

თბილისი
TBILISI

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული

ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

(25 დეკემბერი 2008 წ.)

COLLECTION OF MATERIALS OF SCIENTIFIC- PRACTICAL CONFERENCE OF ECONOMISTS OF GEORGIA

Actual Problems of Economic Development at Current Stage

(25 December, 2008)

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS
თბილისი Tbilisi 2008

UDK (უაკ) 061.62:33(479.22)(063)
ს – 323

წინამდებარე კრებულში შესულია 2008 წლის საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

The present collection of works includes the materials and speaches made at the scientific-practical conference of economists of Georgia in 2008

სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, ე. კაკულია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, თ. ჩხეიძე, ვლ. პაპავა, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე

Editor Board: R. Abesadze (editor-in-chief), G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava

რეცენზენტები: ე.მ.დ. გ. პაპავა,
ე.მ.დ. მ. კვარაცხელია

Reviewers: Doc. of Econ. G. Papava,
Doc. of Econ. M. Kvaratskhelia

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
© **PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**
2008

ISBN 978-9941-9060-0-8

პლენარული სხდომა

რამაზ აბესაძე

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპები

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თითქმის 16 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მისი ეკონომიკა არაერთგვაროვნად ვითარდებოდა. შეიძლება გამოიყოს ამ განვითარების რამდენიმე ეტაპი.

პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2004 წლის მეორე ნახევრამდე. ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყანას ერთდროულად უხდებოდა ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ახალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლისათვის. თანაც, ყოველივე ეს ხორციელდებოდა შიდა პოლიტიკური დაძაბულობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ომის პირობებში. ქვეყნის ეკონომიკა სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა, რამაც აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა მას. სახელმწიფო, ძირითადად, მხოლოდ სხვა ქვეყნების დახმარების, სესხებისა და კრედიტების ხარჯზე ახერხებდა უკიდურესად გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქებას.

რაც მთავარია, ეკონომიკურ რეფორმებს ამ ეტაპზე არ ჰქონდა კომპლექსური ხასიათი, დაშვებული იყო არა ერთი სტრატეგიული ხასიათის შეცდომა. მაგალითად, მიღებული იყო საქართველოში "შოკური თერაპიის" რუსული მოდელით განხორციელების გადაწყვეტილება. მაგრამ, ჯერ ერთი, ქვეყანას ამ დროისათვის საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა არ გააჩნდა და, მეორეც, მას არც სამანეთო ზონაში ყოფნის დროს და არც შემდეგ, კუპონის არსებობის პერიოდში, მყარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება არ მოჰყოლია. ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება. რეფორმების გატარების ასეთ ვარიანტს შეიძლება ნახევრად ქაოსური ვუწოდოთ, რაც განპირობებული იყო იმდროინდელი მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით (სახელმწიფოებრიობის ფორმირება, რეფორმების გატარების გამოუცდელობა, სხვადასხვა პოლიტიკურ და კლანურ დაჯგუფებათა ინტერესების გათვალისწინება, შინა ომი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომი, ლტოლვი-

ლებისათვის სოციალური დახმარების გაწევა, ყაჩაღობა, რეკეტი, კორუფცია და მრავალი სხვ.), რამაც ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების ახალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლის თვალსაზრისით, არაერთი დონისძიება გატარდა: მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, შეიქმნა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა, მოხდა სასოფლო-სამეურნეო მიწების და საბინაო სექტორის რეფორმა, განხორციელდა მცირე პრივატიზაციის პირველი ეტაპი და სხვ.

მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1994 წლის მეორე ნახევრიდან 1999 წლამდე.

როგორც ქართველ ეკონომისტთა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის) მიერ შემუშავებულ თვისებრივად ახლებურად გააზრებული პროგრამის საფუძველზე 1994 წლის მე-2 ნახევრიდან იწყება რეფორმების ახალი პოლიტიკის გატარება. შედეგად, მოხერხდა კუპონის ინფლაციის მოთოკვა, რითაც მომზადდა პირობები ეროვნული ვალუტის – ლარის, შემოსაღებად. ლარის შემოღების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ინფლაცია და დამყარდა სტაბილური საცვლელი კურსი ეროვნულ ვალუტასა და აშშ დოლარს შორის.

გარდა ამისა, განვითარების ამ ეტაპზე:

1. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შეივსო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო ბაზა;
2. ძირითადად დამთავრდა მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზება;
3. განხორციელდა მიწის საკუთრების ტრანსფორმაცია;
4. შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი;
5. გაძლიერდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
6. გაუმჯობესდა ფულად-საკრედიტო სისტემა;
7. გათავისუფლდა ლარის საცვლელი კურსი და მისი რეგულირება მიენდო საბაზრო კანონებს;
8. გაუმჯობესდა საინვესტიციო პირობები და სხვ.

ყოველივე ამას მოჰყვა წარმოების ვარდნის შეჩერება და ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება – 1996-1997 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი საშუალოდ 11 %-ით იზრდებოდა მყარი ეროვნული ვალუტისა და ინფლაციის დაბალი ტემპების პირობებში.

მესამე ეტაპი იწყება 1998 წლიდან და გრძელდება 2004 წლამდე.

1998 წლიდან იწყება მიღწეული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შემცირება, რასაც ვალუტის კურსის დაცემა და ინფლაციის დონის გაზრდა, საბიუჯეტო, საფინანსო და ენერგეტიკული კრიზისი მოჰყვა.

ამ ეტაპზე ნეგატიური პროცესების განვითარების ძირითადი მიზეზი მდგომარეობდა ეკონომიკური რეფორმების დამუხრუჭებაში, რაც, თავისთავად, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არა-ეფექტიანობით იყო განპირობებული.

მეოთხე ეტაპი იწყება ვარდების რევოლუციის შემდეგ და გრძელდება რუსეთ-საქართველოს ომამდე (უფრო ზუსტად, 2003 წლის 23 ნოემბრიდან 2008 წლის 8 აგვისტომდე).

ამ პერიოდის განმავლობაში აღმოიფხვრა ყველა ის აშკარა უარყოფითი მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში, განსაკუთრებით, ამ პერიოდის ბოლოს. კერძოდ:

1. მოისპო საბიუჯეტო და საფინანსო კრიზისი (სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, გასტუმრებული იქნა საპენსიო და სახელფასო დავალიანებები და ა.შ.);
2. მნიშვნელოვნად გამყარდა ეროვნული ვალუტა;
3. აღმოიფხვრა ენერგეტიკული კრიზისი (ქვეყნის მთელ მოსახ-ლეობას და ეკონომიკას ელექტროენერგია და გაზი შეუფერ-ხებლად მიეწოდებოდა);
4. მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდის ტემპებმა 9-10 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ მთლიანად 42,6 პროცენტით გაიზარდა;
5. მოიმატა მოსახლეობის შემოსავლებმა, საშუალო ხელფასი ქვეყანაში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა 37,8%-იანი ინფლაციის პირობებში;
6. შეკეთდა საქალაქო და საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილი.
7. კიდევ უფრო სტაბილური გახდა მაკროეკონომიკური გარემო, მოხდა საგადასახადო კოდექსის გამარტივება და ლიბერალი-ზაცია, ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის პროცე-დურების გამარტივება.
8. გაღრმავდა პრივატიზების პროცესი, კიდევ უფრო გაძლიერდა საბანკო სექტორი.

თუმცა, აღსანიშნავია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეებიც, კერძოდ:

1. შეირყა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს;
2. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმების გამო შემცირდა კონკურენციის დონე, რაც საგანგაშოა საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის;
3. კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის;
4. საერთოდ, ეკონომიკის რეგულირების ფორმები და მეთოდები სრულყოფილად არ შეესაბამებოდა საბაზრო მოთხოვნებს. რეფორმებს არ ჰქონდა სისტემური ხასიათი.

მეხუთე ეტაპი იწყება რუსეთ-საქართველის ომის შემდეგ, რომელსაც თან ერთვის მსოფლიო საფინანსო კრიზისი.

ბუნებრივია**,** ორივე ეს უაღრესად მასშტაბური მოვლენა დიდ გავლენას მოახდენდა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს ეკონომიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორივე დარტყმას ძირითადად გაუძლო, იგი არ გადაიზარდა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში. თუმცა გავლენის შედეგები მაინც სახეზეა:

1. ომმა, დაუზუსტებელი მონაცემებით, 1 მილიარდი დოლარის ზარალი მაინც მიაყენა საქართველოს;
2. სახეზეა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების შემცირების შედეგად;
3. დაიწყო ლარის კურსის ვარდნა, რამაც გამოიწვია ფასების ზრდა იმპორტულ საქონელზე;
4. საბანკო სექტორში წარმოშობილ შეფერხებებს მოჰყვა კრედიტებისა და, შესაბამისად, ინვესტიციების შეკვეცა, თითქმის გაკოტრების პირასაა მისული სამშენებლო ბიზნესი;
5. გაუარესდა ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაცია;
6. მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საკურორტო მეურნეობამ და ა.შ.

მეცნიერ-მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამჟამად საქართველოში სისტემური ეკონომიკური კრიზისი არ არის. დღეისათვის, ომისა და გლობალური საფინანსო კრიზისის გამო, ძირითადად ჩამოყალიბდა **საკრედიტო-საინვესტიციო** კრიზისი, თუმცა მისი დაძლევა

საერთაშორისო დახმარებების (რომელიც თითქმის 4,5 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია) მეშვეობით (თუ ეს დახმარებები გონივრულად იქნება გამოყენებული) მოკლე დროშია შესაძლებელი, თუკი საომარი მოქმედებები კვლავ არ განახლდება.

ჩვენი ეკონომიკისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ის ნეგატიური მხარეები, რომელიც წლების განმავლობაში რეფორმების არასწორი გატარების შედეგად ჩამოყალიბდა. მათგან მთავარია:

1. **საბაზრო ინსტიტუციების განვითარების დაბალი დონე,** რაც განაპირობებს საბაზრო მექანიზმის არაეფექტიან ფუნქციონირებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბირჟის) განვითარების დაბალი დონე, რაც მკვეთრად აისახება შიდა ინვესტიციების მოცულობაზე. ამ მიმართულებით, ალბათ, აუცილებელია სახელმწიფომ თავდაპირველად თვითონ გამოუშვას ფასიანი ქაღალდები. სხვაგვარად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება შეუძლებელი იქნება.

2. **ეკონომიკის არაპროგრესული სტრუქტურის ჩამოყალიბება**. ეს ეხება როგორც დარგებს (შედარებით განუვითარებელია სამრეწველო წარმოება), ისე ბიზნესსა და სოციალურ სფეროს (დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა და გამუდმებით იზრდება ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის და ა.შ.)

3. **ქვეყნის დაბალი კონკურენტუნარიანობა სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობისადმი არასათანადო დამოკიდებულების გამო, როგორც სახელმწიფოს, ისე ბიზნესის მხრიდან.** ქვეყანაში არ არსებობს მხარდაჭერა საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზრდისა და, ამის საფუძველზე, ინოვაციათა დანერგვის მიმართულებით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ქვეყნის ეკონომიკა კონკურენტუნარიანი ვერასოდეს გახდება.

4. **დემოგრაფიული კრიზისი.** ქვეყანში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა შესაძლებელია 2050 წლისათვის 2 მილიონამდე შემცირდეს, რაც ქვეყნისათვის კატასტროფა იქნება.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია რეფორმების შემდგომი დაჩქარება. აუცილებელია მათ ჰქონდეთ სისტემური ხასიათი.

უპირველესყოვლისა, ბიზნესი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფოს არაეკონომიკური ხასიათის ჩარევებისაგან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის რეალური სფეროს განვითარებას, უცხოური დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სექტორში უნდა წარიმართოს. სასწრაფოდ უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა, გატარდეს გარკვეული ზომის პროტექციონისტული პოლიტიკა. ამ ეტაპზე აუცილებელია მეცნიერთა მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს **ეკონომიკური განვითარების პროგრამა**, რომელიც გახდება საფუძველი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა.

იური ანანიაშვილი

ზონასზორული ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის შესახებ

დაბეგვრის სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემა, ხშირ შემთხვევაში, საშუალო საგადასახადო განაკვეთის ისეთი სიდიდის განსაზღვრაზე დაიყვანება, რომელიც მაქსიმალურ საწარმოო ეფექტსა და საბიუჯეტო შემოსავლებს უზრუნველყოფს. გადასახადებისადმი ამგვარმა მიდგომამ განსაკუთრებული აქტუალურობა მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ლაფერის თეორიის გავლენის შედეგად შეიძინა. ამ თეორიის მთავარი პოსტულატია მტკიცება იმის შესახებ, რომ არსებობს საშუალო საგადასახადო განაკვეთის ორი მნიშვნელობა t^* და t^{**}, რომელთაგანაც პირველი მაქსიმალური საწარმოო ეფექტის მიღწევას, მეორე კი ბიუჯეტში გადასახადებიდან მაქსიმალური შემოსავლების აკუმულირებას უზრუნველყოფს. ეკონომიკურ ლიტერატურაში t^*-ს ლაფერის პირველი გვარის წერტილი, t^{**}-ს კი მეორე გვარის წერტილი ეწოდა. როგორც წესი, ეს წერტილები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ეკონომიკას ერთდროულად ორივე მათგანში ყოფნა არ შეუძლია. საერთო მდგომარეობის თვალსაზრისით; ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანს პირველი გვარის წერტილი t^* წარმოადგენს, ამიტომ ქვემოთ ყურადღებას ძირითადად მასზე გავამახვილებთ, ამასთან, t^*-ს პირობითად ოპტიმალურ საშუალო საგადასახადო განაკვეთს ვუწოდებთ.

ლაფერის თეორიასთან დაკავშირებულ გამოკვლევათა უმრავლესობა, რომლებშიც მოცემულია t^*-ს და t^{**}-ს მნიშვნელობების

შეფასების თეორიული და პრაქტიკული მცდელობები, საშუალო საგადასახადო განაკვეთების გამხილვასა და ანალიზს ცალმხრივად, მხოლოდ მიწოდების თეორიის პოზიციიდან ახორციელებს. ასეთი ცალმხრივი მიდგომა არასრულფასოვან წარმოდგენას იძლევა ეკონომიკაში გადასახადების როლისა და მნიშვნელობის შესახებ, რადგანაც გადასახადები ეკონომიკაზე არანკლებ ზემოქმედებას ერთობლივ მოთხოვნის მხრიდანაც ახორციელებს. მიგვაჩნია, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთის სიდიდის განსაზღვრა და როლის შეფასება ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოდელის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. საკითხის ამგვარი დაყენების ერთ-ერთი პირველი ცდა პროფესორ ვ. პაპავას ეკუთვნის, რომელმაც შემოგვთავაზა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეა. ქვემოთ მოყვანილი შედეგები ამ იდეის შემდგომი განვითარების მცდელობაა.

დავუშვათ, სამართლიანია ერთობლივი მიწოდების თეორია. მაშინ საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ერთობლივი მიწოდების მოდელი შეიძლება შემდეგი ზოგადი სახით ჩავწეროთ

$$Y^s(t) = Y_{max} f(t), \qquad (1)$$

სადაც $Y^s(t)$ ერთობლივი მიწოდების ფუნქციაა; Y_{max} წარმოების ტექნოლოგიური ასპექტის ამსახველი შედეგია. ამ უკანასკნელში იგულისხმება პროდუქციისა და მომსახურების შექმნის მაქსიმალური მნიშვნელობა ოპტიმალური საგადასახადო რეჟიმის (ანუ $t = t^*$ საშუალო საგადასახადო განაკვეთის) პირობებში. უფრო კონკრეტულად, Y_{max} გამოსახავს პოტენციური გამოშვების მოცულობას კაპიტალის და შრომის სრული გამოყენების დროს; $f(t)$ – ინსტიტუციური ასპექტის ამსახველი ფუნქცია, ანუ ფუნქცია, რომელიც აღწერს გადასახადების ჯამური ეფექტის გავლენას მიწოდებაზე. ეს ფუნქცია, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შემდეგ თვისებებს უნდა ფლობდეს: 1. $f(t)$ ზრდადია $[0, t^*)$ შუალედში და კლებადია $(t^*, 1]$ შუალედში; 2. ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთისათვის $f(t^*) = 1$. ეს მეტად მნიშვნელოვანი თვისება იმაზე მიუთითებს, რომ დაბეგვრის საშუალო განაკვეთი t^* ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნის საშუალებას იძლევა, რომლის დროსაც პროდუქციის გამოშვების ეფექტიანობას მთლიანად წარმოების ტექნოლოგიური ასპექტები განსაზღვრავს. მაშასადამე, ოპტიმალური

საშუალო საგადასახადო განაკვეთისათვის გამოშვება მაქსიმალურია და მიწოდების (1) ფუნქცია შემდეგ სახეს მიიღებს: $Y^s(t^*) = Y_{max}$. აღსანიშნავია კიდევ ერთი თვისება, რომელიც, სასურველია, $f(t)$-ს გააჩნდეს. კერძოდ, გადასახადების არარსებობისას, ე.ი. $t = 0$-სათვის $f(0) = 0$, ხოლო თუ შექმნილი შემოსავალი მთლიანად ამოიღება გადასახადების სახით, ე.ი. თუ $t = 1$, მაშინ $f(1) = 0$. $f(t)$ ფუნქციის როლში შეიძლება განვიხილოთ ვ. პაპავას მიერ ერთობლივ მიწოდებაზე საშუალო საგადასახადო განაკვეთის გავლენის დასახასიათებლად შემოთავაზებული ენტროპიული ფუნქციის $(-t \ln t)$ განზოგადებული ვარიანტი

$$f(t) = -et^{\delta} \ln t^{\delta}, \qquad (2)$$

რომელიც მცირეოდენ შეცვლილი სახით $(-t^{\delta} \ln t)$ განიხილა და გამოიკვლია გ. ლოლაძემ[1]. (2)-ში δ დადებითი პარამეტრია, რომლის შეფასებაც ეკონომეტრიკულად ხორციელდება; e ნეპერის რიცხვია. ადვილად ვაჩვენებთ, რომ (2) ფუნქციისათვის ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილის t^*-ს მნიშვნელობაა[2] $t^* = \exp(-1/\delta)$. გარდა ამისა, სამართლიანია შემდეგი პირობები: $\lim_{t\to 0} f(t) = 0$, $f(t^*) = 1$, $f(1) = 0$. ამიტომ მიწოდების (2) ფუნქციისათვის გვექნება $\lim_{t\to 0} Y^s(t) = 0$, $Y^s(t^*) = Y_{max}$, $Y^s(1) = 0$.

ერთობლივი მიწოდების (2) ფუნქციასთან ერთად განვიხილოთ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია. მარტივი კეინზიანური მოდელის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ეს ფუნქციაც საშუალო საგადასახადო განაკვეთზეა დამოკიდებული და შემდეგი სახით გამოისახება[3]

---

[1] ლოლაძე გ. ლაფერის მრუდის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. მიკრო-მაკრო ეკონომიკა, 2002, №9.

[2] t^*-ს მისაღებად საკმარისია (2) გავაწარმოოთ t-თი, მიღებული შედეგი გავუტოლოთ ნულს და ამოვხსნათ განტოლება t-ს მიმართ.

[3] იხილეთ: ი. ანანიაშვილი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე. ეკონომიკა და ბიზნესი, 2008, №3.

$$Y^D(t) = \frac{A}{1-(1-t)b-tg} \quad , \qquad (4)$$

სადაც $Y^D(t)$ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციაა; A ავტონომიური გეგმური დანახარჯებია; b – შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების, ხოლო g სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილების პარამეტრი.

მაკროეკონომიკური წონასწორობის დროს ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება ერთმანეთის ტოლია, ამიტომ უნდა შესრულდეს ტოლობა

$$Y_{max}f(t) = \frac{A}{1-(1-t)b-tg} \quad . \qquad (5)$$

(5) ლაფერ-კეინზიანური წონასწორობის პირობაა[4]. იგი გვიჩვენებს, რომ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გაწონასწორებისათვის ავტონომიური ხარჯების A-ს და პოტენციური

---

[4] ვ. პაპავა. მის მიერ შემოთავაზებული წონასწორობის განტოლება შემდეგი სახით შეიძლება ჩაეწეროთ (იხ., მაგალითად, წიგნი: მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბილისი, მეცნიერება, 2003. გვ. 491-518.)

$$-Y_{opt}\ln t = \frac{A}{1-b(1-t)},$$

სადაც Y_{opt}, ავტორის მოსაზრებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ის დონეა, რომელიც ბიუჯეტში მაქსიმალურ საგადასახადო შემოსავლებს შეესაბამება. ამ განმარტებიდან გამომდინარე, Y_{opt} ლაფერის მეორე გვარის ფისკალური t^{**} წერტილსათვის განსაზღვრული გამოშვების მოცულობაა. მიგვაჩნია, რომ უფრო მისაღები იქნება, თუკი Y_{opt} - ის როლში განვიხილავთ გამოშვების მოცულობას ლაფერის პირველი გვარის ფისკალური t^* წერტილის პირობებში. ამ შემთხვევაში Y_{opt} თავისი არსით იგივე იქნება, რაც (5)-ში შემავალი მშპ-ს პოტენციური დონე Y_{max}.

გამოშვების Y_{max}-ს მოცემული მნიშვნელობებისათვის უნდა არსებობდეს ისეთი განაკვეთი t, რომელიც დააკმაყოფილებს (5) განტოლებას. ამ უკანასკნელის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს საშუალო საგადასახადო განაკვეთის ორი ან ერთი დასაშვები წონასწორული მნიშვნელობა[5]. გეომეტრიულად ეს ნიშნავს, რომ $Y^D(t)$ და $Y^s(t)$ მრუდებს შეიძლება ორი ან ერთი საერთო წერტილი გააჩნდეს. როდესაც (5)-ს ორი t_1 და t_2 ამონახსნი გააჩნია, ამ განაკვეთების როლი და მნიშვნელოვნება იმით განისაზღვრება, თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება b და სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება g. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ $b > g$ შემთხვევისათვის წონასწორული საშუალი საგადასახადო განაკვეთის ორი სიდიდიდან უკეთესია მცირე t_1, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს მეტ ერთობლივ დანახარჯებს, მეტ გამოშვებას და დასაქმების მაღალ დონეს; ამავე მიზეზით $b < g$ შემთხვევისათვის უკეთესია მაღალი საგადასახადო განაკვეთი t_2; $b = g$ შემთხვევისათვის ორივე განაკვეთი წარმოებისა და ერთობლივი დანახარჯების თვალსაზრისით ერთი და იმავე შედეგის მიღებას უზრუნველყოფს.

წონასწორობის შესაძლო წერტილებს შორის b-სა და g-ს ნებისმიერი თანაფარდობისას დასაქმებისა და ეკონომიკური აქტიურობის თვალსაზრისით საუკეთესოს, ბუნებრივია, ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილი t^* წარმოადგენს. მაგრამ ამ წერტილში წონასწორობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა თუკი, ერთი მხრივ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ოპტიმალური საგადასხადო

[5]ამავე დროს შესაძლებელია, რომ (5) არათავსებადი იყოს t-ს მიმართ. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა ავტონომიური დანახარჯები A იმდენად დიდია, რომ მის დასაკმაყოფილებლად პოტენციური გამოშვება საკმარისი არ არის.

განაკვეთის შემოღებას, მეორე მხრივ კი, ავტონომიური დანახარჯების სიდიდე A შემდეგ მნიშვნელობას მიიღებს[6]

$$A^{*}=Y_{max}[(1-b)-t^{*}(b+g)].$$

მაშასადამე, მთავარი დასკვნა, რომელიც აქ განხილული წონასწორობის მოდელიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ მარტო ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას თავისთავად არ შეუძლია სრული დასაქმების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებასა და სრული დასაქმების მიღწევაში, დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს.

მერაბ გველესიანი

ქართული ეკონომიკური სასწაული შედგება თუ ვალები დაგვახრჩობს?

ეკონომიკურ სასწაულზე საუბარი მხოლოდ დროის ხანგძლივი მონაკვეთისთვისაა მართებული. დღეს საქართველოს გაუჩნდა შანსი, საძირკველი ჩაუყაროს ასეთ წარმატებას. ამ შანსის გამოყენება სათუოა, მაგრამ მისი არსებობა უნდა დაფიქსირდეს. მისი გამოყენება ნიშნავს **ეკონომიკური ზრდის ამოწურვადი გარეწყაროების გადაქცევას ამოუწურავ შიდაწყაროებად.**

ისეთი გარეწყარო, როგორიც უცხოური ინვესტიციებია, თავისით გადაიქცევა შიდაწყაროდ. ეს წყარო ვერ იქნება უხვი: მისგან მიღებული მოგების კაპიტალიზაცია ადგილზე მხოლოდ ნაწილობრივ ხდება და არც მისი მულტიპლიკატორული ეფექტია მაღალი – უცხოური ინვესტიციები უმთავრესად ადგილობრივი კი არა, შემოტანილი მატერიალური რესურსებითაა დასაქონლებული. ეს ინვესტიციები ჯერ-ჯერობით ვერც უახლესი ტექნოლოგიების მოზიდვაში ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ხოლო უამისოდ ხანგრძლივი წარმატების მიღწევა გამორიცხულია.

---

[6] ეს ფორმულა უშუალოდ (5)-დან მიიღება, მასში t^{*}-ს ჩასმითა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ $f(t^{*})=1$.

1990-იანი წლების შუა ხანებიდან ქართული ეკონომიკის ზრდაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეთა ფულადი გზავნილები. ეს როლი არაა ჯეროვნად შეფასებული. მართალია, გზავნილების საშუალო სიდიდე უმრავლეს შემთხვევაში 300-500 აშშ დოლარის ფარგლებშია, ანუ ეს თანხა ძირითადად საინვესტიციო კი არა, სამომხმარებლო მიზნებით იხარჯება, მაგრამ მისი მულტიპლიკატორული ეფექტი მაინც მაღალია: გზავნილის მიმღები მხოლოდ იმპორტულ საქონელზე კი არ ხარჯავს ამ ფულს, მას იგი უხდის ჩვენს მიმწოდებელსაც – სამედიცინო დაწესებულებას, სასწავლებელს, სამშენებლო ფირმასა თუ სხვასა და სხვას, მოკლედ, ბრუნავს და მიმწოდებელთა მთელ წყებას ამუშავებს და წარმოშობს კიდეც. ბანკის გავლით თუ გაუვლელად, ეს ფული უშუალოდაც გადაიქცევა ინვესტიციად.

ემიგრაციის ზრდა და ხელსაყრელი მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურა 1990-იანი წლების შუა ხანებიდან სწრაფად ზრდიდა გზავნილების ნაკადს, მაგრამ ეს წყარო ამოუწურავი როდია. ზრდის შეწყვეტა და კლებაც მხოლოდ კრიზისულ მოვლენებს კი არ შეუძლია გამოიწვიოს, არამედ სხვა ფაქტორებსაც, მათ შორის – სამშობლოში დატოვებულ ახლობლებთან ემიგრანტთა კავშირების შესუსტებას. როგორც ჩანს, გზავნილების ნაკადმა 2007 წელს გაიარა პიკური წერტილი. ამაში უნდა ვეძიოთ იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ საქართველოს ბანკებს იაფი საკრედიტო რესურსი შემოაკლდათ, რომ მშენებლობა დიდ ნაწილში შეფერხდა და ა.შ. ჯაჭვური რეაქციით, ამას შეუძლია იმის უკუეფექტი მოგვცეს, რასაც გზავნილების ზრდა გვაძლევდა.

სიძნელეთა მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკა არ აღმოჩნდა მზად, ეპასუხა იმ ცვლილებებისათვის, რომლებიც დღეს შრომის ბაზარზე ხდება. პირუკუც შეიძლება ითქვას: **ხელფასის ზრდისა და უმუშევრობის შემცირების პროცესი მოუმზადებელი აღმოჩნდა ეკონომიკის შინაგანი მდგომარეობით, მისი ეფექტიანი, ინოვაციური ზრდით.** უმუშევრობა კვლავ დიდია, მაგრამ აღარაა იმ სიდიდისა, რომელიც ამ 10-15 წლის წინ იყო (უფრო მეტად იგი ემიგრაციის ხარჯზე შემცირდა). შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შეცვლამ მაშინდელ უაზრო ხელფასს დღეს რაღაც აზრი მისცა. გამოჩნდა ხელფასებიც, რომლებიც მხოლოდ 3-4-ჯერ ჩამორჩება მსოფლიო მიჯნებს, რაც ხელფასის საერთო დონის

მომავალი ზრდის სიმპტომია. შესაბამისად, იზრდება წარმოების დანახარჯები, ბევრი ფირმა გასცდა ზღვარს. მათი გაკოტრება კრიზისის შეუქცევადი განვითარების საფრთხეს შექმნიდა.

ამ საფრთხეს და მის მიზეზს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. აქცენტი კეთდება დასაქმების ზრდაზე, საუბარი არცაა მის საფუძვლიან მომზადებაზე. 4,5-მილიარდიანი დახმარებები და კრედიტები (ყოველ შემთხვევაში მისი ის ნაწილი, რომელიც წარმოებაში დაბანდდება) უთუოდ მოგვცემს მულტიპიკატორულ ეფექტს და შეამცირებს უმუშევრობას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთჯერადი და დროებითი ეფექტი იქნება: ხელფასი ზრდაში გადაასწრებს შრომის ნაყოფიერებას და გააკოტრებს ფირმების იმდენად დიდ მასას, რომ ღრმა კრიზისში ჩაითრევს ეკონომიკას.

ასევე იმუშავებს საგდასახადო ტვირთის ამჟამინდელი შემსუბუქება სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეებზე. დღეს ეს ერთადერთი და სწორი გამოსავალია შექმნილი ვითარებიდან: იგი ამცირებს ეკონომიკის ზარალიანი რგოლების მასას და აფართოებს კაპიტალის გამოყენების საზღვრებს, მაგრამ ამით იგი ეკონომიკის ინტენსიურ ზრდას კი არ აძლევს სტიმულს, არამედ ექსტენსიურს, რომელსაც მუდამ თან სდევს ხელფასის მოუმზადებელი ზრდა.

ასეთი საგადასახადო პოლიტიკა პერსპექტივაში სხვა საფრთხესაც წარმოშობს: ბიუჯეტის შემოსავლის კლებაზე სახელმწიფო დღეს უცხოური დახმარებების იმედით მიდის; რას იზამს მაშინ, როდესაც ამოწურავს ამ წყაროს და როდესაც, ამასთან, ძველი და ახალი ვალები ერთად წაუჭერს ყელში? მკითხველს შევახსენებ, რომ საქართველოს საგარეო ვალმა, ა.წ. 30 ივნისის მდგომარეობით, თითქმის 6,7 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც დიდად აღემატება უახლოეს წლებში მისაღებ დახმარებებსა და კრედიტს.

ხანგძლივი ეკონომიკური ზრდის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკა – ინოვაციური არა მხოლოდ საწარმოო ტექნოლოგიებით, არამედ წარმოებისა და, მთლიანად, ეკონომიკის ორგანიზაციით, მათ შორის – სოციალური სფეროსიც, რომელიც ეკონომიკის გარეთ კი არ დგას, არამედ მის თავსა და ბოლოს წარმოადგენს; იგია მისი შემკვრელი და, იმავდროულად, მისი ამოსავალი რგოლი.

როგორ ეკონომიკას მივიღებთ 3-5 წლის შემდეგ – კრიზისულსა თუ განუხრელად მზარდს? ეს იმაზეა დამოკიდებული, შევძენთ თუ არა

მას ინოვაციურ მუხტს, სწორად გამოვიყენებთ თუ ვერა ჩვენთან თუ სხვაგან ნაცად – ფასების დიფერენციაციის, საგადასახადო და სხვა – მეთოდებს და შემოვიტანთ თუ ვერა ახალ მექანიზმებს. თუ ამას შევძლებთ, ეკონომიკური ზრდის გარეწყაროები, რომლის განლევასაც რამდენიმე წლის შემდეგ უნდა ველოდოთ, ამოუწურავ შიდაწყაროებად გადაიქცევა.

საქართველოს ეკონომიკის სასტარტო დონე იმდენად დაბალია, რომ რაოდენ წარმატებულიც უნდა გამოდგეს მისი 10-15 წლიანი ზრდა, ამას ჩვენ სასწაულად არავინ ჩაგვითვლის, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების დონის აწევას მსოფლიო მიჯნებამდე. სასწაულად შეიძლება იქნეს მიჩნეული მხოლოდ ისეთი სისტემური ინსტიტუციურ-ეკონომიკური ცვლილებების განხორციელება სოციალურ სფეროში, რომელიც გადაწყვეტს ორ უმთავრეს ამოცანას: შეუქმნის ღირსეული არსებობის გარანტიას ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს და წარმოშობს ეკონომიკური ზრდის ახალ იმპულსებს.

სისტემური ეკონომიკური ცვლილებების განხორციელება გულისხმობს მოთხოვნის ზრდას ეკონომიკურ მეცნიერებაზე, ხოლო ინოვაციური ეკონომიკა, მასთან ერთად – იურიდიულსა და ტექნიკურ მეცნიერებებზე. ბიზნესის, საზოგადოებრივი სფეროსა და მეცნიერების თანამშრომლობა ამ უკანასკნელშიც ითხოვს ორგანიზაციულ ცვლილებებს.

იაკობ მესხია

მონეტარული პოლიტიკის ახალი სტრატეგია: ინფლაციური თარგეთირება

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, საბაზრო კანონების დამკვიდრებისა და მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, მიმდინარეობს ფინანსური სტაბილიზაციის ოპტიმალური მოდელების ძიება და პრაქტიკული აპრობაცია.

დღის წესრიგში მწვავედ დადგა ეკონომიკისათვის ყველაზე საშიში და დამანგრეველი მოვლენის – ინფლაციის ზრდის პრობლემის გადაწყვეტა. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებებით აქცენტი აღებულ იქნა „სამომხმარებლო ფასების მიზნობრივ მაჩვენებელზე", რაც, თავისი შინაარსით, სხვა

არაფერია, თუ არა საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული კატეგორია – **„ინფლაციური თარგეთირება“**.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება თარგეთირების სამი ძირითადი რეჟიმი: **გაცვლითი კურსის, მონეტარული** და **ინფლაციური თარგეთირება**. როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ინფლაციური თარგეთირება, რომელიც მონეტარული პოლიტიკის შედარებით ახალი რეჟიმია.

ზოგადად, ინფლაციური თარგეთირება შეიძლება დახასიათდეს, როგორც მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი, რომელიც ეფუძნება ინფლაციის პროგნოზს. ცენტრალური ბანკი აპროგნოზებს ინფლაციის მოსალოდნელ პარამეტრებს და მის საფუძველზე ადგენს რაოდენობრივ მიზნობრივ ორიენტირს (თარგეთს) საგეგმო პერიოდისათვის ისე, რომ საკუთარ თავზე არ იღებს ვალდებულებას სხვა სახის მიზნობრივი ორიენტირების მიღწევაზე.

მონეტარული პოლიტიკის სხვა ცნობილი რეჟიმებისგან განსხვავებით, ინფლაციური თარგეთირება გულისხმობს ცენტრალური ბანკის საქმიანობის სრულ თავისუფლებას და მოქნილობას. ინფლაციური თარგეთირების გამოყენების დროს ცენტრალური ბანკი თავის თავზე იღებს ოფიციალურ ვალდებულებას, უზრუნველყოს მხოლოდ მთავარი მიზნობრივი ორიენტირის მიღწევა.

იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც იყენებენ თარგეთირების რეჟიმს, საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ ის ზოგადი მინიმალური მოთხოვნები და პირობები, რომელიც აუცილებელია ამ მონეტარული რეჟიმის გამოყენებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ინფლაციური თარგეთირება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დაბალი ინფლაციის უზრუნველყოფა არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ, აგრეთვე ფაქტობრივად წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს. ქვეყნის ხელისუფლება მკაფიოდ უნდა აცნობიერებდეს, რომ ინფლაცია ეკონომიკას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს, რომ მონეტარული და ფისკალური ექსპანსიით შეუძლებელია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირება და, რომ საბიუჯეტო დეფიციტის მონეტიზაცია წინაპირობებს ქმნის ეკონომიკაში ფასების ზრდის, ფინანსური სექტორის სტაბილურობის მოშლისა და გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდის შენელებისათვის.

ინფლაციური თარგეთირების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ცენტრალური ბანკი ფლობდეს სრულ საზოგადოებრივ ნდობას და მისი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს აგრეთვე მონეტარული პოლიტიკის განსახილველი რეჟიმის სხვა პირობებიც: ცენტრალური ბანკის ავტონომიურობის სათანადო ხარისხით უზრუნველყოფა და უარის თქმა სხვა მაჩვენებლების თარგეთირებაზე, გარდა ინფლაციის პროგნოზისა. ცენტრალური ბანკის ავტონომიურობა გულისხმობს ფისკალური დომინირების პრინციპის, ანუ მონეტარული პოლიტიკის ფისკალურ ინტერესებზე დაქვემდებარების უარყოფას. პრაქტიკული კუთხით, ეს ნიშნავს მთავრობის დაკრედიტებასა და საბიუჯეტო დეფიციტის მონეტარიზაციაზე უარის თქმას, აგრეთვე, ეკონომიკაზე პირდაპირი კრედიტების გაცემის აკრძალვას. გარდა ამისა, ცენტრალურ ბანკს უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას, იმ მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენებისას, რომელსაც ის ჩათვლის მიზანშეწონილად.

აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაუსვას ხაზი. მოკლევადიან პერიოდში მონეტარული ექსპანსიის მეშვეობით შესაძლებელია ერთობლივი გამოშვების ზრდა, უმუშევრობის შემცირება, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა, აგრეთვე სხვა მოკლევადიანი ხასიათის ამოცანების გადაჭრა, რაც, საბოლოო ჯამში, მთავრობას დიდი ძალისხმევის გარეშე აძლევს საშუალებას, მიიღოს პოლიტიკური დივიდენდები. ასეთი პოლიტიკის საბოლოო შედეგები ვლინდება უფრო გვიან, ვიდრე მთავრობის საქმიანობის დრო კანონითაა დადგენილი (4-5 წელი), რის გამოც გარკვეული დროით ლაგას აქვს ადგილი, ვიდრე დაიწყება ინფლაციის ტემპების ზრდა, ფინანსური არასტაბილურობა და რეალური ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება. ცხადია, მოქმედი ხელისუფლების მიერ დატოვებული პრობლემების გადაწყვეტაზე ზრუნვა მოუწევს ახალ მთავრობას. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს, რომ ფისკალური პრინციპების დომინირება მონეტარულ პოლიტიკაზე დროში შეუსაბამო და არათავსებადია. მოქმედი ხელისუფლება მარტივ და მოკლევადიან დროში ეფექტის მომცემი გადაწყვეტილებებით, გრძელვადიან პერიოდში ახალ ხელისუფლებას რთულ და ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს ახვედრებს.

ინფლაციური თარგეთირების გამოყენების აუცილებელი მოთხოვნაა, აგრეთვე, სხვა მაჩვენებლების მიხედვით ოფიციალურ ორიენ-

ტირებზე უარის თქმა, მაგალითად, ისეთების, როგორიცაა: გაცვლითი კურსის ან ფულადი მასის აგრეგატების.

ზემოხსენებული მეთოდური წინაპირობების გარდა, ინფლაციური თარგეთირების გამოყენებისთვის ცენტრალურმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს მთელი რიგი ტექნიკური პირობების შესრულება. კერძოდ, საჭიროა, განისაზღვროს ცენტრალური ბანკის მიერ კონტროლირებადი მაჩვენებელი, რომელიც დაახასიათებს ქვეყნის ეკონომიკაში ფასების ზრდის ტემპებს. უპირატესად, ასეთ კონტროლირებად მაჩვენებლად ცენტრალური ბანკი ირჩევს სამომხმარებლო ფასების ინდექსს. ჩვეულებრივ, მასში შედის იმ საქონლისა და მომსახურების ჯგუფები, რომელთა ფასებზე ზეგავლენას ახდენს ფაქტორები, რომლებზეც ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია კონტროლის განხორციელება: ფასების ადმინისტრაციული რეგულირება, ირიბი გადასახადების ზრდა, ფასების ზრდა იმპორტირებულ საქონელზე და სხვ. ამ მიზეზების გამო ცენტრალური ბანკის კონტროლირებად მაჩვენებლად გამოყენება კორექტირებული („გაწმენდილი“) ინდექსი, საიდანაც გამოირიცხება საქონლისა და მომსახურების ის ჯგუფები, რომელთა ფასებს არეგულირებს მთავრობა, ანდა ექვემდებარებიან არსებით რყევადობას ცენტრალური ბანკის მონეტარული ქმედებების მიუხედავად.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის კორექტირება-გაწმენდის პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება მრავალ ქვეყანაში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში. გარდა რეგულირებადი ფასებისა, გამოირიცხება ირიბი გადასახადების ცვლილება, ფასები იმპორტირებულ საქონელზე, ფასები აგროსამრეწველო საწარმოების პროდუქციასა და სურსათზე, რომლებიც განიცდიან არსებით რყევას, მაგრამ ნაკლებად მგრძნობიარე არიან მონეტარული პოლიტიკის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსის კორექტირება-გაწმენდა ცენტრალური ბანკებისთვის ძალიან პრობლემურია. ერთი მხრივ, მისი კორექტირება ცენტრალურ ბანკს აძლევს საშუალებას, უფრო სრულად გააკონტროლოს ინფლაცია. მეორე მხრივ, გაუწმენდავი ინდექსის გამოყენების პირობებში, ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გატარებისას დაშვებული შეცდომები, შეიძლება განეიტრალდეს ფასების ადმინისტრაციული რეგულირებით. მაგალითად, თუ თავისუფლად დადგენადი ფასები, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის ზემოქმედებას ექვემდებარებიან, იზრდება პროგნოზულზე უფრო მაღალი ტემპებით, ხოლო ადმინისტრაციულად

რეგულირებადი ფასები გეგმიურზე უფრო ნაკლებად, მაშინ სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინასწარ დადგენილ ფარგლებს არ გასცდება. მაგრამ, შესაძლებელია მოხდეს პირიქით: მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებისას, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ფასების მოცემულ ფარგლებში შენარჩუნებას, ცენტრალური ბანკი შეიძლება წააწყდეს მთავრობის მხრიდან ადმინისტრაციულად რეგულირებადი ფასების ზრდის პრობლემას. თუ ცენტრალური ბანკი კონტროლირებად მაჩვენებლად იყენებს ჩვეულებრივ (გაუწმენდავ) სამომხმარებლო ფასების ინდექსს, მას სრული პასუხისმგებლობა მოუწევს პროგნოზული ინფლაციის დაუცველობა-მიუღწევლობაზე..

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ცენტრალურ ბანკს, ასევე მთავრობას ინფლაციის ფაქტორული ანალიზის დროს მოუწევთ იმის დადგენა, რამდენი პროცენტით მოიმატა ინფლაციამ ფასების ადმინისტრაციული რეგულირების და სხვა ფაქტორების შედეგად, რომლებიც არ ექვემდებარებიან მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გავლენას. ეს საკითხი დაკავშირებულია ცენტრალური ბანკისა და მთავრობის შეთანხმებულ საქმიანობასთან, რომელსაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფლაციური თარგეთირების გამოყენების დროს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ინფლაციური თარგეთირების გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული სტატისტიკური ინფორმაციის საიმედობასა და ინფლაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევების ხარისხზე, განსაკუთრებით მის პროგნოზირებაში გამოყენებული მეთოდოლოგიის გამართულობაზე.

ინფლაციის პროგნოზირებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს იმ ფაქტორებისა და პირობების სრულად განსაზღვრა და რაოდენობრივ მაჩვენებლებში ასახვა, რომლებიც რეალურ გავლენას ახდენენ ინფლაციის ცვლილებაზე. ეს ურთულესი პრობლემაა და მას ყოველთვის ეკონომიკურად კარგად განვითარებული ქვეყნებიც ვერ ახერხებენ. საქმე ისაა, რომ ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორების ერთი ნაწილი ძნელად ან საერთოდ არ ექვემდებარება პროგნოზირებას. მათ შორის უნდა აღინიშნოს: ნედლეულსა და მასალებზე (განსაკუთრებით, ენერგომატარებლებზე) ფასების რყევა მსოფლიო ბაზარზე; სასოფლო-სამეურნეო წარმოების (აგროსამრეწველო სექტორის) პირობების შეცვლა; ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვა ფორსმაჟორული მოვლენები, რომლებიც იწვევენ შოკებს მოთხოვნა-მიწოდებაში; ეროვნული

ვალუტის გაცვლითი კურსის გადახრა პროგნოზირებული მაჩვენებლიდან, რომელიც არ წარმოადგენს შიგა ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შედეგს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა სტატისტიკური მონაცემების დროითი ტრენდების ხარისხი და ხელმისაწვდომობა. 7-10 წლიანი დროითი სტატისტიკური ტრენდები საკმარისია ინფლაციის ეკონომეტრიკული მოდელებით პროგნოზირებისათვის, მაგრამ ასეთი შესადარი მწკრივების ფორმირება დიდ სირთულეს წარმოადგენს, რაც ხელს უშლის ინფლაციური თარგეთირების გამოყენებას. გამომდინარე აქედან, ცენტრალურმა ბანკებმა ინფლაციური ორიენტირის დადგენისას მიზანშეწონილია, დაიტოვოს რაღაც გარკვეული სივრცე მანევრირებისათვის და თარგეთი განსაზღვროს არა წერტილოვანი, არამედ დერეფნის ფორმით, ანუ შემოსაზღვროს მისი მაქსიმალური და მინიმალური შესაძლო რაოდენობრივი მახასიათებლები.

დღევანდელ ეტაპზე საქართველოში ინფლაციური თარგეთირების წინაპირობები, მისი პრაქტიკული რეალიზაციის წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ბოლო პერიოდში მაღალი ტემპებით იზრდება. 2008 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტები დეფიციტურ ხასიათს ატარებდა, თუმცა, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შედგენას საფუძვლად დაედო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგია და იგი პროფიციტურად „გამოცხადდა“. ბიუჯეტის შედგენის ტექნოლოგიის ანალიზიდან მარტივად დგინდება, რომ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს არა პროფიციტურ, არამედ საკმაოდ დიდად დეფიციტურ ბიუჯეტთან. (იხ. ვლ. პაპავა, „ეს ბიუჯეტი არის არა უბრალოდ დეფიციტური, არამედ კატასტროფულად დეფიციტური“, გაზ. „რეზონანსის“ დამატება – „ჩვენი ბიუჯეტი“, №1, 2008; ი. მესხია, სახელმწიფო ბიუჯეტის ახალი ორიენტირები: პროფიციტური, თუ დეფიციტური, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა, 2008, №1). ჩემი აზრით, ინფლაციური თარგეთირების წინაპირობების ანალიზისა და მიზნობრივი ორიენტირის პროგნოზირებისას ეროვნულმა ბანკმა მკაფიოდ და პრინციპულად უნდა შეაფასოს სახელმწიფო ბიუჯეტის სიზუსტის ხარისხი და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც მას მოქმედი კანონმდებლობითაც აქვს დავალებული. სულ ახლახან, მთავრობამ გადაწყვიტა

ევროობლიგაციების ფორმით ნახევარმილიარდიანი (აშშ დოლარი) სესხის აღება, რაც ბიუჯეტის პროფიციტურობის იდეოლოგიას თავდაყირა აყენებს. ბიუჯეტის ხარჯვითი პოლიტიკა არახელსაყრელ პირობებს ქმნის ინფლაციური თარგეთირებისათვის.

2. ინფლაციური თარგეთირების პოზიციებიდან სერიოზულ მრავალფაქტორულ კვლევას საჭიროებს ლარის გაცვლითი კურსის სფეროში ჩამოყალიბებული ტენდენციები. ეროვნული ვალუტის უწყვეტი გამყარების პირობებში, ინფლაციის ტემპების ზრდა და ამ ნეგატიური პროცესის გამომწვევ მიზეზად მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორების (ნავთობის, ხორბლის და ა.შ. გაძვირება, დოლარის გაუფასურება) დასახელება ამადამაჯერებელია. ხოლო ინფლაციის ენდოგენურ ფაქტორებს შორის ხილის გაძვირება და ბოსტნეულის გაიაფება ცივილურ ქვეყნებში დიდი სკანდალის საფუძველი გახდებოდა.

3. ინფლაციური თარგეთირების კუთხით ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების ინფორმაციული მოთხოვნილება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და, გამომდინარე აქედან, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების დროით ვადებზე. იმ გარემოებამ, რომ ხელისუფლება განსაკუთრებულ აპელირებას აკეთებს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებზე, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან მატებაზე და იმავდროულად არ უხსნის საზოგადოებას, თუ რატომ არ იზრდება მათი ცხოვრების დონე ეკონომიკური წარმატებების კვალდაკვალ, სამართლიან უკმაყოფილებას და სოციალურ დაძაბულობას იწვევს.

4. ინფლაციური თარგეთის პროგნოზირების მიზნით, ფისკალურ ხელისუფლებას მოუწევს მეცნიერულად არგუმენტირებული მეთოდიკის შემუშავება. საზოგადოების მოთხოვნაა, რომ იცოდეს სამომხმარებლო საქციელზე ფასების დინამიკის ზუსტი პროგნოზი. რა თქმა უნდა, საჭირო გახდება სამომხმარებლო ფასების ინდექსის კორექტირება-გაწმენდა, მაგრამ ინფლაციის პროგნოზირებისას გვერდი არ უნდა აუაროს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ რყევებს, სტრატეგიულ საქონელზე ფასების მატებას. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ საქართველოს თითქმის ყველა ძირითადი სტრატეგიული პროდუქტის (ნავთობი, ხორბალი და სხვა) იმპორტი უხდება და, შესაბამისად, ადგილი ექნება ინფლაციის იმპორტსაც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში უახლოეს მომავალში ადგილი ექნება სამომხმარებლო საქონელის მსოფლიო

ფასებთან მიახლოების პროცესს, რაც ობიექტური მოვლენაა. ამ ფაქტორების თუნდაც ზედაპირული ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ინფლაციური თარგეთის ზედა ზღვარი გაცილებით მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ეს დადგენილია დღევანდელ ეტაპზე (8%).

5. ინფლაციური თარგეთირების რეჟიმისათვის მიუღებელია ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ეიფორიის და პიარის ფონზე. ანალიზი და შეფასება უნდა იყოს ობიექტური და კრიტიკული, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ცდომილებები თარგეთირებაში.

ინფლაციური თარგეთის დადგენა, ანუ პროგნოზირება ურთულესი ანალიტიკურ-კვლევითი და შემოქმედებითი პროცესია. იგი მოითხოვს ინფლაციაზე მოქმედი უამრავი ფაქტორისა და პირობის სიღრმისეულ ანალიზს, ეკომეტრიკული და სხვა სახის მათემატიკური ინსტრუმენტარიის გამოყენებას. თარგეთის პროგნოზინებისას დაუშვებელია მხოლოდ ინერციული, პასიური მიდგომების გამოყენება. ამასთან ერთად, საჭიროა აქტიური, დინამიკური მოდელების გამოყენება. ყოველივე ეს ეროვნული ბანკის სტრუქტურაში მძლავრი კვლევითი სამსახურის შექმნის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში.

6. რამდენადაც ფასების სტაბილურობაზე ძირითადი პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, თარგეთის პროგნოზირებასა და რეალიზაციაში ცდომილებისას უწყებათაშორისი „გადაბრალების“ თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, ეროვნულმა ბანკმა შექმნას მონეტარული სტატისტიკის მძლავრი სამსახური, რომელიც, ერთი მხრივ, მოიპოვებს და გააანალიზებს ინფლაციასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას გამჭვირვალე და ობიექტური მონეტარული ინფორმაციით.

ელგუჯა მექვაბიშვილი

გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი

წელიწადზე მეტია მსოფლიო ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მისი ფინანსური სეგმენტი, სერიოზულ სირთულეებს განიცდის. ამის მიზეზია ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული იპოთეკური დავალიანების კრიზისი, რომელიც ამ ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული

სერიოზული ღონისძიებების მიუხედავად, მთელი ეკონომიკის რეცესიაში გადაიზარდა, მოგვიანებით კი მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზი გახდა.

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებულობის დაბალი დონის მიუხედავად, გლობალური ფინანსური კრიზისი მასზე ზეგავლენას ახდენს. ეს აშკარად დაეტყო საქართველოს საბანკო სისტემას და კონკრეტულად შემდეგში გამოიხატა:

- კომერციული ბანკების კრედიტების გაძვირება;
- სესხების უზრუნველყოფაზე საბანკო მოთხოვნების გამკაცრება;
- ხშირ შემთხვევაში, კომერციული ბანკების მიერ სესხების გაცემის შეწყვეტა.

საქართველოში ფულად-საკრედიტო და საბანკო პოლიტიკაზე მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზემოქმედებით ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისში ლარის კურსის ნახტომისებური გაუფასურება, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით:

- მსოფლიოში ფულის გაძვირებისა და მისი დეფიციტურობის გაზრდის გამო ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების შემცირებით;
- უცხოური ინვესტიციების შემოდინების მკვეთრი შემცირებით, რაც კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა აგვისტოს მოვლენების შედეგად;
- ფინანსური კრიზისის გამო ჩვენი თანამემამულეების მიერ უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების ასევე მკვეთრი შემცირებით.

საბანკო სფეროში შექმნილი სირთულეების ერთ-ერთი მიზეზია ინფლაციის ზრდა, რომელსაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე განვითარებული ფინანსური კრიზისი. კატასტროფულად უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი (იმპორტის ღირებულება 4-ჯერ აღემატება ექსპორტისას), რაც ამჟამად საქართველოს ახასიათებს, ლარის გაცვლითი კურსის გაუარესებისა და იმპორტული პროდუქციის გაძვირებით იწვევს ინფლაციური პროცესების გაძლიერებას. ეს უკანასკნელი, ე.წ. “ფიშერის ეფექტის” თანახმად, წარმოშობს კრედიტის ღირებულების გაზრდის აუცილებლობას.

გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების უარყოფითი ეფექტის შესამცირებლად, ჩვენი აზრით, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ინფლაციის მოთოკვა უნდა მოხერხდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, რათა ის არ გადაიზარდოს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაქვეითებაში და ქვეყანა არ აღმოჩნდეს სტაგფლაციის მდგომარეობაში;
- აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტიტუციური გაძლიერება და "აღდგენა საკუთარ უფლებებში", რაც არსებითად შეილახა ე.წ. "რეფორმატორების" ვოლუნტარისტული ქმედებების შედეგად;
- უაღრესად აქტუალურია ეროვნული ბანკისა და მთავრობის ანტი-ინფლაციურ ღონისძიებათა სინქრონიზაცია იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ ინფლაციას, მონეტარულ ფაქტორთან ერთად, მთავრობის ხარჯების პოლიტიკაც განსაზღვრავს;
- გარდაუვალ აუცილებლობად უნდა ჩაითავლოს ეროვნული ვალუტის დევალვაცია, თუმცა ეს პროცესი უნდა განხორციელდეს არა ნახტომებით, არამედ თანდათანობით, რა მიზნითაც სებ-მა სავალუტო ბაზარზე უნდა გააგრძელოს ინტერვენციონისტული პოლიტიკის გატარება;
- მნიშვნელოვან ღონისძიებად გვესახება პარლამენტის მიერ დეპოზიტების დაზღვევის კანონის მიღება, შესაბამისი მექანიზმებისა და სტრუქტურის შექმნასთან ერთად, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხის ამაღლებას.

გიორგი პაპავა

შერეული საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიული საზოგადოების იდეალი!

1. გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ თურმე "ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომების დაშვება". ამგვარი გამოთქმა დომინირებს საერთოდ. იგი ამართლებს ადამიანის მიდრეკილებას პასიურობისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იწვევს მიდრეკილებას ინტელექტის სიზარმაცისაკენ ეკონომიკურ

რეალობათა შეცნობის პროცესში. ამის გამო ეკონომიკაში თავს იჩენს უნებლიე მცდარი ლოგიკით მცდარ დასკვნებზე გასვლა, ე.ი. წარმოიქმნება ეკონომიკური პარალოგიზმები. ისინი ადამიანის მხედველობიდან, ნაწილობრივ ან მთლიანად, გამორიცხავენ კავშირს ეკონომიკის განვითარებასა და ჯანსაღ სოციალურ ვითარებას შორის. ამით ირღვევა ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძვლები არანორმალური სოციალურ-ეკონომიკური წარმონაქმნებით.

2. ეკონომიკაში ინტელექტის განვითარების კვალობაზე თუ განხორციელდა შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობათა თვისებრივი შეცნობა სათანადო მეთოდოლოგიით, მაშინ შესაძლო გახდება ეკონომიკურ რეალობათა სრულყოფილი (უნაკლო) წარმართვა დროის პერიოდების მიხედვით. დღეისათვის ეკონომიკური პარალოგიზმები თან სდევს არა მარტო ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობას (რომლებიც მეტ-ნაკლები ზომით წარმოადგენენ დილეტანტებს თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში), არამედ პროფესიონალ ეკონომისტთა საქმიანობასაც. ამის მიზეზი იმაში იმალება, რომ ამჟამად არ არსებობს ეკონომიკურ რეალობათა დროის პერიოდების მიხედვით თვისებრივი შეცნობის მეთოდოლოგია.

3. ამგვარი მეთოდოლოგია მოგვცემს დროის ყოველი პერიოდის ეკონომიკურ რეალობათა თვისებების სიღრმისეული შეცნობის შესაძლებლობას და ისიც შერეული საბაზრო ეკონომიკის პირობებში. იგი დაეყრდნობა პერიოდანტულ-გენეტიკური და "პოლიფონიური" წყობის ეკონომიკურ აზროვნებას. მას წინა პლანზე გადმოაქვს ქვეყნის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის დაცვის აუცილებლობა, როგორც ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების რეალიზაციის უტყუარი პირობა. ამას იგი მოახერხებს შერეული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში ჩაყენებით (ნორმალიზაციით). იგი იმაზეა გამიზნული, რომ ეკონომიკური ფუნქციების განხორციელებაში არ დაუშვას ეკონომიკური პარალოგიზმების შეპარვა და წარმოქმნადი ხარვეზების "პოსტ-ფაქტუმი" "კოსმეტიკური" მოპირკეთებით თავის დახსნის აუცილებლობა. ეს შესაძლებელია, თუ დავძლევთ აზროვნების პასიურობასა და ინტელექტის სიზარმაცეს ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი შეცნობის პროცესში და ამით მივაღწევთ სათანადო ეკონომიკურ წარმატებებს.

4. სიღრმისეული ინტენსიური ეკონომიკური აზროვნება, რომელიც გამაგრებულია უშრეტი წყურვილით, გატაცებით და შემართებული განწყობით, შეიჭრას ამა თუ იმ ეკონომიკური რეალობის შიდა არსში ან პრობლემის სიღრმეში, და რომელსაც გააჩნია უნარი, თავიდან მოიშოროს ლტოლვა ინტელექტის სიზარმაცისაკენ ეკონომიკური პარალოგიზმების შემოპარების თავიდან ასაცილებ-ლად, შეიძენს იმის უნარსაც, რომ თითქმის უხარვეზოდ წარმართოს ეკონომიკა (აქ მხედველობაშია მისაღები შემოპარული ნეგატიური ქცევების გავლენის გამორიცხვაც).

5. დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების იდეალი მოითხოვს, რომ თავიდან ავიშოროთ ქვეყნის მოსახლეობის ინტერესთა დაპირისპირებული ჭიდილი, ვინაიდან ამ გზით ჭეშმარიტი დემოკრატიის მშენებლობა უხარვეზოდ ვერ განხორციელდება. ეს უნდა განხორციელდეს სოციალურად ჯანსაღი ბიზნესით და დამსახურებული შრომითი მოღვაწეობით, რომელიც გამორიცხავს ამჟამად არსებული ფსევდო-დემოკრატიის მინარევებს. ამის მიღწევა შესაძლებელია ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ნიადაგზე, რომელიც დაეყრდნობა ეკონომიკური ინტერესების ჯანსაღ "პოლიფონიურ" შეუღლებას ქვეყნის ეკონომიკის საერთო წარმატებისათვის საკუთარი მიღწევების წყალობით, რომ არ აღმოვჩნდეთ წყალწაღებულის მდგომარეობაში, რომელიც ”ხავსს ეჭიდებოდა”. ამ იდეალურ გზას უნდა დაადგეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესი. იდეური შემართების და პრაქტიკული ალღოს აღების უტყუარი და სოციალურად ჯანსაღი უნარ-ჩვევების ამოქმედება უნდა გახდეს წელში გამართული ეკონომიკის ტექნოლოგიის საფუძველთა საფუძველი.

6. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ადამიანთა და მათი ჯგუფების განსხვავებულ სოციალურ ინტერესთა დაპირისპირებაზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება ჭეშმარიტი დემოკრატიის მშენებლობა. პირიქით, საჭიროა მათი ინტერესების "პოლიფონიური" შეუღლება ქვეყნის ეკონომიკაში სათანადო როლების შესრულებით, რომლებიც საერთო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე უბიძგებენ ყველას და ყველაფერს, რათა ეკონომიკა ჩამოყალიბდეს, როგორც მთლიანობითი სისტემა და არა, როგორც ეკონომიკური პარალოგიზმებით დაკვალიანებული ჯუმლობრივი წარმონაქმნი. მათი საქმიანობის ურთიერთთავსებადი შეუღლება კი წარმოქმნის ქვეყნის ნორმა-

ლიზებულ და ჭეშმარიტად დემოკრატიულ შერეულ საბაზრო ეკონომიკას, როგორც მთლიანობით სისტემას. ამ გარემოში ჩამოყალიბდება ქვეყნის ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ბიზნესტექნოლოგია. ამავე დროს, უნდა გვესმოდეს, რომ ბიზნესმენი უნდა იყოს ბიზნესმოგების მკეთებელი. იგი ეკონომიკის ფორმირების ტექნოლოგიაში უნდა იყოს ჩართული, როგორც ინტელექტის სიზარმაცისაგან თავისუფალი, მოქნილი მოაზროვნე.

ვლადიმერ პაპავა

ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები

1. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, გლობალური ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, საქართველოს წინაშე ახალი ეკონომიკური პრობლემები დადგა. კერძოდ, ესენია – ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, ინფლაციის შედარებით მაღალი დონის შემდგომი ზრდის პრევენცია, ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება. ომის შემდგომი საქართველოსათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვალა. ამ გამოწვევებზე დროული და სწორი რეაგირება იმის საწინდარია, რომ საქართველომ წარმატებით დაძლიოს მისი ეკონომიკის წინაშე არსებული სირთულეები.

2. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომს საქართველოს ეკონომიკამ მთლიანობაში გაუძლო, თუმცა მნიშვნელოვანი სირთულეები შეექმნა. სახეზეა უშუალო ეკონომიკური ზარალი, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა საომარო მოქმედებების დროს დასახლებული პუნქტებისა თუ ინფრასტრუქტურის ობიექტების ნგრევაში, ქვეყნის ეკოლოგიისადმი მიყენებულ ზიანში. 2008 წლის ოქტომბერში მსოფლიო ბანკის ეგიდით ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე გადაწყდა ომის შემდგომი საქართველოსათვის 4,5 მლრდ დოლარის დახმარების გამოყოფა, საიდანაც 2 მლრდ გრანტია, ხოლო 2,5 მლრდ კი კრედიტი. საქართველო ამ დახმარებას 2008-2010 წლებში მიიღებს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იმ უშუალო

ეკონომიკური ზარალის აღმოსაფხვრელად წავა, რაც საქართველოს რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად მიადგა.

3. საფრთხე შეუქმნა საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობას, ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას. კერძოდ, 2008 წლის 11 აგვისტო ყველაზე მძიმე დღე იყო საქართველოს საბანკო სისტემისათვის, როცა, რუსული ოკუპაციის მასშტაბების ზრდის საფრთხის გამო, მოსახლეობამ და კერძო კომპანიებმა ბანკებიდან დაიწყეს კუთვნილი დეპოზიტების გატანა, რის გამოც საბანკო სისტემიდან, ჯამში, ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის დეპოზიტები გავიდა. ომის დასრულების ერთი თვის თავზე საქართველოს საბანკო სისტემაში უკან დაბრუნდა ამ გატანილი თანხების მხოლოდ 30 პროცენტი, რამაც საბანკო სისტემა კრიზისის წინაშე დააყენა. საბანკო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, როგორც ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების ოპერაციები განაახლა, რითაც ბანკებს შედარებით იაფი საკრედიტო რესურსის არხი გაუხსნა. იმავდროულად, ერთკვირიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი 12 პროცენტიდან 10 პროცენტამდე ჩამოიყვანა (კომერციული ბანკებისათვის ნაკლებად მიმზიდველი რომ ყოფილიყო ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ყიდვა), ხოლო კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები 15 პროცენტიდან 5 პროცენტამდე დაიყვანა. ასეთი ქმედებებით ეროვნულმა ბანკმა, ერთი მხრივ, საქართველოს ააცილა საბნკო კრიზისი, თუმცა, იმავდროულად, ხელი შეუწყო მიმოქცევაში ფულის მასის გაზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის ინფლაციის დონეს. სხვა სიტყვებით, ეროვნულმა ბანკმა არჩევანი ცუდსა და უარესს შორის ცუდის სასარგებლოდ გააკეთა, რადგანაც საბანკო კრიზისი მთელი ეკონომიკის დამანგრეველი შეიძლება შეიქმნეს, მაშინ, როცა მაღალი ინფლაციის პირობებში შექმნილი ეკონომიკური პრობლემები შედარებით უფრო ადვილად მოგვარებადია.

4. რუსული აგრესიის შედეგად კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა იძულებულია, გასწიოს დამატებითი ხარჯები. უწინარეს ყოვლისა, მთავრობა ამ ადამიანებს დროებით საცხოვრებელ სახლებს უშენებს, რაც, ერთი მხრივ, ეკონომიკას აცოცხლებს – ჩნდება დამატებითი მოთხოვნა სამშენებლო

მასალებზე, დასაქმდება მუშახელი, მაგრამ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები, საბოლოო ჯამში, მოკლევადიან პერიოდში მაინც ინფლაციურია, რადგანაც ამ სახლებს მთავრობა ყიდულობს და არა კერძო პირები. მთავრობა ამ ადამიანებს დაურიგებს ვაუჩერებს გაზის თუ ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად, რაც ასევე ინფლაციის ზრდას შეუწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, მთავრობას სხვა არჩევანი არ აქვს. ასე რომ, მაღალი ინფლაცია გარდაუვალია.

5. ომის შემდგომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, ინვესტორები ცდილობენ უფრო მეტად უსაფრთხო ქვეყნებში განახორციელონ ინვესტიციები ვიდრე ეს რუსული აგრესიის ქვეშ მყოფი საქართველოა. გლობალური ფინასური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ თავის ნათესავებთან გადმორიცხული ფულადი გზავნილები. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უკიდურესად უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი აქვს, სადაც იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატება, გასაკვირი არ უნდა იყოს ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას საფრთხე რომ დაემუქრა.

6. აგვისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, შტანდ- ყ-ს პროგრამით, 750 მლნ. აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო, რომლიდანაც 250 მლნ. უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ეროვნული ბანკის რეზერვებში. ქართული ლარის თანდათანობითი, მცოცავი გაუფასურების ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობდა, ამ რეზერვების ხარჯვით უზრუნველეყო ლარის თითქმის შეუმჩნეველი გაუფასურება. კერძოდ, ერთ თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის რეზერვებიდან დაიხარჯა 300 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა მხოლოდ 2,5 პროცენტით. საქართველოსათვის ავბედით 7 ნოემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ დოლარზე, მათი მხრიდან ნულოვანი მიწოდების პირობებში (როგორც ეს იყო ბოლო ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში), 31 მლნ-ს გადააჭარბა. ეროვულმა ბანკმა ამ მოთხოვნიდან მხოლოდ 270 ათასი დააკმაყოფილა და შემდეგ საბირჟო ვაჭრობა შეწყვიტა ვითომდა ტექნიკური მიზეზების გამო. ამან კი იმავე დღესვე შექმნა პანიკა: ბანკომატები ფულისაგან

მყისვე დაცარიელდა, ხოლო გადამცვლელმა ჯიხურებმა დოლარის კურსი მნიშვნელოვნად აწიეს, თანაც, ხშირ შემთხვევაში, უარს ამბობდნენ დოლარის გაყიდვაზე. ასე რომ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყანას "მწვანე პარასკევი" მოუწყო. საქართველოს სავალუტო ბაზარზე პანიკური დაბნეულობა შაბათ-კვირასაც გაგრძელდა, ხოლო ორშაბათს, 10 ნოემბერს, როცა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა განახლდა, ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 47 მლნ. დოლარი და დააფიქსირა ლარის ახალი გაცვლითი კურსი, რომლის თანახმადაც, "მწვანე პარსკევის" დილასთან შედარებით, ლარი დოლართან მიმართებაში 15 პროცენტით გაუფასურდა. მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ განცხადება იმის შესახებ, რომ ის, რაც 7 ნოემბერს მოხდა, თითქოსდა წინასწარ იყო დაგეგმილი. შედეგად კი შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ "მწვანე პარასკევის" შემდეგ მოსახლეობა გაურბის ლარს, კომერციული ბანკები ერიდებიან ლარში კრედიტების გაცემას და, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის დოლარიზაცია გაიზარდა. რადგანაც სამომხმარებლო ბაზრის 80 პროცენტი იმპორტულ საქონელს უჭირავს, ამან ხელი შეუწყო ფასების ავარდნას. ასე რომ, ინფლაცია ომის შემდგომი საქართველოსათვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება.

7. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-სა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვალას. თუკი აშშ-თან ეს საკითხი მხოლოდ განხილვის საწყის ეტაპზეა, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლა, როგორც ეს 2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში გამართულ ევროკომისიის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, დაკავშირებულია იმ პირობების შესრულებაზე, რასაც ევროკავშირი საქართველოსაგან ითხოვს ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში. კერძოდ, ესენია ისეთი შრომის კოდექსის მიღება, სადაც, ისევე, როგორც ევროკავშირშია, დაცული იქნება დაქირავებულთა უფლებები, აგრეთვე ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღება. მართალია, საქართველოს მთავრობა ზოგადად მიესალმება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებას, თუმცა ევროკავშირის მიერ დაყენებული პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში საქართველოსთან დამყარდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, საქართველოს მთავრობამ, სამწუხაროდ,

უგულებელყო. კერძოდ, 2008 წლის 9 სექტემბერს საქართველოს მთავრობის საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი გაზავნილ განზრახულობათა წერილი და 2008-2009 წლებში საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მემორანდუმი ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობა უახლოეს პერიოდში არ აპირებს არც შრომის კოდექსის შეცვლას და არც ანტიმონოპოლიური თუ მომხმარებელთა უფლებების ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღებას. სხვა სიტყვებით, საქართველოს მთავრობა სულაც არ ჩქარობს ევრო-კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლას.

8. საერთაშორისო დახმარების მიღებით საქართველოს ეკონომიკისადმი მიყენებული ზარალის აღმოფხვრის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ხარჯების გაწევის მონიტორინგს, ხარჯვის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე რომ იყოს.

9. ომის შემდგომ საქართველოში ლარის დევალვაციის პროცესი გარდაუვალია, მაგრამ მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, დევალვაცია განხორციელდეს თანდათანობით, რომ სავალუტო ბაზარზე გამოირიცხოს პანიკა, როგორც ეს "მწვანე პარასკევს" მოხდა. 2008-2010 წლებში საქართველოსათვის 4,5 მლრდ. დოლარის დახმარება იმის ობიექტურ საფუძველს ქმნის, რომ ლარის შესაძლო ნახტომისებური ვარდნა გამოირიცხოს, თუმცა, თუ "მწვანე პარასკევის" მომწყობთა მიმართ თუნდაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი რა დადგა, არ არის გამორიცხული მისი გამეორება. ლარისადმი ნდობის აღდგენისათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება დევალვაციის პროცესის მხოლოდ და მხოლოდ თანდათანობით რეჟიმში წარმართვას.

10. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ეს არ უნდა იყოს მთავრობის მხრიდან პოლიტიკური სპეკულაციის საგანი, როცა ის ქმნის იმის ილუზიას, რომ ისწრაფვის ევროკავშირისაკენ, თუმცა ეს სწრაფვა მხოლოდ არტიკულაციის დონეზე აქვს დაფიქსირებული, ხოლო რეალური ქმედებებით კი სულაც არ აპირებს ევროკავშირის პირობების შესრულებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირსა და ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას, მათ პროგრამებს შორის უფრო მეტ შეთანხმებულობას, რაც საქართველოს მთავრობას აიძულებს, უფრო მეტად თანამიმდევრული იყოს თავის ქმედებებში.

თემურ შენგელია

ეკონომიკური სინთეზი და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ამ თვალსაზრისით შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს შექმნა.

მსოფლიო ბანკის 2008 წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელებით საქართველომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის 118-დან მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა. ამავე ორგანიზაციის ექსპერტების შეფასებით მსოფლიოს არც ერთ ქვეყენას 2005-2008 წლებში რეფორმები არ ჩაუტარებია ისე თანმიმდევრულად, როგორც ეს შეძლო საქართველომ.

მსოფლიო ბანკის და EBRD-ის გამოკვლევაში – „ბიზნესის გარემო და წარმოება“ – ასახულია, რომ საქართველოში 2004-2008 წლებში კორუფციის ყველაზე მასშტაბური შემცირება მოხდა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო 161 ქვეყნის მაჩვენებლებში აღმოჩნდა 21-ე ადგილზე, ევროპის 41 ქვეყნიდან – მე-20 ადგილზე.

ბიზნესის, სავაჭრო, ფისკალური, მთავრობისაგან დამოუკიდებლობის, მონეტარული, საინვესტიციო, ფინანსური, შრომის თავისუფლების ინდექსები მერყეობს 60-დან 99 პროცენტამდე.

ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის ესოდენ სწრაფი ტემპით განვითარების ძირითადი მიზეზები არის შემდეგი: მასში ჩატარებული რეფორმები სისტემურ ხასიათს ატარებს, რის გამოც, ის ამ დარგში ლიდერის ადგილს იმკვიდრებს, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა მას ამ მეტად მნიშვნელოვანი რესურსის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს; სტაბილიზაცია განიცადა მაკროეკონომიკურმა გარემომ; შეიქნა ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმი; ჩატარდა ეფექტური საგადასახადო რეფორმა; ჩამოყალიბდა კორუფციისაგან თავისუფალი გარემო და ბიზნესში ამოქმედდა კანონიერების მექანიზმი.

კონვერგენციის თეორიიდან გამომდინარე ეკონომიკური რეფორმები და მათი შედეგები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგანაც რეფორმების შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაზეა ორიენტირებული.

ამის გამო, კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქვეყანაში ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირების თვალსაზრისით.

ხელისუფლების გააზრებული, თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით დონორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების ეფექტური გამოყენება, შეიძლება საქართველოს შემდგომი განვითარებისა და წინსვლის საწინდარი გახდეს.

ლეო ჩიქავა

დემოლოგიურ კანონთა სისტემა

1. მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერება "დემოგრაფიად" იწოდება, რაც გამართლებული იყო მანამ, სანამ იგი მნიშვნელოვანწილად აღწერილობით ხასიათს ატარებდა და ემპირიულ მეცნიერებად ითვლებოდა, მაგრამ დღეისათვის, როცა ფუნდამენტურ მეცნიერებად წარმოგვიდგება და ჩამოყალიბდა დემოგრაფიულ მეცნიერებათა (დემოგრაფიის ზოგადი თეორია, დემოგრაფიულ მეცნიერებათა ისტორია, ისტორიული დემოგრაფია, დემოგრაფიული სტატისტიკა, მათემატიკური დემოგრაფია, დემოგრაფიული პროგნოზირება, დემოგრაფიული მოდელირება, რეგიონული დემოგრაფია, გამოყენებითი დემოგრაფია, გენეტიკური დემოგრაფია, სოციოლოგიური დემოგრაფია, ეთნიკური დემოგრაფია, სამედიცინო დემოგრაფია, სამხედრო დემოგრაფია და ა.შ.) სისტემად, ჩემი აზრით, უპრიანია იწოდებოდეს "დემოლოგიად", ანუ მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მოძღვრებად. ამით მეცნიერების ეს სპეციფიკური დარგი თავისი რეალური შინაარსობრივი დატვირთვის ადეკვატურ სახელწოდებას მიიღებს.

2. მეცნიერების ყველა დარგი თავისი შესწავლის საგნის ამსახველ კატეგორიებსა და კანონებს მოიცავს. ამ მხრივ არც დემოლოგიაა გამონაკლისი.

დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზშედეგობრივ აუცილებელ, მყარ, მუდმივგანმეორებად, არსებით კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობას დემოლოგიური კანონი ეწოდება.

3. დემოლოგიური კანონებისათვის დამახასიათებელია: მოქმედების ობიექტური ხასიათი; სუბიექტთა ნება-სურვილის მიხედვით შემოღება-

გაუქმებისა და გარდაქმნის შეუძლებლობა; მოქმედების რეალიზაციაში ადამიანისეული ფაქტორის მონაწილეობის აუცილებლობა; პირდაპირი კავშირის უქონლობა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებთან და სხვა.

ბუნების განვითარებისა და ეკონომიკური კანონების ანალოგიურად, არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა დემოლოგიური კანონების აღმოჩენა, შეცნობა და, მოსახლეობის აღწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, გონივრული გამოყენება.

4. დემოლოგიური კანონები მოქმედებს არა იზოლირებულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ ურთიერთორგანულ კავშირში, რაც ამ პროცესს სისტემურ ხასიათს ანიჭებს.

5. დემოლოგიური კანონები შეიძლება დავყოთ საერთო (ზოგად), სპეციფიკურ და კერძო კანონებად. ასეთ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დემოლოგიურ კანონთა მოქმედების ხანგრძლივობა და მასშტაბი (მოქმედების კანონზომიერებათა განცალკევებულობა).

6. საერთო დემოლოგიური კანონები მოქმედებს კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე, თუმცა გზადაგზა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. ასეთებია: თაობათა განახლების, ანუ მოსახლეობის აღწარმოების კანონი; დემოლოგიური გადასვლის, ანუ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების თანმიმდევრული ცვლის კანონი; მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი მატების კანონი; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კანონი; სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი და სხვა.

7. სპეციფიკური დემოლოგიური კანონები მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. ასეთი კანონებია: შობადობის კლების კანონი; ოჯახებში ბავშვთა რიცხოვნობის თანდათანობით გამოთანაბრების კანონი; დემოლოგიური დაბერების კანონი და სხვა.

8. კერძო დემოლოგიური კანონებისათვის დამახასიათებელია განცალკევებულ დემოლოგიურ კანონზომიერებათა ასახვა. მათ შემადგენლობაში შეიძლება მოვაქციოთ: მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონი; მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონი; მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი; დემოგრაფიული კომპენსაციის კანონი და სხვა.

9. თაობათა მუდმივი განახლების, ანუ, რაც არსებითად იგივეა, მოსახლეობის უწყვეტი აღწარმოების დემოლოგიური კანონის მთავარ ნიშნებსა და მოთხოვნებს შორის აღსანიშნავია: ჯერ ერთი, ის, რომ მოქმედებს კაცობრიობის დასაბამიდან და იმოქმედებს მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს; მეორე, გამოირჩევა აბსტრაქტულობით, რამდენადაც გამოხატავს მოსახლეობის აღწარმოების არა რომელიმე ცალკეულ კანონზომიერებას, მის კონკრეტულ მხარეს (გაფართოებულ, მარტივ ან შეკვეცილ აღწარმოებას), არამედ ზოგად კანონზომიერებას – თაობათა განახლების პროცესს საერთოდ; და მესამე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასახავს დემოლოგიის ცენტრალური პრობლემის – მოსახლეობის აღწარმოების თითქმის ყველა მთავარ მხარესა და მთავარ პროცესს, მის არსს. ამიტომ, თავისი ამ გამორჩეულობის გამო, შეიძლება მას ძირითადი დემოლოგიური კანონი ვუწოდოთ.

10. დემოლოგიური კანონებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ ისინი ასახავენ მთელი მსოფლიოს და არა ცალკეული რეგიონების, კონტინენტებისა თუ ქვეყნების მოსახლეობის განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებს.

ნოდარ ხადური

საქართველოს ეკონომიკა და რუსეთის "ლიბერალური" იმპერია

ომი, რომელსაც ყველა ველოდით, მაგრამ მაინც ყველას გვჯეროდა, რომ არ დაიწყებოდა, 2008 წლის აგვისტოს 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, საქართველოს ეკონომიკაში (და არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკაში) მიმდინარე პროცესების კატალიზატორი რომ ყოფილიყო. ცხადია, ჩვენ არ ვაპირებთ კონკრეტულად განვიხილოთ ყველა ის პრობლემა, რომელიც ომმა გამოაჩინა, თუმცა საკითხთა წრე, რომელთა გადაჭრის გზების ძიება იმის შემდეგ უფრო გართულდა, გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

საბანკო სფერო, მშენებლობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, ტრანზიტული გადაზიდვები, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა – ომის პირდაპირი მსხვერპლი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ყველა ის უარყოფითი შედეგი, რომლის მოტანაც ომს შეეძლო, ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მან

ბევრი ისეთი პრობლემაც გამოაჩინა, რომელიც ხელისუფლების ზოგიერთ შემთხვევაში უგუნურმა, ხშირად კი დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია.

საუბარი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინის არარსებობას და რუსეთის მხრიდან ომის რეალური საფრთხის პირობებში სტრატეგიული აქტივების რუსულ სახელმწიფო კაპიტალზე პრივატიზებას შეეხება.

ომამდე 5 წლით ადრე, 2003 წლის 25 სექტემბერს სანქტ-პეტერბურგის საინჟინრო-ეკონომიკურ უნივერსიტეტში "საპატიო დოქტორის" წოდების მინიჭების ცერემონიაზე გამოსვლისას, რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის, ე.წ. "РАО ЕЭС Россий"-ს ხელმძღვანელმა, ანატოლი ჩუბაისმა ჩამოაყალიბა ე.წ. ლიბერალური იმპერიის იდეოლოგია, რომლის მთავარი ამოსავალი წერტილია პოსტ-საბჭოურ სივრცეში ეკონომიკური ბერკეტების გავლენით რუსეთის ლიბერალური იმპერიის შექმნა.

ეს იდეოლოგია საკმაოდ ფართოდ აიტაცეს არა მხოლოდ რუსმა პოლიტიკოსებმა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველ-მა ეკონომისტებმა, პოლიტიკოსებმა, პოლიტოლოგებმა დროულად მია-ნიშნეს ხელისუფლებას, რომ რუსეთი არ აპირებს საქართველოდან და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან გასვლას და რომ ეკონომიკური ბერკეტები გამოყენებული იქნებოდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ჩუბაისი აღიარებდა რომ წინ, ანუ უკან საბჭოთა კავშირისაკენ, მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით შეიძლებოდა მიღწე-ულიყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ეკონომიკურთან ერთად სამხედრო ძალის გამოყენებაზეც არ თქვა უარი, მისთვის საქართველოს მიერ მნიშვნელოვანი (რომ აღარაფერი ვთქვათ სტრატეგიული) ობიექტების გადაცემა ამ იმპერიის აღდგენაში სეიოზული დახმარება იყო.

2006 წლის მარტში გაზეთ The Iordan Times-ში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ეკონომისტის ლადო პაპავასა და ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) შუა აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის ფრედერიკ სტარის სტატია "რუსეთის ეკონომიკური იმპერიალიზმი", რომელშიც, ემპირიული მასალის ანალიზის საფუძ-ველზე, გაანალიზებული იყო რუსული ლიბერალური იმპერიის გაფართოება და მსოფლიო გააფრთხილა, რომ რუსული იმპერიალიზმი სახეს იცვლის, მაგრამ არ იცვლის შინაარსს.

რუსეთმა, რომელიც მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, არაერთხელ დაადასტურა, რომ ვერ ეგუება საბჭოთა კავშირის დაშლას და ორპოლუსიანი სამყაროდან მისი პოლუსის ამოგდებას. ამდენად, იმას, რასაც ვერ ახერხებს პოლიტიკური გზებით, მიაღწევს სხვა, მათ შორის ეკონომიკური და სამხედრო ინსტრუმენტებით.

პირველი ნაბიჯი, საქართველოს რუსულ იმპერიაში შესათრევად გადაიდგა არა საქართველოში, არამედ სომხეთში, მაშინ, როდესაც რუსულმა სახელმწიფომ ვალების სანაცვლოდ ხელში ჩაიგდო სომ-ხეთის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. რუსეთმა სომხეთის რკინიგზაც დაიქვემდებარა და მას შორსმიმავალი სახელი "სამხრეთის რკინიგზა" უწოდა. გასაგებია, რომ სომხეთი არ არის რუსეთის სარკინიგზო მეზობელი, მას მინიმუმ საქართველოს რკინიგზის ხელში ჩაგდება სჭირდებოდა, რომ სომხეთის რკინიგზა მართლაც სამხრეთისა გამხდარიყო.

ამ მოსაზრების გაგრძელებაა რუსეთის გადაწყვეტილება, ვლადიკავკაზი დააკავშიროს ცხინვალს სარკინიგზო მაგისტრალით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხინვალი გორთან რკინიგზით არის დაკავშირებული, მივიღებთ, რომ რუსეთი ქმნის "სამხრეთის რკინიგზის" შემოკლებულ ვერსიას, და სომხეთისას უფრო მოკლე გზით.

საქართველოს ხელისუფლებამ არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ რუსეთმა ამერიკელებისაგან შეიძინა თბილისის ენერგოსადისტრი-ბუციო ქსელი – თელასი და, რეალურად, სწორედ "РАО ЕЭС Россия" გახდა ენერგოდისტრიბუციის მონოპოლისტი, და ენერგოგენერაციაში საბაზრო ძალაუფლების მქონე.

ერთი მხრივ რუსეთის მიერ საქართველოსა და სომხეთის, და, ნაწილობრივ, აზერბაიჯანის ეკონომიკის დაუფლების პროცესს მეორე მხრივ ქართული ბიზნესაქტივობის შემცირება რუსეთში, და რუსეთის მხრიდან საქართველოს ეკონომიკური ემბარგოს გამოცხადება მოჰყვა. გაურკვეველი და აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი მიზეზებით მოხდა საქართველოდან ღვინის, მინერალური წყლების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეტანის აკრძალვა. თუ 10-12 წლის წინ რუსეთი საქართველოს ნომერ პირველი პარტნიორი იყო საგარეო ვაჭრობაში, დღეს საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ექს-პორტი საქართველოს მთელი ექსპორტის მხოლოდ 1,8%-ია, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 2-ჯერ ნაკლებია 1995 წლის შესაბამის

პერიოდთან, მაშინ, როდესაც, იმავე პერიოდთან შედარებით, საქართველოს ექსპორტი აშშ დოლარებში 10-ჯერ გაიზარდა.

ამ მონაცემების ანალიზი იმის საფუძველს იძლეოდა, რომ ქვეყანაშედარებით ფრთხილად მოპყრობოდა სახელმწიფო ქონების იმ ნაწილის განსახელმწიფოებრიობას, რომლის გამოყენებაც საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა.

თუმცა, როგორც რუსეთის პოლტბიზნესელიტის, ასევე საქართველოს პოლიტელიტის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოწმობს, რომ ან არავინ სერიოზულად არ აღიქვამდა რუსული ლიბერალური იმპერიალიზმის საფრთხეს, ან უარესი, ხელს უწყობდა ამ იმპერიის გაფართოებას.

ამას უნდა დავუმატოთ რუსეთის უკვე პრემიერ-მინისტრის, ვლადიმერ პუტინის განცხადება, რომ რუსეთის სახელმწიფო ყველა ფორმით დაიცავს არა მხოლოდ მის მოქალაქეებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში (რისი საბაბითაც ცხინვალის რეგიონში სამხედრო ძალა გამოიყენა), არამედ დაიცავდა რუსეთის მოქალაქეთა საკუთრებასაც. ამით მან სერიოზული განცხადება გააკეთა და პრევეციულად გააფრთხილა საქართველო და მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნები, რომ რუსულ კაპიტალს პრობლემები არ შეუქმნან.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ეკონომიკა რუსული სახელმწიფო კაპიტალის სერიოზულ ზეგავლენას განიცდის. გზები ამ ზეგავლენისაგან თავის დასაღწევად არ ჩანს. ეს კი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ბერკეტებს მკვეთრად ამცირებს. უმარტივესად, ერთ-ერთ რუსულ ბანკს შეუძლია საქართველოს ეკონომიკაზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენა და ეროვნული ბანკი ვერ შეძლებს ამ რისკის განეიტრალებას.

ამდენად, ომმა, რუსეთის მიერ გაცხადებულმა სურვილებმა, მინიმუმ საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე ლიბერალური იმპერია შექმნას, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესი უფრო მეტად პრაგმატული უნდა გახადოს.

ეკონომიკური თეორიის სექცია

ალფრედ კურატაშვილი

ხალხის ინტერესების რეალიზაციის პრობლემა და ინსტიტუციონალიზმი

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირების და, შესაბამისად, ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებასა და სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პრობლემაზე თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში ტრადიციული და დამკვიდრებული შეხედულებების კრიტიკულ ანალიზს, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და პოლიტიკაში ფაქტობრივად გადაწყვეტილად ითვლება, რომლის სამართლიანობა თითქოსდა ეჭვს არ ბადებს (?!).

სინამდვილეში კი, ჩემი ღრმა რწმენით, როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, ჩემ მიერ შემუშავებული ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ არა კანონის უზენაესობით, არა საშუალებათა, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის, ადამიანის ინტერესების უზენაესობით, რაც პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას წარმოადგენს ფილოსოფიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში, რომელიც გამომდინარეობს მიზნის ფილოსოფიიდან და სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან (და არა ფილოსოფიიდან, რომელსაც ჩვენ საშუალებათა ფილოსოფიას ვუწოდებთ), აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიიდან, სოციალურ-ეკონომიკური მართვის თეორიიდან და ა. შ.

ამრიგად, კანონის უზენაესობა, როგორც ცნობილია, საყოველთაოდაა აღიარებული თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში.

მაგრამ კანონის უზენაესობა, არცთუ იშვიათად, სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის ხალხის ინტერესების რეალიზაციისას ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დაცვაში, ხოლო ზოგჯერ ხალხის ეკონომიკურ გენოციდს და დამონებას იწვევს.

თუმცა ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენების აუცილებლობის უარყოფას.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს აგრეთვე უკანონობის წინააღმდეგ უმკაცრესი ბრძოლის აუცილებლობის უარყოფას.

მაშასადამე, მსჯელობა აქ მხოლოდ იმაზე მიდის, თუ ვის ან რას უნდა ეკუთვნოდეს უზენაესობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, რასაც პრინციპული მეცნიერულ-თეორიული, პოლიტიკური და პრაქ-ტიკული მნიშვნელობა აქვს და რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრობლემასთან.

კანონის უზენაესობის პრობლემა, კანონშემოქმედებისა და კანონების გამოყენების პრობლემა საზოგადოებასა და სახელმწიფოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობის პირობებში, როდესაც ყიდვა-გაყიდვას ექვემდება-რება ყველა და ყველაფერი.

ამიტომ, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონო-მიკური თეორიაა, რომელიც საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ადგილს ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებასა და სახელმწიფოში.

ადამიანის ინტერესების დაცვის, აგრეთვე, საბაზრო ურთიერთო-ბებისა და მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას და აუცილებელ ინტელექტუალურ საფუძველს წარმოადგენს ასევე ჩემ მიერ შემუშავებული თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებ-ლობის ბალანსირების თეორია.

თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული იურიდიული პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონო-მიკური საფუძვლების, აგრეთვე, სამართლებრივი მექანიზმების შექმნა სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისა და საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

ადამიანის პიროვნული პოტენციალის რეალიზაცია, მიმართული თვით ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების სოციალურ-ეკონო-მიკური ინტერესების რეალიზაციაზე, ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაბამისი თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

ამასთან დაკავშირებით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, უპირ-ველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფილოსოფიურ-სამარ-თლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების გახსნას.

მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ არა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციის ფორმას, არამედ სახელმწიფოებრივი მოწყობის შინაგან მიზნობრივ მიმართულებას – მიზანს, რომელსაც ის ემსახურება.

თუ სახელმწიფო, მიუხედავად მისი მართვის ორგანიზაციის ფორმისა, ემსახურება ყოველი ადამიანის ინტერესების რეალიზაციას და, მაშასადამე, თუ იგი ქმნის ადამიანის პიროვნული პოტენციალის გახსნისა და რეალიზაციის პოლიტიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს და მექანიზმებს, მაშინ ასეთი სახელმწიფო ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოა.

კერძოდ, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების თეორიისა და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს თეორიის შესაბამისად: ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურებიან სოციალურ მიზანს – ადამიანის ინტერესებს (საზოგადოების ყველა წევრის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს) და თუ, ამავე დროს, ისინი გამორიცხავენ ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს.

ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სოციალური მიზნის რეალიზაცია ავტომატურად – თავისთავად – არ ხდება. ის ცხოვრებაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებისა და მექანიზმების შექმნის მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს სოციალური მიზნის რეალიზაციას; ასევე ის შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის შესაბამისი ორგანიზაციის მეშვეობით.

ამრიგად, ხალხის ინტერესების რეალიზაცია ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, რომლის პრაქტიკული გადაჭრა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ეს მოითხოვს ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს სახელმწიფოს, კანონმდებლობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ა. შ. როლს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში.

ალფრედ კურატაშვილი

ეკონომიკური სისტემის სრულყოფა ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობის გზაზე

მსოფლიო განვითარება ობიექტურად მიდის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

ამასთან, ჩვენი ღრმა რწმენით, არსებობს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამი გზა, და, შესაბამისად, – ხალხის ინტერესების უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციისა და დამკვიდრების სამი გზა, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პირველი და, ამასთანავე, ყველაზე უფრო მოკლე გზა – ეს არის ადმინისტრაციული სოციალიზმის (როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, რომელშიც იგულისხმება სტალინური ტიპის სოციალიზმი) ევოლუციური, თავისი ფორმით, მაგრამ რევოლუციური თავისი შინაარსით, განვითარების გზა.

ადმინისტრაციული სოციალიზმის სწორი გზით – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით – განვითარების თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთი, რომელსაც, არცთუ იშვიათად შეცდომით თვლიან პოსტკომუნისტურ კაპიტალისტურ სახელმწიფოდ. თუმცა მიმაჩნია, რომ ჩინეთში, არავითარი კაპიტალიზმი და სოციოკაპიტალიზმიც კი არ არის.

ჩინეთის ასეთი შეფასების მცდარობა ზოგიერთი მეცნიერისა და პოლიტიკოსის მხრიდან იმით არის გამოწვეული, რომ ამ შეფასებათა ავტორები, თავის თავს ანტიმარქსისტებად თვლიან, ფაქტობრივად კი, ცნობიერად ან ქვეცნობიერად, მარქსიზმის ტყვეობაში იმყოფებიან, რის შედეგადაც სახელმწიფოში კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობას კაპიტალიზმთან აიგივებენ.

კერძოდ ჩინეთში, კერძო საკუთრების და საბაზრო ურთიერთობების არსებობა ამ მეცნიერთა და პოლიტიკოსთათვის ამ სახელმწიფოს კაპიტალისტურობის კრიტერიუმს წარმოადგენს (?!).

სინამდვილეში კი, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემები მიზნის ფილოსოფიის და სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მათში საკუთრების

ამა თუ იმ ფორმის არსებობით ან არარსებობით, არა საბაზრო ურთიერთობების არსებობა- არარსებობით და ა. შ., ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა საშუალებებით, არამედ ამ სისტემების შინაგანი მიზნობრივი მიმართულებით – მიზნით, რომელსაც ისინი ემსახურება.

მაშასადამე, კაპიტალისტურობის კრიტერიუმს წარმოადგენს არა კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობა, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების ეკონომიკური მიზნობრივი მიმართულება – ფულის, ბაზრის, კაპიტალის ბატონობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ისევე, როგორც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების კრიტერიუმს წარმოადგენს არა კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არარსებობა, არამედ ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სოციალური მიზნობრივი მიმართულება – ხალხის ინტერესების უზენაესობა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის მეორე და, ამასთანავე, ბევრად უფრო გრძელი, მაგრამ ბუნებრივი, ევოლუციური გზა – ეს არის გზა კლასიკური კაპიტალიზმიდან სოციოკაპიტალიზმისაკენ და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, რადგანაც სოციოკაპიტალიზმი წარმოადგენს შუალედურ რგოლს კაპიტალიზმიდან – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე, ე. ი. სოციოკაპიტალიზმი – ეს ჯერ კიდევ კაპიტალიზმია, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს უკვე თვისებრივად ახალი კაპიტალიზმია, რომელიც წავიდა კაპიტალიზმიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

სწორედ ამ გზით მიდიან მთელი მსოფლიოს თანამედროვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც ამჟამად თავის განვითარებაში სოციოკაპიტალიზმის სტადიაზე იმყოფებიან.

რაც შეეხება მესამე გზას, ეს მოძრაობის მახინჯი გზაა ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ, რადგან ეს არ არის ადმინისტრაციული სოციალიზმის მოძრაობის გზა წინ – უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

მესამე გზა – ეს აგრეთვე არ არის კლასიკური კაპიტალიზმის მოძრაობის გზა წინ სოციოკაპიტალიზმისაკენ და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

სხვა ნორმალური გზა კი ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ არ არსებობს.

ამიტომ, მესამე გზა – ეს არის მახინჯი, სიღრმისეულად მცდარი გზა ადმინისტრაციული სოციალიზმის კონტრრევოლუციური მოძრაობისა უკან – ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, რომელსაც თან სდევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების კლასიკური კაპიტალიზმისათვისაც კი გაუგონარი შელახვა, რომელსაც თან სდევს ხალხის ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური გენოციდი და მისი დამონება.

მაგრამ ეს არის გზა, რომელსაც მისი მომხრეები რატომღაც უწოდებენ „მოძრაობას წინ“ (?!).

თუმცა ზოგიერთისთვის, კერძოდ კი მათთვის, ვინც ისარგებლა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფეროს ნგრევის პროცესებით და გამდიდრდა ხალხის ძარცვის ხარჯზე – ეს ნამდვილად არის მოძრაობა წინ (?!). ასეთი პირობები მათთვის სავსებით ხელსაყრელია, რადგან, როგორც ცნობილია: „მღვრიე წყალში თევზს კარგად იჭერენ“.

ამასთან, მესამე გზა – ეს არ არის უბრალოდ გზა ადმინისტრაციული სოციალიზმის მოძრაობისა უკან, მხოლოდ ადრე ცნობილი ჩვეულებრივი ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, არამედ ეს არის მოძრაობა უკან ისეთი კაპიტალიზმისაკენ, რომელშიც გაჩნდა აგრეთვე ხალხის დამონების სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც დაიბადა აღნიშნული კაპიტალიზმის პირობებში ფსევდოსოციალიზმის ნიადაგზე.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მესამე გზა იწყება ადმინისტრაციული სოციალიზმის დაბრუნებით უკან – ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, რაც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად, – ეს, საბოლოო ჯამში, მაინც არის გზა (მაგრამ გრძელი შემოვლითი გზა), რომელსაც ლოგიკური აუცილებლობით უნდა მოჰყვეს ახალი რევოლუციური გარდაქმნები, რაც, თავის მხრივ, წაგვიყვანს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ.

მაშასადამე, მესამე გზა – ეს არის ხელოვნურად გაგრძელებული და ხალხისათვის უმძიმესი გზა ადმინისტრაციული სოციალიზმიდან ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემისაკენ – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, რადგან მესამე გზა იწყება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოძრაობით უკან, რომელსაც ხალხისათვის დიდი მატერიალური და მორალური დანაკარგები სდევს თან. მხოლოდ ამ სტადიიდან, ხალხის მრავალი წლის უმძიმესი ცხოვრების შემდეგ, დაიწყება ჯერ კიდევ იმ კაპიტალიზმის მშენებლობა, რომლიდან გაქცევითაც უშველა თავს თანამედროვე განვითარებულმა კაპიტალიზმმა.

კაპიტალიზმის განვითარების გარკვეული დონიდან კი დაიწყება სოციოკაპიტალიზმის მშენებლობა, რომელიც შორეულ მომავალში გადაიზრდება ჭეშმარიტად ადმიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლებაში სათანადო დონის ლიდერის, სათანადო ინტელექტუალური ბაზის, შემოქმედებითი აზროვნების და სათანადო ორგანიზატორული უნარის მქონე პატიოსანი ადამიანების არსებობის პირობებში, რომლებიც თავისი ქვეყნის პატრიოტები და ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლნი იქნებოდნენ, მესამე გზა ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ უკვე ზედმეტი იქნებოდა.

ანზორ კურატაშვილი

საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაცია და სამართლებრივი ფაქტორი

საბაზრო ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია, ჩვენი აზრით, გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიან გამოყენებას ეკონომიკური სისტემის პროგრესული განვითარების საქმეში, რადგან სათანადო იურიდიული ბაზის შექმნის და ეფექტიანი გამოყენების გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი მიზნის – ეკონომიკის ეფექტიანი

ფუნქციონირების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია.

ამრიგად, სამართლებრივი ფაქტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ, ჯერ ერთი, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, ფაქტობრივად, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფუნქციონირების თვისებრივად ახალი საბაზრო მექანიზმები იქმნება, რასაც წინ უნდა უსწრებდეს სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნა; და, მეორეც, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენების მეშვეობით, რის გარეშეც თავისთავად საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია განუხორციელებადია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით საბაზრო ურთიერთობების მიზანდასახული გამოყენება ამ ურთიერთობების სოციალური ორიენტაციისა და საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქ ის ფაქტი იმსახურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების ფორმირების მამოძრავებელი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, რაც საბაზრო ეკონომიკის მკვეთრად გამოხატულ ეკონომიკურ ორიენტაციაზე მიუთითებს.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მომგებიანი ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას, რომ მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საშუალებით არის შესაძლებელი ამ წინააღმდეგობის და, საერთოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების დაძლევა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

მაშასადამე, აქ მსჯელობაა არა იმაზე, რომ მხოლოდ მომგებიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, საბოლოო ჯამში, მისი სოციალური ორიენტაცია, რაც გულისხმობს, ამ შემთხვევაში, სოციალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას, არამედ მსჯელობაა იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის შინაგანი ეკონომიკური მიმართულება, მისი შინაგანი ეკონომიკური მიზანი არ შეიძლება წინააღმდეგობაში არ იყოს მის სოციალურ ორიენტაციასთან.

ცხადია, მომგებიანი ეკონომიკის გამოყენება შეიძლება სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ ეკონომიკის შინაგანი მიმართულება ეკონომიკური მიზნის რეალიზაციაზე და, შესაბამისად, მოგების გამოცხადება ეკონომიკის მამოძრავებელ მიზნად, აშკარად ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის რეალურ სოციალურ ორიენტაციას, რადგან საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური შედეგები ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და არა თვითმიზანს.

ამრიგად, რეალურად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას სწორედ ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია უნდა წარმოადგენდეს, რაც სულაც არ ამცირებს საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური შედეგების მნიშვნელობას, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის რეალიზაციაზე უნდა იყოს გამიზნული.

სამართლებრივი ფაქტორის – როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალების მნიშვნელობას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევის საქმეში.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევა – წინააღმდეგობისა აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის – შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საშუალებით.

ამასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა წინააღმდეგობების დაძლევა, ანუ იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც გამომდინარეობს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობიდან, შესაძლებელია აგრეთვე სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენებით, რადგან სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების აუცილებელი პირობაა მათი თავისუფალი ფუნქციონირება, მაგრამ, მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობების თავისუფალი ფუნქციონირება, ფაქტობრივად,

თითქმის გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას და ამით წინააღმდეგობაში მოდის მის რეალურ სოციალურ ორიენტაციასთან.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ამ ეკონომიკური სისტემის თავისუფალ ფუნქციონირებასთან ერთად, მოითხოვს საბაზრო ურთიერთობების შესაბამის რეგულირებას, თუმცა გონივრული ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედების შეზღუდვის გარეშე.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და მისი სოციალური ორიენტაცია წარმოუდგენელია სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე, კიდევ ერთხელ აშკარა ხდება სამართლებრივი ფაქტორის, როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის, წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალების მნიშვნელობა.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ერთდროულად მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შეხამება შესაბამისი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების, აგრეთვე, სათანადო ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, რომელთა შორის სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის თავისუფალ ფუნქციონირებასა და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

რაც შეეხება ინსტიტუციონალიზმის როლს და მნიშვნელობას სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გამოყენება შეუძლებელია ინსტიტუციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ადასტურებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო სისტემის წინააღმდეგობათა დაძლევაში ინსტიტუციური მიდგომის გათვალისწინების აუცილებლობას.

და მისი აქტუალობა თანამედროვე პირობებში

საბაზრო ეკონომიკისა და მისი სოციალური ორიენტაციის პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი და ამ ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების გზების ძიება.

ეკონომიკა, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად ყველგან საბაზრო ეკონომიკას წარმოადგენს, რადგან რეალურად ეკონომიკა არ არსებობს საქონელწარმოების გარეშე, ხოლო საქონლური წარმოება წარმოუდგენელია ბაზრის გარეშე.

ამასთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“ იგულისხმება, ერთი მხრივ, ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება და, მეორე მხრივ, ეკონომიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრული თავისუფლების არსებობა, საკუთრების ფორმათა პლურალიზმი, სამეწარმეო საქმიანობის სახეობათა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება, რომლებსაც განვითარების თანაბარი შესაძლებლობები გააჩნია.

საბაზრო ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკა, რომლის მართვა ძირითადად ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ძალთა გავლენით ხდება, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შეზღუდვის პირობებში.

მაშასადამე, ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს, ერთი მხრივ, მაქსიმალურად შესაძლო მოგებაზე გამიზნული ეკონომიკა, მისი საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით, ხოლო, მეორე მხრივ, – ეკონომიკა, რომელშიც მთავარი როლი საბაზრო მექანიზმებს ენიჭება.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა – ეს არის მოგების მიღების მაქსიმიზაციაზე გამიზნული ეკონომიკა მასში საბაზრო მექანიზმების გადამწყვეტი მარეგულირებელი როლით.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკაში ფაქტობრივად იგულისხმება ბაზრის – საბაზრო ურთიერთობების – კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი საყოველთაო ხასიათი. ე. ი. ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“, თანამედროვე გაგებით, ფაქტობრივად იგულისხმება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსი, მაშინ, როდესაც ბაზარი

– საბაზრო ურთიერთობები და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ კაპიტალიზმისთვის არ არის დამახასიათებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკას, იმ გაგებით, რაც ამ ტერმინში თანამედროვე გაგებით რეალურად იგულისხმება, ჩვენი აზრით, უნდა ეწოდებოდეს უპირატესად ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა.

ამასთან ერთად ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განსხვავდება როგორც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისაგან, ისე თავისუფალი ბაზრისაგან – თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან – კიდევ იმით რომ, თუ საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით, რაც საბაზრო ეკონომიკის არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომლის არსი განისაზღვრება მისი, როგორც საბაზრო ეკონომიკის, მოგებისადმი სწრაფვის პარალელურად სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტაციით; უფრო ზუსტად კი – სოციალური ორიენტაციით, რადგან რეალურად ეკონომიკურად ეფექტიანი ეკონომიკის და, ამავე დროს, სოციალური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის პირობებში სოციალური პრობლემების არსებობის ალბათობა ძალიან დაბალია.

მაშასადამე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი ისეთი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაშია, რომლისათვისაც ერთდროულად დამახასიათებელია მოგების მიღებისადმი სწრაფვა და სოციალური ორიენტაცია.

კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის მიზანია მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, ის აგრეთვე მოგების მისაღებად არის მიმართული, მაგრამ, განსხვავებით სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან, საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი, თავისი არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმად მოგებისადმი სწრაფვასთან ერთად, სოციალურ ორიენტაციას და მის პრაქტიკულ რეალიზაციას შეიცავს.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ზემოაღნიშნული განსაზღვრა, ანუ მისი არსის განსაზღვრის ჩვენეული

კრიტერიუმი მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა ასეთი განსაზღვრა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს, თუმცა, ცხადია, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია თავისთავად ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტაციას გულისხმობს, რასაც ლუდვიგ ერხარდის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი წიგნის სახელწოდებაც – „კეთილდღეობა ყველასათვის“ – ადასტურებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრა, რომელიც დააფიქსირებდა ამ ტიპის ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს, სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტობრივად თითქმის არ გვხვდება, რადგან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში იგულისხმება ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც სოციალური ორიენტაცია აქვს. თუმცა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, მისი სოციალური ორიენტაციიდან გამომდინარე, თვისებრივად განსხვავებული არსი და აქედან გამომდინარე სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.

კერძოდ, თუ საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებზე: საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებასა და მათ თანასწორუფლებიანობაზე, ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრულ თავისუფლებაზე, ბაზრის მარეგულირებელ როლზე და ა. შ., სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანზე – მოგებაზე, და, ამავე დროს, მის სოციალურ ორიენტაციაზე – ხალხის კეთილდღეობაზე.

ნაზირა კაკულია

ნეკროეკონომიკურ პრობლემათა დაძლევის შესაძლებლობანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში

მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი – სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის და რეგულირების პრობლემა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა პოსტკომუნისტური ქვეყნე-

ბისათვის, სადაც ტრანსფორმაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და სადაც არ არსებობს წინა წლებში დაგროვილი ეროვნული შემოსავლისა და უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობანი. ეკონომიკური ზრდა, როგორც ის მრავალ სამეცნიერო გამოკვლევაშია განხილული, არ არის მხოლოდ შედეგი ან ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონის მაჩვენებელი. პოსტკომუნისტურ გარემოში ეკონომიკური ზრდა ბევრად უფრო რთული მოვლენაა და მას განსხვავებული ანალიზი სჭირდება.

საბაზრო სისტემაში ზრდა წარმოადგენს ყველა ეკონომიკური ინსტიტუტების მოქმედების შედეგს, ანუ იმ ორგანიზაციების, დაწესებულებების მოქმედებების პრინციპებს მოიცავს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დაცვასა და ფუნქციონირებას. რამდენადაც ინსტიტუტები უზრუნველყოფენ არსებულ მდგომარეობას ეკონომიკურ სისტემაში და შეაქვთ მასში ცვლილება, ამიტომ ისინი შეიძლება განიხილოს, როგორც „მექანიზმები“.

ვინაიდან ჯერჯერობით არ არის სრულყოფილი და ბოლომდე განვითარებული საბაზრო ინსტიტუციები, შეუძლებელია მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. აქედან შეიძლება თავისუფლად დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის გადასვლა მყარ ეკონომიკურ ზრდაზე საკმაოდ რთულია ინსტიტუციური რეფორმების მნიშვნელოვანი გაღრმავების გარეშე, ხოლო ეკონომიკური ზრდის მიღწევა უკვე თავისთავად ნიშნავს ნეკროსაწარმოების ტრანსფორმაციის პერიოდის დამთავრებას და ნორმალური კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფას.

სავსებით ნათელია, რომ სახელმწიფო ვერ განსაზღვრავს ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტების ქცევის წესებსა და მათი ფუნქციონირების პირობებს. ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში სახელმწიფომ იზრუნოს თავისი სახელისუფლებო ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ქცევის წესების შემუშავებითა და შესრულებით, ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფით. იმავდროულად, კორუფციასთან აქტიური ბრძოლით და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევით, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში კონკრეტული ატმოსფეროს ჩამოყალიბება, რომელიც ბუნებრივად გადაჭრის ნეკროსაწარმოების პრობლემას ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში.

ჩვენი რეფორმისათვის დამახასიათებელი, დროში გაწელილი ინტერვალები უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, დროითი ფაქტორის გათვალისწინება, რეფორმების ტემპი და სიჩქარე აუცილებელი ინსტუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, რაც, უპირველესად, ნეკროსაწარმოების გამოაშკარავებითა და მათი შემდგომი რესტრუქტურიზაციით იქნება შესაძლებელი. ამ ეტაპზე ნეკროსაწარმოების არსებობა, მათი აღმოფხვრისათვის არახელსაყრელი პირობები აფერხებს მათ გამოაშკარავებას და ხელს უშლის ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას. კონკურენტული გარემო თავისთავად შთანთქავს ნეკროსაწარმოებს, მაგრამ იმისათვის, რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო, სახელმწიფოს კეთილი ნება მიმართული უნდა იყოს მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გვერდით ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი ინსტიტუტების შექმნასა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფისაკენ.

მდგრადი ეკონომიკური ზრდის აღდგენა დღეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტია, რომლის მიღწევის გარეშეც შეუძლებელია მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ნორმალური უზრუნველყოფა, ინვესტიციების ზრდა ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში, სიღარიბის პრობლემის დაძლევა. ამ ამოცანის შესასრულებლად რეფორმების ფოკუსირება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანი საბაზრო მექანიზმის შექმნაზე. თანამედროვე ეტაპზე ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის სტრატეგიის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ყველაზე ეფექტიან კომბინაციას, რაც წაახალისებს ინვესტიციების მოზიდვას წარმოების სფეროში და საბოლოოდ აღმოფხვრის ორიენტაციას რენტაზე. საუბარია ინსტიტუტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრების უფლებებს, დაარეგულირებენ ურთიერთობებს მეწარმეთა შორის და შექმნიან ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ცივილიზებულ ფორმებს.

ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო საკუთრების ინსტიტუტი გადამწყვეტ როლს თამაშობს, მისი მექანიზმების ამოქმედება, ძირითადად, მაინც ხდება ეფექტიანი და დაცული საკონტრაქტო ურთიერთობების, კაპიტალის ლიკვიდური ბაზრების,

ნორმალური კონკურენციის დამცავი ინსტიტუტების შექმნის საფუძველზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო გარკვეული პირობების შექმნა ახალი, კერძო საწარმოების ჩამოსაყალიბებლად. სახელმწიფოს მხრიდან პასიურობამ ტრანსფორმაციის პერიოდში გამოიწვია კერძო საკუთრებისა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის, საკანონმდებლო და სამართლებრივი უფლებებით უზრუნველყოფის არარსებობა. პრივატიზაციის პროცესი კი მაშინ არის წარმატებული, თუ არსებობენ შესაბამისი ინსტიტუტები, რომლებიც დაარეგულირებენ კონტრაქტების შესრულების დაცვას და გარანტად დაუდგებიან კერძო საკუთრებას. ასეთი ინსტიტუტების შექმნა და გაკონტროლება მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში მოთხოვნილება ძლიერ სახელმწიფოზე გამომდინარეობს საზოგადოებაში საჭირო ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობიდან, რომელთა ჩატარება შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. პრივატიზაციის პროცესის წარმატებით უზრუნველყოფა შესაბამისი ინსტიტუტების შექმნის საფუძველზე საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის განხორციელების ერთადერთი საშუალებაა. რესტრუქტურიზაციის გარეშე კი შეუძლებელია თანამედროვე, მოგებაზე ორიენტირებული საბაზრო ტიპის საწარმოთა ჩამოყალიბება. რესტრუქტურიზაციის პროცესის არასწორი ჩატარება კი, ჩვენი აზრით, ნეკროსაწარმოების არსებობის საფუძველი, მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ბუნებრივი საშუალებაა.

ჩვენი აზრით, საქართველოში რესტრუქტურიზაციის პროცესის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია, აქცენტი გაკეთდეს მძლავრ ინსტიტუციურ განვითარებაზე და ამ მიმართულებით უნდა შეიქმნას და ხელი შეეწყოს იმ ორგანიზაციების საქმიანობას და იმ სისტემების ჩამოყალიბებას, რომლებიც, თავის მხრივ, სრულყოფილ და თანამედროვე ბიზნესგარემოს შექმნიან საბაზრო სისტემაში ფუნქციონირებადი საწარმოებისათვის.

მურმან კვარაცხელია

მსოფლიო თანამეგობრობაში ყველა ქვეყანას თავისი განმასხვავებელი ნიშნები და თავისებურებები გააჩნია. ამ თავისებურებათა გათვალისწინება აუცილებელი ფაქტორია თანამედროვე სრულყოფილი განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების რთულ პროცესში.

ეკონომიკურად და სოციალურად მაღალგანვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, ისეთი ნიშან-თვისებები გააჩნია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა სწორი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისათვის, ვინაიდან ამ თავისებურებებს შეუძლია გარკვეული სახის კონკრეტული ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე.

ამ პრობლემას დიდი ილია ჭავჭავაძე ერის ინტელექტუალური ძალების კარდინალურ პრობლემად აღიქვამდა. მის შემოქმედებას ყოველთვის წითელ ხაზად გასდევდა მისი ბრძნული თეზა – "წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა!". ამ მარადიული სიბრძნის გამოძახილია სწორედ "... დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა... ეს სამი სხვადასხვა ხანი, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა, ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებითი კანონი"... (ი.ჭ. თხზ., თბ., 1989, გვ. 608-609).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ეპოქაში ილიას შეხედულებები ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის შესახებ. დიდი ილია გვასწავლის, რომ "თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, – მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არ შეაყენოს"(ი.ჭ. თხზ., ტ. 3, გვ. 66-67).

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართული ცხოვრების წესმა, მათ შორის სამეურნეო განვითარებამ და ქვეყნის საერთო გეოპოლიტიკურმა ვითარებამ საუკუნეების მანძილზე თვითონ "აღმოშობა" ისეთი წესი და კანონები, რომელთაც ჩვენგან გაგება და ახალ ისტორიულ პირობებში გამოყენება უნდა.

ასე თუ მივუდგებით დღევანდელ ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ჩვენი ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის არსებობს სერიოზული რეზერვები და შესაძლებლობები. აქედან, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოიყოს სამი გლობალური პრობლემა:

1. საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები;
2. ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება, რაც მსოფლიო კავშირურთიერთობათა გააქტიურებაში გამოიხატება;
3. სწორი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყნის პროგრესის გზით წასაყვანად საკმარისი არაა მარტო მისი მდიდარი მატერიალური რესურსები, მისი ერის ხელმძღვანელთა მოვალეობაა“ კაცთა ურთიერთშორისი განწყობილება” ისე ააწყონ, რომ ქვეყანას კატასტროფა თავიდან ააცილონ. სხვანაირად ქვეყნის სიმდიდრე წყალში გადაიყრება.

ილიასთვის აქსიომა იყო ის, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარება ეროვნული ინტერესების დაცვით უნდა წარმართულიყო. უცხო ეთნოსის ბურჟუაზია ამას, ბუნებრივია, ნაკლებად გააკეთებდა და ვერც მოსთხოვდი. სამწუხაროდ, დღეს უცხო ქვეყნის ეთნოსი აქტიურად ეუფლება ქართულ კაპიტალს ეს სამომავლოდ სად მიგვიყვანს ძნელი წარმოსადგენია. ილიას კარგად ესმოდა ეროვნული კაპიტალისა და ბურჟუაზიის ფორმირების დიდი მნიშვნელობა და მისი წარმომავლობის ფაქტორი ქვეყნის სამომავლო წინსვლის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად მიაჩნდა.

ჯემალ ხარიტონაშვილი

გარდამავალი ეკონომიკა – პლურალისტური საზოგადოება

თანამედროვე პერიოდში ფრიად აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები. ამ პერიოდში სულ უფრო არსებითი ხდება ჩვენი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის გზების ძიების ამოცანა. იგი გარდაუვალს ხდის იმ ეკონომიკური კონცეფციების გამოყენებას, რომლებიც, გარკვეულ პერიოდში, წარმატებით ემსახურებოდნენ ამა თუ იმ საზოგადოებას.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ განსაზღვრული ეკონომიკური იდეები ახალი ძალით და ფორმებით წარმოჩნდება ხოლმე სხვადასხვა სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში დიდ მნიშვნელობას იძენს ძველი და ახალი იდეების სათანადო ცოდნა. იგი საშუალებას იძლევა სხვადასხვა დასაშვები ვარიანტიდან შეირჩეს ესა თუ ის მოდელი, რომლის სათანადო რეალიზაციით მოხდება საკაცობრიო პროგრესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

გარდამავალი პერიოდის სერიოზული სიძნელეების დასაძლევ რეალურ გზად წარმოჩინდება, შერეული ტიპის მრავალწყობიანი ეკონომიკის საფუძველზე პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება და შემდეგ მისი სვლა ცივილიზებული ბაზრისაკენ.

პლურალიზმი [პლურალიზმი – (ლათ. – ლურალის) მრავლობითი] ის თვალსაზრისია, რომლის მიხედვით სახელმწიფო გარდაიქმნება ორგანიზებული ჯგუფების გაერთიანებების (მეწარმეთა კავშირები, პროფკავშირები, საეკლესიო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და სხვ.) კოლექტიური ძალაუფლების გამოხატულებად, საყოველთაო სოციალურ დემოკრატიად.

ჩვენ არ ვეთანხმებით ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკოსისა და ეკონომისტის ქადაგებას "წმინდა კაპიტალიზმის" შესახებ და მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი გარდამავალი პერიოდი გვერდს ვერ აუვლის მრავალწყობიანობას, შერეულ ეკონომიკას. ჩვენი პოზიციის გასაძლიერებლად მოვიშველიებთ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტების პ. სამუელსონის და უ. ნორდჰაუსის მითითებას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერტებული შტატებიც კი შერეული ეკონომიკით ვითარდება. იგი წარმოადგენს შერეულ ეკონომიკას, სადაც კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ახორციელებენ კონტროლს: კერძო სისტემა – უხილავი წარმართველი საბაზრო მექანიზმის საშუალებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტები - ადმინისტრაციული რეგულირებით და საგადასახადო სტიმულებით [სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ. ეკონომიკსი, თბ., 1992, გვ. 19.].

ნობელის პრემიის ლაურეატმა ვ. ლეონტიევმა არასწორად მიიჩნია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა (დსთ) ტერიტორიაზე ამერიკული ტიპის თავისუფალფუნქციონირებადი კაპიტალისტური ეკონომიკის დანერგვა. "ეჭვს გარეშეა - აღნიშნა მან - რომ, რაც არ უნდა მოინდომონ, ამის გაკეთება შეუძლებელია. გარდაქმნის წარმატების შემთხვევაში, მისი

იდეალური შედეგი შორეული პერსპექტივისათვის, შეიძლება მისაღები გახდეს ევროპული ტიპის შერეული ეკონომიკა, რომელშიც საბაზრო მექანიზმი, მართალია, ემყარება კონკურენციას, მაგრამ, ამავე დროს, ანგარიშს უწევს მკაცრ კონტროლს სახელმწიფოსა და საზოგადოების სოციალური მომსახურების ყოველგვარი სისტემის მხრივ, რასაც ხმარდება მთელი ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი" [სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ. ეკონომიკსი, თბ., 1992, გვ. 19.].

იაპონიის დადებითი გამოცდილების მაგალითზე ვ. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ ცენტრალიზებული მკაცრი დაგეგმვის ნაცვლად შეიძლება დავეყრდნოთ ინდიკატორულ, მაორიენტირებელ სამრეწველო დაგეგმვას. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხომალდის სვლას შემუშავებული კურსით ისე, რომ ინდივიდების პირად დაინტერესებას ქარის როლიღა დარჩა შესასრულებელი [ლეონტიევი ვ. ბაზრისაკენ სახელმწიფო კონტროლის გზით. ჟ. "ეკონომისტი", №10, 1990, გვ. 41.].

კომუნისტური რეჟიმის დროს ჩვენში კერძო ინიციატივა უგულებელყოფილი იყო. შემდეგ მას ფართო გასაქანი მიეცა, მაგრამ მან ისეთი გაქანება მიიღო, ლამისაა მთელი საზოგადოება წალეკოს. ამიტომ, ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალს ვხედავთ შერეული ეკონომიკის იმ მოდელში, რომელიც გულისხმობს კერძოსა და საზოგადოებრივის შეთანაწყობას, კონკურენციისა და პროპორციულობის შეხამებას.

მიზნის მისაღწევად შეიძლება საზღვარგარეთული გამოცდილება გამოვიყენოთ.

ეკონომიკურ აზრში არსებობს პლურალისტური საზოგადოების სხვადასხვა მოდელი.

პლურალისტული საზოგადოების კონცეფცია 1965 წელს წამოაყენეს ამერიკელმა ეკონომისტებმა: ე. გინზბერგმა, დ. საისტენდმა და ბ. რუბენსმა. ისინი რეალისტურ მოდელად თვლიან არა შერეული ეკონომიკისათვის ჩვეულ ორსექტოროვან მოდელს – კერძო საწარმოების შერწყმით სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან, არამედ სამსექტოროვან მოდელს რომელიც, სახელმწიფო და კერძო საწარმოების გარდა, კიდევ ისეთი სახის ორგანიზაციებს მოიცავს, როგორებიცაა საავადმყოფოები, უნივერსიტეტები, საქველმოქმედო ფონდები და სხვა ისეთ ინსტიტუტებს, რომლებსაც მოგების მოცემა არ

შეუძლიათ [ჯ.ხარიტონაშვილი, იდეათა სესხების საკითხი პლურა-ლიზმის თეორიაში, ჟ. ”ეკონომისტი”, №3, 1990, გვ. 35-37].

გერმანელი ნეოლიბერალების ლ. ერჰარდის, ე. ფოგელინის, გ. ბრიფსის, ა. მოლერის და სხვათა ფორმირებული საზოგადოების კონცეფციაში განხილულია პლურალისტული საზოგადოების საინტე-რესო მოდელი.

ფორმირებული საზოგადოების თეორეტიკოსების მტკიცებით, გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებამ სამი ფაზა განვლო, ესენია: 1. XIX საუკუნის კლასობრივი საზოგადოება; 2. პლურალისტური საზოგადოება; 3. ფორმირებული საზოგადოება. მათი აზრით, პირველ ფაზაში ჯერ კიდევ არსებობს მოწინააღმდეგე კლასები და კლასობრივი ბრძოლა. მეორე - პლურალისტური საზოგადოების ფაზაში, რომელიც გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადგა, კლასებს შორის ბრძოლა წყდება. კლასობრივი საზოგადოების ადგილზე წარმოიშობა პლურალისტური საზოგადოება, რომელშიც მოწინააღმდეგე კლასების ნაცვლად იქმნება კავშირებში ორგანიზებული განმტკიცებული ჯგუ-ფები, რომლებიც მეწარმეთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისაგან შედგება [Wolf-Dieter Narr, Pluralistische Gesellschaft, Hannover, 1969, s. 19]. ამ ორგანიზაციებს შორის წარმოებს ბრძოლა, მაგრამ იგი მიმდინარეობს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისათვის. განმტკიცებული ჯგუფები ესწრაფვიან ხელში ჩაიგდონ საზოგადოებრივი პროდუქტის რაც შეიძლება მეტი წილი [’’Gesellschaftspolitische Kommentare’’, Bonn, 1965, №13/14, s.158]. ფორმირებული საზოგადოების ეტაპზე კი ქრება წინააღმდეგობა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს შორის, ხოლო პლურალიზმი ადგილს უთმობს ფორმირების პროცესს. ე.ი. ისეთი საზოგადოების შექმნას, რომელშიც საყოველთაო კეთილდღეობას ექვემდებარება ყველა კლასი, ფენა და ჯგუფი.

პლურალისტური საზოგადოების მოდელი ჩამოყალიბდა ჩინეთში. იქ არსებობს საკუთრების მრავალმხრივი ფორმები – საერთო-სახალ-ხოდან კერძომდე და აქედან გამომდინარე მრავალმხრივი ინტერესები. ამასთან, ჩინეთში შეუცვლელ პრინციპად რჩება სახელმწიფო საკუთრების დომინირებული როლი. მასზე მოდის საკუთრების 63 პროცენტი, დანარჩენი კერძო და შერეული ფორმებია. დიდია სხვადა-სხვაგვარი გარდამავალი და შერეული ფორმების როლი. ეკონომიკური რეფორმის შემდეგ გაძლიერდა კერძო და კოლექტიური საკუთრების ფორმები. აგრეთვე აღიარეს საშუალო და მცირე საწარმოთა ეკონო-

მიკური უპირატესობა. ამავე დროს, სახელმწიფო სექტორის წილი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მცირდება, არასახელმწიფო სექტორების წილი კი შესაბამისად იზრდება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრი წინააღმდეგობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის არ არსებობს.

პლურალისტური საზოგადოების საინტერესო მოდელი ფუნქციონირებს ეგვიპტეში. მისი გაცნობის საშუალება მომეცა 1996 წ. კაიროში ჩატარებულ საერთაშორისი სემინარში მონაწილეობის დროს.

ეგვიპტეში მიმდინარე სამეურნეო რეფორმის გაცნობამ დაგვანახა, რომ იქ ფუნქციონირებადი პრივატიზაციის კონცეფცია გულისხმობს სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის გაძლიერებას, მართვის ხარისხის გაუმჯობესებას. ეგვიპტელებს გაცნობიერებული აქვთ აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სექტორიდან კერძოში საკუთრების გადასვლა მიზანი კი არა, არამედ საშუალებაა. ეს ღონისძიება გულისხმობს კონკურენციის პრინციპის დანერგვას, რასაც გამორიცხავდა სახელმწიფო სექტორში შექმნილი ადრინდელი მონოპოლიზმი. ეგვიპტეში მოქმედი კანონი საერთო კომპანიების შესახებ გულისხმობს სხვადასხვა სექტორების გამიჯვნას. ამასთან, იგი ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო კომპანიების ერთ პირობებში ყოფნას. ამ კანონის თანახმად, სახელმწიფო სექტორის საწარმოები ისეთივე მოდელით იმოქმედებენ, როგორც კერძო სექტორში. კანონმა შეზღუდა სახელმწიფოს ჩარევა ამ კომპანიების მუშაობაში. ეგვიპტეში 17 ჰოლდინგკომპანიაა, რომელთაც ექვემდებარება ქალიშვილი კომპანიები. მათი შექმნის მიზანია კონკურენციის პრინციპის დანერგვა, რასაც ადრე სახელმწიფო სექტორში არსებული მონოპოლიზმი გამორიცხავდა.

ეგვიპტეში სახელმწიფო ქონების გაყიდვისას ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი დგას. ესაა საკუთრების ბაზის გაფართოება.

პლურალისტური საზოგადოების განხილული მოდელები საინტერესო უნდა იყოს დღევანდელი საქართველოსთვის. მათი სათანადოდ არჩევა და საქმიანი გამოყენება დადებითად წაადგება ჩვენი ეკონომიკის განვითარებას.

ჩვენმა საზოგადოებამ მარტო ფეხებით კი არა თავითაც უნდა იაროს, რომ გავიგოთ რა ხდება სამყაროში. განვითარების ისეთი მოდელი უნდა დავნერგოთ, რომლითაც წარმატებას მოვიპოვებთ ამ საუკუნეში.

რევაზ ჯავახიშვილი

ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზები

- ჩრდილოვანი ეკონომიკა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელიც მსოფლიოში მეტ-ნაკლები ზომით ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს სამეწარმეო საქმიანობის აღურიცხავ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ერთობლიობას. ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებისა და გამოყენებისათვის საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების ღრმა მეცნიერული ანალიზი, რომელიც სახელმწიფოს ისეთი პოლიტიკის გატარების საშუალებას მისცემს, რაც სათანადო ნიადაგს გამოაცლის ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოცენებას და განვითარებას. ასეთი გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ხასიათის, რომელთაგან აღსანიშნავია:

- **გადასახადებით დაბეგვრის მაღალი დონე.** თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში საგადასახადო დატვირთვის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში ევროპულ ქვეყნებში ხელფასიდან ანარიცხებში იგი უდრიდა 27%-ს, სადღეისოდ ეს მაჩვენებელი 42%-ზე მეტია. საბერძნეთში, იტალიაში, ბელგიასა და შვეციაში ყველაზე მაღალი გადასახადებია ევროპაში (72 – 78%). ამავე ქვეყნებში საკმაოდ მაღალია ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი (საბერძნეთში – 29%, იტალიაში – 27,3%, პორტუგალიასა და ესპანეთში – 23,1%. ძალზე მაღალია ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე აზერბაიჯანში – 59,3%, სომხეთში – 60%, საქართველოში – 63%. რაც შეეხება შედარებით მცირე საგადასახადო დატვირთვის ქვეყნებს – აშშ-სა და შვეიცარიას (41,4% და 39,7%), შესაბამისად, უფრო დაბალი ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლები აქვთ (8,9 და 8,1%) [Ж: „Экспрес”, №7, 2001, с.17.]. მოგების 50%-ზე მეტი საგადასახადო ამოღების შემთხვევაში კი არსებითად ისპობა საწარმოს აქტიური საქმიანობის სტიმულები და მათი მთლიანი რაოდენობის 55% ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში გადადის.

- **ეკონომიკური არასტაბილურობა, მისი კრიზისული მდგომარეობა.** ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში გადასვლა მისი საერთო მდგომარეობის პირდაპირი შედეგია. რაც უფრო ძლიერია ლეგალური

ეკონომიკა, მით უფრო სუსტია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და პირიქით. ოფიციალური ეკონომიკის დაქვეითებისა და სისტემური კრიზისის პირობებში, მისი დიდი ნაწილი „ჩრდილში" გადადის, სადაც ის თავისი უპირატესობების პრაქტიკულ რეალიზაციას ახდენს. მას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა აიძულებს მეწარმეებს, მოძებნონ საქმიანობის მათთვის ხელსაყრელი ნიშები, რომელთაგან ერთ-ერთს ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი წარმოადგენს. ეკონომიკის სისტემური კრიზისი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, წარმოებასთან ერთად, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებსაც – პოლიტიკას, ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობას, განათლებას, მეცნიერებას, ჯანდაცვას, კულტურას, ხელოვნებას, სპორტსა და სხვ., რაც უფრო შეუქცევადს ხდის ჩრდილოვანი ეკონომიკის აღორძინებასა და განვითარებას.

- **სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში დაშვებული შეცდომები.** სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი პერსონიფიცირება უნდა განიხილოს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ცენტრალური რგოლი. როგორც მთლიანად პოსტსაბჭოურ სივრცეში, ისე საქართველოში, პრივატიზება დიდი ხარვეზებით ჩატარდა. კერძოდ, არ არსებობდა ამისათვის სათანადო საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, რის გამოც იგი განხორციელდა არა კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, არამედ, უფრო მეტად სახელმწიფო ჩინოვნიკების ნება-სურვილზე დაყრდნობით. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევებით დასტურდება, რომ მოსახლეობის 10%-ზე გადანაწილებით მოხდა მთელი სახელმწიფო ქონების 50%, ფარული პრივატიზების 90%, ხოლო კერძო და აქციონერულ საკუთრებაში გადასული ძირითადი ფონდების ღირებულების 75 – 80%. ამან სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საფუძველის – კერძო საკუთრების სამართლიანი ფორმირების პროცესს.
- **საკუთრების უფლების დაუცველობა.** მეწარმეებში იგი „მედროვეობის" ფსიქოლოგიას იწვევს. ასეთი სამეურნეო ქცევა ეფუძნება შემდეგ გარემოებას: თუ საკუთრების უფლება, ადრე თუ გვიან, შეიძლება დაირღვეს და არსებული კანონმდებლობა და სამართალგამოყენებითი პრაქტიკა არ იძლევა მისი დაცვის გარანტიას, მაშინ მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული არსებული შესაძლებლობები. სხვანაირად, თუ შესაძლებელია გადასახადების თავის არიდება და

მოგების მაქსიმიზაცია, ასეთი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა იქნეს გაშვებული.

- **ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის მასშტაბების ზრდა და ეკონომიკის რეგლამენტაციის ამაღლება.** ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის დიდი მასშტაბები განაპირობებს საბიუჯეტო რესურსების, შედავათიანი კრედიტებისა და სხვ. სახსრების სახელმწიფო საწარმოთა სასარგებლოდ გადანაწილებას. ასეთი ვითარება ხელს უწყობს რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებული კრიმინალური ურთიერთობების წარმოშობას. საბოლოო ჯამში, ამ მიმართულებით სახელმწიფოს საქმიანობის გააქტიურება იქცევა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად. ეკონომიკის რეგლამენტაციის ამაღლება ძირითადად სახელმწიფოს ისეთი სახის ქმედებაში გამოვლინდება, როგორიცაა: სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების მიმოქცევის აკრძალვა; ფასწარმოქმნის პროცესში ადმინისტრაციული ჩარევა; ბიუროკრატიის შეუზღუდავი ძალაუფლება და სუსტი კონტროლი. ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სხვადასხვა სახის არალეგალური ბაზრების (შრომის, სასაქონლო, საფინანსო, სავალუტო) წარმოქმნით, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საკანონმდებლო შეზღუდვების გვერდის ავლა.

- **არახელსაყრელი სოციალური ფონი.** მზარდი უმუშევრობა, შრომის ანაზღაურებისა და საპენსიო უზრუნველყოფის დაბალი დონე საუკეთესო პირობებს ქმნის ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისათვის. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 2008 წლის დასაწყისში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის დონე შეადგენდა 18,9%-ს [საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, თებერვალი, 2008, გვ. 40.]. ფაქტობრივად, ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, უფრო მეტია და იგი სულ უფრო იზრდება სახელმწიფო-საბიუჯეტო სტრუქტურებში მუშაკთა დიდი შემცირების შედეგად. საქართველოში ხელფასის წილი მშპ-ში 3–4-ჯერ ნაკლებია ცივილიზებულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ანაზღაურების ქვედა ზღვარად ითვლება თვეში 300 – 400 აშშ დოლარი, საქართველოში კი ის არ აღემატება 160 დოლარს.

- **პოლიტიკური არასტაბილურობა**. საკუთრების უფლების დაუცველობის ფაქტორთან ერთად, იგი მნიშვნელოვნად ასტიმულირებს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას. პოლიტიკური არასტაბილუ-

რობის პირობებში ასეთი ეკონომიკა ძალზე დინამიურად ვითარდება და, შესაბამისად, ოფიციალური კი მუხრუჭდება. სწორედ ასეთ ვითარებაში მწვავდება ბრძოლა პოლიტიკურ ელიტაში თანამშრომლობის, ძალაუფლების მოპოვებისა და ჩრდილოვანი შემოსავლების გადანაწილებისათვის. ყოველივე ამას თან ახლავს ხელისუფლების ზედა ეშელონებში დაპირისპირება და ინტრიგები, კორუმპირებული ფენების აღზევება და ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი ინტერესების დაცვა. დაუსჯელობის სინდრომის ზრდა კი იწვევს დისციპლინისა და წესრიგის მოშლას, მოსახლეობის მხრივ ხელისუფლების ორგანოებისადმი უნდობლობის გაძლიერებას, რასაც შედეგად მოსდევს ნიჰილიზმი და ხვალინდელი დღისადმი რწმენის დაკარგვა.

Давлашеридзе Ната

ОБЕСПЕЧЕНИЕ ЗАНЯТОСТИ НАСЕЛЕНИЯ ЧЕРЕЗ СОЗДАНИЕ СВОБОДНЫХ ЭКОНОМИЧЕСКИХ ЗОН (МИРОВОЙ ОПЫТ)

1. Свободные экономические зоны образованы и успешно действуют во многих странах мира. Они функционируют как в промышленно развитых странах, таких, как США, Япония, Германия, Англия, Канада и других, так и в развивающихся странах. Многолетняя позитивная мировая практика зарубежных стран по созданию и функционированию свободных экономических зон свидетельствует об эффективности применения подобного метода оздоровления экономики и проведения в жизнь новых экономических идей на изолированных участках территории принимающих их стран.

2. Цели создания свободных экономических зон варьируются в широких пределах в зависимости от экономических, социальных, иногда политических условий той или иной страны. Одной из главных целей создания СЭЗ является повышение уровня занятости населения и качественного состояния рабочей силы как непосредственно в экономической зоне, так и за ее пределами. В развитых капиталистических странах свободные экономические зоны создаются, как правило, в застойных районах, страдающих безработицей, с недоразвитой инфраструктурой. Придавая таким районам статус зон, правительства этих стран не делают акцента на привлечении иностранных инвестиций, а стараются создать условия, максимально стимулирующие развитие имеющихся производств, интегрированных во внутренний рынок, а также обеспечения дополнительных рабочих мест.

3. В развивающихся странах, имеющих невысокий уровень экономического развития при создании свободных экономических зон в первую очередь ставятся задачи привлечения иностранного капитала, передовой технологии и управленческого опыта, улучшения его структуры с целью увеличения занятости и подготовки квалифицированных кадров (квалифицированных рабочих, инженеров, хозяйственных и управленческих кадров), обеспечения так называемого «эффекта обучения» для национальных кадров.

4. С 70-е годов наблюдался наибольший расцвет СЭЗ. Темпы занятости в этих зонах превышали ежегодно 20%.В 90-х годов по разным оценкам в мире насчитывалось уже свыше тысячи таких свободных экономических зон и через них проходило 1/10 мирового торгового оборота и занято было более 3 миллионов человек. Сейчас в мире существует порядка 25 разновидностей и функционирует около 2000 свободных экономических зон, в том числе более 400 зон свободной торговли, столько же научно-промышленных парков, более 300 экспортно-производственных зон, 100 зон специального назначения (эколого-экономических, оффшорных, туристических и т.д.). Есть зоны, ориентированные на внешний рынок, есть - на внутренний.

Число СЭЗ в экономически развитых странах Запада, по-видимому, уже превышает 250. Примерно 90 из них находятся в Западной Европе. В большинстве своем это свободные торговые (беспошлинные) зоны в морских портах для осуществления погрузочно-разгрузочных операций с транзитными грузами. Примером такого рода могут служить шесть «свободных портов» ФРГ – Гамбург, Киль, Эмден, Кукcхафен, Бремерхафен и Бремен. «Вольная гавань» в Гамбурге специализируется также на судостроении, судоремонте, нефтепереработке; в ней занято 60 тысяч человек. Для Великобритании более характерны предпринимательские зоны, для Швейцарии – страховые и банковские. В некоторых странах региона возникли также научно-внедренческие зоны и экспортно-промышленные (ирландское изобретение, связанное с аэропортом Шеннон). В таких зонах функционирует около трети мировых банковских депозитов развитых стран.

В странах Восточной Европы свободные экономические зоны стали возникать в конце 70-х – начале 80-х годов. К концу 80-х годов их было уже более 40, в основном в Югославии и Венгрии, но также в Польше, Болгарии. Как и в Западной Европе, это были преимущественно зоны свободной торговли, расположенные в морских и речных портах (Риека, Силит, Белград, Будапешт, Русе, Щецин).

В США общее число СЭЗ превышает 200. В ближайшее время в США планируется создать до 1000 СЭЗ. Объем инвестиций должен при этом составить более 3 млрд. долл., а число дополнительных рабочих мест - 100 тысяч. Такие же зоны характерны и для Японии. наибольшее число СЭЗ существует в Северной Америке - 320 и Азии - 225. Однако все большее их число возникает в развивающихся регионах. В развивающихся странах первые свободные экономические зоны возникли в середине 60-х годов; примером такого рода может быть СЭЗ «Кондла» в Индии. Хотя существующие оценки числа таких зон в развивающихся странах очень противоречивы (от 100 до 300), в любом случае они свидетельствуют об их весьма широком распространении. В этих зонах занято около 1,5 млн. человек.

5. Общепринято, что эффективность зон оценивается по таким критериям, как занятость, инвестиции и экспорт. При этом, появление 5 рабочих мест в СЭЗ косвенно приводит к возникновению еще 8 мест вне зон, среднегодовой темп роста занятости составляет 20-30%. В результате эффекта мультипликатора доход, полученный служащими и потраченный на продовольствие, одежду, жилье и т. д., увеличивает занятость и доходы в соответствующих отраслях, которые удовлетворяют потребности тех, кто работает в зонах.

В связи с тем, что развитие регионов через предпринимательство и занятость является основной целью всех программ по функционированию зон для каждого уровня отдельно разрабатываются государственные, штатные и местные льготы. К примеру, в США на федеральном уровне налоговые скидки бизнес-предприятиям на каждое дополнительно созданное рабочее место составляют сумму в размере около 2000 долларов США. Около 70% всех налоговых льгот в предпринимательских зонах предоставляется с целью создания новых возможностей для увеличения занятости населения. Решения социально-экономических проблем, в частности проблемы занятости, удалось добиться в эстонских свободных зонах в Силламяэ (преодолена 12%-ная безработица) и в Нарве, а также в СЭЭЗ «Сиваш» (Украина).

6. Хотя СЭЗ являются несомненно мощными "генераторами занятости", особенно для женщин в развивающихся странах, их репутация страдает от обвинений в низком уровне заработной платы, плохих условий труда и неразвитости трудовых отношений. Для большинства таких зон характерна занятость - как мужчин, так и женщин - на низкооплачиваемых рабочих местах, не требующих квалификации. На них смотрят как на рабочую силу, которую легко заменить: их желания в плане трудовых и социальных отношений учитываются недостаточно. Часто они не хотят или не могут вкладывать

средства в профессиональную подготовку или в новые технологии и меры по повышению производительности. Очень немногие правительства смогли проводить политику, ведущую к переливанию технологии и профессиональных навыков из СЭЗ в национальную промышленность, в результате чего базовый человеческий капитал остается там неразвитым. Слабая нацеленность на развитие необходимых человеческих ресурсов ограничивает потенциал СЭЗ по повышению производительности и качества рабочих мест. Трудовые отношения и развитие человеческих ресурсов остаются двумя самыми проблемными областями деятельности этих зон.

Чтобы СЭЗ полностью использовали свой экономический и социальный потенциал, правительства должны разработать ясную комплексную стратегию в области промышленного развития и инвестиций, которая бы содействовала экономическому росту и соблюдению основных прав трудящихся.

7. При создании СЭЗ целесообразна ориентация вновь создаваемых зон на решение не только внешнеэкономических, но и общехозяйственных задач, особенно учитывая состояние грузинской экономики, характеризующееся спадом производства и ростом безработицы. В этих условиях заслуживает внимания мировой опыт образования зон развития отсталых районов и технологических парков. Зоны развития отсталых районов благодаря предоставлению предпринимателям большей свободы деятельности и определенных экономических льгот могли бы способствовать развитию малого и среднего бизнеса в депрессивных районах, а также уменьшению размеров безработицы.

მაკროეკონომიკის სექცია

ნანული არევაძე

შრომის ბაზარი და დასაქმების დონე საქართველოში

შრომის ბაზრის განვითარებულობა ისეთი მახასიათებლებით გამოიხატება, როგორიცაა: შრომის ანაზღაურების დონე კვალიფიკაციისა და განათლების შესაბამისად და ანაზღაურებაში დარგთაშორისი განსხვავებულობის სიდიდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღალი კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების მქონე სამუშაო ძალის შემოსავალი საარსებო მინიმუმს მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს და ასევე მცირე უნდა იყოს ანაზღაურების დარგთაშორისი განსხვავებულობის სიდიდე. ამ მხრივ საქართველოში არსებული შრომის ბაზარი განვითარების მეტად დაბალი დონით ხასიათდება, რამდენადაც მისთვის თანამდევი არ არის არც შრომის მაღალი ანაზღაურება კვალიფიკაციისა და განათლების შესაბამისად და არც მცირე განსხვავება ხელფასებში დარგების მიხედვით. მაშინ, როცა ხელფასი წარმოადგენს არა უბრალოდ ფასის ნაირსახეობას, არამედ მუშაკისა და მისი ოჯახის კეთილდღეობის განმსაზღვრელს, საზოგადოებაში სოციალური კლიმატისა და სოციალური დაძაბულობის ხარისხის შემქმნელსა და ჩამომყალიბებელს.

2000 - 2007 წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიმჩნევა უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენცია, ძირითადად, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში და დასაქმებულთა ზრდა თვითდასაქმების მიმართულებით.

დასაქმების დონე სოფლად ბევრად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალაქად, უმუშევრობის დონე კი ქალაქში 4-ჯერ და უფრო მეტად აღემატება ამ მაჩვენებელს სოფლად, რასაც განაპირობებს იქ თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილი.

პენსიონერთა დაახლოებით მეხუთედი იძულებულია ისევ იმუშაოს, ძირითადად, თვითდასაქმების მიმართულებით, საკუთარი თავიც და ოჯახის სხვა უმუშევარი ახალგაზრდა წევრებიც რომ შეინახოს. აღსანიშნავია ისიც, რომ 65 წლის და მეტი ასაკის მომუშავეთა ნაწილში უპირატესია ქალთა ხვედრითი წილი – 53,7%, მ.შ. დაქირავებით მომუშავეთა შორის – 54,1% და თვითდასაქმებულთა შორის – 53,4%.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა და ახლად მიღებულმა ზოგიერთმა კანონმა თუ ნორმატიულმა აქტმა განაპირობა როგორც შრომითი რესურსების გადანაწილების აუცილებლობა სხვადასხვა დარგში, ისე სამუშაო ადგილების შემცირება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი მარტო ერთ ადგილზე არ მუშაობს, გამო-

დის, რომ უმუშევართა რეალური ციფრი, შესაძლებელია, აღრიცხულ 261.0 ათას კაცზე ბევრად მეტი იყოს. როგორც ჩანს, უმუშევართა აღრიცხვის მეთოდები გადახედვას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, დასაქმებულად შეიძლება მხოლოდ ის პირი ჩაითვალოს, რომელიც დახარჯული შრომის საფასურად თვეში სულ ცოტა, საარსებო მინიმუმის ტოლ შემოსავალს იღებს. აქვე უნდა ითქვას იმაზეც, რომ საარსებო მინიმუმის გამოთვლა რეალური ფასების შესაბამისად, შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

დასაქმებულთა აღრიცხვის სიზუსტისათვის შეიძლება მიზანშეწონილი იყოს დასაქმების დარგების კონკრეტიზაცია, განსაკუთრებით მრეწველობაში.

ამჟამად შრომის ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე ზემოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ერთობლიობა, რის შედეგადაც უმუშევრობა სულ უფრო სტრუქტურულ და ციკლურ ხასიათს იღებს და შესამჩნევი ხდება მისი ხანგრძლივობის ზრდა. იძულებითი უმუშევრობის ზრდა უფროსი ასაკის ქალებსა და ახალგაზრდებს შორის მნიშვნელოვნად ამცირებს მათ უნარს – ხელახლა ჩაერთონ შრომით პროცესებში და სულ უფრო ზრდის სამუშაოს მოძებნის დროის საშუალო ხანგრძლივობას. ყოველივე ეს კი გამანადგურებლად მოქმედებს როგორც სამუშაო ძალის ხარისხზე, ისე თითოეულ პიროვნებასა და მთლიანად ოჯახების კეთილდღეობაზე.

რამდენადაც ქვეყანაში აღარ ფუნქციონირებს დასაქმების სამსახურები (ცალკეული პროგრამების გარდა), ხოლო ახლადმიღებული შრომის კანონმდებლობა არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, საჭიროდ ვთვლით დასაქმების სახელმწიფო სამსახურების გაფართოებული მასშტაბით აღდგენას არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონების მიხედვითაც და შრომის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, თუ გვინდა მაპი და ევროპასთან სასურველი ინტეგრაცია, რათა ეს პროცესი, როგორც ჩვენთვის, ისე, განსაკუთრებით, ევროპისათვის, ნაკლებად მტკივნეული იყოს.

სტრუქტურა განვითარების ტენდენციები

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ლიზინგური ბაზრის ბრუნვაში აერთიანებს როგორც ფინანსურ და ოპერატიულ ლიზინგს, ისე ჩვეულებრივ არენდას, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ასეთი მიდგომით ლიზინგური მომსახურების მოცულობა ხელოვნურად იყო გაზრდილი და ის შეადგენდა: 2000 წელს – 12573,5, 2001 წელს – 20982,4, 2002 წელს – 21959,9 ათას ლარს, 2003 წელს – 26585,4 და 2006 წელს – 33237,7 ათას ლარს. თუ აქედან უძრავი, საკუთარი ქონების გაქირავების ღირებულებას გამოვაკლებთ, რომელიც ჩვეულებრივ არენდას წარმოადგენს და არა ლიზინგს, მაშინ ვიღებთ ლიზინგურ გარიგებათა ნამდვილ სიდიდეს, ანუ ლიზინგის ბაზრის მოცულობას. ის, შესაბამსად, შეადგენს: 3567.1, 4225.2, 4949.8, 7079.2, 9400 ათას ლარს.

ზემოთ აღნიშნული წესით გამოთვლილი ლიზინგის ბაზრის საერთო საქონელბრუნვაში 2006 წელს პირველ-მეორე ადგილზე იდგა მსუბუქი ავტომობილების (45,5%) და სატვირთო და სამგზავრო ავტომანქანების (30,8 %) ლიზინგი. მესამე ადგილი – 15,1%-იანი წილით ეკავა სამშენებლო მანქანა-მოწყობილობას. სხვათაშორის, უნდა აღვნიშ-ნოთ, რომ 2000 წელს სამშენებლო მანქანა-მოწყობილობის ლიზინგის ოპერაცია საერთოდ არ განხორციელდა. შემდეგ წლებშიც (2001 – 2003) იგი მცირე ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი. 2006 წელს დაფიქსირებული მისი ასეთი მაღალი პროცენტი იმაზე მიუთითებს, რომ ეს დარგი სწრაფად ვითარდება, რაც ვიზუალურადაც ეტყობა ქვეყანას.

შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა სამრეწველო აღჭურვილობის ლიზინგის წილში (3,8%, ნაცვლად 2000 წლის 6,8%-სა), ორგტექნიკის და კომპიუტერების ლიზინგის წილში (1,7%, ნაცვლად 2000 წლის 4,7%-სა) და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხვედრით წილში (0,1%, ნაცვლად 2000 წლის 0,7%-სა). ჩვენ განსაკუთრებით არასასურველ ფაქტად მივიჩნევთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ლიზინგის და სამრეწველო აღჭურვილობის ლიზინგის წილების შემცირებას. მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ქვეყანაში, რომლის პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 50% და უფრო მეტი არ მუშავდება, ლიზინგის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო მანქანები მხოლოდ 12,8 ათ. ლარის ღირებულებით იყოს წარმოდგენილი.

საქართველოს ბაზარზე სამრეწველო მოწყობილობის ლიზინგის წილიც შემცირებულია. არადა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა თუ

არა, გადამამუშავებელი მრეწველობა ხომ ის დარგია, რომელსაც პრიორიტეტი აქვს მინიჭებული საქართველოში. მაშ, რატომ უნდა მცირდებოდეს მისი მოწყობილობის ლიზინგით გაცემის ხვედრითი წილი? ეტყობა, აქაც გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოების ფინანსური გაჭირვებაა მიზეზი. ისინი ხომ ძირითადად მცირე ან საშუალო სიდიდის საწარმოები არიან, რომელთა ფინანსური შესაძ-ლებლობები, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, ძალზე მოკრძა-ლებულია. ყველა ქვეყანაში, და, მით უფრო, ჩვენნაირ განვითარებად ქვეყანაში, მცირე (და საშუალო) საწარმოებს სახელმწიფო ეხმარება – აძლევს ტექნოლოგიებს, ტექნიკას, უმცირებს გადასახადებს და ა.შ. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს სახელმწიფოს მხრიდან არანაირი მსგავსი დახმარება არ აქვთ. ჩვენი წინადადებაა, რომ საქართველოს გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარ-მოებს სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი სალიზინგო კომპანიებიდან გადაეცეთ ტექნიკა ლიზინგით მსხვილ საწარმოებთან შედარებით უფრო იაფად, ანდა სულაც უფასოდ.

ლიზინგის საქართველოს ბაზრის კლიენტ-საწარმოთა საერთო რიცხვიდან მცირე საწარმოებზე მოდიოდა ბრუნვის მეტად მცირე ნაწილი, კერძოდ, 2000 წელს – 17%, 2001 წელს – 54,6%, 2002 წელს – 28,4%, 2003 წელს – 8,6% და 2006 წელს – 14,8 %. ქონების ლიზინგით შემძენები საქართველოში ძირითადად მსხვილი საწარმოებია. მათზე 2006 წელს მოდიოდა ბრუნვის 70%. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მსხვილი სამეურნეო სუბიექტებიც კი ჯერჯერობით ფინანსურად ისე ვერ გაძლიერდნენ, რომ მათ თავისი საკუთარი სახსრებით ან ბანკის კრედიტით იყიდონ ტექნიკა, ამიტომ ისინი ლიზინგით მიღებას აძლევენ უპირატესობას.

თუ ლიზინგური ბრუნვის გეოგრაფიულ სტრუქტურას დინამიკაში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მასში ქ. თბილისის წილი შესამჩნევად არის გაზრდილი (83,1%-დან 94,5%-მდე), ყველა დანარჩენი რეგიონის ისედაც მცირე წილი კი 2000 – 2006 წლებში კიდევ უფრო შემცირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონებში განთავსებულ სამეურნეო სუბიექტებს ქონების ლიზინგით შეძენის არავითარი ფინანსური შესაძლებლობა არ აქვთ. ჩვენი აზრით, ამ მდგომარეობით ყველაზე მეტად უნდა დაინტერესდნენ მართვის რეგიონული ორგანოები და მუნიციპალური სტრუქტურები, რომელთაც შეუძლიათ წილობრივი წესით დააფინანსონ რეგიონში ლიზინგური ოპერაციები. როგორც ადრე

აღვნიშნეთ, განსაკუთრებით რეგიონებში, ეს უნდა შეეხოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკას.

ხათუნა ბერიშვილი

ლიზინგის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში: არსებული მდგომარეობა, სრულყოფის გზები

საქართველოში სალიზინგო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი „შალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ და საგადასახადო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან თავი მეოთხე – „ლიზინგი“ – ხუთი მუხლი (576 – 580) დათმობილი აქვს მთლიანად ლიზინგს, თუმცა იქვე განსაზღვრულია, რომ დანარჩენი საკითხების რეგულირება მოხდება ქირავნობის ურთიერთობის მარეგულირებელი მუხლების შესაბამისად. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სალიზინგო საქმიანობა ბევრ ისეთ ნიუანსს შეიცავს, რომელიც ქირავნობას საერთოდ არ ახასიათებს (თუნდაც ის, რომ ფინანსური ლიზინგის შემთხვევაში ხდება ლიზინგის ობიექტის საბოლოო გამოსყიდვა და საკუთრებაში გადაცემა).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ლიზინგს დათმობილი აქვს ერთი მუხლი (მუხლი 21 – ლიზინგი (ფინანსური იჯარა), რომელშიც განმარტებულია, თუ როდის ითვლება ლიზინგი ფინანსურ იჯარად. ამისათვის მასში ჩამოთვლილია 4 პირობა: 1) იჯარის ვადის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია ქონების საკუთრების უფლების გადაცემა ან იჯარის მიმდებს უფლება ექნება, შეიძინოს ქონება ფიქსირებული ან იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასით; 2) იჯარის ვადა აღემატება ძირითად საშუალებათა ეკონომიკური სამსახურის ვადის 75%-ს; 3) იჯარით აღებული ქონების მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება იჯარის ვადის დასრულებისას ამ ვადის დასაწყისში ქონების საბაზრო ღირებულების 20 პროცენტზე ნაკლებია. 4) მინიმალური საიჯარო გადასახდელის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება ლიზინგის (ფინანსური იჯარის) მთელი პერიოდისათვის ქონების საბაზრო ღირებულების 90 პროცენტია ან აღემატება მას. ამ პირობების მიხედვით, საქართველოში ფინანსური ლიზინგის ვადა უნდა აღემატებოდეს ლიზინგის ობიექტის ეკონომიკური სამსახურის ვადის 75%-ს, აშშ-ში მისი სასიცოცხლო პერიოდის 80%-ს,

აშშ-ში ფინანსური ლიზინგის გამცემმა დამატებით უნდა განახორციელოს მისი დირებულების 20% ინვესტიცია, საქართველოში ლიზინგის გამცემს ეს აღარ მოეთხოვება და ა.შ.

მეტად განსხვავებულია ლიზინგისადმი მოთხოვნები დსთ-ს ქვეყნებშიც. ამ ქვეყნებს შორის ლიზინგის კანონმდებლობა შექმნილია რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, მოლდავეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთსა და საქართველოში. მათგან ლიზინგური ურთიერთობები განსაკუთრებით განვითარებულია რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში. თუმცა ამ ქვეყნებშიც კი, ლიზინგის შესახებ ერთიდაიგივე ნორმატიული დებულებები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, ბელორუსიაში ლიზინგის ობიექტი შეიძლება იყოს არამატერიალური აქტივები, რომლებიც რუსეთის და საქართველოს კანონმდებლობით არ შედის სალიზინგო ობიექტის ჩამონათვალში; უზბეკეთსა და საქართველოში ქონება ლიზინგით შეიძლება გაიცეს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობისათვის; აზერბაიჯანში არ შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს ლიზინგის ობიექტის მწარმოებელი და ლიზინგგამცემი; რუსეთის და საქართველოს სალიზინგო კანონმდებლობით კი ეს დასაშვებია და ა.შ. როგორც ჩანს, სხვადასხვა ქვეყანა ლიზინგს, მათ შორის ფინანსურ ლიზინგს, სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს. ასე უდგება ამ საკითხს საქართველოც. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუშლის საერთაშორისო ლიზინგის განვითარებას საქართველოში.

არის მეორე, და შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის ლიზინგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ურთიერთშეუსაბამობა. იმ 4 პირობის ნაცვლად, რომლიდან ერთ-ერთის დაცვის შემთხვევაში ლიზინგი ფინანსურ ლიზინგად ითვლება, რომელიც საქართველოს საგადასახადოს კოდექსშია მოცემული და რომლებზეც ჩვენ ზევით ვისაუბრეთ, საქართველოს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ ითხოვს 6 პირობას. რატომაა ამ პირობებსა და საგადასახადო კოდექსში მოცემულ პირობებს შორის განსხვავება? რომელია მათ შორის სარწმუნო: კანონში „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ მოცემული, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოცემული პირობები? როცა ქვეყნის შიგნით ერთი და იმავე საკითხის დასარეგულირებლად შექმნილ ორ დოკუმენტში ასეთი შეუსაბამობაა, ცხადია, პირველ რიგში, საჭიროა ეს შეუსაბამობა გასწორდეს. ამის გარდა, საჭიროა კანონში

„სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ ცალკე გამოიყოს ფინანსური ლიზინგი (რადგან არსებობს ოპერატიული ლიზინგიც), ანდა, რუსეთის ანალოგიურად, საქართველოს მთავრობამაც მიიღოს ცალკე კანონი „ფინანსური ლიზინგის შესახებ“.

არასრულყოფილია და ჩასწორებას მოითხოვს თვით სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავი (თავი IV. ლიზინგი). მას ლიზინგი კი არა „ფინანსური ლიზინგი“ უნდა ეწოდოს, რადგან მისი 576 – 580 მუხლების შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ეხება ფინანსურ და არა ოპერატიულ ლიზინგს.

ამრიგად, ლიზინგის ნაწილში სრულყოფას საჭიროებს სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავი და მთლიანად კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“. ამის გარდა, თუ ამ საკითხში საქართველოს რუსეთს შევადარებთ, მისაღებია კანონი „ფინანსური ლიზინგის შესახებ“, „სალიზინგო გადასახდელის გაანგარიშების ერთიანი მეთოდიკა“, კანონი „საერთაშორისო საფინანსო ლიზინგის უნიფიცირებულ წესებთან მისაერთებლად“ და სხვ.

საქართველოში ფინანსური ლიზინგის მიმართ მოთხოვნები განსხვავდება სხვა ქვეყნების მოთხოვნებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში ქვეყნები „სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ“. ასეთ დროს ლიზინგი, მით უფრო ფინანსური, სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს. ლიზინგის მთელი რიგი ობიექტები – თვითმფრინავები, ახალი თაობის მანქანა-მოწყობილობა, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ., საერთაშორისო ლიზინგურ ბრუნვაშია მოქცეული. განვითარებად ქვეყნებს მ.შ. საქართველოს სულ უფრო და უფრო სჭირდებათ, მიიღონ ისინი ლიზინგით განვითარებული ქვეყნებიდან. ასეთ დროს, ლიზინგის კანონმდებლობა მათთან „სხვადასხვა ენაზეა დაწერილი“. ასეთმა მდგომარეობამ კარგა ხნით შეაფერხა საერთაშორისო ლიზინგის განვითარება. მართალია, ასეთი ოპერაციები სრულდებოდა, მაგრამ მთელი რიგი საკითხები იწვევდა დავას და მათ გადასაწყვეტად საჭირო ხდებოდა საერთაშორისო არბიტრაჟის ჩარევა. 1988 წელს შეიქმნა კონვენცია – „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“ (შემოკლებით მას უნიდრუას კონვენციას უწოდებენ). ამ კონვენციით მოხდა ლიზინგის ინტერნაციონალიზაცია და ლიზინგურ შეთანხმებათა პირობების და იურიდიული ცნებების უნიფიკაცია. სასურველია, საქართველომ საბოლოოდ მოიწესრიგოს ლიზინგის საკითხებზე შექმნილი მთელი ეროვნული საკანონმდებლო აქტები და ამისათვის

სახელმძღვანელოდ გამოიყენოს ზემოთ დასახელებული უნიდრუას კონვენცია.

ნანა ბიბილაშვილი

დასაქმების პროცესთა რეგულირების ზოგიერთი ასპექტი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

დასაქმების პროცესთა რეგულირება თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა. სწორედ ამგვარ პროცესთა რეგულირება თამაშობს განმსაზღვრელ როლს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების, თითოეული მოქალაქის პროფესიული შესაძლებლობების ფორმირება-განვითარებისა და პიროვნების ჩამოყალიბებასა და მის გამოვლენაში.

დასაქმებას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მოვლენაა, გააჩნია როგორც ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული და სოციალური შინაარსი. ეს, უმთავრესად, განპირობებულია იმით, რომ რამდენადაც დასაქმება დამოკიდებულია ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებზე, ის გვევლინება, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დასაქმების მდგომარეობა, გარკვეულწილად, ახასიათებს მისი ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის დონეებს.

დასაქმება ისეთი ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის შრომით საქმიანობაში მონაწილეობის მასშტაბებს. იგი გვევლინება, როგორც შრომის ბაზრის რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მოსახლეობის შრომის პროცესში ჩართვის განზომილების დახასიათებასთან ერთად, გამოხატავს არა მარტო მუშაკებზე არსებული საზოგადოებრივი, არამედ ისეთი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, როგორიცაა ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების პოვნისა და შემოსავლების მიღების სურვილები.

სპეციალურ ლიტერატურაში დასაქმების ცნების ქვეშ იგულისხმება მოქალაქეთა ისეთი საზოგადოებრივად აუცილებელი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და რომელსაც, როგორც წესი, მოაქვს შრომითი შემოსავალი.

საქართველოში დასაქმების შესახებ ამჟამად არსებული კანონის მიხედვით, დასაქმებულად ითვლება ყველა ის ფიზიკური პირი,

რომელიც, პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ეწევა კანონით აუკრძალავ საქმიანობას და ანაზღაურებას იღებს ფულადი ან ნატურალური ფორმით.

ეკონომიკაში, დასაქმებულების შრომით საქმიანობაში ჩაბმის წესის მიხედვით, დასაქმებულთა სიმრავლე იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

ა) დაქირავებული პირები. მათ მიეკუთვნებათ საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის შედეგად დასაქმებული პირები;

ბ) სამუშაოს მიმცემი. მათ მიეკუთვნებათ მეწარმეები, რომლებიც საკუთარი სამეწარმეო უნარის რეალიზებას ახდენენ;

გ) თვითდასაქმებულები. მათ მიეკუთვნებათ პირები, რომლებიც მუშაობენ საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გადაყვანამ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე, დასაქმების სფეროშიც მოითხოვა რეფორმების გატარება. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდა დასაქმების ძირითადი პრინციპები, რომლებიც თავისებურად აისახა საქართველოს კონსტიტუციასა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების შესახებ მიღებულ სპეციალურ კანონში.

პირველი პრინციპის მიხედვით, შრომა საქართველოში ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს გააჩნიათ უფლება, თავისუფლად განკარგონ წარმოებრივი და შემოქმედებითი შრომის საკუთარი უნარი.

მეორე პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ქვეყანაში ისეთი პირობების შექმნაზე, რომლებიც აუცილებელია მოქალაქეთა შრომითი უფლებების რეალიზაციისათვის.

მესამე პრინციპი დასაქმების პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას გულისხმობს. იგი ასახავს ყველა დონის სახელისუფლებო ორგანოების ქმედებათა კოორდინაციას; სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმების ურთიერთქმედებას; ბიუჯეტების ფინანსური შესაძლებლობების, არასაბიუჯეტო ფონდების, აგრეთვე, საწარმოთა, საზოგადოებრივ გაერთიანებათა და მოქალაქეების სახსრების გამოყენებას; ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის მიღწევას სპეციალური პროგრამების ხარჯზე.

დასაქმებისა და შრომის ბაზრის რეგულირების პროცესებმა სპეციფიკური ნიშნები შეიძინა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

ამ ქვეყნების მოსახლეობის დასაქმების სფეროებში ბოლო ათწლეულში სრულიად ახალი სიტუაციები შეიქმნა: შრომითი რესურსების თავისუფალი წესით დაქირავებისა და დათხოვნის საფუძველზე ფორმირდება დასაქმების ახალი მოდელები; შრომითი რესურსების გამოყენების სფეროში ვითარდება საბაზრო ურთიერთობები; მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ადგილი აქვს უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენციას, ჩნდება შრომის სიჭარბე და სხვადასხვა სახეობის უმუშევრობა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებმა გამოიწვია შრომითი რესურსების სტიქიური გადანაწილება, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია თვითდასაქმებულების, ფორმალურად ან კომერციულ სექტორში დასაქმებულებისა და უმუშევრების ოდენობის გაზრდა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის მუდმივ შემცირებასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის მართვა (როგორც დასაქმებაზე მოქმედი ღონისძიებების ორგანიზებული სისტემა) უნდა წარმოადგენდეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკისადმი კონკრეტული მიდგომის განსაზღვრა დასაქმების სფეროში ითვალისწინებს შრომის ბაზარზე თავმოყრილი ტენდენციების კვლევას, მათი ფორმირების მიზეზთა ანალიზს, აგრეთვე, ძალზე მწვავე და დამანგრეველი უმუშევრობის ფორმების გამოვლენას.

იმისათვის, რომ შრომის ბაზარზე პირობები გაუმჯობესდეს და მოხდეს საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების გადარჩენა, ჩვენი აზრით, აუცილებელია სახელმწიფო მიზანმიმართულად ჩაერიოს დასაქმებისა და შრომის ბაზრის სფეროებში (ანუ განხორციელდეს ამ სფეროების სახელმწიფო რეგულირება). ამიტომ მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მალე მოხდება ჩვენს ქვეყანაში დასაქმების სფეროს მართვის გააქტიურება სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გზით, მით უფრო მეტი იქნება იმის ალბათობა, რომ შესამჩნევად აღმოიფხვრას რესპუბლიკაში ამჟამად არსებული მასიური უმუშევრობა.

მადონა გელაშვილი

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები განსაზღვრულია განვითარების ეროვნული პროგრამით. იგი ითვალისწინებს ქვეყნის გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი განვითარების პროგნოზებს. პროგნოზები და კონცეფციები კი გამოიყენება ეროვნული ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების დასადგენად, რომელშიც აისახება შემდეგი საკითხები: მაკროეკონომიკური, ინსტიტუციური, სოციალური, რეგიონული, ინვესტიციური, სტრუქტურული, აგრარული, ეკოლოგიური, სოციალური, საერთაშორისო.

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სწორედ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაა. იგი წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ხასიათის ღონისძიებებს, რომელსაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ ქვეყნის სტაბილიზაციისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

თეორიულად, ცნება – ”სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა” უფრო ფართოა, ვიდრე ცნება – ”ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება”, რადგან პირველი შეიძლება დაფუძნებული იყოს აგრეთვე სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპზე სამეურნეო ცხოვრებაში. თუმცა დღესდღეობით სახელმწიფოს ჩაურევლობა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესში წარმოუდგენელია. თანამედროვე ეტაპზე საკითხი განიხილება არა იმდენად, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის, არამედ რეგულირების მასშტაბების, ფორმებისა და ინტენსივობის შესახებ. სახელმწიფო რეგულირების ობიექტური შესაძლებლობა იქმნება ეკონომიკური განვითარების, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის გარკვეული დონის მიღწევისას, ხოლო აუცილებლობა, რომელიც ამ შესაძლებლობას რეალობად აქცევს, არის ის პრობლემები და სიძნელეები, რომელიც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გადასაწყვეტია.

დღეისათვის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური კვლავწარმოების შემადგენელია. მისი საშულებით შესაძლებელია სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტა, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, დასაქმების რეგულირება, დარგობრივი და რეგიონული სტრუქტურების პროგრესირება, ექსპორტის მხარდაჭერა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონკრეტული მიმართულებები, ფორმები, მასშტაბები განპირობებულია კონკრეტულ პერიოდში, კონკრეტული

სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ხასიათითა და სიმძაფრით.

ეკონომიკური პოლიტიკის სახესხვაობების ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. თუმცა, პირობითად, იგი იყოფა ლიბერალურ, რეგულირებად და მობილიზაციურ სახეებად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს და ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად დაისახოს ის პრობლემები და ამოცანები, რომელსაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ წყვეტს. ამ მიდგომით, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები ემთხვევა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო მიზნებს.

საკმაოდ კონსტრუქციულია პრაგმატული მიდგომა, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი მდგომარეობს ეკონომიკური სიტუაციის სტაბილური და გაწონასწორებული პირობების შექმნასა და შენარჩუნებაში, ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ თანასწორობაში, სოციალურ დაცულობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტურობაში, ფასების დონის სტაბილურობასა და შრომითი დასაქმების მაღალ დონეში, ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო სავაჭრო ოპერაციების დაბალანსებაში.

მიუხედავად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების აუცილებლობისა და საფუძვლიანობისა, შეუძლებელია სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მთელი სისტემის დამახასიათებელი ამოცანებისა და პრობლემების ამოწურვა. სავსებით შესაძლებელია, რომ არსებობდეს სხვა მიზნებიც, რომელიც ამ სტატიაში არ განვიხილეთ და რომელიც, გარკვეული ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელისუფლების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

მარინე გუმბერიძე

თანამედროვე მსოფლიოს დემოგრაფიული პოლიტიკა

განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სირთულეებმა პრიორიტეტული გახადა დემოგრაფიულ პოლიტიკაზე ზრუნვა. დემოგრაფიული პოლიტიკა არის დემოგრაფიული პროცესების რეგულირების სფეროში მიზანმიმართული საქმიანობა. ეკონომიკური განვითარების დონე, გარკვეულწილად, განსაზღვრავს აღნიშნული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. დასავლეთის განვითარებული

ქვეყნების პოზიციის მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობაზე კონტროლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. 1990 წელს ქალაქ ჰიუსტონში მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში ცალსახადაა აღნიშნული, რომ რიგ განვითარებად ქვეყნებში აუცილებელია, მოსახლეობის რიცხვი ეკონომიკურ რესურსებთან ბალანსში იმყოფებოდეს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ უნდა გავრცელდეს საქართველოზე, სადაც ისედაც საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციაა.

დემოგრაფიული პოლიტიკა – ეს არის სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა სოციალური ინსტიტუტების მიერ მოსახლეობის კვლავწარმოების რეგულირების სფეროში მიზანმიმართული საქმიანობა. დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, იგი ორი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს, – პირველი მიმართულია შობადობის გაზრდისკენ, რაც დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის, ხოლო მეორე – შობადობის შემცირებაზე, რაც ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია ეკონომიკურ ღონისძიებებზე და მიმართულია შობადობის სტიმულირებისკენ. აღნიშნული ეკონომიკური ღონისძიებების არსენალი მოიცავს ფულად დოტაციებს – ყოველთვიურ დახმარებებს ოჯახზე; შედავათებს მარტოხელა დედებისთვის და ა.შ. იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერია ეკლესიის გავლენა (ირლანდია, აშშ, პოლონეთი) მუშავდება კანონები, რომელთა ძალითაც მკაცრად ისჯება ორსულობის შეწყვეტა და აბორტი.

თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული პროცესები სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებით ვითარდება. თავის მხრივ კი, დემოგრაფიული პროცესები აქტიურ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. ასე, მაგალითად, შობადობის დაბალი დონე იწვევს საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხვის ზრდას, რაც მნიშვნელოვნად ამწვავებს „მამებისა და შვილების“ პრობლემას. შობადობის დონის რხევადობა, დროთა განმავლობაში, შრომის ბაზარზე იწვევს დასაქმების, უმუშევრობის პრობლემებს, ასევე ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდას და ა.შ.

დღემდე ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც საქართველოს მსგავსი დემოგრაფიული სიტუაციაა, ძირითადად გამოიყენება ოჯახებზე მატერიალური დახმარებები, შემწეობები და ა. შ. მაგრამ, როგორც ისტორია

აჩვენებს, ასეთი ღონისძიებების ეფექტურობა დიდი არ არის. საჭიროა უფრო მიზანმიმართული, რადიკალური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების გატარება საზოგადოების ყველა სფროში, რათა ამაღლდეს ოჯახის ინსტიტუტის, მრავალშვილიანი ოჯახების პრესტიჟი, ანუ, საჭიროა დახვეწილი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

განსაკუთრებით აქტუალურია დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება განვითარებად ქვეყნებში, სადაც შობადობის მაღალი ტემპებია. ბევრ ქვეყანაში მისი რეალიზაცია ვერ ხერხდება ფინანსების სიმწირისა და მრავალშვილიანობის ტრადიციების გამო. მუსლიმანური ქვეყნების უმრავლესობაში ხელისუფლება საერთოდ უარყოფს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ზემოქმედებას ოჯახის განვითარების საქმეში.

მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება, ანუ „ნულოვანი ზრდა“ – დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანი განვითარებად ქვეყნებში – თეორიულად დასაშვებია, თუ ყოველი ოჯახი იყოლიებს საშუალოდ ორ-სამ შვილს, თუმცა, ასეთი მდგომარეობის მიღწევა არცთუ ისე ადვილია. აღნიშნული მეტად აქტუალურია საქართველოსთვის, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში თავი გადავირჩინოთ და მარადიულად, კაცობრიობის აღსასრულამდე იარსებოს ქართულმა გენმა.

ეკატერინე გულუა

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების პერსპექტივები

თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები – გლობალური პრობლემები – მსოფლიო ბირჟების, გლობალური ფინანსური ბაზრების რყევები, ენერგომატარებლებზე ფასების ინფლაცია, მსოფლიო ჭარბწარმოების პრობლემები – აქტუალურს ხდის, აქცენტები გაკეთდეს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების, მდგრადი ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკური თავისუფლების საკითხებზე ყველა ასპექტში. საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვანი პერსპექტივების, მრავალი არჩევანის წინაშეა. კვლავაც ფიქრის საგანია საქართველოს ეკონომიკის თანაბარზომიერი, მდგრადი განვითარების პერსპექტივები.

არსებული პოლიტიკური და სოციალური რეალობიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა. ექსპერტული შეფასებებით, საქართველოს ეკონომიკის სწრაფ

ზრდას ბოლო წლებში განაპირობებდა კაპიტალის იმპორტი (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები), შინამეურნეობათა მოხმარება და მთავრობის დანახარჯების ზრდა. ამავე დროს, უცხოური ექსპერტების დასკვნებით შემაშფოთებელია საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდის ტემპები. უარყოფითმა საგარეო სავაჭრო ბალანსმა 67.3%-ით გადააჭარბა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2006 წელს შეადგინა მშპ-ს 23.8%. ამავე დროს, ექსპორტის ზრდის ტემპი ჩამორჩა როგორც წინა წლების, ისე იმპორტის ზრდის მაჩვენებელს. ასევე ერთციფრიან ნიშნულს გასცდა ინფლაციის ტემპი. ამავე დროს, საქართველოს საგარეო ვალი შეადგენს მშპ-ს 21.3%-ს. 2002 წელს იგი იყო 51.5%.

მდგრადი, საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა უნდა დაეფუძნოს ინვესტიციებს საწარმოო სიმძლავრეებში და ექსპორტს, რომელიც აფართოებს ბაზარს და სპეციალიზაციიდან ეფექტს ზრდის.

ასეთ პირობებში, ქვეყნის ფარდობითი უპირატესობების დასადგენად, აქტუალურია სიღრმისეული სექტორული ანალიზი.

საქართველოს ინდუსტრიული წარსული საკმაოდ მრავლისმთქმელია, მიუხედავად სხვა ქვეყნებზე აბსოლუტური დამოკიდებულებისა, კომუნისტური საქართველოს ეკონომიკაში ინდუსტრია სოფლის მეურნეობის შემდეგ უმთავრეს ადგილს იკავებდა ეკონომიკის სექტორულ სტრუქტურაში. დღეს მისი აქტუალობა ერთი შეხედვით თითქოს შენელებულია, მაგრამ მისი როლი დღევანდელ ეკონომიკაშიც მნიშვნელოვანია. დღეს მრეწველობის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება (C+D+E) მთლიანი შიდა პროდუქტის 12.4% (1 708.2 ათასი ლარი) შეადგენს და მეორე ადგილს იკავებს ამ მხრივ სექტორებს შორის, ვაჭრობის შემდეგ (1878.6 ათასი ლარი).

2003 და 2006 წლებში სამრეწველო საწარმოთა რიცხვი შემცირდა. 2006 წელს კლებამ შეადგიანა 493 ერთეული. 2006 წლის მონაცემებით სამრეწველო საწარმოთა რიცხვია 4139.

შემცირდა მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი. ნაცვლად 2005 წელს დასაქმებული 94 300 კაცისა, 2006 წელს დასაქმებულთა რიცხვმა შეადგიანა 6% – 90 300 კაცი.

წარმოების მოცულობის სექციური განაწილება ასეთია: სამთო-მომპოვებელ მრეწველობაზე მოდის 8.5% გადამამუშავებელ მრეწველობაზე – 69.6%, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე – 21.9%.

მრეწველობაში ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 3228.7 მლნ. ლარი; სახელმწიფო სექტორში – 654.4 მლნ. ლარი (20.3%); არასახელმწიფო სექტორში – 2574.3 მლნ. ლარი. ბრუნვის 50.1% მოდიოდა კერძო ადგილობრივ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ხოლო 29.7% – კერძო უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. მსხვილ ფირმებში ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 2812.8 მლნ. ლარი (87.1%), საშუალოში – 251.1 მლნ. ლარი (7.8%), ხოლო მცირეში – 164,8 მლნ.ლარი (5.1%)

სამრეწველო პროდუქციის წარმოება (C+D+E) ზრდის ტენდენციით ხასიათდება [2006 წელს შეადგინა 2 757.3 მილიონი ლარი (მოქმედ ფასებში)] მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მრეწველობისადმი განსაკუთრებული ყურადღებით არ გამოირჩევა.

ექსპორტის ამჟამინდელი სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. კერძოდ, საქართველოს საექსპორტო პროდუქციაში მრეწველობის წილი მნიშვნელოვანია და მოიცავს ფეროშენადნობებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, საფრენ აპარატებს (შეკეთება-რემონტი), დაუმუშავებელ და ნახევრადდამუშავებულ ოქროს, მინერალურ ან ქიმიურ აზოტოვან სასუქებს, ყურძნის ნატურალურ ღვინოებს, მათმა წილმა შეადგინა 22%. 2007 წელს განსაკუთრებით გაიზარდა ცემენტის და სხვა საშენი მასალების ექსპორტიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ქვეყანას ჰქონდეს ფარდობითი უპირატესობა ინდუსტრიულ სექტორში, რაც სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა და ა.შ) განვითარებასაც შეუქმნიდა მყარ დასაყრდენს.

ასევე არსებობს პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმატებული ინდუსტრიული განვითარების მაგალითებიც: გასულ წელს აზერბაიჯანსა და თურქმენეთში მრეწველობაზე მოდიოდა მშპ-ს 35%, რუსეთში – 30%, ამ ქვეყნების ბუნებრივი უპირატესობა აშკარაა, მაგრამ არის ასევე ჩეხეთის მაგალითიც, სადაც ინდუსტრია მშპ-ს 40%-ს აწარმოებს.

მსოფლიოს მიმდინარე და ისტორიული გამოცდილებები მეცნიერთა თუ პრაქტიკოსთა კველევას მეტ დიაპაზონს ანიჭებს. ინდუსტრიული განვითარება, მოგების მაღალი ნორმის მახასითებლის, არასეზონურობის, ავტომატიზებული სისტემების დანერგვის შესაძლებლობის და სხვა მრავალი უპირატესობის გამო, დღესაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთ საყრდენად მიიჩნევა. ამიტომაც, ამ გზაზე გაცილებით მეტი ბარიერია აღმართული, ვინაიდან, მსოფლიოს ინდუსტრიული პროდუქ-

ციის ჭარბწარმოება, კონკურენტული წინაღობები, მსოფლიო ბაზრებიდან გამოდევნის მძლავრი კონკურენციის უუნარო ქვეყნების პროდუქციას, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ბარიერები დაუძლეველია, თუ გავითვალისწინებთ ერთ დროს იაპონიის, ხოლო ახლო წარსულში აზიური ვეფხვების, ჩინეთისა თუ სხვა ერთი შეხედვით „სუსტი" ქვეყნების „თამამ შეჭრებს" მსოფლიო ბაზრებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია და მასობრივი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას არ იძლევა, საქართველოს ინდუსტრიულმა პროდუქტმა შესაძლოა თავისი ნიშა მსოფლიო ბაზარზე იმ შემთხვევაში იპოვოს, თუ აქცენტები გაკეთდება მაღალხარისხიანი, საიმედო, ორიგინალური, ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე და შეძლებს, დააკმაყოფილოს მსოფლიოს მოსახლეობის ის უმცირესობა, რომელთა ხელში თავმოყრილია მსოფლიო კერძო კაპიტალის 75%-ზე მეტი. მნიშვნელოვანი პრობლემა ამ გზაზე ადამიანური რესურსების პროფესიული ცოდნის გაუმჯობესებაა, რითაც შესაძლებელია ყველა სხვა პრობლემის გადალახვა, რაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას და იმ ბუნებრივი, პოტენციური უპირატესობის გამოყენებას, რაც ქვეყანას აქვს გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ლინა დათუნაშვილი

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო – ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი

– გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ისეთი, როგორც საქართველოა, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს ინვესტიციური პოლიტიკის სწორად წარმართვა წარმოადგენს.

– თუ გავაანალიზებთ განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკას, ვნახავთ, რომ ინვესტიციები სჭირდება არა მარტო განვითარებად, არამედ იგი აუცილებელი და საჭიროა განვითარებული ქვეყნისთვისაც, როგორც ეკონომიკის აღორძინების მძლავრი საშუალება.

– იმ ქვეყნის მთავრობები, რომლებიც მაღალ შედეგებს აღწევენ ეკონომიკის განვითარებაში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინვესტიციებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ ეფექტურ

ღონისძიებას. საქართველოსთვის ინვესტიციების მოზიდვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას და, შესაბამისად, დასაქმებისა და შემოსავლების გადიდებას, საბაზრო ურთიერთობაში უცხოური გამოცდილების გაზიარებას, ინოვაციების დანერგვას, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდას და სხვ.

– ინვესტიციების მოზიდვის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საინვესტიციო გარემოს, რომლის შინაარსი რთული და კომპლექსურია, ამიტომ შეიძლება მისი განხილვა სხვადასხვა დონეზე.

– მაკროდონეზე განხილვის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში არსებული რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციები, სოციალური კლიმატი, სახელმწიფო პოლიტიკა უცხოურ ინვესტიციებთან დამოკიდებულებაში, საერთაშორისო შეთანხმებათა დაცვის ტრადიცია, მყარი სახელმწიფო ინსტიტუტები, სახელმწიფოებრივი ჩარევის ხარისხი ეკონომიკაში და სხვა.

– ეკონომიკურ პარამეტრებს შორის საინვესტიციო გარემოზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, ქვეყნის საკრედიტო-საფინანსო სისტემა, ვალუტის მდგომარეობა (როგორია სავალუტო კურსის სიმყარე), ინფლაციური პროცესების დინამიკა, კრედიტის ფასი (საგადასახადო პროცენტი), პარტნიორის გადახდისუნარიანობა და სხვა.

– საინვესტიციო გარემო მიკროდონეზე მჟღავნდება ორმხრივ ურთიერთობაში – ინვესტორ ფირმებსა და ინვესტიციების მიმღები ქვეყნის კონკრეტულ ორგანოებს, სამეურნეო სუბიექტებს, მიმწოდებელს, მყიდველს, საფინანსო ორგანოებსა და ინვესტიციების მიმღები ქვეყნის შრომით კოლექტივებს შორის. ამასთან, საინვესტიციო გარემოს განზოგადებული შეფასების კონკრეტიზაცია ინვესტორმა უნდა გააკეთოს ქვეყნის რეალური ეკონომიკური, იურიდიული და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის შესაბამისად.

– 1996-2007 წლებში საქართველოში ინვესტიციები ძირითად კაპიტალში 718,2 მლნ. ლარიდან 4805 მლნ. ლარამდე გაიზარდა, მაგრამ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საქართველო ისევ საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთთან, ასეთ ვითარებაში ინვესტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტს, თუ რამდენად კეთილსასურველი გარემო არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში

(მაგ., საქართველოში) კაპიტალის დაბანდებისათვის, მათ აინტერესებთ იმ ქვეყნის ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა და, რაც მთავარია, სტაბილურია თუ არა იმ ქვეყანაში სიტუაცია, სადაც ისინი აპირებენ ინვესტიციების ჩადებას. დღეს საქართველოში არსებული არასტა-ბილური მდგომარეობა ინვესტორებს აფრთხობს, და მართლაც, მათი შიში საფუძველს მოკლებული არ არის. საფრთხე რეალურია, ამიტომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებამ იკლო, ინვესტორებისათვის საქართველოში დაბანდებულ კაპიტალზე მაღალი რისკის გამო.

– ინვესტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაში როგორია ინფრასტრუქტურის განვითარების არსებული დონე. საქართველოში ამ მხრივ ბოლო 5 წელიწადში გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა, მაგრამ აგვისტოს რამდენიმე-დღიანმა ომმა, რომელიც ძირითადად ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოშლისაკენ იყო მიმართული, მდგომარეობა გააუარესა. ეკონომიკის განვითარების ისეთ პირობებში, როგორიც საქართველოშია, ინვესტორი თვითონ ქმნის მიკროგარემოს, რაც დამატებით დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ აღნიშნული ფაქტი (ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე) პრობლემას უქმნის ინვესტორს, დააბანდოს კაპიტალი ასეთ ქვეყანაში და განახორციელოს რაიმე საინვესტიციო პროექტი.

– ინვესტორი ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაში განსაკუთრებით აფასებს ბაზრის სიდიდეს და ტევადობას. ეს მაჩვენებელი, სხვა მახასიათებელთან ერთად, ერთ-ერთი ძირითადია, როდესაც იგი თავისი საქმიანობისთვის ამა თუ იმ რეგიონს ირჩევს და თავის საწარმოს ქმნის ან სხვა სახით აბანდებს კაპიტალს. სხვადასხვა სიტუაციის (პოლიტიკური, სოციალური, კრიმინოგენული და სხვ.) სტაბილურობამ ინვესტორს უნდა მისცეს სტიმული, შექმნას ახალი საწარმოები, აწარმოოს პროდუქცია და გაიტანოს ბაზარზე. ამდენად, ინვესტორის საბოლოო მიზანი სწორედ რეგიონში ბაზრის განვითარების შესაძლებლობაა.

– ინვესტორი დიდ ყურადღებას აქცევს სტაბილურ საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც ემყარება გამართულ, დასაბუთებულ საგადასახადო სისტემას, როდესაც საგადასახადო განაკვეთები მყარი და რეალურია, ამასთან, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ

იცვლება რიგი საკანონმდებლო აქტები არასწორი და დაუხვეწავი ფორმულირებით.

– ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების გათვალისწინებით მყარი საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზებამ, საქართველოში ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის თანმიმდევრულ, მდგრად განვითარებას.

ეკატერინე მეყანწიშვილი

სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია ეკონომიკური ზრდის პროცესში

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა სიძნელებთანაა დაკავშირებული. გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. ქვეყნის ეკონომიკური დონის ამსახველ ერთ-ერთ ძირითად განმაზოგადებელ ფაქტორს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წარმოადგენს. როგორც ვიცით, ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის შესაბამისად შექმნილი სარგებლის მოცულობის ზრდას წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდა მაშინაა ეფექტიანი, როდესაც შეხამებულია სოციალური სტაბილურობა და სოციალური ოპტიმიზმი. ასეთი ზრდა ითვალისწინებს მთელი რიგი მიზნების მიღწევას, კერძოდ: ცხოვრების ხანგრძლივობის ზრდას, რაციონალურ მოხმარებას და მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას, ცხოვრების დონეებს შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებასა და სიღატაკის დაძლევას, მაქსიმალური დასაქმების მიღწევას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ხარისხის ამაღლებასა და სხვ.

ეკონომიკური ზრდის კატეგორიას მრავალი ინტერპრეტაცია გააჩნია, ყველაზე ფართო გაგებით კი ეკონომიკური ზრდა წარმოებისა და მისი ფაქტორების შედეგების ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას წარმოადგენს. იგი თავის გამოხატულებას მთლიანი ეროვნული პროდუქტის პოტენციური და რეალური მოცულობის ზრდაში პოულობს.

დღესდღეობით ეკონომიკური ზრდის პრობლემები ცენტრალურ ადგილს იკავებს ეკონომიკურ დისკუსიებსა და განხილვაში. წარმოების რეალური ზრდა საშუალებას იძლევა გარკვეული ხარისხით მაინც გადაიჭრას ყველა ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი

პრობლემა, რაც რესურსების შეზღუდულობასა და ადამიანთა მოთხოვნილებების განუზღვრელობაში მდგომარეობს.

ნებისმიერი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფოს. სახელმწიფო, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, მართლწესრიგის დაცვის, ეროვნული უსაფრთხოების (თავდაცვის) ამოცანების გვერდით, გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა ეკონომიკის სფეროშიც. სახელმწიფო რეგულირებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ადრეული კაპიტალიზმის ეტაპზე ევროპაში არსებობდა ცენტრალიზებული კონტროლი ფასებზე, საქონლისა და მომსახურების ხარისხზე, პროცენტულ განაკვეთებსა და საგარეო ვაჭრობაზე. თანამედროვე პირობებში ყველა სახელმწიფო ახორციელებს ეროვნული ეკონომიკის რეგულირებას, ოღონდ ჩარევის სხვადასხვა ხარისხით.

სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამიტომ, აუცილებელია, განვიხილოთ სახელმწიფო რეგულირების ის ღონისძიებები, რომელიც ყველაზე მეტ მასტიმულირებელს წარმოადგენს ამ პროცესისათვის. ყველა არსებული მიდგომის განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს რიგი თავისებურებები, რომელთა დარეგულირებაც მეტად რთული ხდება და ამიტომაც, ფაქტობრივად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება ფერხდება. ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებული არ იქნება იმ გზის არჩევა, რომელიც დღევანდელ პირობებში, გარკვეულწილად, მიესადაგება არსებულ სიტუაციას და მნიშვნელოვნად დააჩქარებს ეკონომიკური ზრდის ტემპს. ასეთ საშუალებად მეცნიერთა ნაწილი ინდუსტრიულ პოლიტიკას მიიჩნევს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო აქტიურ როლს ითამაშებს მრეწველობის სტრუქრურის ფორმირებაში. მას შესაძლებლობა ექნება გაატაროს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც დააჩქარებენ მაღალმწარმოებლური დარგების განვითარებას და ხელს შეუწყობენ რესურსების გადაადგილებას დაბალმწარმოებლური დარგებიდან. მთავრობას ასევე საშუალება ექნება, გაზარდოს თავის ხარჯები ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და დამუშავებებზე, რაც, თავის მხრივ ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას გამოიწვევს. განათლებაზე ხარჯების ზრდა კი ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის ხარისხის ამაღლებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მეთოდების მრავალგვარობისა და სირთულის მიუხედავად, ეკონომისტთა აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის გადიდება ძალიან რთული ამოცანაა, ვინაიდან კაპიტალტევადობა და დაზოგვისაკენ მიდრეკილება ძნელად ექვემდებარება რეგულირებას.

ჩატარებული ანალიზი, როგორც ვხედავთ, საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ექსტენსიურმა გზამ დიდი ხანია ამოწურა თავისი თავი. ჩვენს პირობებში მას მხოლოდ ჩიხში მივყავართ და არანაირ შანსს არ იძლევა ეკონომიკური აღორძინებისათვს. ამიტომ, ეკონომიკური ზრდის ტემპის შეცვლა და მეურნეობის განვითარება-წაყვანა ინტენსიური განვითარების გზით ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ექსტენსიურმა გზამ მოამზადა ნაიდაგი განვითარების ახალი ტიპის (ინტენსიური) აღმოცენებისათვის. შეიქმნა რა ბაზისი ახალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის, ექსტენსიურმა გზამ უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში.

ნინო მიქიაშვილი

ადაპტური მოლოდინის მაკროეკონომეტრიკული მოდელის შესახებ

ეკონომეტრიკა ეკონომიკის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული მიმართულებაა. იგი საკმაოდ სწრაფად აფართოებს გამოყენების სფეროებს. ეკონომეტრიკის საშუალებით ეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებული ზოგადი ხარისხობრივი კანონზომიერებები რაოდენობრივად გამოისახება, რაც პრაქტიკული დასკვნებისთვის, როგორც წესი, მეტად ღირებული ინფორმაციის შემცველია.

ეკონომეტრიკული მოდელირების დროს შესაძლებელია ეკონომიკა დანაწევრდეს შესასწავლი ობიექტის მიხედვით და შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით აიგოს მოდელი. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მაკროეკონომიკური მოდელის შესახებ, რომელიც დროითი ფაქტორის გავლენას ითვალისწინებს და შესაბამისად, დინამიკური მოდელების კლასს მიეკუთვნება. კერძოდ, განვიხილოთ **ადაპტური მოლოდინის მოდელი**.

მოლოდინის მოდელირება გამოყენებით ეკონომიკაში საკმაოდ რთული ამოცანაა, განსაკუთრებით მაკროეკონომიკაში, სადაც ინვეს-

ტიცია, დანაზოგი და აქტივებზე მოთხოვნა მოლოდინის მიმართ საკმაოდ მგრძნობიარენი არიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მაკროეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად მოლოდინის გაზომვის დამაკმაყოფილებელი მეთოდები არ არსებობს. შესაბამისად, მაკროეკონომიკური მოდელირების საშუალებით მაღალი სიზუსტის პროგნოზი ვერ მიიღება, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის მართვას ართულებს. პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ისინი მაკროეკონომიკური მოდელის შესაბამისად შეირჩევიან.

ზოგიერთ მაკროეკონომიკურ მოდელში მოლოდინის პრობლემის გადასაწყვეტად არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება, რომელიც „ადაპტური მოლოდინის პროცესის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ადაპტური მოლოდინის პროცესი მოლოდინის მარტივ კორექტირებას, გულისხმობს. მარტივი კორექტირებისას დროის ნებისმიერ პერიოდში ცვლადის რეალური მნიშვნელობა მის მოსალოდნელ მნიშვნელობასთან მიმართებაში განიხილება. თუ რეალური მნიშვნელობა მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა, მაშინ მოლოდინის კორექტირება მატებისკენ ხდება, ხოლო თუ ნაკლები – შემცირებისკენ. ამასთან, იგულისხმება, რომ კორექტირების სიდიდე ცვლადის რეალური და მოსალოდნელი მნიშვნელობების სხვაობის პროპორციულია. ე.ი. თუ განიხილება x ცვლადი, ხოლო x_t^e მისი მოსალოდნელი მნიშვნელობაა t პერიოდში, მაშინ

$$x_{t+1}^e - x_t^e = \lambda(x_t - x_t^e), \quad (0 \ \lambda \ 1) \qquad (1)$$

სხვაობით მოხდება მარტივი კორექტირება. აქ λ პროპორციულობის კოეფიციენტის როლს ასრულებს. (1) გამოსახულება გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$x_{t+1}^e = \lambda x_t + (1-\lambda)x_t^e, \qquad (0 \le \lambda \le 1). \qquad (2)$$

მაშასადამე, (2)-ის თანახმად, მომავალი პერიოდის მოსალოდნელი მნიშვნელობა მიმდინარე პერიოდის ფაქტობრივ და მოსალოდნელ მნიშვნელობათა საშუალო შეწონილი სიდიდის სახით განისაზღვრება. რაც დიდია λ–ს მნიშვნელობა, მით სწრაფია მოსალოდნელი მნიშვნელობის წინა პერიოდის რეალურ მნიშვნელობასთან ადაპტირება და, პირიქით, თუ λ–ს მნიშვნელობა მცირეა, ადაპტირების პროცესი დროში ჭიანურდება და თავს იჩენს სხვადასხვა სირთულე.

ადაპტური მოლოდინის მოდელი, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ნაწილობრივ კორექტირების მოდელთან, ამიტომ პრაქტიკული გათვლების დროს მისი განხილვაც მიზანშეწონილია. აღსანიშნავია, რომ ადაპტური მოლოდინის პროცესი მომავალზეა მიმართული და გამოსახულების გამოყვანა, რომელიც მხოლოდ ცვლადების დაკვირვებად მნიშვნელობებს მოიცავს, შედარებით იოლია. ადაპტური მოლოდინის მოდელი ამტკიცებს, რომ ცვლადის მოსალოდნელი მნიშვნელობა ამ ცვლადის წინა პერიოდების ფაქტობრივ მნიშვნელობათა გეომეტრიულად კლებადი წონის საშუალო შეწონილ სიდიდეს წარმოადგენს.

თავდაპირველად ადაპტური მოლოდინის მოდელი რეალურ ფულად ნაშთზე მოთხოვნისა და ფასების დონის მოსალოდნელ ცვლილებას შორის შესაბამისობის დადგენისთვის შეიმუშავეს (ფ.კეიგანი). ფულად ნაშთზე მოთხოვნის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი შენახვის ხარჯი, რაც რეალურ გამოსახულებაში არსებული ნაღდი ფულის გაუფასურებითაა გამოწვეული. დაუშვეს, რომ აღნიშნული ფაქტორი მაღალი ინფლაციის დროს მთავარია. ტოლობა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

$$log(M/P)_t=-\alpha E_{t+1}-\gamma+u_t, \qquad (3)$$

სადაც: M არის მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ცვლილების ინდექსი; P - ფასების ინდექსი; $log(M/P)$ – რეალურ ფულად ნაშთზე მოთხოვნის ლოგარითმი; E – ინფლაციის მოსალოდელი დონე; α და γ – უცნობი პარამეტრები.

E ცვლადი დაკვირვებადი არაა, ამიტომ მისი $\Delta E_{t+1} = \beta(C_t - E_t)$ ადაპტური მოლოდინის გამოსახულებით შეავსეს. ეს უკანასკნელი t პერიოდში ინფლაციის დონის მოსალოდნელ ცვლილებას განსაზღვრავს, როგორც რეალური ინფლაციის მიმდინარე დონისა და განჭვრეტილი დონის სხვაობის წილს. შესაბამისად, E შემდეგნაირად გამოისახება:

$$E_{t+1} = \beta C_t + (1-\beta)E_t = \beta\left[C_t + (1-\beta)C_{t-1} + (1-\beta)^2 C_{t-2} + ...\right].$$

იგი ჩავსვათ (3)-ში, რითაც რეგრესიულ $\log(M/P)_t = -\alpha\beta\left[C_t + (1-\beta)C_{t-1} + (1-\beta)^2 C_{t-2} + ...\right] - \gamma + u_t$ მოდელს მივიღებთ.

ადაპტური მოლოდინის მოდელის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გამოყენებას ფრიდმენის მუდმივი შემოსავლების ჰიპოთეზაზე დაფუძ-

ნებული მოხმარების მოდელი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მისი მიზანმიმართული გამოყენება გაცილებით ეფექტიანს გახდის მართვის პროცესს.

იზა ნათელაური

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეფექტიანი დასაქმების მოდიფიცირებული მოდელის შესახებ

განასხვავებენ სრული დასაქმებისა და ეფექტიანი დასაქმების მოდელებს.

სრული დასაქმების მოდელი, კლასიკური ფორმით, ფუნქციონირებდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. იმ დროს უმუშევრობა არ არსებობდა. ყველა შრომისუნარიანი, გამონაკლისების გარდა, დასაქმებული იყო. დასაქმებაზე ზრუნავდა სახელმწიფო. სახელმწიფო ქმნიდა სამუშაო ადგილებს, ანაწილებდა მათ მომუშავეებზე, რომელთა უმეტეს ნაწილსაც მუშები შეადგენდნენ. უხდიდა მათ ხელფასებს. ხელფასი დასაქმებულთა და მათი ოჯახების არსებობის ძირითადი წყარო იყო.

განსხვავებით სრული დასაქმების სოციალისტური მოდელისაგან, რომელშიც ერთადერთი დამქირავებელი სახელმწიფო იყო და დაქირავებულებს შრომა უნაზღაურდებოდათ ეროვნული შემოსავლის ნაწილიდან – ხელფასის ფონდიდან, – „შრომის ანაზღაურების მეცნიერულად დასაბუთებული განაკვეთების საფუძველზე". ეფექტიანი დასაქმების საბაზრო მოდელი ასახავს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის. დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება ხდება დამქირავებელთა შემოსავლებიდან, დაქირავებულთა შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, მათი შრომის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით. ეფექტიანი დასაქმების საბაზრო მოდელის მიხედვით, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდება, უპირატესად, საბაზრო მექანიზმებითაა გაწონასწორებული; დასაქმებასთან ერთად, დაშვებულია უმუშევრობაც; სახელმწიფოს ვალდებულებაა უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე შენარჩუნება; გათვალისწინებულია პროფკავშირების აქტიური როლი; ქვეყნის შიგნით პროფესიული და ტერიტორიული მობილურობის ხარისხი მაღალია.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სრული დასაქმების სოციალისტური მოდელი შეცვალა ეფექტური დასაქმების მოდიფი-

ცირებულმა საბაზრო მოდელმა. ამ ქვეყნებში ეფექტიანი დასაქმების საბაზრო მოდელის მოდიფიცირება უკავშირდება დასაქმების მაკროეკონომიკურ წარსულს, მიმდინარე პერიოდის ეკონომიკურ კრიზისს და დასაქმების მიკროეკონომიკურ მყოფადსა და მომავალს.

მაკროეკონომიკური წარსულიდან, დიდი ქონების პატრონი და ერთადერთი დამსაქმებელი – სახელმწიფო, დასაქმებულთა მენტალიტეტი და შრომის მოტივაცია სამი უმნიშვნელოვანესი, გრძელვადიანი ეფექტების მატარებელი ფაქტორია. მათი ზემოქმედება შრომის ბაზრის ფუნქციონირებასა და დასაქმებაზე არსებითი იყო თავიდანვე და აქტუალურია ამჟამადაც.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური კრიზისის გავლენა დასაქმებაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ეკონომიკური კრიზისი გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის რეფორმირებამ და ეკონომიკური კავშირების რღვევამ, ინფლაციურმა პროცესებმა და უმძიმესმა სოციალურმა ფონმა. მოქმედი საწარმოები გაჩერდა, ახალი ვერ შეიქმნა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა, რამაც თავისი კორექტივები შეიტანა ეფექტიანი დასაქმების საბაზრო მოდელში, შექმნა შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი და შეცვალა სამუშაო ძალაზე ფასწარმოქმნის მექანიზმი.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფართომასშტაბიანი დასაქმების წამახალისებელ ღონისძიებებს, პროფესიული და ტერიტორიული მობილურობის წახალისებას, უმუშევართა დაცვას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტიმულირებას და სხვ. რაც შეეხება სახელმწიფოს აქტიურ როლს, იგი შენარჩუნდება მანამ, სანამ არ შეიქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მასშტაბური არ გახდება კერძო საკუთრება, სანამ არ გვექნება კერძო საკუთრების დაცვის სრულფასოვანი მექანიზმი, არ განვითარდება კონკურენცია და მობილური არ გახდება სამუშაო ძალა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით. გარდა ამისა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კვლავაც აქტუალურია სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედება სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა რომ გაიზარდოს, აუცილებელია – ახალი ეფექტიანი სამუშაო ადგილების შექმნა, მეწარმეობის განვითარება (მცირე საწარმოების მასიურად შექმნის სტიმულირება), ანაზღაურებადი საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიზება, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა და სხვ. რაც

შეეხება სამუშაო ძალის მიწოდებას, მისი გაზრდისათვის აუცილებელია პერსონალის პროფესიულ-კვალიფიციური დონის სისტემატიურად ამაღლება, თვითდასაქმების განვითარება, მიგრაციული პროცესების რეგულირება და სხვ.

ხათუნა ნუცუბიძე

საქართველოს ეკონომიკის საჯარო სექტორი: განვითარების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლება და თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა შეუძლებელია ეკონომიკის რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გარეშე, როგორიცაა – ეკონომიკის საჯარო სექტორი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემური საკითხების გადასაჭრელად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უცხოური ქვეყნების სასარგებლო გამოცდილების გამოყენება, არამედ ამ გამოცდილების საქართველოს ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით გამოყენება.

საქართველოში სახელმწიფო საკუთრების ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა 90-ანი წლების და XXI საუკუნის ახალი ათწლეულის რეფორმების შედეგად. ხოლო მისი ფუნქციონალური მნიშვნელობა კი გაიზარდა, რადგან სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო საკუთრებისა და, კერძოდ, საჯარო სექტორის გავლენა ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაზე ვლინდება ეკონომიკის საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობასა და მისი სოციალური შემადგენლის გაძლიერებაში, ინტეგრაციულ და გლობალიზაციურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის, სახელმწიფოთა შორის კონკურენციის გამკაცრების და თანამედროვე გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილების პირობებში.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, სამხედრო და ტერიტორიული უსაფრთხოება.

სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებების სრულყოფა მჭიდრო კავშირშია საქართველოს ეკონომიკის საჯარო სექტორის ფუნქციონირების ოპტიმალური და ეფექტური მიზნების და პრინციპების განსაზღვრასთან.

ასე, მაგალითად, საქართველოს მთავრობის პროგრამა – (2008 – 2012) "საქართველო სიღარიბის გარეშე" – განიხილავს სახელმწიფოს მთავრობის საქმიანობის შემდეგ ძირითად მიზნებს:

- მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სრული ტერიტორიული და სამოქალაქო რეინტეგრაცია.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს მთავრობის საქმიანობისა და ყურადღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საჯარო სექტორი. კერძოდ კი, – საქართველოს საჯარო სექტორში შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საჯარო სექტორის დაფუძნება ღირსებაზე დამყარებულ პრინციპებზე:
   - საქართველოს საჯარო სექტორის მართვის პრინციპების მიახლოება კერძო სექტორის მართვის პრინციპებთან მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
   - საჯარო სამსახურში საკონტრაქტო სისტემის ელემენტების დანერგვა;
   - საჯარო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების გაზომვადი მექანიზმების და მონიტორინგის მკაფიო კრიტერიუმების დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება მცირე, მოქნილი, გამჭვირვალე, ეფექტიანი საჯარო სამსახური;
   - მაღალი თანამდებობის პირებზე განსაკუთრებული ზედამხედველობის სისტემის შექმნა.
2. ანტიკორუფციული რეფორმების შენარჩუნება და გააქტიურება:
   - საჯარო სამსახურში ქონებრივი და ფინანსური დეკლარირების სისტემის გაუმჯობესება;
   - ეთიკის კოდექსის ნორმების დანერგვა;
   - დაქირავებისა და დაწინაურების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
   - მობილურობის გაზრდა საჯარო და კერძო სექტორებს შორის.
3. ელექტრონული ხელმოწერის და ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ქსელის დანერგვა:

- ელექტრონული ხელმოწერების და ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების დანერგვა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში.

მაშასადამე, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის საჯარო სექტორის ფუნქციონირების მთავარ მიზანს წარმოადგენს მისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება: სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრა, ეკონომიკის კერძო სექტორის ფუნქციონირების ოპტიმიზაცია და მისი ეფექტიანობის ამაღლება, საზოგადოებრივი სარგებლიანობის საბაზრო მაქსიმიზაცია ეკონომიკური ცხოვრების თანამედროვე პირობებში.

გოდერძი ტყეშელაშვილი

საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები

საქართველო ის ქვეყნაა, სადაც ეკონომიკის ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული გეგმიურიდან – თავისუფალ კერძოზე კატაკლიზმებით განხორციელდა. შედეგად ჯერ კიდევ შორსაა ქვეყნის ეკონომიკა, მაგ., 1985 წლის დონემდე. **მშპ**-ს მოცულობა, ჩვენი გაანგარიშებით, ჯერ კიდევ რამდენჯერმე ჩამორჩება გასული საუკუნის 80-იანი წლების მაჩვენებელს, მაშინ, როცა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინდუსტრიულ სახელმწიფოთა უმეტესობამ თავიანთი **მშპ**-ს მოცულობა 2-ჯერ და მეტად გაზარდა.

საქართველოს ეკონომიკა დამამცირებლად გამოიყურება ინდუსტრიულ სახელმწიფოთა ფონზე. აშშ, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და ა.შ. აწარმოებენ 46 – 50 ათას აშშ დოლარის **მშპ** ერთ სულ მოსახლეზე (მსოფლიო ბანკის 2007 წლის მონაცემებით), მაშინ, როცა, იგივე წყაროს თანახმად, ჩვენთან ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 3 ათასია, ანუ დაახლოებით 15 – 16-ჯერ ჩამოვრჩებით. ცუდი მდგომარეობა გვაქვს აღნიშნულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელში პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან შედარებითაც. კერძოდ **მშპ**-ს მოცულობა ერთ კაცზე, გასულ 2007 წელს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, რუსეთში შეადგენს 9 ათასს, უკრაინაში – 4 ათასს, ბელორუსიაში – 11 ათასს, ესტონეთში – 21 ათასს, სომხეთში – 3,4 ათასს, აზერბაიჯანში – 5,7 ათასს და ა.შ. [http //ru.vikipedia.org. გადამოწმებულია 14.11.2008.].

საქართველო **მშპ**-ს მიხედვით იმყოფება 117-ე ადგილზე, ხოლო მოსახლეობის რიცხვის მიხედვით – 114-ე ადგილზე, ანუ საშუალო მსოფლიო მაჩვენებლის შესაბამისობაშია, ხოლო გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო მსოფლიოში ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით.

ეკონომიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია შემდეგი სამი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიღწევა:

– **მშპ**-ს მოცულობის ზრდა;
– უმუშევრობის არსებობა აღიარებულ ნორმებში (საქართველოსთვის დაახლოებით 10 – 12%);
– ინფლაციის შენარჩუნება მხოლოდ ერთნიშნა რიცხვით განსაზღვრულის დონეზე.

ამ სამი პარამეტრის გარდა შეიძლება გამოვიყენოთ უამრავი მაჩვენებელი. მაგალითად, ეკონომიკის სტაბილურობაზე გავლენას ახდენს საშუალო ხელფასის და საშუალო შემოსავლების სიდიდე, ექსპორტ-იმპორტის სალდო, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტივობის კოეფიციენტი, სხვადასხვა დარგებში კაპიტალიზაცია და კაპიტალუკუგება და ა.შ. მაგრამ, რამდენადაც ესენი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან ზემოთ ჩამოთვლილ სამ განზოგადებულ პარამეტრს, ეკონომიკის სტაბილიზაციის პრობლემების განხილვა მხოლოდ მათი გამოყენებითაც შეიძლება.

საქართველოს **მშპ,** მიუხედავად იმისა, რომ დაბალი რჩება, ბოლო წლების განმავლობაში დინამიურად იზრდება. 90-იან წლებში მისი ერთბაშად ვარდნის ფონზე ასეთი დინამიკა დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ქვეყნის პოტენციალი, განპირობებული არსებული ტექნიკური ბაზით, შესაძლო ინვესტირებით და სამუშაო ძალის ხარისხით, უკეთესი შედეგების მიღწევის საშუალებას იძლეოდა და იძლევა.

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა და დინამიკა
(მიმდინარე ფასებში. მლნ. ლარი)

	2001	2002	2003	2004	2005	2006

მთლიანი შიდა პროდუქტი (სულ)	6674	7456	8564	9824	11621	13790
მათ შორის:						
– საქონლის წარმოება	2770	3130	3716	3986	4477	4539
– მომსახურება	3531	3903	4404	5079	5937	7615
– ფინანსური შუამავლობის პირდაპირი შეფასება	– 63	–73	– 78	– 75	–130	–107
– წმინდა გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე	436	495	522	835	1336	1743
– **მშპ** (მუდმივ ფასებში) პროცენტობით წინა წელთან	104,8	105,5	111,1	105,9	109,6	109,4
– **მშპ**-ის დეფლატორი, პროცენტობით წინა წელთან	105,3	106,0	103,3	108,1	107,9	108,5

ეროვნული ანგარიშები. სსსდ. თბ., 2007. გვ.134.

მშპ, 2001-დან 2006 წლამდე, გაიზარდა 6 674 მლნ. ლარიდან 13 790 მლნ. ლარამდე მიმდინარე ფასებით, ანუ 2,06-ჯერ. ინფლაციის გათვალისწინებით, ზრდა გაცილებით ნაკლებია, მაგრამ პროგრესი აშკარაა, თუმცა საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი, რომელიც თავისი შემცველობით გაცილებით მოკრძალებული იყო, ვიდრე **მშპ**, 1985 წელს შეადგენდა 22 645,1 მლნ. მაშინდელ მანეთს. ეს დღეისათვის, ჩვენი გაანგარიშებით, 70 მლრდ. ლარამდეა და გაცილებით მაღალია 2006 წლის მაჩვენებელზე [Народное хозяйство ГССР в 1987 году. Статистический ежегодник. Тб., 1988, с.14.].

მაკროეკონომიკური სტაბილურობის ისეთი პარამეტრი, როგორიცაა უმუშევრობა, ანუ დასაქმებულთა რიცხოვნობა საქართველოსთვის აშკარად ცუდად გამოიყურება. მართალია, სსსდ-ს ოფიციალურ გამოცემებში მისი დონე 11–13 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ აქ, გაზომვის მეთოდიკის თანახმად, დასაქმებულებად მიიჩნევა ე.წ. “თვითდასაქმებულები” და მოსახლეობის ის კატეგორია, რომელთაც საანგარიშო წელს მცირე პერიოდით მაინც ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო, ხოლო დაქირავებული შრომით დასაქმებულთა რეალური სურათი გაცილებით ცუდია. იგივე სსსდ-ს მიხედვით საქართველოში დასაქმებულები (დაქირავებული შრომით) ასე გამოიყურება (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

დასაქმებულები საქართველოში 2003 – 2008 წწ.
(კაცი)

წლები	2003	2004	2005	2006	2006	2008წლის 11კვარტალ.
დასაქმებულები	297795	322779	388946	360987	361209	331389

ცხრილიდან ჩანს დაქირავებული შრომით დასაქმებულების დინამიკის დადებითობა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის49 – 51% შრომისუნარიანია და საქართველოს მოსახლეობა 4,4 მლნ. კაცია, გამოდის, რომ სტაბილური ეკონომიკის პირობებში, დაქირავებული შრომით დაახლოებით 2 მლნ. კაცი უნდა იყოს დაკავებული, ხოლო დღეისათვის არსებული მონაცემები (331 389) აშკარად მოკრძალებულია.

რაც შეეხება ინფლაციის ტემპებს, იგივე ოფიციალური მონაცემებით 2008 წელს მისი სიდიდე 7%-ის ფარგლებშია, ხოლო ბოლო წლებში არ აღემატება 9%-ს, რაც შეუსაბამობაშია ფაქტობრივ მაჩვენებლებთან და მისი დონე გაცილებით მაღალი უნდა იყოს. ამასთან, ეროვნული ვალუტის – ლარის მერყეობაც სხვა – მსოფლიო ვალუტებთან მიმართებაში, მაგალითად, 1998 წელს და მიმდინარე პერიოდშიც, უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის სტაბილურ ფუნქციონირებაზე.

ბოლო პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით, სახეზეა ფინანსური კრიზისი, რაც იპოთეკური სესხების დაუბრუნებლობით და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ვარდნით დაიწყო, მსოფლიო საფონდო ბირჟებზე დაეცა ფასიანი ქაღალდების ღირებულებაც და საქმიანი აქტივობაც, შედეგად ვღებულობთ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც არ შეიძლება არ აისახოს საქართველოს ეკონომიკაზეც. ამ მიმართებით საჭიროა ქვეყნის ეკონომიკა მომზადებული შეხვდეს ამ კატაკლიზმებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში.

მოყვანილი მსჯელობა იძლევა საფუძველს დავასკვნათ საქართველოს მაკროეკონომიკური არასტაბილურობა. შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომ-

დინარეც, შეიძლება ეკონომიკა გაცილებით უარეს დღეში აღმოჩნდეს, ვიდრე დღესაა. ამ მიმართებით აუცილებელია:

– ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
– საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოწესრიგება;
– ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
– ეკონომიკის სხელმწიფო რეგულირების ოპერატიულობის და დასაბუთებულობის განვითარება.

ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში იგულისხმება ბიზნესისათვის საგადასახადო ტვირთის შემცირება, ხელსაყრელი საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ა.შ.

რეგულირებადი საგადასახადო დავების შემთხვევაში თავიდანვე ფიქსირდება საგადასახადო ორგანოების უპირატესობა. ამასთან, მიუხედავად ბოლო დროს გადასახადთა განაკვეთების ნაწილობრივი შემცირებისა, ის მაინც მაღალია ჩვენი ქვეყნისათვის და ბიზნესის გააქტიურებას არ უწყობს ხელს. ცნობილია ე.წ. "ლაფეტის წერტილი" [http // ru.vikipedia.org. გადამოწმებულია 14.11.2008.], რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ტვირთი კორპორაციებისათვის განვითარებად ქვეყნებში განისაზღვრება 10 – 20 %-იანი ინტერვალით. ჩვენს რეალობაში კი მხოლოდ **დღგ** შეადგენს 18%-ს, საშემოსავლო, რომელსაც, მართალია, დაქირავებული იხდის, მაგრამ გადახდაზე პასუხისმგებელი ფირმაა და შეადგენს 25%-ს დარიცხული ხელფასიდან, ასევე 15%-იანი განაკვეთით იბეგრება მოგება, რომ არაფერი ვთქვათ სხვა გადასახადებზე. ამასთანავე, ჩვენი საგადასახადო სისტემა არაპროპორციული და არადიფერენცირებულია, ესეც უარყოფითად აისახება სამეწარმეო აქტივობაზე.

საფინანსო-საკრედიტო სისტემა მეწარმეობასთან კავშირში ძირითადად კომერციული ბანკებით გამოიხატება. საქართველოში კომერციული სესხები გაცილებით მაღალპროცენტიანია, ვიდრე ინდუსტრიულ სახელმწიფოებში. ეს კი ამცირებს სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობას და განსაკუთრებით უარყოფითად აისახება გადამამუშავებელ მრეწველობაზე.

სამართლებრივი თვალსაზრისით სამეურნეო დავების აბსოლუტური უმეტესობა განიხილება საერთო სასამართლოებში, სადაც გადაწყვეტილებათა კვალიფიკაციაზე რომ არაფერი ვთქვათ, დავების განხილვა გაუმართლებლად ჭიანურდება, ხშირია წინასწარი დაყა-

დაღების შემთხვევები, დავა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე სასამართლო ინსტანციაში და ერთ-ერთმა მოდავე მხარემ, დიდი ალბათობით, შეიძლება განუზომლად იზარალოს. განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში.

ჩვენი კანონმდებლობით დაშვებულია კერძო საარბიტრაჟო სასამართლოები, მაგრამ მათი გადაწყვეტილებების აღსრულების გარანტიების უქონლობის გამო, სასამართლოების ავტორიტეტი ძალზედ დაცემულია და მინიმუმამდეა შემცირებული მათ მიერ განხილული საქმეების რაოდენობაც. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლო სისტემის აღდგენა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემა თითქმის არ იყენებს ისეთ ბერკეტებს, როგორებიცაა გადასახადთა დიფერენცირება, დარგობრივი დოტირება, ლიცენზირება და ა.შ. რის გამოც რეგულირება სტიქიურ ხასიათს ატარებს და, საერთო ჯამში, ვერ უზრუნველყოფს დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებას. საჭიროა ამ სისტემის სრულყოფაც.

ჩამოთვლილი მიმართულებების გამოსწორების გარეშე საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით გადამამუშავებელ და სამრეწველო სექტორში, შეუძლებელია.

ნინო ფარესაშვილი

უმუშევრობის შემცირება – ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი

საქართველოს განვითარების მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური პრიორიტეტების არარსებობა განსაზღვრავს დასაქმების პოლიტიკის წარმართვის სირთულეს. უმუშევრობის შემცირებისა და პროდუქტიული დასაქმების უზრუნველყოფის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ეკონომიკური ზრდა, რომელსაც თან ახლავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა (ამის გარეშე ნებისმიერი დასაქმების პოლიტიკა განწირულია). ამიტომ დასაქმების პოლიტიკის ფორმულირების მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, აუცილებელია მისი პოტენციური ზრდის წყაროების მოძიება. საქართველოს გააჩნია არსებითი უპირატესობანი კავკასიის რეგიონების სხვა ქვეყნებთან

შედარებით: გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივი სიმდიდრე და სასურველი ბუნებრივი კლიმატური პირობები.

ქვეყანაში ბოლო წლებში იკვეთება ეკონომიკური ზრდის ტემპები და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ორიენტირება კეთდება მთელი პოლიტიკის ინტეგრაციაზე მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში, მაშინ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დასაქმების პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი: ქვეყანაში პრიორიტეტულ დარგებში პროდუქტიული დასაქმების გაზრდა და დინამიკური ნაციონალური შრომის ბაზრის განვითარების საფუძველზე უმუშევართა დონის შემცირება. ასევე აუცილებელია, მოვამზადოთ მისი ჩართვის საფუძველი გეგმურ ინტეგრაციულ საერთაშორისო შრომის ბაზარზე, სადაც სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან მიმართულებებად მიგვაჩნია:

1. სახელმწიფოს ძალისხმევა სამუშაო ძალის განვითარებასა და შრომის ბაზარზე მოქალაქეთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად;

2. სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების ზრდის სტიმულირება, რომელიც მოიცავს შრომის ბაზრის ანალიზის, პროგნოზისა და მონიტორინგის სრულყოფის, სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების საკითხებს;

3. დასაქმების მხარდაჭერისა და განვითარების მიხედვით დარგობრივ ბაზრებზე სოციალური პარტნიორობის ფორმათა სრულყოფისათვის გატარებულ კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება-რეალიზაციას;

4. აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან განსაზღვრულ საერთოსახელმწიფოებრივ მიდგომებს და შრომის ბაზარზე ღონისძიებებისა და მოქმედებების ჩამონათვალის უშუალო ფორმირების უფლებათა დელეგირებას საქართველოს სუბიექტების მიერ;

5. შრომის რეგიონული ბაზრების პრობლემების გადაჭრას აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაინტერესებული ორგანოს მიერ რესურსების მოზიდვის დროს დამსაქმებლებს, პროფკავშირებს, ორგანიზაციებს, გაერთიანებებს შორის ურთიერთქმედებების მოგვარების პირობებში, რომლის მიზანიც უწყებათაშორისი ბარიერის მოხსნაა;

6. სახელმწიფო პოლიტიკის მიზნად შრომის ბაზარზე მუდმივი დასაქმების უზრუნველსაყოფი ღონისძიებების გატარებას არა მხოლოდ შრომისუნარიანი მოსახლეობის, არამედ იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ სოციალური და შრომითი მოწყობის პირობებში „სამისამართო“ მხარდაჭერას. ამასთან, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოსახლეობის სოციალურად

დაზარალებული ჯგუფების დასაქმების მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამების დამუშავებას;

7. რამდენადაც შრომის ბაზარი ფორმირდება მოზარდი თაობის რიცხოვნობის შემცირების პირობებში, რომელიც თავისთავად გამოიწვევს ახალი სამუშაო ძალების ნაკადის შემცირებას, აღნიშნულის გათვალისწინებით გატარდეს კარგად გააზრებული მიგრაციული პოლიტიკა;

8. ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული მიმართულებები და ღონისძიებანი, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან ფინანსური რესურსების კონსოლიდაციას, მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და შრომის ბაზარზე სოციალური თანამშრომლობის ინსტიტუტის განვითარებას;

9. საბიუჯეტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად გათვალისწინებული უნდა იყოს განსახორციელებელ ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის შემუშავება;

10. დასაქმების დარგობრივი პროგრამებისათვის აუცილებელია, დამუშავდეს სოციალური თანამშრომლობის ურთიერთქმედების ტიპური მოდელები საწარმოებში, რომელთაც განსხვავებული განვითარების პერსპექტივები აქვთ. აქედან გამომდინარე, შრომის ბაზარზე დასაქმების სამსახურების არსებობასა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოქალაქეების შრომით მოწყობაზე უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება. აუცილებელია გატარდეს ღონისძიებები დასაქმების სამსახურების ინფორმაციული სისტემის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი მოქალაქისათვის მიღწევადი უნდა იყოს ნებისმიერი ინფორმაციის მიღება და გაფართოვდეს დასაქმების სამსახურების მომსახურების სპექტრი;

11. შემოთავაზებული კონცეფციები, შესაძლებელია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუძემდებლურ დოკუმენტად იქცეს. ამასთან, სტრატეგიული მიზნების პრაქტიკული განხორციელება გვკარნახობს დაფინანსების გაფართოებას, აქტიური პროგნოზების დაგეგმვასა და რეალიზაციას, შესრულებელი სამუშაოების ეფექტიანობის შეფასებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას;

12. შრომითი პოტენციალის ფორმირებისა და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობა, არამედ არაკომერციული ორგანიზა-

ციებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტიური მოქმედება, რომელთაც აქტიური მოქმედების უნარი გააჩნიათ.

ამრიგად, შეთავაზებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და განხორციელებას შრომის ბაზარზე, უზრუნველყოფს შრომითი პოტენციალის მობილურობის ამაღლებას პროფესიული ადაპტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე.

მალხაზ ჩიქობავა

მოხმარების ფუნქციის შესახებ

მას შემდეგ, რაც მაკროეკონომიკა სამეცნიერო დისციპლინა გახდა, მრავალი ეკონომისტი იკვლევდა და დღესაც იკვლევს მომხმარებელთა ქცევის კანონზომიერებებს. მათ შექმნეს თეორიები, სადაც ჩამოყალიბებულია მოხმარებასა და შემოსავალზე არსებულ მონაცემთა განმარტების სხვადასხვა ხერხი. როგორ ღებულობენ ოჯახები გადაწყვეტილებას, თავიანთი შემოსავლის რა ნაწილი დახარჯონ დღეს და რა ნაწილი გადადონ სამომავლოდ? ეს საკითხი მიკროეკონომიკის სფეროს განეკუთვნება, რამდენადაც ის ეხება ცალკეული ეკონომიკური აგენტის ქცევას. მიუხედავად ამისა, ამ საკითხს არანაკლები მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკისათვის, ვინაიდან მოხმარებაზე გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობაზე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში. მოხმარების თეორიის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ისეთმა სახელოვანმა ეკონომისტებმა, როგორიცაა ჯონ მეინარდ კეინსი, ირვინგ ფიშერი, ფრანკო მოდილიანი და მილტონ ფრიდმენი. მათი გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ მოხმარების კანონზომიერებების ანალიზში სხვადასხვა მიდგომები.

ზემოთმოხსენიებული ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბებული მოხმარების ფუნქციები თავისებურად გვიხასიათებს მოხმარების მოცულობის დინამიკას მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის. მაგალითად, კეინსის ფუნქციაში მოხმარება, ძირითადად, განკარგვად შემოსავალსა და მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზეა დამოკიდებული. ამ ფუნქციისგან განსხვავებით, მოხმარების ბოლოდროინდელი გამოკვლევები ეფუძნება მომხმარებლის ქცევის ირვინგ ფიშერისეულ მოდელს. ამ მოდელში გამოკვლეულია დროთაშორისი არჩევანი და ის,

თუ როგორ ირჩევს მომხმარებელი მოხმარების დონეს ახლანდელი და მომავალი პერიოდისათვის, რითაც აღწევს კეთილდღეობის ყველაზე უმაღლეს შესაძლო დონეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ვიდრე მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, ისესხოს საშუალებები და დააგროვოს დანაზოგები, მოხმარების დონე დამოკიდებულია იმ რესურსების რაოდენობაზე, რომელსაც მომხმარებელი განკარგავს სიცოცხლის განმავლობაში. ამ ფუნქციაში ერთ-ერთი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს მოხმარების სიდიდეზე, საპროცენტო განაკვეთია.

ფრანკო მოდილიანის სასიცოცხლო ციკლის ჰიპოთეზა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სიცოცხლის განმავლობაში ადამიანის შემოსავალი იცვლება წინასწარ ცნობილი ოდენობით, მომხმარებლები სარგებლობენ დანაზოგებით და სასესხო საშუალებებით, რათა გადაფარონ მოხმარების რყევები სიცოცხლის განმავლობაში. ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ მოხმარება დამოკიდებულია როგორც შემოსავალზე, ასევე დაგროვებულ სიმდიდრეზე.

მილტონ ფრიდმენის პერმანენტული შემოსავლის ჰიპოთეზის შესაბამისად, შემოსავლის რყევები შეიძლება იყოს როგორ მუდმივი, ისე დროებითი. რამდენადაც მომხმარებლებს შეუძლიათ საშუალებათა სესხება ან დაზოგვა და მათ სურთ, გადაფარონ თავიანთი მოხმარების დონის რყევები, მოხმარება სუსტად რეაგირებს შემოსავლის დროებით ცვლილებებზე. ძირითადად, მოხმარება დამოკიდებულია პერმანენტულ შემოსავალზე.

კეინსის მოხმარების ფუნქციებისგან განსხვავებით, დანარჩენ ფუნქციებში საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა მოხმარების სიდიდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ჩვენი აზრით, პროცენტები სულ სხვაგვარ გავლენას ახდენს მოხმარებაზე, ვიდრე ეს ნაგულისხმებია ფიშერის, მოდილიანისა და ფრიდმენის მოხმარების ფუნქციებში. ეს უკავშირდება იმას, რომ პროცენტების არსებობა განაპირობებს შემოსავლების ფარულ გადანაწილებას საზოგადოების წევრებს შორის.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, რამდენადაც თითოეულმა უნდა გადაიხადოს პროცენტები, როდესაც ფულს სესხულობს საქონლისა და მომსახურების შესაძენად, იმდენად ნებისმიერს შეუძლია მიიღოს პროცენტები ფულის ბანკში განთავსებით. თანამედროვე ფულა-

დი სისტემა მთლიანობაში დადებით (ან უარყოფით) ზემოქმედებას ახდენს თითოეულ ინდივიდზე.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ვარაუდი არასწორია. სინამდვილეში, მათ შორის, რომლებიც მოგებულნი რჩებიან ამგვარი სისტემით და რომლებიც იხდიან პროცენტებს, უდიდესი სხვაობა არსებობს. ადამიანები, რომლებსაც ნაკლები ფულადი რესურსი გააჩნიათ, გაცილებით ნაკლებ შემოსავლებს ღებულობენ პროცენტების სახით, ვიდრე თავად იხდიან, ვინაიდან, პროცენტები ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ღირებულების შემადგენელი ნაწილია. ის მოქმედებს, როგორც არაპირდაპირი გადასახადი და, ცხადია, მას ნებისმიერი ჩვენგანი იხდის. აღნიშნული დებულება დასტურდება ემპირიული მონაცემებითაც. მაგალითად, გერმანელი მკვლევარი მარგარიტ კენედი თავის ნაშრომში – „ეკონომიკა პროცენტების გარეშე“ – გვიჩვენებს პროცენტების მიღებისა და გადახდის შედარებებს გერმანიის მოსახლეობის 10 ერთნაირი რაოდენობის ჯგუფისათვის. მ. კენედის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გერმანიაში მოსახლეობის პირველი 80% უფრო მეტად იხდის პროცენტებს, ვიდრე თავადვე ღებულობს; 10% ღებულობს რამდენადმე მეტს, ვიდრე იხდის, ხოლო უკანასკნელი 10% ღებულობს ორჯერ მეტს, ვიდრე იხდის. ეს ერთობლივად არის ის ნაწილი, რომელიც დაკარგა მოსახლეობის პირველმა 80%-მა. ეს ფაქტი ჩინებულად ხსნის იმ მექანიზმის არსს, შესაძლებელია ყველაზე მნიშვნელოვანისას, რომელიც მდიდრებს კიდევ უფრო ამდიდრებს, ხოლო ღარიბებს კიდევ უფრო აღარიბებს [Mergrit Kennedy: Interest and Inflation Free Money, Published by Seva International, 1995, p. 10.].

თუ უფრო ყურადღებით გავაანალიზებთ მოსახლეობის უკანასკნელი 10%-ის პროცენტებით მიღებულ შემოსავლებს, კვლავ აღმოვაჩენთ, რომ მოსახლეობის უკანასკნელი 1%-სათვის პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები თუ იზრდება 10-ჯერ, უკანასკნელი 0.1%-სათვის ის დაახლოებით 100-ჯერ მაინც გაიზრდება.

პროცენტები, როგორც ფულის ბრუნვის უზრუნველყოფის საშუალება თანამედროვე ფულადი სისტემის ფარგლებში, ფულადი შემოსავლების ფარული გადანაწილების საშუალებად გვევლინება, რომელიც ეფუძნება არა შრომით მონაწილეობას, არამედ შედეგია იმისა, რომ ვიღაცას შეუძლია ხელი შეუშალოს ეკონომიკის განვითარებას, ე.ი. საქონლისა და მომსახურების გაცვლას გაცვლის საშუალების გადანახვით, თუნდაც ამაზე მიიღებოდეს ჯილდო პროცენტების სახით. ამგვა-

რად, ბედის ირონიით, ადგილი აქვს ფულის გადადინებას იმათგან, რომლებსაც ის საჭიროზე ნაკლები აქვთ, მათ სასარგებლოდ, რომლებსაც ის საჭიროზე მეტი გააჩნიათ. საბოლოოდ, ვდებულობთ სიტუაციას, რომლის დროსაც სულ უფრო დიდი რაოდენობის ფულის კონცენტრირება ხდება სულ უფრო მცირე რაოდენობის ინდივიდებისა და ფირმების ხელში. 1980 წლიდან ფულის სპეკულაციიდან მიღებული შემოსავალი მსოფლიო მასშტაბით ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიო მასშტაბით ფულადი ოპერაციების თანხამ 15-20-ჯერ გადააჭარბა იმ თანხას, რაც პრაქტიკულად აუცილებელია ვაჭრობის, ე.ი. საქონელმიმოქცევის წარმართვის მიზნით [Helmut Creutz, Wachstum bis zur Krise, Basis Verlag, . Berlin, 1986, p.22.].

ცხადია, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კვალობაზე, ინდივიდების განკარგვადი შემოსავალი იზრდება, რაც იწვევს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას. მოკლევადიანი პერიოდისათვის კეინსის მოხმარების ფუნქცია მართებულად ასახავს მოხმარების დინამიკას. მაგრამ, გრძელვადიანი პერიოდისათვის აღნიშნული ფუნქცია უშვებს მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების კლებადობას, რაც არ დასტურდება ემპირიული მონაცემებით. მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების უცვლელობა, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას. როგორც ცნობილია, მაღალშემოსავლიანთა მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება უფრო მცირეა, ვიდრე დაბალშემოსავლიანების. პროცენტების ბუნებიდან გამომდინარე, თანამედროვე ეკონომიკაში საზოგადოების სულ უფრო მცირე ნაწილის ხელში ხდება მზარდი ფულადი სიმდიდრის კონცენტრაცია საზოგადოების სულ უფრო მეტი ნაწილის შემოსავლების ხარჯზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთა შეფარდებითი მდგომარეობა უარესდება. სხვა სიტყვებით, პროცენტების არსებობის გამო, მოსახლეობის დიდი უმეტესობიდან გადანაწილდება შემოსავლები მოსახლეობის სულ უფრო მცირე ნაწილის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელთა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სულ უფრო კლებულობს. შესაბამისად, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ის მზარდი ნაწილი, რომელთა შეფარდებითი მდგომარეობა უარესდება მოსახლეობის კლებადი ნაწილისადმი საკუთარი შემოსავლების ფარულად გადანაწილების გამო. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ოდენობა გრძელვადიანი პერიოდისათვის შემოსავლების ზრდის კვალო-

ბაზე არა თუ კლებადობით ხასიათდება, როგორც ამას ამტკიცებს კეინსის მოხმარების ფუნქცია, არამედ იზრდება. საბოლოოდ, მოხმარების ფუნქციას თუ შედარებით მოკლევადიანი პერიოდისათვის განვიხილავთ, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება შემოსავლების ზრდის კვალობაზე კლებულობს, მაგრამ, გრძელვადიანი პერიოდისათვის, ჩვენ მიერ ზემომოყვანილი მიზეზის გამო, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება იზრდება. ამგვარად, გრძელვადიანი პერიოდების მონაცემების გამოყენებით თუ გავიანგარიშებთ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების მაჩვენებელს, ის შედარებით მდგრადობით ხასიათდება. ვვარაუდობთ, რომ სწორედ ამ მიზეზით აიხსნება მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების უცვლელობა გრძელვადიანი პერიოდისათვის, რომლის ახნაც შეუძლებელია კეინსის მოხმარების ფუნქციით.

თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე

გარემოს დაცვის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი საქართველოში

ეკონომიკისა და გარემოს მდგომარეობის ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენა კანონზომიერი მოვლენაა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში წარმოშობილმა ეკონომიკურმა კრიზისმა თავისი გავლენა მოახდინა გარემო ბუნებაზე. შეფერხდა მრეწველობის განვითარება, შეასუსტა ან მთლიანად შეწყვიტა ფუნქციონირება მთელმა რიგმა სამრეწველო ობიექტებმა, შეწყდა ან შემცირდა წყალსა და ჰაერში მავნე სამრეწველო ნარჩენების გარემოში გაფრქვევა, ამით შერბილდა გარემოზე სამრეწველო ზეწოლა. სამაგიეროდ, გაიზარდა მოსახლეობის ნეგატიური გავლენა ბუნებაზე. ენერგოკრიზისის გამო მოსახლეობამ დაიწყო ტყეების გაჩეხვა და შეშის საწვავად გამოყენება, ყოველივე ამან ნეგატიურად იმოქმედა გარემო ბუნებაზე.

სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები იმისათვის, რომ შეაკეთონ ან აღადგინონ მწყობრიდან გამოსული სისტემები (დაიდგას ჰაერისა და წყლის გამწმენდი მოწყობილებები), უსახსრობის გამო ვერ ხერხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაცია (ნაგავსაყრელების მოწყობა) და სხვ.

ეკონომიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება სახელმწიფო კონტროლი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, რაც მათი აღწარმოების შეფერხებას იწვევს.

ვერ ტარდება დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ღონისძიებები. ეროზიის, დაჭაობების, დამლაშების საწინააღმდეგო ღონისძიებები დაფინანსებას საჭიროებს, უამისობა კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფართობის შემცირებას იწვევს.

როგორც განვითარებად ქვეყნებში, საქართველოშიც ეკონომიკის ზრდა, ძირითადად, ბუნებრივი რესურსების ექსპორტზეა დამყარებული. საქართველოდან გადის დაუმუშავებელი ხე-ტყე, წიადისეული და სხვა ნედლი მასალა, რაც, ბუნებრივი რესურსების მარაგის დროზე ადრე გამოლევას იწვევს. მაგალითად, ხის მორების მოსაპოვებლად გაჩეხილი ტყეების აღდგენას ათწლეულები ესაჭიროება, ხოლო მისგან გამოწვეული მეწყერები და წყალდიდობები აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობისათვის "მწვანე ფილტვების" მნიშვნელობაზე.

ფინანსური მდგომარეობის გამო სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და პერიოდული გამოცემებით საზოგადოების სისტემატურ ინფორმირებას გარემოს დაცვითი პრობლემების შესახებ. გარემოს დაცვითი საკითხები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ძირითადად ფრაგმენტულად შუქდება.

გარემოს მდგომარეობის გაუარესება ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს, რაც ამცირებს სამუშაო ძალის შრომის ნაყოფიერებას, საფრთხე ემუქრება ტურიზმის განვითარების პერსპექტივას, რომელიც დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის გარემოს სიჯანსაღეზე.

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგისა და გარემოსდაცვითი სამსახურების სათანადო მუშაობისათვის საჭირო თანხების გამოყოფას მაშინ, როცა ბუნებათსარგებლობაში სტატისტიკური აღრიცხვიანობის მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება. აღსანიშნავია, აგრეთვე, საქართველოში სუსტი საკანონმდებლო ბაზის არსებობა ბუნრბრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში.

გარემოს მდგომარეობის გაუარესება, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითებას იწვევს.

მარინა ცუცქირიძე

დასაქმების დონის ზრდის პროცესთა მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფის შესახებ

1. თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს დასაქმების დონის ზრდა წარმოადგენს. დასაქმების ზრდის პროცესთან დაკავშირებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, შრომის პოტენციალური რესურსების, მომუშავეთა შრომის ანაზღაურების, მათი პროფესიული მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ტემპები. ისინი საწარმოო და დარგობრივ სისტემებში დასაქმებულთა რიცხვის გაზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. ამ პროცესების რაციონალურად მართვა წარმოებისა და საერთოდ ეკონომიკური განვითარების ქმედითი საშუალებაა.
2. დასაქმების დონის ზრდის პროცესების მართვის გაუმჯობესება დასაქმების პროცესთა მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფასაც მოითხოვს. კერძოდ, ფირმებსა და კომპანიებში, შრომისუნარიანთა დასაქმების დონის ზრდის მიზნით, მიზანშეწონილია წარმოების მართვის სისტემის გარდაქმნა დასაქმების მართვის მიზნობრივი და ფუნქციონალური ქვესისტემების როლის გაძლიერებით. ფირმებში დასაქმების პროცესთა მართვის სრულყოფის მიღწევა შეიძლება მისი ოპერატიული, საბაზრო სტრატეგიული, პოზიტიური და ნორმატიული ასპექტების ურთიერთშეხამებით.
3. მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა და დასაქმების დონის ზრდა შეიძლება შემდეგი მიმართულებებით განხორციელდეს:
    1) დასაქმების პროცესების საბაზრო რეგულირების როლის გაძლიერებით სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად;
    2) გარდამავალი ეკონომიკის პირობებში დასაქმების მართვის სისტემის იმ ფაქტორებისადმი ყურადღების გაძლიერებით, რომლებიც ფირმას უზრუნველყოფენ აუცილებელი რაოდენობისა და კვალიფიკაციის შრომითი რესურსებით;
    3) ფირმაში არსებული დასაქმების სისტემის განხილვით, შრომის ბაზრის მოქმედების არეებთან და მის საზღვრებთან ერთად;

4) მართვის ისეთ მეთოდების შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების პროცესში მიღწეულ წონასწორულ მდგომარეობათა მდგრადობას, ფირმაში წარმოებისა და საბაზრო გარემოს მართვის ოპტიმალურობას;
5) დასაქმების პროცესების მართვის სისტემის წარმოებაზე ისეთი ზემოქმედებით, რომლებიც განაპირობებენ ფირმაში მომუშავეთა შრომითი შემოსავლების სტაბილურობას.

4. შრომისუნარიანთა დასაქმების დონის ზრდის პროცესების სწორად წარმართვა, ფირმის მართვის სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელოვან დანიშნულებას წარმოადგენს. დასაქმების პროცესთა მართვის შიდასისტემურ ფუნქციას ასრულებს ფირმის მართვის უმაღლესი ორგანო, ხოლო გარესისტემურ კავშირებს ახორციელებენ აქციონერების, საინვესტიციო კომპანიებისა და შრომის ბაზართან შუამავალი ფირმის წარმომადგენლები, ასევე სამართლებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ფირმის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება მართვის სისტემისათვის, ინფორმაციის მიწოდება, კონტროლი შრომითი რესურსების მიწოდებაზე და შრომის ანაზღაურების საზღვრების შერჩევა. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართვის ცენტრალური ქვესისტემების ფუნქციონირებას, რომლებიც ასრულებენ კვლევით, ინფორმაციულ და მარკეტინგულ ფუნქციებს.

დასაქმების დონის ზრდის პროცესების მართვის სრულყოფა ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ერთ-ერთი წანამძღვარია.

ფინანსების, საერთაშორისო ეკონომიკის სექცია

ხათუნა ბარბაქაძე

ფინანსური რესურსების მოზიდვის სტრატეგია

შეიძლება გამოიყოს ფინანსური საშუალებების მოზიდვის სტრატეგიის რამდენიმე ტიპი, რომლებსაც შეიძლება გააჩნდეთ, როგორც

შიდა, ასევე გარე ორიენტაცია. მაგრამ, როგორც წესი, ორგანულად უნდა მოიცავდეს ერთსაც და მეორესაც.

დაფინანსების გარე ორიენტაცია გულისხმობს ისეთ სასესხო საშუალებებზე დაყრდნობას, როგორიცაა ობლიგაციური სესხები და საბანკო კრედიტები, ხოლო დაფინანსების შიდა ორიენტაცია ითვალისწინებს საკუთარ საშუალებებს, როგორც საწესდებო კაპიტალს, ასევე მოგებას.

1. ჩამოყალიბებულ მდგრად ბაზრებზე მოქმედი საშუალო და მსხვილი სპეციალიზებული ფირმები იყენებენ სახსრებს საკუთარი საბაზრო ნიშის გაფართოებისათვის. მთლიანობაში ეს ნაკლებად მომგებიანია;
2. საშუალო და მსხვილი ფირმების ფინანსური რესურსების გაერთიანება ახალი ბაზრების ხელში ჩაგდების ძვირადღირებული პროექტების განსახორციელებლად;
3. დაფინანსების ყველა მისაწვდომი წყარო, როგორც სესხები, ასევე, აქციათა გამოშვება და კონსორციუმების შექმნა-გამოყენება მეცნიერებატევადი დარგების საშუალო და მცირე საწარმოთა პერსპექტიულ-ინოვაციური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციისთვის;
4. პროდუქციის მსხვილი ფირმა-მომხმარებლის დონორულ საშუალებათა მოზიდვა მათთან ვერტიკალური ინტეგრაციის ჩარჩოებში;
5. ჯვარედინი დაფინანსება (ფინანსური საშუალებების მაგენერირებელი ქვედანაყოფები მათ იმათთან ინაწილებენ, რომლებსაც მათი ნაკლებობა აქვთ).

დაფინანსების სტრატეგია განსაზღვრავს: ***პირველი,*** ფინანსური საშუალებების მოზიდვის შიდა და გარე წყაროების ოპტიმალურ ფარდობას; ***მეორე,*** ფასს, რომელიც ფირმას შეუძლია მათში გადაიხადოს; ***მესამე,*** ქვედანაყოფებს შორის ფინანსური რესურსების განაწილების (გადანაწილების) ხერხებს.

პირველი ამოცანა განსაკუთრებით რთულია და არ გააჩნია ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა. მიზეზი იმაშია, რომ ოპტიმუმიდან გადახრა ერთ და მეორე მხარეს ერთდროულად მეტისმეტად ხელსაყრელია და სარისკო.

ორიენტაცია მოგების გამოყენებაზე დაფინანსების ყველაზე უსაფრთხო ხერხია. მაგრამ, ***ჯერ ერთი,*** მისი ოდენობა, საერთოდ,

შეზღუდულია, რაც მკაცრ ჩარჩოებში აქცევს ფირმის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს. ***მეორეც,*** წარმოების გაფართოებასა და სრულყოფაზე მიმართული მოგების წილის ზრდა ლახავს მესაკუთრეების მიმდინარე ინტერესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ამ შეზღუდვების დაძლევა შეიძლებოდა აქციათა ემისიის ხარჯზე, რომელსაც დამატებით მოაქვს უდიდესი სახსრები. თუმცა კომპანიები ამ ნაბიჯზე, ჩვეულებრივ, მეტისმეტად უხალისოდ მიდიან და ამის მიზეზებიც არსებობს. საქმე ისაა, რომ აქციათა რეალიზებას ახდენენ უცხო პირები, მაშასადამე, გამოდიან ემიტენტის კონტროლიდან და შემდეგში თავისუფლად ხდება მათი ყიდვა-გაყიდვა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამრიგად, ადრე თუ გვიან, ისინი შეიძლება მოექცნენ ნებისმიერი პირის (მათ შორის კონკურენტისაც) ხელში, რაც საშუალებას მისცემს მას, დამფუძნებლებისთვის ცნობების გარეშე დაამყაროს კონტროლი კორპორაციაზე.

ამ კუთხით დაფინანსების გარე (სასესხო) წყაროების გამოყენება უფრო უპირატესია. მაგრამ ამ დროს ფირმა ხდება კრედიტორებზე დამოკიდებული, რომლებსაც შეუძლიათ მისი მიზანმიმართული გაკოტრება. თუმცა სასესხო საშუალებების გამოყენებამ კომპანიას შეუძლია დიდი სარგებელი მოუტანოს (და არა მარტო თავიდან ააცილოს მესაკუთრის ფარული ცვლა). საქმე იმაშია, რომ მათი წილის ზრდა განაპირობებს მისი მუშაობის ეფექტურობის მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლის – საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ზრდას. რაც უფრო მაღალია ის, მით უფრო მეტი მოთხოვნით სარგებლობს ფირმის აქციები, მაშასადამე, მით უფრო მაღალია მათი კურსი და, ამრიგად, თვით კორპორაციის ფასიც. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ მოზიდული კაპიტალი გამოიმუშავებს საკუთარი კაპიტალის თანაბარ მოგებას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში რენტაბელობის გამოთვლებიდან გამოირიცხება.

ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასესხო კაპიტალის წილის ზრდა შესაბამისად ზრდის გაკოტრების რისკსაც, რადგან ფირმას საჭირო მომენტში შეიძლება არ აღმოაჩნდეს სახსრები სესხების დასაფარად.

ფინანსური რესურსების მოზიდვის ზემოთ აღწერილი სტრატეგიების მრავალი ნეგატიური მხარე შეიძლება დავძლიოთ ლიზინგის – მოწყობილობის გრძელვადიანი იჯარის საშუალებით. ფირმა-ლიზინგის

გამცემი ყიდულობს (მათ შორის, ფირმა-ლიზინგის მიმღების დავალებითაც) და იჯარით გადასცემს ძირითადი კაპიტალის საჭირო ელემენტებს.

ზოგჯერ ადგილი აქვს დასაბრუნებელ ლიზინგს – სუბიექტი ყიდის ლიზინგური კომპანიის ქონებას და მას იღებს იჯარით უკუგამოსყიდვის შესაძლებლობით. შინაარსით ლიზინგი წარმოადგენს ძირითად კაპიტალში სასაქონლო კრედიტის ფორმას, ხოლო ფორმის მიხედვით საინვესტიციო დაფინანსების მსგავსია. არსებობს ლიზინგის შემდეგი ძირითადი ვარიანტები:

I. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით:

- პირდაპირი ლიზინგი (მომწოდებელი და ლიზინგის მიმცემი – ერთი პირი);
- არაპირდაპირი ლიზინგი (ქონებას ლიზინგით გასცემს არა მომწოდებელი, არამედ ფინანსური შუამავალი).

II. გარიგების ობიექტად ქცეული ქონების ტიპის მიხედვით (უძრავი და მოძრავი).

III. მისი დადების ადგილის მიხედვით (შიდა და გარე). შიდა ლიზინგის დროს ყველა მონაწილე წარმოადგენს ერთ მხარეს. გარე (საერთაშორისო) ლიზინგის დროს – სხვადასხვა სახელმწიფო.

IV. სახსრების დაბრუნების ფორმების მიხედვით გამოყოფენ ლიზინგს:

ფულადი გადახდით;

- საკომპენსაციო გადახდით (პროდუქციით? მომსახურებებით);

შერეული გადახდით.

V. მომსახურების მოცულობის მიხედვით:

- წმინდა ლიზინგი (ქონების ყველა მომსახურებასახორციელებს ლიზინგის მიმღები);
- დამატებითი მომსახურებით.

VI. ქონების გამოყენების ვადისა და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციის პირობების მიხედვით:

- სრული ამოსყიდვითა და სრული ამორტიზაციით;
- არასრულით;
- ანაზღაურების ხასიათის მიხედვით (ოპერატიული და ფინანსური ლიზინგი).

ოპერატიული ლიზინგი გულისხმობს იჯარით ქონების გადაცემას მისი ექსპლუარაციის ნორმატიულ ვადაზე ნაკლები დროით. ამიტომაც

ლიზინგური გადახდები ერთი ხელშეკრულებით არ ფარავენ ქონების მთელ ღირებულებას და მისი გადაცემა რამდენჯერმე ხდება. ამავე დროს, ჩვეულებრივ, ქონების დაზღვევისა და რემონტის ვალდებულებები ეკისრება ლიზინგის გამცემს. ლიზინგის ასეთი ფორმა გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებთან, სამშენებლო მოწყობილობასთან, სასოფლო-სამეურნეო და კომპიუტერულ ტექნიკასთან მიმართებაში.

ოპერატიული ლიზინგის დროს გადახდათა ოდენობები უფრო მეტია, ვიდრე სხვა ფორმების დროს, ლიზინგში ქონების განმეორებით შეთავაზების შეუძლებლობის დამატებითი რისკების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

ფინანსური ლიზინგი – საკუთრებაში ქონების სპეციალური შეძენის ოპერაცია სარგებლობაში შემდგომი გადაცემით ვადით, რომელიც დაახლოებით ემთხვევა ამორტიზაციისა და ექსპლუატაციის ვადას. ჩვეულებრივ, ქონების შეძენა ხდება კონკრეტული მომხმარებლისთვის, რომელიც თვითონ ირჩევს მას. რისკი გადადის ლიზინგის მიმღებზე.

ზოგჯერ გამოიყენება განცალკევებული ლიზინგი, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ლიზინგის გამცემის მიერ, ხოლო ნაწილობრივ – სესხების ხარჯზე. ამ დროს ძირითად რისკს სწევენ კრედიტორები.

სუსტი ფინანსური ბაზის მქონე, მაგრამ მაღალრენტაბელურ საწარმოებს, აგრეთვე, ახალ და მცირე საწარმოებს შეუძლიათ სუბლიზინგის გამოყენება. ლიზინგის გამცემი თავისთვის ამცირებს სესხის დაბრუნების რისკს, ღებულობს გარკვეულ საგადასახადო (ქონებაზე) და ამორტიზაციულ შეღავათებს.

ლიზინგის მიმღები იძენს:

- 100%-იან დაფინანსებას;
- სახსრების დაუყოვნებლივი დაბრუნების აუცილებლობის არარსებობას;
- ყველასთვის მოსახერხებელი გადახდის სქემის შექმნის შესაძლებლობას;
- ლიზინგის მიმღებისთვის მორალური და ფიზიკური ცვეთის რისკის შემცირებას;
- გადასახადით დაბეგრილი მოგების შემცირებას, რადგან ლიზინგური გადასახდელები მიეკუთვნება დანახარჯებს;

- პროდუქციის ბრუნვის დაჩქარებას, სტპ-ს მიღწევების ათვისებისა და სიახლეების დანერგვის სტიმულირებას.

პრაქტიკაში გამოიანგარიშება კაპიტალის საშუალო-შეწონილი, ანუ მიმდინარე ფასი (კსშფ), რომელიც ხშირად გამოიყენება ეტალონისა და დისკონტირების განაკვეთის სახით მოქმედებათა შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრისა და დამატებითი კაპიტალის მოზიდვის პირობათა ხელსაყრელობის შედარებისთვის.

კაპიტალის მოზიდვის სტრატეგიის ნებისმიერი ახალი ვარიანტის შედარება ხდება მის მოქმედ ფასთან ან შემოსავლიანობის შიდა ნორმასთან და, თუ ის მაღალი აღმოჩნდება, მაშინ მისი სტრატეგია შემუშავდება იმის მიხედვით, თუ რა ორიენტაცია აქვს საწარმოს, შიდა თუ გარე.

აბესალომ გაბრიჭიძე

ეფექტიანი ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპები

ნებისმიერი კომპანია სწორად დაგეგმილი ფინანსური მართვის საფუძველზე აღწევს მნიშვნელოვან მასშტაბებს და სწორედ ესაა საბიუჯეტო მართვა. ბიუჯეტები საშუალებას იძლევა, განვახორციელოთ სამი ძირითადი მმართველობითი ამოცანა: ***პირველი,*** მოვახდინოთ ფინანსური მდგომარეობის, ფინანსურ რესურსებში მოთხოვნათა, ფინანსური შედეგების პროგნოზირება; ***მეორე,*** შევადაროთ დაგეგმილი და ფაქტობრივად მიღებული შედეგები; ***მესამე,*** შევაფასოთ და გავაანალიზოთ გამოვლენილი გადახრები, რათა დროული რეაგირება მოვახდინოთ მათზე.

ბიუჯეტების სისტემა გვიჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებს საწარმო, როგორია მის მიერ შექმნილი ღირებულების სტრუქტურა; საწარმოში როგორ შემოდის ფული და სად იხარჯება ის, როგორ გადაედინება პასუხისმგებლობა ერთი ცენტრიდან მეორეში; რა ღირს ქვედანაყოფთა მომსახურებები კომპანიის შიგნით. შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტირება გენერალურ დირექტორს უადვილებს საწარმოს ეკონომიკური მოდელის გაგებას, შესაძლებლის ფარგლების შეგრძნებას. გარდა ამისა, ბიუჯეტირება წარმოადგენს საწარმოს სტრატეგიის შესრულების ინსტრუმენტს, ის იძლევა საშუალებას, შევათანხმოთ კომპანიის სტრატეგიული მიზნები მათი მიღწევის გეგმებთან და

აკავშირებს რა მათ ოპერატიულ პროცესებთან, უზრუნველყოფს ამ გეგმების რეალიზაციას.

საბიუჯეტო მართვის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამი ძირითადი ბიუჯეტი: ***პირველი,*** შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტი (შხბ); ***მეორე***, ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი (ფსმბ); ***მესამე,*** პროგნოზული ბალანსი.

ბიუჯეტებიდან თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს. *შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტი* გვეხმარება, ვმართოთ ოპერაციული ეფექტურობა. მასში იგეგმება კომპანიის მოგება, რენტაბელობა, მწარმოებლურობა. ამ ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ როგორც მთლიანობაში საწარმოს ეფექტურობის, ისე ბიზნესის ცალკეული მიმართულებების შესახებაც.

ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი ასახავს შემავალ და გამომავალ ფულად ნაკადებს და გვიჩვენებს საწარმოს გადახდისუნარიანობას: ჰყოფნის თუ არა მას ფული მიმდინარე საქმიანობაზე, რჩება თუ არა სახსრები განვითარებაზე. თუ შხბ-დან გენერალურ დირექტორს ესმის, რა მოგებას გამოიმუშავებს მისი საწარმო, მაშინ ფსმბ გვიჩვენებს, თუ როდის შემოვა და როდის დაიხარჯება ეს ფული.

მაგალითად, კომპანიას შეუძლია დიდი რენტაბელობით მოახდინოს პროდუქციის რეალიზება და ჰქონდეს უდიდესი მოგება, მაგრამ, ამავე დროს, მომწოდებლებს შესთავაზოს გადასახდელის არსებითი გადავადებები. ასეთ შემთხვევაში შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტში ხელმძღვანელი დაინახავს შესანიშნავ მოგებას, ხოლო ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტში სახსრების ნაკადი იქნება მინიმალური. თუ ამ დროს საწარმომ ანგარიში უნდა გაუსწოროს საკუთარ მომწოდებლებს, ის, კარგი გაყიდვების მიუხედავად შეიძლება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. შესაბამისი ბიუჯეტები საშუალებას მოგვცემს უკვე დაგეგმვის სტადიაზე დავინახოთ ეს სიტუაცია და წინასწარ მივიღოთ გამაფრთხილებელი ზომები. პროგნოზული ბალანსი ასახავს ქონების ღირებულებას, რომელსაც ფლობს საწარმო (აქტივები) და სახსრების წყაროებს ამ ქონების ფორმირებისთვის (პასივები). ბალანსი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება კომპანიის კაპიტალი, მისი სტრუქტურა, დაფინანსების თუ რომელი წყაროების ხარჯზე არსებობს კომპანია.

თუ საწარმო რამდენიმე სახის ბიზნესს აწარმოებს, რომლებიც მოგების შედარებით დამოუკიდებელ წყაროებს წარმოადგენენ, თითოეულ ბიზნესს უნდა გააჩნდეს საკუთარი ბიუჯეტი – ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ საქმიანობის შედეგები თითოეული მიმართულების მიხედვით და უზრუნველვყოთ ეფექტური მართვა. სხვაგვარად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთი სახის ბიზნესი არსებობს სხვა ბიზნესის ხარჯზე. ნებისმიერი კომპანია, მცირეც კი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჰოლდინგი. მას გააჩნია მმართველი ბლოკი და ბიზნეს-მიმართულებები, რომლებიც თანა-მოქმედებენ ერთმანეთთან. გენერალურმა დირექტორმა თვალყური უნდა ადევნოს ბიზნეს-ერთეულების ძირითად მაჩვენებლებს. მისთვის არ არის აუცილებელი, უფრო ღრმად ჩაწვდეს იმ დრომდე, სანამ არ გაჩნდება პრობლემები. მაშინ უკვე საჭიროა პრობლემების გაანალიზება.

გენერალური დირექტორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს კიდევ ერთი ბიუჯეტი – საინვესტიციო. ინვესტიციებზე მიმართული ფულადი ნაკადი – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია განვითარების სტრატე-გიაზე, ამიტომ მას მკაფიოდ უნდა ესმოდეს, თუ რა საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია კომპანიას, თუ რაზე მიიმართება საინვესტიციო რესურსები, როგორია დაბანდებათა ეფექტურობა. ზოგჯერ ეს ბიუჯეტი განიხილება, როგორც ბიუჯეტის დამოუკიდებელი სახე, ზოგიერთ კომპანიაში ის არის ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტის განყოფილება.

რამდენი კომპანიაცაა, იმდენივეა ბიუჯეტთა სტრუქტურაც. მაგრამ არსებობს საერთო წესები. ბიუჯეტების სტრუქტურა დაკავშირებული უნდა იყოს ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრებთან, კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ამოცანებთან, რომლებსაც ის აყენებს საკუთარი თავის წინაშე. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია გამოყოს თავისი საქმიანობის ძირითადი სახეები, მაგალითად, გაყიდ-ვები, წარმოება, სერვისი, შიდა ოპერაციული მომსახურება. როგორც წესი, ბიუჯეტების სტრუქტურა აიგება იმავე პრინციპით: გაყიდვების ბიუჯეტი, წარმოების ბიუჯეტი, სერვისულ ქვედანაყოფთა ბიუჯეტი და ა.შ. თუმცა, შეიძლება თანამშრომელთა მთელი საქმიანობა დავყოთ ოპერაციულსა და განვითარებასთან დაკავშირებულზე. ჩვენი აზრით, დინამიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ცალკე მოვახდინოთ

ხარჯების ბიუჯეტირება. ეს შეიძლება იყოს როგორც ცალკე სტრიქონი ბიუჯეტში, ისე ცალკეული ბიუჯეტიც.

გენერალურმა დირექტორმა ბიუჯეტების შემუშავებისას, სანამ საფინანსო სამსახურს დაავალებს ბიუჯეტების შედგენას, უნდა შეიმუშაოს სტრატეგია, მიიღოს მკაფიო პასუხი კითხვაზე: რა ზღვარს უნდა მიაღწიოს კომპანიამ გრძელვადიან პერსპექტივაში. ამის გათვალისწინებით საჭიროა განისაზღვროს მიზნები უახლოესი წლისთვის: რა ძირითად საწარმოო ან საბაზრო მაჩვენებლებს გსურთ რომ მიაღწიოთ, რომელი პროექტების რეალიზება უნდა მოახდინოს თქვენმა კომპანიამ ამ წელს შემუშავებული სტრატეგიის გათვალისწინებით? ამის შემდეგ შეიძლება შეუდგეთ თავდაპირველად წლის ბიუჯეტის, ხოლო შემდეგ უფრო მოკლე ვადით ბიუჯეტების შედგენასაც.

1 ნაბიჯი. ბიუჯეტის შედგენის წლიური ციკლი იწყება მენეჯერების საკუთარი გუნდისთვის გენერალური დირექტორის "საბიუჯეტო გზავნილით". მასში უნდა გამოიყოს ძირითადი მიმართულებები და განისაზღვროს ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა მიღწევა მოხდეს. ეს დოკუმენტი უნდა საფუძველი უნდა იყოს ყველა ქვედანაყოფის ბიუჯეტთა შემუშავებისთვის.

2 ნაბიჯი. მიიღებს რა მიზნობრივ ორიენტირებს, თითოეულმა ქვედანაყოფმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაოს საკუთარი გეგმები საკუთარი შესაძლებლობებისა და რესურსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის ამა თუ იმ სტრიქონზე პასუხისმგებელ თანამშრომელთა ბიუჯეტირების პროცესში ჩართვა საშუალებას იძლევა, გადაიჭრას რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა:

- შემცირდეს ბიუჯეტირების პროცესის სირთულე მისი დეცენტრალიზაციის გზით;
- ამაღლდეს კონკრეტული შემსრულებლების პასუხისმგებლობა მათთვის ბიუჯეტის განსაზღვრული მაჩვენებლების შესრულებაზე პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილებების დელეგირების გზით;
- აიგოს კომპანიის ფინანსურ გეგმებთან დაკავშირებული მოტივაციის ეფექტური სისტემა.

მთლიანობაში, ბიუჯეტირების პროცესზე პასუხისმგებელი უნდა იყოს კომპანიის ფინანსური დირექტორი. ხოლო იმისათვის, რომ ეს პროცესი არ იყოს ქაოსური და არ გაიწელოს უსასრულობამდე, ფინანსურმა სამსახურმა ფინანსური დირექტორის მეთაურობით უნდა

შეიმუშაოს საბიუჯეტო რეგლამენტი, რომელიც დააფიქსირებდა ბიუჯეტის შედგენის ეტაპების თანმიმდევრობას, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. რეგლამენტი უნდა დაამტკიცოს გენერალურმა დირექტორმა, როგორც ხელმძღვანელმა, ან ბიუჯეტირების სისტემის კონტროლისთვის სპეციალურად შექმნილმა მმართველობითმა ორგანომ – საბიუჯეტო კომიტეტმა.

3 ნაბიჯი. მას შემდეგ, რაც პასუხისმგებელი თანამშრომლები შეიმუშავებენ საკუთარ ბიუჯეტებს, ფინანსური სამსახური მათ აერთიანებს და უგზავნის განსახილველად ხელმძღვანელს. არ არის გამორიცხული, რომ მიღებული კრებსითი ბიუჯეტი დაშორებული იქნება კომპანიის სტრატეგიული მიზნებისგან. მაშინ დაიწყება შეთანხმება და ბიუჯეტები შეიძლება დაბრუნდეს ბოლომდე დასამუშავებლად. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა მხარე არ შეათანხმებს საკუთარ ინტერესებს, არ მოიყვანენ სასურველ მიზნებს შესაძლებლობებთან და რესურსებთან შესაბამისობაში.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბიუჯეტის შედგენა – ეს კომპანიის მიზნების მიღწევაზე მიმართული შეთანხმებული მოქმედებების შესახებ ყველა დონის მენეჯერებს შორის ხელშეკრულების დადების, კოლექტიური დაგეგმვის პროცესია. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მენეჯერების გუნდი გადაწყვეტილების ქვეშ კოლექტიურად აწერს ხელს ერთობლივად დასახული მიზნების მიღწევას. როდესაც ეს პროცესი კონსტრუქციულადაა ორგანიზებული, მიმდინარეობს დიალოგი და ყველა კმაყოფილი რჩება შედეგით, თითოეული პასუხისმგებელია, საკუთარ უბანზე მიაღწიოს იმას, რაც დამტკიცებულია ბიუჯეტში. ნათელია, რომ თუ გეგმა არ მუშაობს, როგორც მიღწეული შედეგების ანალიზისა და კონტროლის ინსტრუმენტი, არ წარმოადგენს საფუძველს მენეჯერებისა და თანამშრომლების მოტივაციის სისტემის ასაგებად, მაშინ მისი მნიშვნელობა უფასურდება. კონტროლის ოპტიმალური ციკლი – თვეა. თვეში ერთხელ ჯამდება შედეგები, რომლებსაც აჯერებენ გეგმებთან, ვლინდება გადახრები და მათი მიხედვით მიიღება გადაწყვეტილებები. მთავარი მაჩვენებლები, რომლებიც უნდა აკონტროლოს გენერალურმა დირექტორმა, ასახავს ბიზნეს-ერთეულების საქმიანობას: შემოსავლები, მოგება, გასავლების ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლები. ბიზნეს-ინდიკატორების ეს ძირითადი პანელი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, მიაღწიეს თუ არა ქვედანაყოფებმა დასახულ მაჩვენებლებს. გეგმასთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში გენერალურ

დირექტორს აქვს უფლება, ისაუბროს ხელქვეითებთან მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. გამოვლენილი გადახრების შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილებები: ან ამ უბნებში უნდა გაიგზავნოს დამატებითი რესურსები, ან მოვახდინოთ იმ გეგმების კორექტირება, რომლებიც აღმოჩნდა არარეალური, ან ვაწარმოოთ გადაადგილება იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები ვერ უმკლავდებიან ამოცანებს.

კონტროლის პერიოდულობა დამოკიდებულია ორგანიზაციის მასშტაბსა და მისი საქმიანობის სპეციფიკაზე. გენერალურ დირექტორს ხშირად უწევს მრავალი ფუნქციის შესრულება, მათ შორის დაკავებულია ოპერატიული კონტროლით. ასეთ კომპანიებში მას შეუძლია გადახედოს ანგარიშებს ბიუჯეტის გამოყენების შესახებ კვირაში ერთხელაც. მაგალითად, სავაჭრო კომპანიაში, რომელიც იყენებს მცირე დარიცხვებს და რომელიც უკვე მეორე დღეს გადაურიცხავს მიმწოდებლებს მიღებული საშუალებების დიდ ნაწილს, გენერალურ დირექტორს შეუძლია ყოველ დილით ჩაიხედოს ფსმბ-სა და საგადასახდელო კალენდარში. მაგრამ მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელი ასე ვერ მოიქცევა, ვინაიდან მას უბრალოდ არ ეყოფა დრო უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად.

თამარ გამსახურდია

გადასახადები - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

ჩვენს ქვეყანაში ათიოდე წლის წინ გაბატონებული იყო რიგ პოლიტიკოსთა თუ ეკონომისტთა, თეორეტიკოს-პრაქტიკოსთა მოსაზრება, რომ საბაზრო მექანიზმი ავტომატურად უზრუნველყოფს წონასწორობას გადასახადების რეგულირებაში.

ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის მორის ალეს გადმოცემით, "თანამედროვე საგადასახადო კანონმდებლობა" მნიშვნელოვანწილად ანტილიბერალურია და ინდივიდუუმის წინააღმდეგაა მიმართული; იგი ხელს უშლის პიროვნების ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლინებას და საზოგადოების ყველაზე უნარიანი წევრების წინსვლას საზოგადოებ-

რივი ცხოვრების კიბეზე” [მორის ა. საგადასახადო სისტემის რეფორმისათვის, მოსკოვი, «ТЕИС» 2001, 13-25.].

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ გადასახადებმა რიგითი მოქალაქის კეთილდღეობა მინიმალურად უნდა დააზიანოს და ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკამ შუალედური გზა უნდა იპოვოს [Slemrod J., Yitzhaki S. Tax Avoidance. Evasion and Administration. NBER WP No 7473. 2000. p.26.].

სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტენდენციათა სახელმწიფო რეგულირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. საგადასახადო პოლიტიკის არსი მნიშვნლოვნად სცდება საგადასახადო ღონისძიებების ჩარჩოებს, ვინაიდან სწორი საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

საგადასახადო პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო აქტიურად ერევა “ბაზრის ფუნქციონირებაში”, არეგულირებს წარმოების განვითარებას, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საინვესტიციო პოლიტიკასა და სტრუქტურულ გარდაქმნებზე.

საქართველო, როგორც ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნები, ეკონომიკური სტრუქტურების რეფორმების სტადიაში იმყოფება. მისი გამოცდილება, საბაზრო სისტემის ფორმირებასა და გამოყენებაში არცთუ ისეთი დიდია. მსგავს პირობებში მნიშვნელოვანია შევისწავლოთ საბაზრო მეურნეობის საგადასახადო სისტემების მოდელები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.

პირველი მოდელი (ამერიკული, ანუ ლიბერალური) უკავშირდება ეროვნული მეურნეობის განვითარების პირდაპირ-ადმინისტრაციულ მარეგულირებელ შეზღუდვებს (ბეგარის შემცირება სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვით, კრედიტების ლიბერალიზაციით და ა.შ.), სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების შემცირებით, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების მცირე წილით. ამასთან, ეკონომიკის ყველა სფეროში მთავარი როლი თვითრეგულირებად საბაზრო მექანიზმს ეკუთვნის.

საბაზრო მეურნეობის ამერიკული ტიპი ღირსშესანიშნავია იმით, რომ მისი ეკონომიკური მოდელი შედარებით უფრო მოქნილია. ის მიმართულია მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ. სამეწარმეო აქტივობა უფრო მაღალია, რაც განპირობებულია კაპიტალდაბანდების ფართო, ალტერნატიული ნაკრებით. მაგრამ ამ შემთხვევაში ბაზრის მოდელი

ეყრდნობა ინდივიდუალურ მიღწევებს, რის შედეგადაც ჩნდება სოციალურად არასაკმარისად დაცული საზოგადოებრივი ფენები, რაც წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ცხოვრების დონის მკვეთრი დიფერენციაციის მიზეზს. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, თუ მსგავს პროცესებს განვიხილავთ ხანგრძლივი დროის ასპექტში, შეიძლება საერთო არასტაბილური სიტუაცია შეიქმნას [Summers L. Tel Lessons to Learn – The Economist, January 5, 1996. p. 25-27.].

შემდეგი მოდელი, რომელიც შედარებით კარგად არის განვითარებული გერმანიასა და იაპონიაში, ხასიათდება ეროვნულ მეურნეობაზე სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედებით, სოციალური უზრუნველყოფის მძლავრი სისტემით, ქვეყნის ბიუჯეტში სახელმწიფო შემოსავლების და სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი წილით.

საბაზრო მეურნეობის იაპონურ-გერმანული მოდელი უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობის მაღალ საბოლოო შედეგებს (პირველ ყოვლისა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს), რადგან, ერთი მხრივ, დაცულია დასაქმებულთა ინტერესები, უფლებები და მოვალეობების ბალანსი, და, მეორე მხრივ, დაქირავებული შრომა.

სახელმწიფოს რეგულირების პრინციპი დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის და კონკრეტული პრობლემის სპეციფიკაზე, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს წინაშე განვითარების მოცემულ ეტაპზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები, ფორმები და მეთოდები იცვლება საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, რადგანაც მიმდინარე ტექნიკური ძვრების დაწყებისთანავე ხდება სახელმწიფო ფუნქციების განვითარება, გამდიდრება, დაზუსტება.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმები თავიდანვე იყო ორიენტირებული ბაზრის ლიბერალურ მოდელზე ორიენტირებული, რაც გამოიხატა სახელმწიფოს ჩაურევლობაში ეკონომიკური პროცესების რეგულირებისას, კერძოდ სახელმწიფო: 1. არ მონაწილეობს მაკროდონეზე დაგეგმაში; 2. არ ერევა სამეურნეო საქმიანობაში; 3. არ ახორციელებს ფასების ლიბერალიზაციას; 4. ნელი ტემპებით ახორციელებს პრივატიზაციის პროცესს. აღნიშნულმა პოლიტიკამ მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური შედეგები გამოიღო. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ჩამორჩება ეკონომიკური განვითარებით

ქვეყანა, მით მეტი სამეურნეო ფუნქციები უნდა იტვირთოს სახელმწიფომ.

სახელმწიფოს მოქმედ და ეფექტურ მარეგულირებელ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს საგადასახადო მექანიზმი. საგადასახადო სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ეკონომიკურ გადაწყვეტილებების შედეგიანობა. სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკური განვითარებაზე პიდაპირი და ირიბი მეთოდებით, მოიცავს: დაბეგვრის რეგულირებას, ბეგარის ამოღების ვადას, საბეგარო ტარიფს, დასაბეგრ სუბიექტსა და ობიექტს, დასაბეგრ ბაზებს, შეღავათებსა და სანქციებს, დაბეგვრის პირობების შეცვლის ვადებს. სახელმწიფო, ერთი მხრივ, სტიმულს აძლევს მეწარმეობას და, მეორე მხრივ, განსაზღვრავს მას საერთო-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

გადასახადებით რეგულირების მეთოდების გამოყენება მრავალ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული, რომელიც გადასახადის ფისკალური არსიდან გამომდინარეობს. ამის გამო, გადასახადის, როგორც ეკონომიკური მარეგულირებელ-მასტიმულირებელის ეფექტით გამოყენება – საკმაოდ რთული ამოცანაა.

ლილი გვენეტაძე

ლიკვიდურობის მართვის როლი კომერციული ბანკების ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

1. საქართველოში 2000 წელს სულ 32 კომერციული ბანკი იყო. 2007 წელს მათი რიცხოვნობა შემცირდა და 19 გახდა. ამასთან, კომერციული ბანკების გაცხადებული საწესდებო ფონდი 2007 წელს, 2000 წელთან შედარებით, დაახლოებით 2, 6-ჯერ გაიზარდა და 524,6 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება კომერციული ბანკების დაჯგუფებას განაღდებულ საწესდებო კაპიტალის მიხედვით, მიმდინარე წლის დასაწყისისათვის 10 მლნ. ლარი და მეტი განაღდებული საწესდებო კაპიტალი 15 კომერციულ ბანკს, ხოლო 5-დან 10 მლნ ლარამდე 4 კომერციულ ბანკს გააჩნდა.

ზრდის ტენდეციით ხასიათდება კომერციული ბანკების როგორც აქტივები, ისე სააქციო კაპიტალი. 2007 წელს, 2005 წელთან შედარებით, კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 2,8-ჯერ გაიზარდა, ხოლო სააქციო კაპიტალი – დაახლოებით 3-ჯერ და 1 471,0 ათასი ლარი შეადგინა. კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცე-

მული სესხებით დავალიანების მოცულობა 2007 წელს, 2005 წელთან შედარებით, 2,6-ჯერ გაიზრდა და 4 436,7 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში გაიზრდა კაპიტალის რეზერვები და გაუნაწილებელი მოგებაც. ასეთ პირობებში საბანკო სექტორის ფინანსური უსაფრთხოების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

2. საფინანსო სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და საკმაოდ სწრაფად ვითარდება. საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში საბანკო სექტორი წარმოადგენს. საბანკო სექტორი, მისი ფუნქციებისა და ოპერაციების მიხედვით, იყოფა ცენტრალურ ბანკად და კომერციულ ბანკებად. საქართველოს ცენტრალურ ბანკს საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საერთოდ ქვეყნის საფინანსო სისტემის და კერძოდ კომერციული ბანკების სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, მათი მეშვეობით ეკონომიკაში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის გადანაწილება ხდება. კომერციული ბანკი განსაკუთრებული ინსტიტუტია, სადაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ხდება ფულადი საშუალებების აკუმულირება და ყოველგვარი ტიპის უნაღდო ანგარიშსწორება. ამიტომ სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების პრობლემები დაუყოვნებლივ აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. ასეთ პირობებში საბანკო სექტორის მდგრადობა ქვეყნის საფინანსო უსაფრთხოებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

3. საბანკო სექტორის ფინანსური უსაფრთხოების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ლიკვიდობის მართვა წარმოადგენს. ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, ბანკმა დაგვიანების გარეშე განახორციელოს სხვადასხვა საგადამხდელო ოპერაციები, რასაც ლიკვიდობა ეწოდება. თუ ბანკს არ შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს ფულადი გადახდის შესახებ კლიენტის მოთხოვნა, მისი რეპუტაცია საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში საბანკო ანგარიშებიდან მთელი ფულადი რესურსების გატანის საშიშროება არსებობს. ბანკის ამ მდგომარეობას დეპოზიტების გადინება ეწოდება, რასაც, ხშირად, ბანკის დახურვა მოსდევს. არსებობს იმის საფრთხე, რომ, აღნიშნულმა, საზოგადოების მხრიდან მთლიანად საბანკო სისტემის მიმართ უნდობლობა გამოიწვიოს და გადინების იგივე პროცესი დაიწყოს სხვა

ბანკებშიც. შესაბამისად, კომერციული ბანკების ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ლიკვიდობის მიზნობრივმა მართვამ უნდა შეასრულოს.

4. ბანკებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ფული და საკმარისი ოდენობით სხვა ლიკვიდური აქტივები, რაც მოულოდნელი გადინების სათანადო გაწონასწორებას უზრუნველყოფს. ამასთან, ეს რაოდენობა უნდა იყოს ოპტიმალური და საპროცენტო შემოსავლის შემცირების ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს. ბანკებს ლიკვიდობა გარკვეულ საფრთხეს უქმნის. ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ეფექტური საინფორმაციო სისტემით უზრუნველყოფას. ლიკვიდობის მართვის წესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს გააჩნდეს მთლიანი ვალდებულებების შესაბამისი ლიკვიდური აქტივები. ამასთან, ბანკებს სჭირდება ფულის შემოდინებისა და გადინების ყოველდღიური მონიტორინგი და მისი სამომავლო პროგნოზირება გარკვეული სიზუსტით, ხოლო ლიკვიდური აქტივების ოდენობა მთლიანი ვალდებულებების პროპორციული უნდა იყოს.

ლია თოთლაძე

სავალუტო რისკების მართვის მექანიზმის შემუშავების საკითხები

სავალუტო რისკი, თავისი შინაარსით, სავალუტო დანაკარგების საშიშროებას წარმოადგენს, რომელიც წარმოიქმნება სავალუტო კურსის არასასურველი ცვლილების შედეგად. სავალუტო კურსის ვარიაცია და არაპროგნოზირებადობაც პირდაპირ ასოცირდება სავალუტო რისკთან.

რისკების მართვა თანამედროვე ეტაპზე, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, დინამიურად განვითარებადი პროფესიული მოღვაწეობის სფერია. ამისათვის გამოიყენება კვლევის ისეთი თანამედროვე მეთოდი, როგორიცაა სავალუტო რისკების მოდელირება. მოდელირების მიზანი კი სავალუტო რისკების მართვის მექანიზმის შემუშავებაა.

თავად მოდელირების პროცესი შესაძლებელია რამდენიმე ეტაპად განიხილოს. მოდელირების პროცესის I ეტაპს წარმოადგენს სავალუტო რისკების გამოვლენა და ფორმალიზაცია. ამ ეტაპის შემდგომ, შესაძლებელია, თავად ამ რისკების გაზომვა (შეფასება). სავალუტო რისკების მოდელირების მესამე ეტაპად შეიძლება წარმოვადგინოთ რისკების მართვისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემყარება მოდელირების წინა ორი ეტაპის შედეგებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს რისკების კლასიფიცირების სხვადასხვაგვარი მიდგომა. მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება რისკების შემდეგი სახეები გამოვყოთ: სავალუტო კურსების ცვლილება, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, კრედიტებზე მოთხოვნის დაცემა, გადახდისუნარიანობის შემცირება, ბანკის რეპუტაციის გაუარესება, ნორმატიული ბაზის, გადასახადებისა და ტარიფების ცვლილება, ლიკვიდურობის დაცემა და ა.შ.

სწორედ სავალუტო რისკების შეფასება წარმოადგენს სავალუტო რისკების მოდელირების მეორე ეტაპს. როგორც წესი, რისკებს ორი ძირითადი მეთოდით ზომავენ:

1. განისაზღვრება მოვლენის ალბათობა, უფრო ზუსტად, მისი სიდიდის ალბათური განაწილება. ალბათური განაწილების მაჩვენებლად კი გამოიყენება მისი საშუალო მნიშვნელობა (მათემატიკური ლოდინი).
2. რისკის შეფასების მეორე მეთოდის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ გამოვლინდეს დამოკიდებულება ცუდ მოვლენასა და მიზეზობრივ მოვლენას შორის და განისაზღვროს ამ დამოკიდებულების მაჩვენებლები. ეს დამოკიდებულება შესაძლებელია ასე ჩაიწეროს:

$$П_ц = k \times П_ə ,$$

სადაც $П_ц$ არის ცუდი მოვლენის დადგომა, $П_ə$ – მიზეზობრივი მოვლენა, ხოლო k – კი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობის მიხედვითაც ხდება რისკის შეფასება.

დღეისათვის სავალუტო რისკების შეფასების ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტს წარმოადგენს მეთოდოლოგიური კონცეფცია VaR (Value at Risk) რომელიც ემყარება რისკების განსაზღვრული რიცხვითი მნიშვნელობებით გამოხატვას ალბათური მახასიათებლებით, სავალუტო კურსის ცვლილების ალბათური განაწილების ნდობის შერჩეული ინტერვალის (95 ან 99%) მიხედვით.

ამ კონცეფციის საფუძველზე ექსპერტები შეიმუშავებენ რისკის შეფასების სხვადასხვა მოდელებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონიუნქტურის ცვლილების შემთხვევაში (განსაკუთრებით კი კრიზისული სიტუაციების დროს) აღნიშნულ მოდელებში საჭირო ხდება კორექტივების შეტანა.

რისკების ფორმალიზაციისა და შეფასების შემდეგ უკვე შესაძლებელია საუბარი რისკების მართვაზე, ანუ რისკების მოდელირების

მესამე ეტაპზე. იგი ითვალისწინებს რიგი ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც მიმართულია რისკის შემცირებისაკენ. ფორმალურად რისკების მართვას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. რისკის არსებულ დონეზე შენარჩუნება;
2. რისკის მინიმიზაცია არსებულ პირობებში.

თავის მხრივ, სავალუტო რისკების მართვის მეთოდები მოიცავს სამ ძირითად მექანიზმს – ესენია ლიმიტირება, ჰეჯირება და დივერსიფიკაცია.

რისკების მართვის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს რისკების დაზღვევა. დაზღვევის კონკრეტული მეთოდის შერჩევა კი დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაზე, რისკების დაფარვის ვადასა და სავალუტო კურსისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების პერსპექტივაზე.

დღეისათვის ფართოდ გამოიყენება სავალუტო რისკების დაზღვევის თანამედროვე მეთოდები, რომელთაც, პირველ რიგში, განეკუთვნება სავალუტო ოფციონი. ფართოდ გამოიყენება, აგრეთვე, ფორვარდული სავალუტო გარიგებები. სავალუტო რისკის დაზღვევის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ასევე "სვოპ" ოპერაციები.

შერჩეული მეთოდის მიზანშეწონილობა და პრაქტიკული ღირებულება კი ნათელი გახდება აღნიშნული ღონისძიებების ფინანსური შედეგების მიხედვით.

სავალუტო რისკების მართვის სისტემების გამოყენება ბანკებს საშუალებას აძლევს, გაატარონ მეცნიერულად დასაბუთებული რეალური სავალუტო პოლიტიკა, ანუ შეიმუშაონ ღონისძიებები მაქსიმალური მოგების მისაღებად, მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით.

თეა ლაზარაშვილი

ინფლაციური ტარგეტირების თეორიული ასპექტები

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოს მთელმა რიგმა ქვეყნებმა უარი თქვეს ტრადიციულ მონეტარულ პოლიტიკაზე, რომელიც ფულადი აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მანევრირების მეთოდს ემყარებოდა და ორიენტირი აიღეს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე. ასეთ მიდგომას ეწოდა ინფლაციური

ტარგეტირება, რომლის არსიც ინფლაციის გარკვეულ მიზნობრივ მნიშვნელობაზე ორიენტირებაა მომავალი პერიოდისათვის.

უმეტეს ქვეყნებში ეფექტიან ფულად-საკრედიტო პრობლემის გადაჭრის გზები ინფლაციურ ტარგეტირებაში მოიძებნა. მისი დახმარებით ცენტრალურ ბანკებს შესაძლებლობა მიეცათ წარმატებით შეემცირებინათ ინფლაცია და ინფლაციური მოლოდინი მოკლე პერიოდში, გაეზარდათ ეკონომიკური ზრდის ტემპი და აგრეთვე აემაღლებინათ ნდობა.

ტარგეტირების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება მიზნობრივი ცვლადის რაოდენობრივი ორიენტირების მისაღწევად, რომლებიც რეგულირების ორგანოს პასუხისმგებლობაში შედის. იმის გამო, რომ ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია საბოლოო მიზანს პირდაპირ მიაღწიოს, იგი მოქმედებს არაპირდაპირ, შუალედური მიზნის ტარგეტირების გზით. საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე მეტად განვითარდა ტარგეტირების რამდენიმე ვარიანტი:

– ინფლაციის ტარგეტირება: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შუალედური მიზანი, ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა საბოლოო მიზანს და მისი სახით გამოდის ინფლაციის პროგნოზი;

– სავალუტო კურსის ტარგეტირება: შუალედურ მიზნად გამოდის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი;

– ფულადი ტარგეტირება: შუალედურ მიზანს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო აგრეგატები;

– ნომინალური შემოსავლის ტარგეტირება: შუალედურ მიზანს წარმოადგენს ნომინალური ეშპ-ის ზრდა.

პირველ რიგში აუცილებელია აღვნიშნოთ, როგორ თანაფარდობაშია ერთმანეთთან ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მთლიანობაში და კერძოდ ტარგეტირების პოლიტიკა. იმისდა მიხედვით, თუ ტარგეტირება რომელი ცვლადით ხორციელდება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება ფუნქციონირებდეს ამა თუ იმ რეჟიმში.

ოპერაციული მიზნების ამორჩევა ხდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეჟიმის მიხედვით (ინდიკატური ცვლადების ხასიათით ანდა შუალედური მიზნებით), ხოლო ოპერაციული მიზნები, თვის მხრივ განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ მიზანზე შეაჩერა თავისი არჩევანი ხელისუფლებამ, განისაზღვრება აუცილებელი ინსტრუმენტების ნაკრები.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციისას ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება მიმართოს საბაზრო რეგულირებას ანდა გამოიყენოს ადმინისტრაციული ზომები. პირველ შემთხვევაში იგი ეყრდნობა ირიბ ინსტრუმენტებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირდაპირ ინსტრუმენტებს.

პირდაპირ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება საპროცენტო განაკვეთებზე კონტროლი, საკრედიტო ჭერი და პირდაპირი ანდა მიზნობრივი კრედიტები. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება მოკლევადიანი რეფინანსირების ოპერაციები, ინტერვენციები და სარეზერვო მოთხოვნები.

ინფლაციური ტარგეტირება დაკავშირებულია ცენტრალური ბანკის საქმიანობასთან და მოიცავს: 1. ინფლაციის მოსალოდნელი დონის პროგნოზირებას; 2. ინფლაციის მიზნობრივი დონის შედარებას პროგნოზულ სიდიდესთან; 3. მათ შორის სხვაობის შემცირების მიზნით მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

ინფლაციური ტარგეტირება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის რაოდენობრივი პარამეტრების საჯაროდ გამოცხადებას; ფასების სტაბილურობას, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიზანს; ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების შერჩევაში და ხელისუფლების მხრიდან სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების ტარგეტირებისაგან უარის თქმას.

ინფლაციური ტარგეტირება მოიცავს ორ ფაზას: პირველი გულისხმობს ინფლაციის სასურველი დონის მიღწევას; ხოლო მეორე – მიღწეული დონის შენარჩუნებას. ინფლაციური ტარგეტირების დროს ცენტრალურმა ბანკმა უნდა ახსნას ინფლაციის გეგმიური მაჩვენებლის დადგენის მიზანშეწონილობა, დაასაბუთოს მისი რაოდენობრივი პარამეტრები და გაანგარიშების მეთოდოლოგია, აგრეთვე, საგეგმო მაჩვენებელთა მიღწევის ხერხები.

ინფლაციური ტარგეტირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალი მიმართულებაა და საჭიროებს თავისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფასა და განვითარებას.

რამაზ ფუტკარაძე

საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები 1918-1921 წლებში

საქართველო-გერმანიის ეკონომიკურ-პოლიტიკური თანამშრომლობა საუკუნეებს ითვლის. მეტად დიდი იყო გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. დიახ, გერმანიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო დე ფაქტო აღიარება ნაბიჯ-ნაბიჯ, ცხადია ძნელად, მაგრამ მაინც ხდებოდა. გერმანიამ, ერთ-ერთმა პირველმა, 1918 წლის 10 ივნისს დე ფაქტო, ხოლო 1920 წლის 24 სექტემბერს კი დე იურე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და პირველმა გახსნა საელჩო თბილისში.

ფოთში 1918 წლის 28 მაისს, საქართველო-გერმანიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს "დროებით შეთანხმებას საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ" [Kress, Fridrich: Meine mission im Kaukasus. Verlag „Samschoblo", Tb., 2001.], რომელიც ითვალისწინებდა გერმანული კაპიტალის დახმარებით საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. შეთანხმების მეტი წილი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხებოდა. აღნიშნული შეთანხმებიდან ნათლად ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანია საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. აღნიშნული შეთანხმება დამოუკიდებელი საქართველოს მიერ დადებული პირველი საერთაშორისო შეთანხმება იყო, მართალია, ზოგიერთი პუნქტი არ იყო საქართველოსათვის ხელსაყრელი, მაგრამ ეს დათმობა იმ უდიდესი დახმარების კომპენსაციით აიხსნება, რომლის მეშვეობითაც საქართველომ შეძლო თურქული ოკუპაცია აეცილებინა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის პოლიტიკური წრეები კავკასიას დამატებითი რესურსების წყაროდ განიხილავდნენ და, ამდენად, ამ რეგიონს განსაკუთრებულ ყურადრებას აქცევდნენ. ყოველივე ეს ნათლად ჩანს რაიხსტაგის 1918 წლის 25 ივნისის სხდომაზე დეპუტატ ფონ ვესტარფის გამოსვლიდან. მან აღნიშნა: რეგიონს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიისათვის წიაღისეულის – ნავთობის, სპილენძის, ნაყოფიერი ნიადაგისა და კლიმატის გამო. ვესტარფმა ყურადღება გაამახვილა ასევე კავკასიის რეგიონის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც წარმოადგენს გადასასვლელს შავი ზღვიდან კასპიის ზღვაზე, იმ ქვეყნებამდე, რომლებიც კასპიის ზღვის გაღმა მდებარეობენ და რომლებიც დროთა

განმავლობაში გერმანიის ნედლეულით მომარაგებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენენ" [ახსიაშვილი გ., საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 3, თბ., 1996. გვ. 320.].

ფოთში გაფორმდა ასევე შეთანხმება "საქართველოსა და გერმანიას შორის სავალუტო ურთიერთობათა წინასწარი რეგულირების შესახებ" [Kress, Fridrich: Meine mission im Kaukasus. Verlag „Samschoblo", Tb., 2001.], რომლის საფუძველზე საქართველოს მთავრობას თავის სახელმწიფოში უნდა დაეშვა გერმანული ვალუტა, საკუთარის თანაბრად, განუსაზღვრელი რაოდენობით, როგორც კანონიერი საანგარიშსწორებო საშუალება. კურსები უნდა ყოფილიყო მყარი, რომელიც უნდა განსაზღვრულიყო მხარეებს შორის ასევე განსაკუთრებული შეთანხმებით. ასეთი ხელშეკრულების გაფორმების დროს კი ეროვნულ ვალუტად ითვლებოდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ფულადი ნიშნები. შეთანხმება ძალაში შედიოდა ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება შეწყდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ორ ქვეყანას შორის გაფორმდებოდა შეთანხმება ფულად-სავალუტო ურთიერთობების შესახებ. ფოთში ასევე მოეწერა ხელი წინასწარ შეთანხმებას საქართველოსათვის სესხის გამოყოფის საკითხზე. შეთანხმება ითვალისწინებდა საქართველოს მიერ ქვეყანაში არსებული და მშენებარე რკინიგზების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას. სახელმწიფოს განკარგულებაში უნდა გადასულიყო ფოთის ნავსადგური, რომელიც იმ დროს ქალაქის განკარგულებაში იყო. შეთანხმების თანახმად საქართველოს რკინიგზებიდან და ფოთის ნავსადგურიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი მოხმარდებოდა მომავალი სესხის პროცენტის დაფარვას. კონტროლი რკინიგზებისა და ნავსადგურის ექსპლუატაციაზე უნდა განეხორციელებინა ქართულ-გერმანულ ერთობლივ კომისიას.

შეთანხმების მეორე მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობა სახელმწიფოს განკარგულებაში გადასცემდა სამთო მრეწველობის მთელ პროდუქციას და წიაღისეულის დამუშავების უფლებას მიიღებდა მხოლოდ სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი საწარმოები, რომელთა აქციები თანაბრად იქნებოდა განაწილებული ქართულ და გერმანულ მხარეებს შორის. აქ კარგად ჩანს გერმანელთა ინტერესი, საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებდა, არ შეეზღუდა მოპოვებული მადნის გატანა რაიმე დამატებითი აკრძალვებითა და შეზღუდვებით. მესამე

მუხლი საქართველოს მხარეს ავალდებულებდა გერმანიისათვის ყოველგვარი ნედლეულის შესყიდვის უპირატესი უფლების მიცემას, რაც კი მოიპოვებოდა საქართველოში და განკუთვნილი იყო საექსპორტოდ. თავის მხრივ, მეოთხე მუხლით გერმანიის მხარე კისრულობდა მხარეებს შორის უახლოეს მომავალში საზღვაო მიმოსვლის მოწესრიგებას, საქართველოში მზა საქონლის და ნახევარფაბრიკატების შემოტანას. ფოთის შეთანხმებათა თანახმად, მთელი ომის განმავლობაში საქართველოს განკარგულებაში მყოფი ყველა გემი და სხვა საზღვაო ტრანსპორტი გერმანიის განკარგულებაში გადადიოდა.

ფოთის ხელშეკრულებებში განსაზღვრული იყო გერმანული კაპიტალის დახმარებით საქართველოს ეკონომიკის განვითარება. გერმანია, თავის მხრივ, მიიღებდა მოგებას, მაგრამ არც საქართველო წააგებდა, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიო სტანდარტებს, ამიტომ ძირითადად წარმოებდა ნედლეულის, განსაკუთრებით მანგანუმის ექსპორტი. მარტო 1918 – 1920 წლებში ამოღებული და ექსპორტირებული იუო 4819 ათასი ფუთი მანგანუმი.

ქართული მადანი საექსპორტოდ გადიოდა ევროპის ქვეყნებში, ძირითადად კი გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ მანგანუმის ექსპორტში წამყვან როლს ასევე გერმანული ფირმები ასრულებდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში იყო ოქროს თუმნიანი, გირვანქა სტერლინგი, ოქროს ლირა, ოსმალური ქაღალდის ლირა, ფრანგული ფრანკი, ამერიკული დოლარი, გერმანული მარკა, იტალიური ლირა. 1919 წლის მონაცემებით ერთი ოქროს მანეთი 39.24 ქართულ ბონს შეადგენდა. იმავე წლის ბოლოსათვის – უკვე 102.96, ხოლო 1920 წლის ბოლოს – 1300 ბონს, რაც წარმოების დონის შემცირებაზე მეტყველებს [სურგულაძე ა., სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია, თბ., 1991. გვ. 371.]. აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან საექსპორტოდ ძირითადად გადიოდა: სამრეწველო ნედლეული, ხილი, ბოსტნეული, თაფლი, ჩაი, ღვინო, ბორჯომი და ა.შ.

1918 წლის 12 ივლისს ბერლინში გერმანიასთან ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებებს, რომლებსაც ფოთის დროებითი შეთანხმებები დაედო საფუძვლად. აღნიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ გერმანელი მეწარმეები, რომელთა ინტერესი ისევ და ისევ ჭიათურის

მანგანუმის საბადოსთან იყო დაკავშირებული. გერმანიაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ: გერმანია-ლუქსემბურგის სამთო-სამრეწველო და მეტალურგიული სააქციო საზოგადოება ‘‘ბოხუმი’’-ის, სს ‘‘ფრიდრიხ კრუპის’’, სს ‘‘გელზენკირხენის’’, სს ‘‘გერმანიის კაიზერის’’, სს ‘‘გუტეჰოფნუნგის ჰიუტეს’’, შპს ‘‘კავკასიის მაღაროთა გაერთიანების’’ და სხვათა წარმომადგენლები [Kress, Fridrich: Meine mission im Kaukasus. Verlag „Samschoblo“, Tb., 2001, Vertrag 19, s.184-188.].

გერმანელები ცდილობდნენ ჭიათურის მანგანუმის ხელში ჩაგდებას. ბერლინში ხელმოწერილ ერთ-ერთ ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობა სპეციალურად შექმნილ სააქციო საზოგადოება – ‘‘საქართველოს მანგანუმის მომპოვებელ გაერთიანებას’’ – გადასცემს გერმანულ მხარეს. სააქციო საზოგა-დოების ცენტრალური ოფისი უნდა ყოფილიყო თბილისში და მას უნდა ჰქონოდა ფილიალი ბერლინში. სააქციო საზოგადოება იქმნებოდა 30 წლის ვადით და მას საქართველოდან უნდა გაეტანა მანგანუმის მადანი და კონცენტრატები. სს ‘‘საქართველოს მანგანუმის მომპოვებელი გაერთიანების’’ საწესდებო კაპიტალი – 15 მლნ. გერმანული მარკა თანაბრად 50/50% ნაწილდებოდა ქართულ და გერმანულ მხარეს შორის. აღნიშნული საზოგადოების ხელმძღვანელობაში იქნებოდა სამი კაცი, აქედან ორი გერმანულ მხარეს და ერთი ქართველებს ერგებოდათ. საზოგადოების საქმიანობას კონტროლს გაუწევდა საქართველოს მთავრობა. წმინდა მოგების 50%, თუ იგი აჭარბებდა სააქციო კაპიტალის 10%-ს, ჩაირიცხებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტ-ში. საქართველო ყოველ ერთ ტონა გატანილ მანგანუმზე მიიღებდა 43 გერმანულ მარკას. მსგავს შემოსავლებს მიიღებდა საქართველოს სახელმწიფო მანგანუმის მადნისა და კონცენტრატების სხვა უცხოელი მომხმარებლებისაგან. საქართველოს მხარეს ეკისრებოდა ვალდებულება, დამატებითი ბაჟებით არ შეეშალა ხელი მანგანუმის საქართველოდან ექსპორტისათვის. საზოგადოებას არ უნდა დაკისრებოდა ისეთი გადასახადების გადახდა, რასაც სხვა საზოგადოებები არ იხდიდნენ. მადნის ტრანსპორტირებისას არ უნდა გამოყენებულიყო უფრო მაღალი სატარიფო განაკვეთები, ვიდრე საერთოდ იყო მიღებული საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვისათვის. აღსანიშნავია, რომ წიაღისეულის შესყიდვასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს განი-ხილავდა თბილისის სასამართლო, რაც დიდ მიღწევად უნდა

ჩაითვალოს, მაგრამ რიგი საკითხებისა ბერლინის სასამართლოში უნდა განხილულიყო.

გერმანიაში ხელმოწერილი ერთ-ერთი ხელშეკრულება შეეხებოდა სააქციო საზოგადოება ჭიათურის რკინიგზისათვის, შორაპანი – ჭიათურა – საჩხერეს სარკინიგზო ხაზის საექსპლუატაციოდ გადაცემას 40 წლის ვადით. ეს საზოგადოება მიიღებდა რკინიგზას ყველა ნაგებობითა და საშუალებით, რომელთა გადაცემაც სპეციალური შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. საზოგადოება რკინიგზას შეინარ-ჩუნებდა თავისი ნაგებობებით ვარგის მდგომარეობაში. როგორც წინა ხელშეკრულებაში, ამ ხელშეკრულებაშიც მოცემულია, რომ საწესდებო კაპიტალი – 5 მლნ. გერმანული მარკა, მხარეებს შორის ასევე თანაბრად იყოფოდა.

ერთ-ერთი ხელშეკრულება ეხებოდა ფოთის ნავსადგურის ექსპლუატაციის მიზნით სააქციო საზოგადოების დაარსებას. ნავსადგური მუშაობას შეუდგებოდა 1918 წლის 1 ოქტომბრიდან და მას გერმანული ფირმები მიიღებდნენ 60 წლის ვადით. გათვალისწინებული იყო საზოგადებისათვის ფოთის ნავსადგურის მთელი ტერიტორიის, სანავსადგურო დაწესებულებებისა და საშუალებების გადაცემა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოება საქართველოს მთავრობას გადაეცემოდა რაიმე ანაზღაურების გარეშე. სააქციო საზო-გადოების საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 10 მლნ გერმანულ მარკად და აქციები ასევე იყოფოდა თანაბრად. წმინდა მოგების 10% ჩაირიცხებოდა საქართველოს ბიუჯეტში, ისევე, როგორც ერთ ტონა გატანილ მანგანუმზე ორი მარკა. აღნიშნულ შეთანხმებათა გარდა, ხელი მოეწერა ცალკე შეთანხმებას, რომლის მიხედვით, გერმანულ ფირმებს ეძლეოდათ ჭიათურაში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მანგანუმის საბადოების ექსპლუატაციის უფლება.

1918 წლის 15 აგვისტოს გერმანიაში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველო – გერმანიას შორის, გერმანიის სავაჭრო ფირმებისა და ბანკების სინდიკატთან წლიური 6 პროცენტიანი სახელმწიფო სესხის თაობაზე. სინდიკატის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი კომპა-ნიები: ბერლინის სააღრიცხვო საზოგადოება, სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, ბერლინის სავაჭრო საზოგადოება, ფირმა “ს. ბლაიხრიოდერი”, გერმანიის ბანკი, დრეზდნერის ბანკი, ფირმა “მენდელსონი და კომპანია” და ფირმა “მ. ვარბურგი და კომპანია” [Kress, Fridrich: Meine mission im Kaukasus. Verlag „Samschoblo“, Tb., 2001, s.172-173.]. გერმანიისაგან

საქართველოს მთავრობა სესხად 54 მლნ. გერმანულ მარკას მიიღებდა ფულის რეფორმის განსახორციელებლად. საქართველოს მთავრობას უნდა დაეარსებინა ბანკი, რომელსაც ექნებოდა ბონების გამოშვების უფლება. გათვალისწინებული იყო სესხის დაფარვა წელიწადში ორჯერ – 1 აპრილსა და 1 ოქტომბერს. სესხის ხანგრძლივობა შეადგენდა 28 წელს, წლიური საპროცენტო განაკვეთი (6%) იმ პერიოდსა და პირობებში საკმაოდ დაბალი იყო.

ძირითადი სესხის და პროცენტების გადახდის გარანტს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობა. სწორედ ზემოთ განხილული საზოგადოებების (''საქართველოს მანგანუმის საზოგადოება'', ''ჭიათურის სარკინიგზო საზოგადოება'' და ''ფოთის ნავსადგურის საზოგადოება'') შემოსავლებიდან იყო გათვალისწინებული სესხის დაფარვა, მაგრამ, თუ აღნიშნული შემოსავლები საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, საქართველოს სხვა წყაროებიდან უნდა დაეფარა დარჩენილი თანხა.

გერმანელებმა ყურადღება მიაქციეს საქართველოს სოფლის მეურნეობას და საჭიროდ ჩათვალეს მისი გამოყვანა კრიზისული მდგომარეობიდან, რისთვისაც დაისახა გერმანიიდან სპეციალისტთა ჯგუფის გამოგზავნა. სპეციალისტებს უნდა შეესწავლათ საქართველოს ნიადაგების თავისებურებები და მიეცათ რეკომენდაციები, რათა მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო გერმანიის სამრეწველო საწარმოებში ისეთი მანქანების გამოშვება, რომლებიც საქართველოს პირობებში გამოდგებოდა. ასევე მიწის დამუშავების ინტენსიური მეთოდების შესასწავლად გერმანიაში მივლინებული უნდა ყოფილიყო ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი და მათ გერმანიაში მიღებული ცოდნა-გამოცდილება შემდგომში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უნდა გამოეყენებინათ.

გერმანელებმა საქართველოში ნედლეულის შემსყიდველ ფირმებთან ნაღდი ფულით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით და ფულის გადმორიცხვის გასაადვილებლად, საჭიროდ მიიჩნიეს თბილისსა და ფოთში გერმანული ბანკების ფილიალების გახსნა. გერმანელები საქართველოში ბანკების ფილიალების გახსნას იმით ასაბუთებდნენ, რომ ამით უფრო სრულყოფილი და მასშტაბური გახდებოდა საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა.

განზრახული იყო გერმანიიდან საქართველოში საღებავების, ფარმაცევტული საქონლის, ელექტრონაკეთობების, შუშისა და ფაიფურის ნაწარმის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და საწერი ქაღალ-

დის შემოტანა [Г. Пипия. Политика Германии в Закавказъе в 1918 году. Тб., 1971, с.158.]. საქართველოდან გერმანიაში ძირითადად კვლავ მანგანუმი გადიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებები მადნის გატანის მონოპოლიის, ჭიათურის რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის შესახებ. მანგანუმის გარდა, გერმანიაში საქართველოდან გადიოდა: თამბაქო, სპილენძი, ღვინო, თხილი, დაფნის ფოთოლი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები, ხე-ტყე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსადმი მხარდაჭერა თვით გერმანიის რაიხის ინტერესებში შედიოდა. პრაგმატულად მოაზროვნე გერმანელები სათანადოდ აცნობიერებდნენ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის უნიკალურობას და ცდილობდნენ, რომ რუსეთისათვის სერიოზული პრობლემა შეექმნათ კავკასიაში მძლავრი, გერმანიაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს წარმოქმნით. ამდენად, გერმანელთა ინტერესები საქართველოსადმი მრავალმხრივი, ხოლო გეგმები შორსმიმავალი იყო [ჯავახიშვილი ნ. საქართველო-გერმანიის ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (1918 წ.) ქართული დიპლომატია, წელიწდეული 5. თბილისი, 1998, გვ. 269]. საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ხელს უშლიდა გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. ამდენად, საქართველოსა და გერმანიის დაახლოებას საფუძველი ჰქონდა. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთისაგან თავდაცვისაცავად, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ – დამოუკიდებლობის გარანტად. სამწუხაროდ, საქართველო-გერმანიის ურთიერთობები, რაც ფრიად საიმედო პერსპექტივებს უსახავდა დამოუკიდებელ საქართველოს, დიდხანს არ გაგრძელებულა.

საქართველოსა და გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას წერტილი დაუსვა გერმანიაში 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ. ბუნებრივია, გერმანია ვედარ იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტი... გერმანელებმა დატოვეს საქართველო. ასე დასრულდა საქართველოში გერმანული ორიენტაცია, შეუძლებელი გახდა გერმანიის შემცვლელი ძლიერი მოკავშირის პოვნა, რასაც საბოლოოდ შეეწირა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამრიგად, ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც შესწევდა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა, გარანტად

დასდგომოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და დაეცვა იგი, იყო გერმანია. აუცილებელი გახდა ახალი საგარეო პოლიტიკის შემუშავება, მოკავშირის ძებნა და ამ გზამ საქართველო რუსეთთან "მიიყვანა". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობა რუსეთმაც კი აღიარა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს მაინც არ სურდა საქართველოს "ხელიდან გაშვება." საბჭოთა რუსეთმა ფეხქვეშ გათელა ასევე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და სუვერენიტეტის შესახებ და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობა ძირითადად მოკავშირე რესპუბლიკებთან ჰქონდა. საქართველო ფაქტობრივად არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, წევრ ქვეყანას და მას დამოუკიდებლად არ შეეძლო გერმანიასა და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობა.

ბიზნესის პრობლემების სექცია

ციალა ბენაშვილი

დანახარჯების კლასიფიკაცია და სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება

მმართველობით აღრიცხვაში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პროდუქციასა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების განსაზღვრა. მაგრამ აქამდე საჭიროა, გაირკვეს რა ტიპის დანახარჯები არსებობს; რა ნიშნების მიხედვით კლასიფიცირდება ისინი; აგრეთვე, რა დამოკიდებულებაშია წარმოების მოცულობა დანახარჯებთან და როგორია ეს პროცესი დინამიკაში.

დანახარჯების კლასიფიკაცია მენეჯერულ აღრიცხვაში ორი მთავარი მიზნით ხორციელდება: მენეჯერული გადაწყვეტილების მისაღებად და გარე მომხმარებლებისათვის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ჩასატარებელი სამუშაოებისათვის.

პროცესს წინ უძღვის დანახარჯების კლასიფიკაცია. მსგავსი დანახარჯები ჯგუფდება მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების მოსამზადებლად და საჭირო ანალიზის ჩასატარებლად. საკლასიფიკა-

ციო კრიტერიუმის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს მენეჯერული გადაწყვეტილება. ზოგადად დანახარჯები შედგება: მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯებისაგან. მაგრამ სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის დროს თითოეულ მათგანს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს

ფუნქციების მიხედვით დანახარჯების კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ჯგუფებად: წარმოების დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები, რეალიზაციის ხარჯები და განაწილების ხარჯები. დანახარჯების ფუნქციების რაოდენობა დამოკიდებულია ორგანიზაციის ტიპზე.

ფუნქციების მიხედვით კლასიფიცირებულ დანახარჯებს საწარმოს ხელმძღვანელობა იყენებს ფინანსური ანგარიშგების შესადგენად, დანახარჯების ერთეულის გამოსათვლელად, მარაგის შესაფასებლად, დანახარჯებზე კონტროლის დასაწესებლად.

პროდუქციის ერთეულზე დახარჯული რესურსის ღირებულების გადატანის თვალსაზრისით, დანახარჯები კლასიფიცირდება პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად.

პირდაპირია დანახარჯი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია დანახარჯთა ერთეულთან, ანუ, როცა დახარჯული რესურსის ღირებულება უშუალოდ გადადის პროდუქციაზე.

არაპირდაპირია დანახარჯი, რომელიც არ უკავშირდება უშუალოდ დანახარჯთა ერთეულს ან დანახარჯთა ცენტრს, ანუ, როდესაც დახარჯული რესურსის ღირებულება უნდა გადანაწილდეს პროდუქციაზე სამართლიანობის პრინციპით. არაპირდაპირ დანახარჯებს **ზედნადებ ხარჯებს** უწოდებენ.

პირდაპირი მასალის, პირდაპირი შრომის და პირდაპირი გასავლების (ანუ პირდაპირი რესურსის) ჯამი იწოდება პროდუქციის ერთეულის **ძირითად დანახარჯებად**.

პროდუქციის ერთეულზე მთლიანი დანახარჯი კი – ეს არის ძირითად დანახარჯებს დამატებული არაპირდაპირი (ანუ ზედნადები) ხარჯები.

არაპირდაპირი ხარჯები შედგება არაპირდაპირი მასალისაგან (მაგალითად, მანქანების საპოხ-საცხები მასალები), არაპირდაპირი შრომის დანახარჯისაგან (მაგალითად, დარაჯები) და არაპირდაპირი გასავლებისაგან (მაგალითად, ქირა).

პროდუქციის მარაგის ღირებულებისა და მოგების მაჩვენებლის გამოსათვლელად საჭიროა, დავაზუსტოთ პროდუქციის დანახარჯები და პერიოდის დანახარჯები.

პროდუქციის დანახარჯი არის მარაგის დამზადების ან შესყიდვის დანახარჯი. მენეჯერული აღრიცხვის თვალსაზრისით, იგი შეიძლება იყოს ძირითადი დანახარჯი ან წარმოების მთლიანი დანახარჯი. ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით (ბასს 2-ის მიხედვით) იგი არის წარმოების მთლიანი დანახარჯი.

პერიოდის დანახარჯი დაერიცხება მოგება-ზარალის ანგარიშს კონკრეტულ პერიოდში და გამოირიცხება მარაგის შეფასებიდან და საერთო მოგების გამოთვლიდან.

თუ მარაგი ფასდება ძირითადი დანახარჯით, პერიოდის დანახარჯი იქნება ზედნადები და ყველა სხვა ფუნქციონალური დანახარჯი.

თუ მარაგი ფასდება წარმოების მთლიანი დანახარჯით, მაშინ ყველა ფუნქციონალური დანახარჯი იქნება პერიოდის დანახარჯი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანახარჯების საკლასიფიკაციო კრიტერიუმის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს მენეჯერული გადაწყვეტილება. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სამედიცინო დახმარების ერთეულის დანახარჯების განსაზღვრა. ეს საკითხი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცალკეულ დაავადებათა მკურნალობის სტანდარტების შემოღებასთან. სამედიცინო მომსახურებაზე ფასების დაწესებას წინ უსწრებდა სტანდარტიზაციის ჩატარება. განხორციელდა გიგანტური მოცულობის სამუშაო, სტანდარტების შედგენაში მონაწილეობას იღებდა მედიცინის მუშაკთა დიდი კონტინგენტი, რომლებიც თავიანთი ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით ადგენდნენ სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის სტანდარტებს დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებათა და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების, მანიპულაციების, პროცედურების მაქსიმალური გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტების სრულყოფა და დახვეწა სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს.

სტანდარტში მოცემულია, აგრეთვე, მკურნალობის ხანგრძლივობა დღეებში: რამდენი საწოლ-დღე უნდა გაატაროს პაციენტმა საავადმყოფოში მოცემული კონკრეტული დაავადების სამკურნალოდ. სტანდარტები შედგენილია როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორიული მკურნალობისათვის.

გამოიყენება ორი სახის სტანდარტი: სახელმწიფო და შიდა-დაწესებულებრივი. სახელმწიფო სტანდარტებით მკურნალობენ სახელმწიფო (ფედერალური და მუნიციპალური) პროგრამებით გათვალისწინებულ ნოზოლოგიებს, ხოლო შიდადაწესებულებრივი სტანდარტით მკურნალობა უტარდებათ სახელმწიფო პროგრამებში არშემავალი დაავადებების მქონე პაციენტებს და იმ პაციენტებს, რომლებსაც უტარებენ სტანდარტზედა მომსახურებას. გარდა ამისა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შიდა სტანდარტებს იყენებენ, აგრეთვე, ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც არ მონაწილეობენ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულებაში.

სამედიცინო დაწესებულების სტანდარტი, ნებისმიერი ნოზოლოგიის მიხედვით, მოიცავს სადიაგნოსტიკო ღონისძიებების, სამკურნალო ღონისძიებების და სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალს. ამ მიზნით გაწეული დანახარჯები კი დაყოფილია პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად. პირდაპირ დანახარჯებში შეიტანება:

1. მედიკამენტები;
2. ერთჯერადი მოხმარების საგნები;
3. სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებები;
4. ძირითადი ხელფასი სულ მ.შ. ექიმის, ექთნის;
5. კვების ხარჯები.

არაპირდაპირ დანახარჯებში შეიტანება:

1. ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხელფასი;
2. დამხმარე და მომსახურე-ტექნიკური პერსონალის ხელფასი;
3. ამორტიზაციის ანარიცხები;
4. მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დანახარჯები;
5. კომუნალური ხარჯები;
6. სამეურნეო ხარჯები.

პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების ჯამი შეადგენს სამედიცინო დახმარების ერთეულის ღირებულებას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ბევრი პრობლემა არსებობს ჯანდაცვის სფეროს დაწესებულებების დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის საქმეში; შეუსრულებელი რჩება ამ კუთხით საქართველოს კანონებისა და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი უახლოეს მომავალში.

Giorgi Berulava

MICROECONOMIC ISSUES OF ECONOMIC DEVELOPMENT IN GEORGIA

Recent period Georgia has implemented serious reforms of the business environment and attained high rates of growth. However, the quality of economic growth remains low with respect to economic and social sustainability and innovations. In particular, this growth is related neither to innovations and investment in high-technology industries, nor to expansion of activities of small and medium businesses, nor to increase of employment, equity in income distribution, and reduction of poverty. Though improving of the business climate had a positive influence on the increase in gross output, the growth in Georgia has mainly macroeconomic nature, and is associated with excess absorption and credit expansion, as well as with foreign investments mainly in non-tradable sectors. The low quality of growth means that it will be very hard to sustain it in the future, especially when the privatization process and associated with it capital inflows in the economy will be over.

We identified two broad categories of factors that preclude achievement of the sustainable growth in Georgia. These factors are “market failures” and “government failures.”

“Market failures” reflect the fact that the Georgian economy got stuck at a low-level equilibrium characterized by insufficient investments in innovation and technology and thus by poor perspective for development. Nor market forces neither based on the “laissez-faire” principle government policy could provide “push” for a higher level equilibrium and thereby for sustained economic growth.

“Government failures” in Georgia concern mainly with the problems in establishing and maintaining the rule of law in the society and providing independent and efficient judicial system. Poor rule of law institutions hamper incentives for long-term investments in technology development and innovations and thus preclude sustainable economic growth.

To ensure economic development in Georgia the economic growth must be sustained for a long time. To do so the quality of growth must be improved. This in turn requires overcoming the obstacles created by both “market failures” and “government failures.” Below, we elaborate recommendations on how to induce innovative and productive behavior of firms, stimulate investments and thereby sustain economic growth in Georgia.

1. Georgian government must refrain from “laissez-faire”’ principle and pursue active industrial policy oriented on dynamic transformation of production structures. Implementation of such policy requires:
   - Identification of the sectors that will represent the basis for industrial development. This must be non-traditional export-oriented sectors, involving new technologies and knowledge.
   - Elaborate development strategy focused on stimulating and attracting investments in selected sectors of industry, including such measures as investment and export subsidies, tax holidays, trade protection, socialization of investment risk through implicit bailout guarantees and etc.
   - Ensure sound implementation of industrial policy, which means providing strict monitoring of the performance of encouraged enterprises and imposition of discipline. Those companies that fail to achieve high export performance must be punished.
2. Government must create such business environment, which will encourage emergence of the efficient market mechanisms through:
   - Stimulating competition processes and processes of creating new enterprises, through providing free access to the market; active implementing anti-trust policies; reestablishing anti-trust agency and empowering it with sufficient authority and status necessary for efficient implementation of competition policy (but the same time leaving innovators with opportunities to take some rents from their innovations).
   - Establishing of clear rules for market conduct of all economic agents without an exception and preventing any opportunity for non-productive or predatory activities.
   - Eliminating any opportunity for the government to take part in the process of property redistribution.
   - Stimulating the development of the market of financial resources providing the accessibility of the capital for the business and allowing the monitoring of the behavior of managers, including the establishment of the securities market, development of the institution of financial brokerage, creation of the

conditions for competition in the banking sphere, realization of the package of measures to reduce the systemic risks; development of information systems.

3. The improvement of the rule of law through the enhancement of legal and judicial system's functioning is essential task for Georgia today to ensure the achievement of long-term economic development and poverty reduction goals. Well-developed formal system of contract enforcement is a necessary precondition for small and medium businesses to flourish as well as for development of capital and financial markets, attracting foreign investors and thereby for stimulating of long-term economic growth. The primary function of the state is the provision of sound legal and judiciary institutions and the rule of law and thereby creation relevant stimulus for businesses and economy for long-run economic growth. The problem of judiciary and legal system reform in Georgia is not an easy task and it certainly requires a time to be implemented. The judicial and legal systems are key element of business environment that determine its attractiveness through: reducing market uncertainty and transaction costs, increasing efficiency and sustainability of business performance stimulating both foreign and domestic investments. In doing so these institutions play a crucial role in promoting the development of markets, economic growth and poverty reduction.

გულნაზ ერქომაიშვილი

უცხოური ინვესტიციების როლი ბიზნესის განვითარებაში

1. საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მისი რაციონალურად გამოყენებაა. იგი ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის პროგრესული ტექნოლოგიების ეროვნულ საწარმოებში განთავსებას, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ადგილობრივი წარმოების და, შესაბამისად, ექსპორტის გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, კიდევ უფრო გააფართოებს საქართველოს საგარეო კონტაქტებს და, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებას.

2. საქართველოში საკმაოდ სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა 1993-1994 წლებში, მაშინ როცა ქვეყანა ღრმა კრიზისულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება მოპოვებითი

მრეწველობის ფირმებს. ინვესტიციების დაბანდების ზრდის მაღალი ტენდენციები გრძელდებოდა 1996-1998 წლებში. 1998 წელს დაფიქსირდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაბანდების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები, მან მაქსიმალურ დონეს – 288,04 მილიონ დოლარს მიაღწია. მაგრამ, ამავე წლის მეორე ნახევარში განვითარებულმა საგადამხდელო და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, დაძაბა სოციალური ფონი სახელმწიფოში. პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. ამის მიზეზი იყო ასევე ბაქო-სუფსის მილსადენისა და სუფსის ტერმინალის დამთავრება, რაც ქვეყანაში ბოლო პერიოდში განხორციელებულ ყველაზე ძვირადღირებულ პროექტს წარმოადგენდა. ინვესტიციების მოცულობამ 1999 წელს შეადგინა დაახლოებით 83,65 მილიონი დოლარი, ხოლო 2000 წელს – 60,14 მილიონი დოლარი, ანუ ორი წლის წინანდელი მაქსიმალური მაჩვენებლის 21%.

ინვესტიციების რაოდენობა 2007 წელს, 2000 წელთან შედარებით, რამდენჯერმე გაიზარდა. ბოლო წლებში შემოსული უცხოური ინვესტიციების 36 პროცენტი ენერგოსექტორის მოდერნიზებას მოხმარდა, თუმცა სხვა სექტორებში ჩადებული მსხვილი ინვესტიციები ქვეყნის მიმზიდველობის ზრდაზე მიუთითებს. საინვესტიციო ნაკადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი მესამედი საქართველოს მეზობელი ისეთი მდიდარი ქვეყნებიდან შემოვიდა, როგორიცაა ყაზახეთი (152 მლნ. $), თურქეთი (130 მლნ. $) და რუსეთი (34,2 მლნ. $). ამავე წელს დიდი რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან (186 მლნ. $) და აშშ-დან (183 მლნ. $).

2007 წელს ინვესტიციები კიდევ უფრო გაიზარდა და 1,7 მლრდ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი ოდენობის საინვესტიციო ნაკადები შემოვიდა ნიდერლანდებიდან (219 მლნ. $), ვირჯინიის კუნძულებიდან (151 მლნ. $) და კვიპროსიდან (136 მლნ $). მკვეთრად იმატა ინვესტიციებმა დიდი ბრიტანეთიდან (103, 9 მლნ. $), დანიიდან (92,6 მლნ. $), საფრანგეთიდან (37 მლნ. $) და იტალიიდან (15,2 მლნ. $). პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირიდან მეტწილად ენერგეტიკაში, სამთო-

მოპოვებელ მრეწველობაში, ტურიზმსა და სამშენებლო ინდუსტრიაში განთავსდა.

3. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების განთავსების ფორმებსა და მიმართულებებს. უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ტურიზმი, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და კვების მრეწველობაა. შედარებით ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვა საბანკო სფერომ, ენერგეტიკამ, ვაჭრობამ და სოფლის მეურნეობამ. მძიმე მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარება, მათი აზრით, პერსპექტიული არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საქართველოში საბანკო, სადაზღვევო სფეროში, ასევე ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტში, სასტუმროებში, ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში.

2008 წლის ბოლოს და 2009 წლის დასაწყისში ერთდროულად რამდენიმე ცნობილი საერთაშორისო სასტუმრო ქსელი იწყებს ოპერირებას. საქართველოში ყველა 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო იქნება წარმოდგენილი – „მერიოტი“, „ჰილტონი“, „რედისონი,“ „კემპინსკი“ და ა.შ. ეს განაპირობა ტურისტების რაოდენობის ყოველწლიურად 70-80%-ით ზრდამ.

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში 10 მლრდ. აშშ დოლარის პირდაპირი და პორტფელის უცხოური ინვესტიციების შემოდინებაა მოსალოდნელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უმთავრესად ინფრასტრუქტურას (ენერგეტიკა, მილსადენები, ტრანსპორტი) მოხმარდება, რაც კარგია ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად, მაგრამ ხელს არ უწყობს ქვეყნის ეკონომიკის მწარმოებლურობის და კონკურენტუნარიანობის ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისეთ კონკურენტულ სექტორებში უნდა წარიმართოს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და მომსახურების სფერო.

4. საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად აუცილებელია:

– შესწავლილ იქნეს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მიმართულებები, განისაზღვროს მათი ზეგავლენა ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოში არსებულ

შესაძლებლობებზე;

– უცხოელი ინვესტორების დაინტერესება, რისთვისაც საჭიროა ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კარგი ბიზნესგარემო, გარკვეული შედავათები გადასახადებზე და ნაკლები შეზღუდვები;

– საინვესტიციო საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარება;

– საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკის შექმნა და მსოფლიო მასშტაბით საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ქვეყნის შემოსავლების გადიდებას.

ნატო კაკაშვილი

აქტუარული გამოთვლების ამოცანები და დაზღვევის ობიექტები

აქტუარული გამოთვლები არის მათემატიკურ და სტატისტიკურ კანონზომიერებებზე დაფუძნებული გათვლითი მეთოდების სისტემა. ის არის დამზღვევის და დაზღვეულის სადაზღვევო ურთიერთობის რეგლამენტაციის საფუძველი. ასევე, სადაზღვევო ფონდის ჩამოყალიბებისა და ხარჯვის საფუძველი, მათ შორის ხანგრძლივი დროის სადაზღვევო ოპერაციებისას, დაკავშირებული სიცოცხლისა და პენსიის დაზღვევასთან; ამასთან, გამოიყენება ტარიფების დასადგენად და სატარიფო განაკვეთების დასამრგვალებლად ნებისმიერი სახის დაზღვევისას; აგრეთვე, სადაზღვევო ფონდის ჩამოყალიბებაში ყველა დამზღვევის წილის განსაზღვრისათვის; ასევე, შემოსავლის იმ ნაწილის ანგარიშისათვის, რომელსაც დამზღვევი იღებს დაზღვეულის საკრედიტო რესურსების სახით გაკეთებული აკუმულირებული შენატანების გამოყენებით; აგრეთვე დაზღვეულის ფინანსური ვალდებულებების მოცულობისა და მისი სადაზღვევო ვალდებულებების ლიკვიდურობის გასაანგარიშებლად; ასევე, სიცოცხლის დაზღვევის ყოველი ხელშეკრულებისას ფორმირებული სარეზერვო შენატანების ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად. აგრეთვე, სადაზღვევო ორგანიზაციის

სარეზერვო შენატანების თვითღირებულებისა და გამოსასყიდი სადაზღვევო თანხების დასადგენად.

აქტუარულ გამოთვლას ორი ძირითადი დანიშნულება აქვს:

1. კონკრეტული ობიექტის დაზღვევის ხარჯების განსაზღვრა და ანალიზი, სადაზღვევო მომსახურების თვითღირებულება.

2. კონკრეტული სახის სადაზღვევო ტარიფის განსაზღვრა, დამზღვევის მიერ დაზღვევისათვის გაწეული მომსახურების საფასურის დადგენა.

საჭიროა მაქსიმალური სიზუსტით დადგინდეს დამზღვევის მიერ დაშვებული რისკი ფულადი სახით.

ამისთვის კი აუცილებელია:

1. დადგინდეს ცალკეული რისკის დადგომის მათემატიკური ალბათობა;
2. გამოიყოს მოვლენები, განისაზღვროს სადაზღვევო შემთხვევის ჯგუფებისა და მთლიანად სადაზღვევო თვითღირებულების შედეგად მოყენებული ზარალის სიხშირე და სიმძიმის ხარისხი, შეფასდეს რისკი, როგორც შესაძლო მოვლენა და ტარიფის ღირებულების სიდიდე, რომელიც იქნეს გადახდილი;
3. მოცემულ სადაზღვევო თვითღირებულების ფარგლებში გამოიყოს რისკის ჯგუფები, მთლიანად იქნეს ისინი გამოკვლეული, თვითღირებულებების შექმნის მიზნით;
4. გაანალიზდეს სადაზღვევო სიტუაცია და დახასიათდეს იგი, შეფასდეს ის შემთხვევითი მოვლენები, რომლებიც იწვევს გადახრებს სადაზღვევო გადასახადებში;
5. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნაწილობრივი ან სრული ზარალის დადგენა, სპეციალური ცხრილების საშუალებით უნდა დადგინდეს აგრეთვე აღნიშნული ზარალის დროსა და სივრცეში განაწილების მოთხოვნილების აუცილებლობა;
6. მათემატიკურად დასაბუთდეს დამზღვევისათვის საქმის მსვლელობისას აუცილებელი ხარჯები და გამოვლინდეს მათი ცვალებადობის ტენდენციები;
7. გამოითვალოს სადაზღვევო მომსახურების თვითღირებულება მთლიან სადაზღვევო თვითღირებულებასთან მიმართებაში;
8. მათემატიკურად დასაბუთდეს მზღვეველის აუცილებელი სარეზერვო ფონდები, შეირჩეს ამ ფონდების ფორმირების კონკრეტული მეთოდები და წყაროები;

9. გამოიყოს სპეციალური რეზერვები, რომლებიც დამზღვევის დაქვემდებარებაში იქნება;
10. შედგეს პროგნოზი, გაკეთდეს სადაზღვევო ხელშეკრულებათა მოცულობებების საექსპერტო შეფასება;
11. დაანგარიშდეს გასაცემი პროცენტის ნორმები და გამოვლინდეს მისი კონკრეტული დროის ინტერვალში ცვალებადობის ტენდენციები;
12. ეკვივალენტურობის პრინციპის საშუალებით დადგინდეს დაზღვეულის გადახდების და სადაზღვევო საზოგადოების მიერ შეთავაზებული სადაზღვევო უზრუნველყოფის ადეკვატური თანაფარდობა.
13. გაკეთდეს გათვლები მიღებული სადაზღვევო შენატანების დროსა და სივრცეში განთავსების შემოსავლებისა და გასავლების თაობაზე.

სადაზღვევო გადასახადების გამოთვლისას, ანგარიშის ერთეული შეიძლება განვიხილოთ სხვადახსვა იერარქიულ ტოლობაში მთლიანად ქვეყანაში, ცალკეულ რეგიონებში, მოცემული კონკრეტული რაიონის თავისებურების გათვალისწინებით, და რისკის არაერთგვაროვანი გამოვლენების გამო, დროში და სივრცეში.

ქონებრივ ჯგუფში რისკების მაღალი მერყეობის გამო, გათვალისწინებულია სპეციალური დანამატი რისკისათვის, რომელიც, ჩვეულებრივ, არ გამოითვლება აქტუარული გამოთვლებისას პირადი დაზღვევისათვის, რადგან ერთიანობაში სადაზღვევო მოცულობა საკმაოდ მაღალია, ხოლო სადაზღვევო თანხებში შედარებით მცირე.

აქტუარული გამოვლინების კალსიფიცირება ხდება დაზღვევის, ტერიტორიის და დროის მიხედვით (გეგმიური და საანგარიშო ან მიმდინარე).

გეგმიური აქტუარული ანგარიში შედგება მაშინ, როცა გათვალისწინებულია დაზღვევის ახალი სახის შემოღება, თუ არ არის ზუსტად ანგარიში მსგავსი ტიპის ან შინაარსით მიახლოვებული სახის დაზღვევისას.

გეგმიურ აქტუარულ ანგარიშს კორექტირებას უწევენ ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ, გამოიყენებენ მიღებულ სტატისტიკულ მონაცემებს.

აქტუარული ანგარიში შეიძლება იყოს საერთო (ქვეყნებისათვის), ზონალური (განსაზღვრული რეგიონისათვის) და ტერიტორიული (ცალკეული რაიონებისათვის).

აქტუარული ანგარიშის ცენტრალური ჯაჭვი არის სატარიფო განაკვეთის განსაზღვრა.

სატარიფო განაკვეთი – ეს არის სადაზღვევო რისკის ფასი და ხარჯები მისი დაზღვევისათვის, ასევე დამზღვევის ვალდებულების გამოხატულება დაზღვევის გარიგების თანახმად. სატარიფო განაკვეთი იყოფა ბრუტო და ნეტო – განაკვეთად. ბრუტო განაკვეთი – სატარიფო განაკვეთია, რომლის მიხედვითაც დაიდება დაზღვევის გარიგება. ის ასახავს ყველა ხარჯს რისკის დაზღვევისათვის, მოიცავს კომპანიის მოგებას და შედგება ორი ნაწილისაგან: ნეტო განაკვეთი და დატვირთვა. ნეტო განაკვეთი გამოხატავს სადაზღვევო რისკის ფასს; ხანძრის, წყალდიდობის, აფეთქების და ა.შ. დაზღვევის ნებისმიერი სახეობის დროს, ნეტოგანაკვეთის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა. დატვირთვა შეიცავს:

1. დაზღვევის ხარჯებს სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის და წარმართვისათვის;
2. სათანადო ფონდებში გადარიცხვებს;
3. მოგებას.

ნეტო განაკვეთის სიდიდე იზრდება რისკის გაზრდასთან ერთად, ე.ი. როცა დასაზღვევის არაკეთილსინდისიერი მოვლენების ალბათობა იმატებს, ამიტომ დაზღვევა ვრცელდება რისკზე, რომლის ალბათობაც შედარებით დაბალია. რისკი, რომლის შესაძლებლობაც 1-ის ტოლია, არ შეიძლება დაეზღვიოს, რადგან ირღვევა მხარეთა ინტერესები, სადაზღვევო ურთიერთობაში მონაწილეობისას.

ბრუტო-განაკვეთი დგინდება ნეტო განაკვეთის გამოანგარიშების შემდეგ და დატვირთვის შემდეგ.

სადაზღვევო სტატისტიკის ძირითად მაჩვენებელს მიეკუთვნება: n სადაზღვევო ობიექტების რიცხვი, სადაზღვევო შემთხვევების რიცხვი e;

დაზარალებულ ობიექტთა რიცხვი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად m; სადაზღვევო გადასახადების საერთო რიცხვი Ep; სადაზღვევო ანაზღაურების გადახდილი თანხა – Eq; ნებისმიერი ობიექტიუს დაზღვევის სადაზღვევო თანხა – E Sn; სადაზღვევო თანხა, რომელიც განკუთვნილია დაზიანებული ობეიქტებისათვის ერთიანობაში E Sm.

სტატისტიკურმა დაკვირვებამ ზარალის სიხშირესა და სიდიდეზე, საშუალება მოგვცა, დაგვედგინა რამდენად სწორად განაწილდა სადაზღვევო პრემიები. თუ გამოთვლაში შეცდომა გამოვლინდა, მაშინ შეგვაქვს კორექტივები შესაბამის ტარიფში.

სტაბილურ, წარმატებით მომუშავე კომპანიაში შედარებით მუდმივი ხარჯების ხვედრითი წილი საქმის წარმოებისათვის შედარებით მცირეა, ხოლო ცვალებადი ხარჯების – დიდი. თუ ეს თანაფარდობა ირღვევა, კომპანია იწყებს გამოუმუშავებული ფულის „შეჭმას" ე.ი. იმ ფონდისას, რომელიც გათვალისწინებულია სადაზღვევო გადასახადებისათვის.

მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ცნება გამოიყენება აქტუარულ ანგარიშებში დაზღვევის იმ ხელშეკრულების დადებისას, რომელთა ხანგრძლივობა ერთ წელზე მეტია.

საქმის წარმართვისათვის საჭირო ხარჯები შეიძლება დაკავშირებული (დამოკიდებული) იყოს ან არ იყოს დაკავშირებული (დამოკიდებული) სადაზღვევო თანხის ცვლილებასთან.

საქმის წარმართვისათვის საჭირო თანხებს შემდეგ ჯგუფებად ყოფენ:

1. საორგანიზაციო თანხები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან და მიეკუთვნება დამზღვევის აქტივებს;

2. აკვიზიციური ხარჯები – სადაზღვევო საზოგადოების საწარმოო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სადაზღვევო ხელშეკრულების დადებასთან სადაზღვევო აგენტების მეშვეობით.

3. ინკასაციური ხარჯები – ხარჯები, რომლებიც საჭიროა ნაღდი ფულის ბრუნვისათვის, სადაზღვევო გადახდებისა და შემოსავლების სადაზღვევო გადახდებისათვის და საანგარიშო რეგისტრები (წიგნები, ცნობები და ა.შ.).

4. ლიკვიდაციური ხარჯები – ზარალის ლიკვიდაციის ხარჯები, რომლებიც განიცადეს სადაზღვევო შემთხვევების გამო, ლიკვიდატორებისათვის ფულის გადახადა გაწეული მუშაობისათვის (იმ პირებს, რომლებიც აწარმოებენ ზარალის ლიკვიდაციას), სასამართლოს ხარჯები, საფოსტო-სატელეგრაფო და სადაზღვევო ანაზღაურებისთვის საჭირო თანხა;

5. მართვის ხარჯები (მართვის საერთო ხარჯები და ხარჯები ქონების მართვისათვის), მმართველობითი ხარჯები შეგროვილი სადაზ-

ღვევო გადასახადების პროპორციული არ არის, მათი დიდი ნაწილი დამოკიდებულია მოცემულ სადაზღვევო საზოგადოებაში დასაქმებაზე. დაზღვევის ცალკეული სახეობის რენტაბელობის შესაფასებლად, ძირითად მნიშვნელობას იძენს მმართველობითი ხარჯების თანხა. აქტუარულ ანგარიშებში აუცილებელია, დავაზუსტოთ ხარჯების რაოდენობა დაზღვევის ცალკეულ სახეობებსა და ჯგუფებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ეთერ კაკულია

ბიზნესში სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

საბაზრო ეკონომიკა დამყარებულია თავისუფალ სამეწარმეო (ბიზნეს) კავშირებზე. ეს კავშირები, როგორც წესი, ფორმდება ხელშეკრულებებით.

ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის სისტემაში სამეურნეო კავშირები ძირითადად ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე ფორმდებოდა. ხელშეკრულება ემსახურებოდა გეგმურ და დირექტიულ აქტებს. თავდაპირველად მგეგმავი ორგანოები განსაზღვრავდნენ, ვისთვის, როგორ და რა უნდა მიწოდებინათ, ამის შემდგომ იდებოდა საწარმოებს შორის ხელშეკრულებები მიწოდებაზე. ხელშეკრულებების მეშვეობით რეალიზდებოდა სამთავრობო გადაწყვეტილებები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის ლიბერალიზაცია და საკუთრების კერძო ფორმა არსებითად ცვლის სახელშეკრულებო ურთიერთობათა მნიშვნელობას. სამეწარმეო ხელშეკრულებები ღებულობს სრულიად დამოუკიდებელ ხასიათს, მათ საფუძველზე ხორციელდება სამეწარმეო კავშირები.

ხელშეკრულება აღიარებულია, როგორც გარიგება, რომელშიც ერთზე მეტი მხარე მონაწილეობს, იგი არის ვალდებულებათა გაცვლის საშუალება, გააჩნია კანონის ძალა.

სახელშეკრულებო სამართალი ძირითადად პირობათა განსაზღვრას ემსახურება, რომელთა საფუძველზე გაცვლა შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც ხელშეკრულება. ასევე ხელშეკრულების ძირითად საფუძველს შეადგენს ხელშეკრულებაში მონაწილეთა განზრახვა (სურვილი).

ამასთან, ხელშეკრულება რომ იყოს მოქმედი და ჰქონდეს კანონის ძალა, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. **აუცილებელია გაკეთდეს შემოთავაზება.** მხარეებიდან ერთ-ერთმა უნდა შესთავაზოს მეორეს ხელშეკრულების დადების შესახებ. წინადადება შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი, ან მოქმედი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში წინადადებები უნდა იყოს მკვეთრად, საიმედოდ და სრულიად კონკრეტულად გამოხატული. შემოთავაზებაში უნდა ჩანდეს რწმენა, რომ შემთავაზებელი მზადაა, თავის თავზე აიღოს განსაზღვრული ვალდებულებები და პასუხი აგოს მასზე კანონიერების ფარგლებში. წინადადებები გადაეცეს იმ მხარეს, ვისთვისაც არის გათვალისწინებული.

2. **წინადადებები მიღებულ უნდა იყოს.** იმისათვის, რომ წინადადება მიღებულად ჩავთვალოთ აუცილებელია მეორე მხარის მიერ მყარი განზრახვის (გამოხატული ზეპირად ან წერილობით, ან მოქმე-დებით) არსებობა ხელშეკრულების მისაღებად.

3. **ორივე მხარე აუცილებლად უნდა იყოს დაინტერესებული.** ხელშეკრულებას კანონის ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი ორივე მხარემ დადო ერთმანეთთან გარიგება და ამ საფუძველზე მოხდა რისამე ურთიერთგაცვლა. ხელშეკრულება აუცილებლად ითვალის-წინებს კანონიერ დანაკარგს (ზარალს) თითოეული ან ყველა მონაწილე მხარეებისათვის, მათ მიერ თავის თავზე აღებულ გარკვეულ ვალდე-ბულებებზე ან უფლებების უარყოფაზე. ე.ი. შეთანხმება იქნება იური-დიულად უზრუნველყოფილი, თუ ხელშეკრულებაში აღიწერება გაცვლა და კანონიერი დანაკარგი.

4. **ორივე (ან ყველა) მხარის შეთანხმება უნდა იყოს უტყუარი, ჭეშმარიტი.** იმისათვის, რომ ხელშეკრულებას კანონის ძალა ჰქონდეს, ორივე მხარე ვალდებულია, მასზე თავიანთი სურვილით შეთანხმდნენ. მოქმედი ხელშეკრულება არ დაუშვებს გაიძვერობას, იძულებებს და ურთიერთის მიმართ შეცდომებს.

5. **ყველა მხარე (ორივე მხარე) უნდა იყოს კომპეტენტური.**

6. **ხელშეკრულება არ უნდა გავრცელდეს უკანონო საქმიანობაზე.**

7. **ხელშეკრულებას უნდა ჰქონდეს კანონით რეგლამენტირებული ფორმა.** რიგ შემთხვევაში ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმით ან მოქმედების საშუალებით, ან თავისუფალი ფორმის საბუთების შედგენით. თუმცა ზოგიერთი ხელშეკრულება კანონის მოთხოვნას უნდა დაექვემდებაროს მისი წერილობითი გაფორმებისას. იმ

შემთხვევაში, როცა კანონი ითხოვს ხელშეკრულების წერილობით გაფორმებას, ნებისმიერი ცვლილება მის პირობებში ასევე უნდა იყოს წერილობითი.

მოქმედი ხელშეკრულება სავალდებულოა ორივე მხარისათვის. თითოეულმა მხარემ უნდა დაიცვას თავის თავზე აღებული დაპირებანი. ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება სახელშეკრულებო ვადის გასვლის ან საქმიანობის ერთდროულად დამთავრებისას, რაც მხარეებს აღებული ვალდებულებებისაგან ათავისუფლებს. არცთუ ისე იშვიათად, ხელშეკრულება არ სრულდება ორივე მხარის ურთიერთშეთანხმებით (ნებაყოფლობით). არის შემთხვევები, როცა ხელშეკრულება შეუსრულებელი (დაუსრულებელი) რჩება ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელების შეუძლებლობიდან გამომდინარე. მაგალითად: 1) ადამიანის სიკვდილის ან სერიოზული ავადმყოფობის გამო, რომელიც პირადად მონაწილეობდა ხელშეკრულების შესრულებაში და ვისთვისაც ვერ მოიძებნა შემცვლელი; 2) ცვლილება კანონმდებლობაში, რომელიც ხელშეკრულებაში მოცემულ საქმიანობას უკანონოს გახდის; 3) ხელშეკრულების მატერიალური ობიექტების დანგრევით. ასევე, როცა მხარეთა შორის ერთ-ერთს არ აქვს კანონიერი გამართლება გარიგების პირობების შეუსრულებლობისათვის, მეორე მხარეს შეუძლია დაადანაშაულოს იგი ხელშეკრულების დარღვევაში.

ნებისმიერი ხელშეკრულება უნდა ეყრდნობოდეს კანონმდებლობით და იურიდიულად განმტკიცებული ვალდებულებების დაფიქსირებას.

ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებში ერთი მხარის მიერ ცვლილების შეტანისას, მეორე მხარეს უფლება აქვს: 1) ჩაშალოს ხელშეკრულება; 2) მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება; 3) მოითხოვოს ხელშეკრულებაში მოცემული პირობების ზუსტად შესრულება.

დღეისათვის ქართულ ბიზნესში გვხვდება შემთხვევები, როცა ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი კერძო გარჩევის საგანი ხდება, რაც, არცთუ ისე იშვიათად, ურთიერთშეუთანხმებლობის გამო, დიდი მატერიალური ზარალით და ტრაგიკული შემთხვევებითაც კი მთავრდება ორივე მხარისათვის. აღნიშნული ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ არაა დარეგულირებული ბიზნესში სახელშეკრულებო ურთიერთობანი. ხელშეკრულების დარღვევა კერძო გარჩევის საგანი არ უნდა იყოს, იგი უნდა განიხილებოდეს სასამართლოში, როგორც ეს ხდება რიგ განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ს ფედერალურ

სასამართლოში მარტო 1990 წელს სახელშეკრულებო სამართლის განხილვის საგანი იყო სახელშეკრულებო დარღვევის 56 300 საქმე.

საქართველოში სახელშეკრულებო ურთიერთობას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წ. 26 ივლისი), რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბიზნესში ხელშეკრულების ზემოთ განხილული შვიდი პრინციპის დაცვას. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკანონმდებლო ორგანოებში შემუშავდეს კანონი „ბიზნესში სახელ-შეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“, სადაც უნდა განისაზღვროს ურთიერთობა ბაზრის სუბიექტებთან (მომხმარებელი, მიმწოდებელი და სხვ.), სახელმწიფო ინსტიტუტებთან; საკრედიტო დაწესებულებებთან. ამასთან ერთად, დარეგულირდეს ლიზინგის, ფრანჩაიზინგის, ვენჩურული კაპიტალის, ბიზნესინკუბატორის, ტექნოპარკის, საიჯარო, არენდული და სხვა სახეობის სახელშეკრულებო ურთიერთობანი.

სავაჭრო სფეროს ბიზნესში, სახელშეკრულებო ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით, უნდა შეიქმნას „ერთიანი კომერციული კოდექსი“, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების მხარეთა შორის სამართლებრივ დარეგულირებას.

სოსო მასურაშვილი

ინოვაციური ბიზნესის მართვის თავისებურებანი

საქართველოს ადგილობრივ წარმოებაში ინოვაციების მართვას დიდი ისტორია აქვს – ინდივიდუალური გამომგონებლობიდან, სახელმწიფოს ხელმძღვანელობით, ეკონომიკის მთელი რიგი დარგების კარდინალური განახლების პროცესების ორგანიზებამდე.

არსებობს აზრი, რომ საკომუნიკაციო პროცესების ეფექტური მართვა შესაძლებელია მხოლოდ საორგანიზაციო-ადმინისტრაციული მეთოდოლოგიის დახმარებით, რადგანაც ინოვაციის ნებისმიერი სუბიექტი საჭიროებს სტრუქტურიზაციას და რეგლამენტაციას. მოტი-ვაციური მექანიზმის, როგორც მრავალფაქტორული სისტემის, განხილ-ვისას, მიგვაჩნია, რომ ინოვაციურ კომუნიკაციებში მართვის ეფექტუ-რობა, ისევე, როგორც მათი წარმოქმნა, დამოკიდებულია სუბიექტის

მონაწილეობაზე საბოლოო შემოსავალში. თუმცა, ინოვაციის შედეგში სუბიექტის შემოსავლის დამოკიდებულება არ ამოწურავს ერთობლივი საქმიანობის ყველა მოტივს, რაც მას ამ მართვის სისტემაში განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს.

ინოვაციების მართვა, როგორც რთული ჰორიზონტალური სტრუქ-ტურიზებული სისტემების მენეჯმენტი, საბაზრო ურთიერთობების დამოუკიდებელ კომპონენტად გვევლინება.

ინოვაციების მასშტაბებში, რომელიც არა მხოლოდ ბიზნესის და მეწარმეობის ხასიათით განისაზღვრება, არამედ ყველა მონაწილის თვითგანვითარების ხარისხობრიობითაც, სრულად ვლინდება ასოცირე-ბის, კოოპერირების (სინერგიული ეფექტი), თვითორგანიზაციის და განვითარების ეფექტები. ამან არ შეიძლება გავლენა იქონიოს ინოვაციის მენეჯმენტზე, რომელიც იძულებულია, მართვის ტრადი-ციული მეთოდები ინოვაციებში განვითარებულ თვითმმართველობას შეუთავსოს. თვითმმართველობა ყალიბდება ადამიანური ფაქტორის საფუძველზე, რომელიც ინოვაციებში განისაზღვრება როგორც ხარისხობრივად ახალი ურთიერთობისა და კომუნიკაციების აქტიური ელემენტი. ინოვაციურ მენეჯერად ჩაითვლება ის, ვისაც შეუძლია ბიზნესის გადაყვანა საწყისი მდგომარეობიდან სასურველში. ინოვაციურ სისტემებში კომუნიკაციების მენეჯერი ინოვაციების სუბიექტებთან განსაზღვრული წესებით ურთიერთქმედებს, რამდენადაც საქმე აქვს სპეციალისტების ფართო წრესა და მათ ამხანაგობებთან, ქმნის განსაკუთრებულ სოციალურ ტექნოლოგიებს.

აქ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმ საქმიანობას, რომელიც, თავის მხრივ, სხვა საქმიანობის გარდაქმნისკენ არის მიმართული, მეორეც, მთელ რიგ თანმიმდევრულად გამოუყენებელ ანალიზს და ზემოქმედების მეთოდებს, რომელიც ინოვაციებში ჩამოყა-ლიბდა. სოციალური ინოვაციური ტექნოლოგიები, ჩვენი აზრით, იყოფა ვირტუალურად (რომელიც იქმნება ხელოვნურად ინოვაციების სუბიექ-ტების დროებითი და სხვა საკომუნიკაციო ურთიერთქმედების განსაზღვრისათვის პრობლემების გარკვევისა და მათი გადაჭრის მიზნით) და ოპერატიულად (სუბიექტების ურთიერთქმედების ორგანი-ზებისთვის გარკვეულ დროში, ინოვაციების საშინაო და საგარეო პირობების ცვლილებებზე რეაგირებისთვის ინოვაციურ სისტემაში საკომუნიკაციო ცვლილებების საშუალებით).

აღნიშნული სოციალური ტექნოლოგიების ჩარჩოებში მოქმედების სტრუქტურას, პრაქტიკულად, ერთნაირი საფეხურებრივი ცვლილება აქვს: ორგანიზაციული დიაგნოსტიკა, გადაწყვეტილების შემუშავება, რეალიზაციის პროცესები.

ორგანიზაციული დიაგნოსტიკის ამოცანაა ინფორმაციის მიზნობრივი დამუშავება, პრობლემების გამოვლენა, შეფასება და კლასიფიკაცია; დასასრულ, ცვლილებების ინოვაციური პროცესის ორგანიზებისთვის მიმართულების განსაზღვრა.

გადაწყვეტილების შემუშავებისას მხედველობაში მიიღება ინოვაციური სუბიექტების პოზიციები, ანუ განისაზღვრება პოზიციების შეთანხმების პირობები.

სარეალიზაციო ტექნოლოგიების მიზანია ინოვაციური პროცესების წარმატებული დასრულება და ბიზნესის ფაქტობრივი გადასვლა ახალ ხარისხში (კატეგორიებში). ერთდროულად უნდა რეალიზდეს სუბიექტური მიზნების მთელი სისტემა და სიახლის შემომტანთა ინტერესები, რაც ფიქსირდება მათი პოტენციალის ზრდით, ეკონომიკური განვითარებით.

სოციალური ტექნოლოგიები აუცილებელია საბაზრო მექანიზმების არასრულყოფილების გამო. თავისუფალი სასაქონლო ურთიერთობები ინოვაციებში, დამყარებული კერძო საკუთრებაზე, თვითგანვითარებისას, მოქმედებს, როგორც ბრმა ძალა და გააჩნია დამანგრეველი მუხტი, რომელსაც შეუძლია „ააფეთქოს“ ინოვაციური კომუნიკაციები და მთელი ინოვაციური პროცესი. მაშასადამე, სასაქონლო ურთიერთობები ინოვაციების სუბიექტებს შორის უნდა იყოს რეგულირებადი და უნდა შეივსოს „არასასაქონლო“ ეკონომიკით.

ინოვაციებში „არასასაქონლო“ ეკონომიკის ძირითად ელემენტებს მიეკუთვნება:

- ინოვაციების ხელმისაწვდომობა ინოვაციური კომუნიკაციების სიტემებში ინოვაციის ყველა სუბიექტისათვის და მისი გამოყენების შესაძლებლობა საკუთარი განვითარებისათვის.
- უფლებებისა და გარანტიების წარმოშობა ინოვაციებში მონაწილეობის შეწყვეტისათვის წარმოქმნილი რისკის ინდივიდუალური ხასიათის გამო, აგრეთვე მათი შემცირების შესაძლებლობათა არსებობა რისკების კოოპერაციული გადანაწილების ხარჯზე.
- სოციალური განვითარების კოოპერაციული პერსპექტივები.

- პარტნიორული გარემოს, ინოვაციური სამეწარმეო კულტურის შექმნა.
- რეგულირება ინოვაციებში ეხება როგორც ურთიერთობებს სუბიექტებს შორის, ასევე საგარეო ურთიერთქმედებებს ინოვაციურ პროცესებზე.

პირველ შემთხვევაში მენეჯერი მოქმედებს, როგორც შუამავალი (მესენჯერი), მეორე შემთხვევაში კი მისი მოქმედებები საბაზრო გარემოთი განისაზღვრება.

მესენჯერული ფუნქცია ინოვაციის მონაწილეთა ინტერესების მართვის საფუძველი ხდება, რადგან ინოვაციური მენეჯმენტის საგანს წარმოადგენს დროებითი საკომუნაკაციო სისტემების დამოუკიდებელი ინოვატორების რესურსშემომტანი ურთიერთობების ორგანიზება. ამ სისტემას, აგებულს საკუთრებით ურთიერთობებზე, გააჩნია მუდმივად ცვალებადი პარამეტრები და დროებითი მთლიანობა, აგრეთვე მოტივაციები თვითორგანიზაციისა და თვითგანვითარებისაკენ; ის აყალიბებს სპეციალურ მოთხოვნებს ინოვაციური მენეჯერის პიროვნებისადმი.

ინოვაციური მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება და მართვის ხელოვნება ახლა იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს სამეურნეო ცხოვრებაში პრინციპული ცვლილებების გამო. ინოვაციური ხასიათის მეწარმეობა წარმოშობს ახალ ორგანიზაციებს, მართვის სისტემას, მენეჯერების ინსტიტუტს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ხორციელდება ინოვაციები და რომელთაც მესაკუთრენი და ინვესტორები ანდობენ თავიანთ ქონებას, ფულად სახსრებს და უფლებებს სამეწარმეო საქმიდან (ბიზნესიდან) შემოსავლის იმედით.

ინოვაციური მენეჯმენტი დღეს მმართველობითი საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს, რაც განისაზღვრება მისი მეწარმეობითი ხასიათით და მიზნობრივი მიმართულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ფუნქციებით, მართვის პრინციპებით და მეთოდებით მას ბევრი საერთო გააჩნია ჩვეულებრივ მენეჯმენტთან, მისთვის დამახასიათებელია კავშირი უფრო ფართო სფეროსთან, რომელიც მოიცავს სამრეწველო, ფინანსურ, საინვესტიციო და სხვა პროცესებს.

მართვის ობიექტი ინოვაციურ მენეჯმენტში – ინოვაციური პროცესი წარმოებაში, რომელიც რთულ საორგანიზაციო სისტემას წარმოადგენს, მტკიცედ ორიენტირებულია ინოვაციების მიზნებზე საგარეო და საშინაო პირობების ცვლილებების გათვალისწინებით. აქ

იგულისხმება ფაქტორების მნიშვნელობათა ერთობლიობა, რომლებიც არსებითად მოქმედებს ინოვაციურ პროცესზე, ინოვაციის ყოველი ციკლის სასიცოცხლო ფაზაზე ყოველ კონკრეტულ პერიოდში. სიტუაციური მიდგომა გადაწყვეტილების მიღებაში ფართო შესაძლებლობაა მანევრირებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის ინოვაციათა პარამეტრების ტრანსფორმირებაზე.

ინოვაციური მენეჯმენტი მოწოდებულია მართოს ინოვაციური პროცესი. ინოვაციის, როგორც მართვის ობიექტის სპეციფიკა წინასწარ განსაზღვრავს ინოვაციური მენეჯმენტის შრომის თავისებურებებს, რომელსაც, გარდა საერთო მოთხოვნებისა (შემოქმედებითი ხასიათი, მრავალმხრივი ცოდნა და ანალიტიკური უნარი), მოეთხოვება სპეციფიკურობაც, მათ შორის თავისი გადაწყვეტილების მოტივირება ინოვაციების მრავალრიცხოვანი მონაწილეების წინაშე, ხოლო პროფესიული ეკონომიკური ცოდნა საშუალებას აძლევს ინოვაციურ მენეჯმენტს, ეფექტურად იმუშაოს ეკონომიკურ ინფორმაციასა და ბაზებთან, რომლებიც მოცემულია ბაზრებთან, ტექნიკასთან და ა.შ.

ინოვაციური მენეჯმენტის საქმიანობის საფუძველია მუშაობა ინოვაციურ ობიექტში ეკონომიკურ ინფორმაციასთან, ე. ი. მოვლენებისა და გადაწყვეტილებების აღრიცხვისა და ანალიზის ორგანიზება ინოვაციურ პროცესში. საინვესტიციო კაპიტალის მესაკუთრენი, ინვესტორები, კრედიტორები მასთან ერთად ახორციელებენ კონტროლს ინოვაციური პროექტის შესრულების მსვლელობაზე ინოვაციის საპროექტო და ფაქტობრივ მაჩვენებელთან შეპირისპირების გზით.

ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანი კი ინოვაციის სუბიექტის გრძელვადიანი საკონკურენციო ფუნქციონირების უზრუნველყოფაა, რისი შეფასებაც შეიძლება ინვესტიციების ეფექტურობით, ბაზარზე მდგომარეობის პერსპექტივით და წარმოების შემდგომი განვითარების რეზერვებით.

საინოვაციო პერიოდში ინვესტიციების რეალიზაცია მოქმედ საწარმოში ისეთივეა, როგორც ახალი საწარმოს მშენებლობისას. ინოვაციურ მენეჯმენტს მოუწევს ინოვაციური მოვლენების და შედეგების კონტროლირება.

ინოვაციების მართვაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ურთიერთობებს ახალშემონაღების მესაკუთრესა და ინვესტორს შორის.

ჩვენი აზრით, ასეთი ინოვაციური პოლიტიკა შეიძლება რეალიზდეს ინტელექტუალური საკუთრების – ბაზრის საკანონმდებლო და

საკონსტიტუციო განვითარების პირობებში, რომელიც სტიმულირებული იქნება ინვესტორის მიერ, სახელმწიფო გარანტიების სისტემის ინოვაციების საგადასახადო პირობების სრულყოფით.

ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას ინოვაციათა მიმართ მხარდაჭერაში.

საზოგადოება უნდა გამოდიოდეს ფუნდამენტური ფასეულობებიდან და უთავსებდეს მას თანამედროვე წარმოების პირობებს.

აქედან გამომდინარეობს სოციალური დაკვეთის აუცილებლობა ინოვაციაზე, მის პრიორიტეტზე ეკონომიკური ამოცანების მიმართ. ასეთი განსაზღვრა ეხება არა მარტო ეროვნულ ფასეულობებს, არამედ იმ ფასეულობებსაც, რომლებიც მიღებულია ინოვაციური ურთიერთობების დროს პარტნიორების მიერ და თავისი არსით ერთობლივი საქმიანობის უფრო მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს.

რაც შეეხება სოციალურ ფაქტორს, საწარმოში ინოვაციას პერსონალი უფრო შინაარსიან და მიმზიდველ შრომაზე გადაჰყავს, ქმნის მას უფრო ეფექტურს, რაც მის კეთილდღეობაზე აისახება. პიროვნების განვითარება გამოვლინდება ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოებაში, ახალი თვისებების ჩამოყალიბებაში, ურთიერთობების, შემოქმედებისა და კულტურის განვითარებაში.

უშანგი სამადაშვილი

მომხმარებლისა და საწარმოო პერსონალის ადგილი თანამედროვე ბიზნესში

1. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ფირმების საქმიანობაში გადამწყვეტი სიტყვა მარკეტინგულ სამსახურს ეკუთვნის. მაქსიმალური მოგების მიღებისათვის სწორედ მარკეტინგული სამსახური შეისწავლის ბაზარს და განსაზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის რა საქონელი (მომსახურება), რამდენი, რა ფასად, როდის იწარმოოს, როგორ იქნეს დაყვანილი მომხმარებლამდე და გაწეული იქნეს გაყიდვის შემდგომი მომსახურება. ნათქვამიდან გამომდინარე, თუ მყიდველს რაღაც არ აკმაყოფილებს – იქნება ეს საქონელი, გამყიდველი, ფასი თუ მიწოდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მარკეტინგის მიმართულებით არსაკმარისადაა ჩატარებული სამუშაოები;

2. თანამედროვე ბიზნესის სისტემაში ცენტრალური ფიგურაა მომხმარებელი (კლიენტი) და საწარმოო პერსონალი. შესაძლებელია

მომხმარებელი და კლიენტი ერთმანეთს არ დაემთხვას. მომხმარებელი იმიტომ, რომ სწორედ ის ახალი საქონლისა და მომსახურების ავტორი; სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის საქმიანობის გაფართოებისა თუ შეკვეცის შესახებ; სწორედ ის, არჩევნებში ხმის მიცემით, მიუთითებს სახელმწიფოს თუ როგორ უნდა ააგოს მან საკუთარი პოლიტიკა: „მარცხნივ“, „მარჯვნივ“ თუ „პირდაპირ“ უნდა იაროს. კლიენტი იმიტომ, რომ სწორედ მის ხარჯზე ფინანსდება ბიზნესმენის მოგება, დაქირავებულ მუშაკთა ხელფასები და სახელმწიფოს შემოსავლების უდიდესი ნაწილი; სწორედ ამიტომ, კომპანიისა თუ სახელმწიფოს საქმიანობა მომხმარებელთა ინტერესების გარშემო უნდა ტრიალებდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არა გყავთ მომხმარებელი, არ იქნება თქვენი ბიზნესი. საწარმოო პერსონალი კი იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ის აღასრულებს მომხმარებელთა სურვილებს. საჭიროა ამ ორივე ჯგუფის წარმომადგენლებზე ზრუნვა, ბაზარი იზრუნებს თქვენზე და წარმატებული იქნება თქვენი ბიზნესი;

3. მიუხედავად ამისა, ბევრი ბიზნესმენი უშვებს შეცდომას. ზოგს ჰგონია, რომ რაკი საკუთარი საქმე აქვს, იცნობს კიდეც საკუთარ მომხმარებელს. ეს მცდარი აზრია. ზოგსაც ჰგონია, რომ რაკი დროულად უშვებს მაღალი ხარისხის პროდუქციას, ეს იმას ნიშნავს, რომ, თავის მხრივ, აკეთებს ყველა შესაძლებელს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი თვითდაჯერებაც, ასევე, მცდარია;

4. ბიზნესის მომგებიანი მდგომარეობის, ანუ ბაზარზე მდგრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მყიდველთა დაინტერესება საკუთარი პროდუქციის მაღალი ხარისხით ან დაბალი ფასით, ასევე, ნოვატორული საქონლითა (მომსახურებით) და მიმზიდველი რეკლამით. ჩვეულებრივ, ბაზარზე ხანგრძლივად ის საწარმო რჩება, რომელსაც მომხმარებელთა მოთხოვნილებების მიმართ სწრაფი რეაგირების უნარი აქვს;

5. ცუდი კლიენტები არიან ისინი, რომლებიც ხშირად არ ყიდულობენ, დროულად ან საერთოდ არ იხდიან ან მუდმივად აბრუნებენ ნაყიდობას. მათი ყიდვების მოცულობა იმდენად მცირეა, რომ ასეთი კლიენტების შენარჩუნება მეტად ძვირი ჯდება. შეცდომაა, როდესაც სახსრებს ხარჯავენ ცუდი კლიენტების შენარჩუნებაზე და გამუდმებით ეძებენ ახალ-ახალს. ეს მაშინ, როდესაც ძველი კლიენტების შენარჩუნება ბევრად იაფი ჯდება ახლების მოძიებასთან შედარებით

(კლიენტთა ღირებულების დადგენისათვის წინა წლის მარკეტინგის ხარჯებს ყოფენ შეკვეთების რაოდენობაზე);

6. კომპანიის კარგი კლიენტები ისინი არიან, რომელთა წილადაც მოდის გაყიდვების უდიდესი წილი. სტატისტიკური დაკვირვებებიდან გამომდინარე, კლიენტების დაახლოებით 25% უზრუნველყოფს კომპანიის მოგების 95%-ს. სწორედ ესენი არიან კარგი კლიენტები. ისინი ენდობიან კომპანიას და ამიტომაც იძენენ მის პროდუქციას. მათ შენარჩუნებაზე კომპანიები ხარჯავენ მინიმალურ სახსრებს, ხოლო ისინი მნიშვნელოვან მოგებას იძლევიან. მიზანშეწონილია, კარგი და ცუდი კლიენტების გამიჯვნა და ცუდი კლიენტებისაგან გათავისუფლება;

7. კარგი კლიენტების შენარჩუნებაზე ზრუნვა არ უნდა იყოს საგანგებო და ნამეტანი ხარჯიანი. მაგალითად, ბევრი კლიენტისათვის წამახალისებელი იქნება ის, თუ გახსოვთ მისი სახელი და სახელით მიმართავთ ან მიულოცავთ დაბადების დღეს, იუბილეს, როგორც პირადს, ისე კორპორაციულს. სწორედ ამიტომ, ცალკე ფაილში უნდა გქონდეთ თქვენი კლიენტების, პარტნიორების ვინაობა, მათი დაბადების დღეები, კომპანიების იუბილეები და სხვა მნიშვნელოვანი თარიღები, რათა გამოიჩინოთ ყურადღება და მიულოცოთ ღირსშესანიშნავი თარიღები. ყველაფერი ეს დადებითად განაწყობს მათ თქვენი კომპანიის მიმართ.

8. ყოველივე ზემოთქმულისათვის ფირმის (საწარმოს) მარკეტინგული სამსახური უნდა ფლობდეს კლიენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის, სარეკლამო კამპანიის დაგეგმვის, მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავება-შეფასების, მისი დროული კორექტირებისა და სრულყოფის, ბაზრის სეგმენტაციისა და კლიენტების მოძიების, საქონლისა და მომსახურების პოზიციონირების, უნიკალური სავაჭრო წინადადების შეთავაზების და მედიადაგეგმვის ცოდნასა და უნარჩვევებს. მოკლედ, მას უნდა შეეძლოს პასუხი გასცეს მარკეტინგული კომუნიკაციის სამ მთავარ კითხვას: “ვის ვუთხრათ?” (ვინ არიან ჩვენი კლიენტები და როგორ მოვიძიოთ ისინი?), “რა ვუთხრათ?” (როგორი წინადადება მივცეთ მათ?) და “როგორ ვუთხრათ?” (როგორ დავიყვანოთ ეს წინადადება კლიენტამდე?).

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის სტრატეგიულ მიზნებში ბუნებრივია, წინა პლანზე იყოს წამოწეული მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, უმართავ ინფლაციასთან ბრძოლა და მისი მოთოკვა. პოსტკომუნისტურ საქართველოში ამას ემატება სრული დასაქმებისათვის პირობების შექმნაზე ზრუნვა, რაშიც ჩვენი აზრით მომგებიანი იქნება ჩაირთოს წარმოების მართვის ოპტიმიზაციისათვის რისკის მასშტაბების გაფართოება და მისი გააქტიურება.

დასაქმების ზრდასთან დაკავშირებით და სამუშაო ადგილების დეფიციტის პირობებში, მოსალოდნელია, გამოსავალი მოინახოს ახალი სამუშაოს ფორმირებით, მისი განხორციელებისათვის რისკზე წასვლის, ზოგჯერ იძულებითი ღონისძიებითაც კი, მაგალითად დაზღვევის მოშველიებით. გარდა ამისა, შეიძლება შეიქმნას შესაძლებლობა, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი რისკის უარყოფითი შედეგები, ხოლო ნდობის ფაქტორი გაუმჯობესდეს რისკის დონეზე წარმოების მომგებიანობის ზრდით (რისკის მასშტაბების გაფართოვებაში ვგულისხმობთ რისკით მოგებისა და წაგების ალბათურ შეფასებათა აბსოლუტურ მნიშვნელობების ჯამის ზრდას). ყოველივე ეს აისახება ცხოვრების დონის ზრდის პერსპექტივაში, როდესაც ქვეყანა თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს გონივრულ დაზოგვასა და ინვესტირებაზე იყენებს. ამას ის ახერხებს კაპიტალის მარაგითა და მშპ-ის ზრდით, იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც რისკის გარეშე ნაკლებს ზოგავენ და მცირე დანახარჯებზე «ჩერდებიან».

მოსახლეობის დასაქმების სრულყოფილ ზრდას მაღალხელფასიანი სამუშაოების შესრულება განაპირობებს, ხოლო დიდი მოგებები საწარმოებს აძლიერებენ. როდესაც აქტიურდება რისკის ფაქტორიც, განსაკუთრებით დეფიციტის ეკონომიკაში, მაშინ ქვეყანა დიდი სიძნელეების წინაშე დგება, რომელიც თავისთავად არ დარეგულირდება. სრული დასაქმება დაბალრენტაბელური საწარმოებით თავისთავად არ მიიღწევა. მოსახლეობის დაბალმსყიდველუნარიანობა, რისკზე წასვლის დროსაც, საწარმოების მაღალ მომგებიანობაზე გადასვლას ხელს არ უშლის, თუკი მიზეზები გაანალიზებულია და გამოვლინებას ექვემდებარება მათი თავიდან აცილების შესაძლებლობები. მაგალითად, პრივატიზების გონივრული ჩატარებით საწარმოების გამდიდრების შესაძლებლობის ეფექტიანი გამოყენება პოსტკომუნისტურ საქართველოში. ანალოგიური სირთულე მაშინაც წარმოიშობა, როცა დასაქმე-

ბულთა ხელფასები მცირეა და ისინი (დასაქმებულები) იძულებულნი არიან არსებობის შესანარჩუნებლად გააგრძელონ მუშაობა დაბალი ხელფასებითა და მაღალი გადასახადების პირობებში, რაშიც პოსტ-კომუნისტური ქვეყანა იმყოფება ხოლმე და გამოსავლად სესხის აღებას მიიჩნევენ, ხოლო, ეს რომ დიდ რისკთანაა დაკავშირებული, ამას ყურადღებას არ აქცევენ ან ბრმა რისკით კმაყოფილდებიან, რაც სახიფათოა.

მცირე კაპიტალდაბანდებების შესაბამისად, როდესაც საჭვო ხდება წარმოების ფუნქციონირების გაძლიერება, გამოსავალი შეიძლება აღმოჩნდეს რისკზე წასვლა მაღალი დონის მომგებიანი პროდუქტების გამოშვების ზრდით და მისთვის საჭირო სამამულო რესურსების შერჩევით, რომელთა ნაწილი შეიძლება დეფიციტიც კი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში ვადგენთ წარმოების დაგეგმვის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს შემოსავლის მაქსიმუმით (ან რენტაბელობის, ან შრომის მწარმოებლურობის მაქსიმუმით), რასაც ემატება საწარმოში დასაქმე-ბულთა რიცხოვნობის ზრდის მოთხოვნა რისკის პირობებში.

დასახული მიზნის შესაბამისად ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენას და მასთან დაკავშირებულ მსჯელობას წარვმარ-თავთ, პოსტკომუნისტური საქართველოს ამჟამინდელი სინამდვილის გათვალისწინებით, წარმოების ოპტიმალური ორგანიზაციისაკენ და მაქსიმალური რაოდენობის სამუშაო ადგილების გამოსავლენად. ბუნებრივია, მეწარმეებისათვის შეიქმნას დიდი მოგებით რისკზე წასვლის პირობები ზარალის მინიმიზაციით. საჭიროებისამებრ რისკის დაზღვევა ნდობის ფაქტორის გააქტიურებით, მაღალ დონეზე აიყვანს მეწარმის პრესტიჟს და რისკზე წასვლით საწარმოს მომგებიანობის შემდგომ გამოვლენასაც შეუწყობს ხელს.

ჩატარებული მსჯელობის საფუძველზე, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით, მათში რისკის ელემენ-ტების ჩართვით, შესაბამისად რესურსებსა და პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დამარეგულირებელი პირობის გათვალისწინებით, საშუალება გვეძლევა შევადგინოთ წარმოების დაგეგმვისა და მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. ხოლო მისი (მოდელის) ანალიზის შედეგად შესაძლებელია რისკის გათვალისწინებით წარმოების ოპტიმა-ლური დაგეგმვის მოდიფიცირებული ამოცანის დასმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც დასაქმებულთა რიცხოვნობის

მაქსიმიზაციის პირობა, ისე სამამულო წარმოების პროდუქციის დეფიციტის არსებობაც.

მაია სეთური

მარკეტინგის მართვის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

– მარკეტინგის მართვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პოტენციური გაცვლის ერთი მხარე მაინც შეიმუშავებს და იყენებს საშუალებებს სხვა მხარეებისაგან სასურველი გამოძახილის მისაღწევად.

– მარკეტინგის მართვა გულისხმობს იდეების, პროდუქტის და მომსახურების ფასწარმოქმნის, წინ წაწევის და განაწილების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესს, რომელიც მიმართულია გაცვლის განხორციელებისაკენ როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ასევე ორგანიზაციების დასაკმაყოფილებლად, ეს კი, შეუძლებელია, დიდი ძალისხმევისა და სიახლეთა დანერგვის გარეშე განხორციელდეს.

– მარკეტინგის მართვა დამყარებულია გაცვლის ცნებაზე; მარკეტინგის მართვა მიმართულია გაცვლის თვალსაზრისით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიზნობრივ ბაზარზე, ეს არის პროცესი, რომელიც მოიცავს ანალიზს, დაგეგმვას, გეგმების რეალიზაციასა და კონტროლს.

– მარკეტინგის ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს საწარმოს წარმატებას. უნარი იმისა, რომ განსაზღვრო როგორ შეიძლება მარკეტინგული მართვის სრულყოფა რომელიმე კომპანიაში, შემდეგ კი განახორციელო ეს იდეები, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

– სტრატეგიული მარკეტინგის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც კონკურენტებთან მყარი უპირატესობების ძიების კორპორაციის მიზანმიმართული ქმედებები, მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების გზით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი მნიშვნელოვანია მუდმივი ფიქრი იმის შესახებ, როგორ დავაკმაყოფილოთ ბაზარზე მომხმარებელთა საჭიროებანი უფრო ეფექტიანად და შედეგიანად.

– კონკურენტებით გაჯერებულ ბაზარზე მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს კონკურენტულ რაციონალურობას უწოდებენ. სიტყვა "კონკურენტული" გულისხმობს, რომ ფირმა

ბაზარზე მოქმედებს სხვა კომპანიებს შორის, რომლებიც მსგავს გადაწყვეტილებებს იღებენ; “რაციონალურია” – გულისხმობს, რომ ფირმა მიისწრაფის, იყოს თანმიმდევრული მომხმარებლებთან გაცვლის ორგანიზაციაში მუდმივად განვითარებად ბაზარზე.

– მარკეტინგის მართვაში მონაწილეობენ ანალიტიკოსები, საქონლის წარმოების და რეალიზაციის მენეჯერები, გაყიდვების მენეჯერები, გასაღების განყოფილების, რეკლამისა და საქონლის წინ წაწევის მენეჯერები, სავაჭრო მარკის მმართველები და ა. შ. თითოეულ მათგანს კომპანიაში მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანები და პასუხისმგებლობა გააჩნია. მათი თანამდებობრივი ვალდებულებები მოიცავს მართვას სპეციალური მარკეტინგული რესურსებით.

– მარკეტინგის მენეჯერთა ძირითადი სამუშაოა ანალიზი, დაგეგმვა და პროგრამების რეალიზაცია. მარკეტინგის მმართველი ასრულებს მარკეტინგული ღონისძიებების ძალზე ფართო სპექტრს. მარკეტინგის მართვა მიმართულია მოთხოვნის დონეზე, სტრუქტურასა და დროებით საზღვრებზე ზემოქმედებისათვის ისეთი ამოცანების შესასრულებლად, ორგანიზაციამ დასახულ მიზანს რომ მიაღწიოს.

– მარკეტინგის მართვა ხორციელდება მარკეტინგული კვლევების, გეგმების შედგენის, გეგმების რეალიზაციისა და კონტროლის ჩატარებით. ბაზრის აქტიურმა სუბიექტებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები მიზნობრივი ბაზრების წარმოების განვითარების, მარკის პოზიციონირების, განაწილების არხების, საფასო პოლიტიკის, საქონლის ბაზარზე წინ წაწევის და კომუნიკაციის შესახებ.

– მარკეტინგის მართვის საფუძველი უნდა იყოს სოციალურად საპასუხისმგებლო საქმიანობის კარგად გააზრებული ფილოსოფია. ორგანიზაციებს შეუძლიათ მარკეტინგის მართვის ხუთი კონცეფციიდან რომელიმე მიდგომა დაუდონ საფუძვლად. ეს გადაწყვეტილება კი მათი ძირითადი ფილოსოფიის განმსაზღვრელი ხდება.

– კომპანიის ყველა განყოფილების სამუშაო თუ კლიენტის ინტერესების სამსახურზეა მიმართული, ყალიბდება ინტეგრირებული მარკეტინგის სისტემა. ინტეგრირებული მარკეტინგი ორდონიანი სისტემაა. მისი პირველი დონე სხვადასხვა მარკეტინგული ფუნქციებია: რეკლამა, მარკეტინგული გამოკვლევა, გასაღება, პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის მართვა და ა.შ. ეს ფუნქციები უნდა იყოს ურთიერთგადაჯაჭვული, მათი შესრულება კოორდინირებული.

– ინტეგრირებული მარკეტინგის მეორე დონეა კომპანიის ყველა განყოფილების ურთიერთშეთანხმებული მუშაობა. მარკეტინგი ეფექტიანია, როდესაც კომპანიის თითოეული მუშაკი პირად წვლილს შეიტანს კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

მზია ტიკიშვილი

საბანკო ელექტრონული სისტემების უსაფრთხოება

უსაფრთხოების საკითხის სათანადო შეუფასებლობის შედეგი შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს ნებისმიერი ბანკისათვის. საბანკო ელექტრონული სისტემის უსაფრთხოება – ეს არამარტო ბოროტმოქმედებისაგან თავის დაცვაა. ინფორმაციის დროულად არ მიწოდება, ამ სისტემის ფუნქციონირების უუნარობის გამო, ან კლიენტის მომსახურებაზე უარის თქმა, რაღაც მიზეზების გამო, თავისი შედეგებით, ინფორმაციის დაკარგვის ტოლფასია. უსაფრთხოების სისტემების აგებისას გამოკვეთილია ორი მიდგომა: ფრაგმენტული – გარკვეულ პირობებში გარკვეული მუქარისადმი (საფრთხისადმი) წინააღმდეგობის გაწევა (მაგ., სპეციალიზებული ანტივირუსული პროგრამები, კრიპტოგრაფიული მეთოდები და ა.შ.) და კომპლექსური – ინფორმაციის დამუშავებისათვის დაცული პირობების შექმნა, რომელიც მუქარის აღკვეთის სხვადასხვა საშუალებებს აერთიანებს (სამართლებრივი, ორგანიზაციული, პროგრამულ-ტექნიკური). დღეისათვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერები განუწყვეტლივ ცდილობენ ბანკში უფრო სრულყოფილი და თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევასა და დანერგვას, რათა უზრუნველყონ ბანკის ფუნქციონირების უწყვეტობა და ნებისმიერი საფრთხის მიმართ მდგრადობა – ეს იქნება ბუნებრივი, შემთხვევითი თუ წინასწარგანზრახული საფრთხე, აგრეთვე, მუშაობის სწრაფად აღდგენის შესაძლებლობა სისტემის დაზიანების შემთხვევაში, ბანკის კლიენტებს პრობლემები რომ არ შეექმნათ ნებისმიერ საბანკო მომსახურებაზე.

ელექტრონული სისტემის უსაფრთხოების მიმართ ნებისმიერ ღონისძიებათა დასახვას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომლის დროსაც უნდა ვუპასუხოთ კითხვებს: რა საშუალებებისა და ღონისძიებების მიღებაა საჭირო სისტემის საიმედოობის გარანტირებისათვის და რა დანახარჯებია საჭირო. ამისათვის კი უნდა მოხდეს: სისტემის

დაცვისადმი წაყენებულ მოთხოვნათა შეგროვება და ანალიზი მისი სუსტი მხარეების გათვალისწინებით; უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირება, რომელიც ფორმდება დოკუმენტის სახით, სადაც განსაზღვრულია ბანკის ამოცანები საბანკო სისტემის დაცვის სფეროში ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე; არჩეული უსაფრთხოების პოლიტიკის გათვალისწინებით დგინდება დაცვის გეგმა – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც აღწერს კონკრეტულ მოქმედებებს საბანკო საქმიანობის ავტომატიზაციის უსაფრთხოებისათვის. იგი რეგულარულად გადაისინჯება და საჭიროების მიხედვით კორექტირდება; ხორციელდება გეგმით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმი; ხდება დაცვის მექანიზმის მოქმედებაზე მიმდინარე კონტროლი.

უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს იმ ნორმების, წესებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზედაც შემდეგ საინფორმაციო სისტემის საქმიანობა აიგება. ამ შემთხვევაში საინფორმაციო სისტემა მოიცავს არა მხოლოდ აპარატურულ-პროგრამულ კომპლექსს, არამედ მომსახურე პერსონალსაც. უსაფრთხოების პოლიტიკა ფორმირდება შესაძლებელი საფრთხეების მიმდინარე მდგომარეობის ანალიზისა და ინფორმაციული სისტემის განვითარების პერსპექტივების საფუძველზე და იგი განსაზღვრავს: უსაფრთხოების სისტემის მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტებს; ცალკეული ქვესისტემების მოქმედების არეებს; დაცვის გარანტირებულ მინიმალურ დონეს; პერსონალის ვალდებულებებს დაცვის უზრუნველსაყოფად; სანქციებს დაცვის დარღვევაზე.

თუ უსაფრთხოების პოლიტიკა ფორმულირებული იქნება არასრული სახით ან არაშედეგობრივად, მაშინ ინფორმაციის დაცვის დარღვევის ალბათობა მკვეთრად იზრდება. ინფორმაციის დაცვისას იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს: ინფორმაციის კონფიდენციალობას, რაც ნიშნავს ინფორმაციის გაცნობის აღკვეთას იმ პირთათვის, რომელთაც არ აქვთ მასთან შეღწევის უფლებამოსილება; ინფორმაციის დაცულობას (ინფორმაცია შეიძლება დაზარალდეს ბოროტმოქმედის შეგნებული მოქმედებისგან, პერსონალის შეცდომებისგან, ხანძრისგან, ავარიისგან და ა. შ.); შეღწევას (უსაფრთხოების სისტემის არსებობა არ უნდა აფერხებდეს სისტემის ნორმალურ მუშაობას).

უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა შეუძლებელია რისკის ანალიზის გარეშე, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს: სისტემის

შემადგენლობის აღწერა, საფრთხეთა რეალიზაციის ალბათობათა შეფასება, მოსალოდნელი დანაკარგების მოცულობის შეფასება, დაცვის შესაძლო მეთოდებისა და საშუალებათა ანალიზი, შემოთავაზებული ღონისძიებებიდან შესაძლო დანაკარგთა შეფასება.

ლეილა ქადაგიშვილი

მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა გამოიყვანოს კრიზისიდან, არის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. სწორედ მათ აქვთ ყველაზე დიდი პოტენციალი, რომ გააჯანსაღონ ქვეყნის ეკონომიკა და სწორი მიმართულებით წარმართონ ბიზნესი. თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. მცირე ბიზნესი – ეს არის უმცირეს და მცირე საწარმოთა ერთობლიობა. დასავლეთის ლიტერატურაში მას "მცირე ეკონომიკა"-საც უწოდებენ. „ეკონომიკის ეს სექტორი ქმნის სამუშაო ადგილებს, კონკურენციისათვის აუცილებელ ატმოსფეროს, სწრაფად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებაზე, წარმოადგენს საშუალო ფენის ფორმირების ძირითად წყაროს” [Малый бизнес, под. ред. А.В. Косьянова, М., “Гросс”, 2005, с 6.]. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპები, საერთო ეროვნული პროდუქტის სტრუქტურა და ხარისხი.

ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის – უილფორდ ლ. უაიტის განმარტებით, მცირე ბიზნესი, უპირველესად, საზოგადოებრივი სარგებლიანობით განისაზღვრება. ეს სარგებლიანობა უნდა გამოიხატებოდეს, ჯერ ერთი, მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის შექმნა-მიწოდებით და მომსახურების გაწევით, მეორე, ხელსაყრელი სამუშაოთი ადამიანების უზრუნველყოფით, მესამე, ამის სანაცვლოდ მოგების მიღებით.

მცირე ბიზნესი ბოლო ოცწლეულში მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მცირე ბიზნესის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში მეტად

შთამბეჭდავია. თუ XX საუკუნის 60-იან წლებამდე მცირე ბიზნესი ერთ-ერთ უპერსპექტივო და სუსტად განვითარებულ სექტორად ითვლებოდა, ამჟამად იგი აშშ-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის ერთ-ერთი დინამიკურად განვითარებადი ნაწილია და დიდ როლს ასრულებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება ერთობლივი ეროვნული პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, ასე, მაგალითად, მცირე საწარმოები აწარმოებენ გერმანიაში წარმოებული პროდუქციის 60%, და ისინი ქმნიან სამუშაო ადგილების 70-75%-ზე მეტს.

მცირე ბიზნესის განვითარების შესანიშნავი მაგალითებია აშშ, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სხვ. თანამედროვე პირობებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე შუა აზიის ქვეყნებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი უწყობს ხელს.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარება რადიკალური გარდაქმნების შემდეგ დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ თითქმის 17 წელი გავიდა, საქართველოს ეკონომიკაში მცირე ბიზნესის ადგილი და როლი ისეთი შთამბეჭდავი არ არის, როგორც განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოს მცირე ბიზნესში 2006 წელს წარმოებულია 590 მლნ. ლარის პროდუქცია. ამ მაჩვენებლით მას პროდუქციის საერთო მოცულობაში მხოლოდ 8% უკავია. დაახლოებით ამდენივეა 8,2% მცირე ბიზნესის წილი პროდუქციის ბრუნვის საერთო მოცულობაში (იხ. ცხრ. 1).

მთლიანად საქართველოს მეწარმეობაში პროდუქციის გამოშვება და ბრუნვა 2000 - 2006 წლებში სამჯერ არის გაზრდილი. აღნიშნულ პერიოდში მცირე საწარმოებში პროდუქციის გამოშვება მხოლოდ 19,4%-ით არის გაზრდილი, ხოლო პროდუქციის ბრუნვა, გაზრდის ნაცვლად 14,8%-ით არის შემცირებული. თუ 2000 წელს პროდუქციის ბრუნვა მცირე საწარმოებში შეადგენდა მთელი ბრუნვის 33,5% და დაასაქმებდა მთელ დასაქმებულთა 33,3%-ს, 2006 წელს ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 8,2% და 23,4%. ამ მაჩვენებლებით მცირე ბიზნესის ადგილი და როლი საქართველოს ეკონომიკაში მეტად მოკრძალებულია. ეს გამოიწვია არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, არამასტიმულირებელმა საკრედიტო და ფისკალურმა პოლიტიკამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა.

მდგომარეობა არც 2007 და 2008 წლის განვლილ პერიოდში შეცვლილა. ამ პერიოდში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს, დაემატა ინფლაცია (ოფიციალური მონაცემებით 11%), კრედიტის საპროცენტო განაკვეთის გაზრდა და სხვ. მცირე საწარმოთა დიდი ნაწილი გაკოტრდა, ნაწილმა კი უარი თქვა მუშაობის გაგრძელებაზე. ზემოაღნიშნული ხელს უწყობს უმუშევრობის და სიღარიბის მატების ზრდას საქართველოში. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას

ცხრილი 1

მცირე ბიზნესის ადგილი და როლი საქართველოს მეწარმეობაში

	მაჩვენებლები	2000	2005	2006	დინამიკა 2006 წ. %-ად 2000 წელთან
1	პროდუქციის გამოშვება საქართველოს მეწარმეობაში (მლნ. ლარი)	2388,6	5838,3	7412	310,4
2	მ.შ. პროდუქციის გამოშვება მცირე საწარმოებში (მლნ. ლარი) ხვედრითი წილი (%-ად)	493,7 20,7	551,2 9,4	590 8,0	119,4 –
3	პროდუქციის ბრუნვა საქართველოს მეწარმეობაში (მლნ. ლარი)	3781,4	10076,3	13090,3	346,2
4	მათ შორის მცირე საწარმოების ბრუნვა (მლნ. ლარი) ხვედრითი წილი (%-ად)	1265,4 33,5	1155,8 11,5	1079,3 8,2	85,2 –
5	დასაქმებულთა რიცხვი (კაცი)	378055	388946	360987	–
6	მათ შორის მცირე საწარმოებში (კაცი) ხვედრითი წილი (%-ად)	125805 33,3	100415 25,8	84555 23,4	– –

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. თბ., 2007.

და ხელშეწყობას. მცირე საწარმოებს გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი აღორძინების ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური გზა მცირე ბიზნესის განვითარებაა. ამდენად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხი სწორედ მცირე ბიზნესის ყოველმხრივი მხარდაჭერა უნდა იყოს. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მცირე ბიზნესი ბიუჯეტის შევსების უშრეტი წყაროა. მისი უპირველესი მოვალეობა სოციალური საკითხების მოგვარება, კერძოდ, უმუშევართა დასაქმება და ამ გზით მოსახლეობის სიღარიბისაგან თავის დაღწევაა.

დასაქმება და შემოსავლების ზრდა ადამიანთა ნორმალური ცხოვრების საფუძველია. ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და სიღარიბის დასაძლევად 2007 წლის დეკემბერში შეიმუშავა სახელმწიფო პროგრამა სახელწოდებით – „იაფი კრედიტი". ასევე ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა 2008–2032 წწ. პროგრამა – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე". ამ პროგრამაში მოცემულია საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირება და ქონებაზე გადასახადის საერთოდ გაუქმება. სიღარიბის დასაძლევად ეს საკმარისი არ იქნება. საჭიროა, მოწესრიგდეს და გაუმჯობესდეს მთელი ბიზნესგარემო. მცირე ბიზნესს უნდა მიეცეს განვითარების იმპულსის მქონე შედავათები დაბეგვრაში, დაკრედიტებადაფინანსებაში, ლიცენზირებაში, რეგისტრაციაში, კონტროლსა და შემოწმებებში და სხვა პროცედურებში. ამასთან, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები უნდა გატარდეს არა ცალ-ცალკე და ფრაგმენტულად, არამედ ერთობლივად, კომპლექსურად. ამით მეწარმეობაში მიიღება სინერგიული ეფექტი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს გატარებული თითოეული ამ ღონისძიების ჯამი.

მცირე ბიზნესის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულება უნდა გახდეს, ვინაიდან მცირე ბიზნესს შესაძლებლობა აქვს, გადამწყვეტი როლი შეასრულოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მცირე საწარმოთა მართვას არ სჭირდება დიდი კაპიტალი, ისინი გაცილებით მოქნილნი და ოპერატიულნი არიან სამეურნეო საქმიანობაში, სწრაფად რეაგირებენ

საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერ ცვლილებებზე, ვიდრე მსხვილი საწარმოები. მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების მაღალ დონეს. მცირე ბიზნესი კომერციული იდეების სწრაფი რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა. მცირე საწარმოებს შესწევთ უნარი, შესაძლებლობების ფარგლებში, დაიკავონ ბაზარზე საკუთარი სეგმენტი და ხელი შეუწყონ კონკურენციის გაღრმავებას. ეს იმ უპირატესობების ნაწილია, რომლებიც მცირე ბიზნესს ახასიათებს. მას სხვა უპირატესობებიც გააჩნია, მცირე ბიზნესის უპირატესობათა კომპლექსი ასაბუთებს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას ხელშეწყობა სჭირდება, მათ კი ქვეყნისთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიათ – მცირე ბიზნესი შეასრულებს თავის სოციალურ მოვალეობას – დაასაქმებს უმუშევრებს და შეამცირებს სიღარიბეს.

გიული ქეშელაშვილი

პროექტების მართვა: დღევანდელობა და მომავალი

1969 წელს ამერიკის პენსილვანიის შტატის ქ. დერბიში შეიქმნა პროექტის მენეჯმენტის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციას და მოწოდებულია, რომ გააღრმაოს პროექტის მენეჯმენტის მეცნიერება. ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, „პროექტის მენეჯმენტი არის ცოდნის, უნარის, ხერხებისა და ტექნოლოგიის ერთობლიობა კონკრეტული პროექტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ [**www.pmi./projectmanagement/project. htm**.].

80-იან წლებში მიკროკომპიუტერული პროგრამირების გამოჩენამ კომპიუტერული დაგეგმვა და კონტროლის მეთოდების გამოყენება ყველა პროექტისა და ორგანიზაციისათვის მისაწვდომი გახადა. პროექტების მართვამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. პროექტის დაგეგმვისა და კონტროლის მეთოდებთან ერთად, ადამიანის ფაქტორმა შეიძინა უდიდესი მნიშვნელობა და შესაძლებელი გახდა ერთდროულად რამდენიმე პროექტის მართვა პარალელური ტექნოლოგიების, უწყვეტი გაუმჯობესებისა და სტრატეგიული ცვლილებების საფუძველზე. პროექტების მართვამ თავისი გამოყენების სფერო პოვა იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც გლობალურ საწარმოებს გაუჩნდა XXI საუკუნეში. აქედან გამომდინარე, ქართული კომპანიებისათვის

მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც უკვე გააჩნიათ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებსა და რიგ წამყვან კომპანიებს – **Coca-Cola, Kodak, Xerox, Motorola, General Motors , 3M**-ს პროექტების მართვაში.

პროექტების მართვის ცნობილი მეცნიერი დ. კლივლენდი „პროექტების მართვის საუკუნის“ დასაწყისად XXI საუკუნეს მიიჩნევს [**Clifford F. Graj, Erik W. Larson, Project Management, (Irwin McGraw-Hill, 2000), p.20.**]. ინფორმაციის მყისიერმა გავრცელებამ, წარმოებისა და დაპროექტების ავტომატიზაციამ გამოიწვია პროექტის სასიცოცხლო ციკლის შემცირება. 50 წლის წინ პროდუქციის საშუალო სასიცოცხლო ციკლი 15-20 წელიწადს შეადგენდა. ამჟამად საწარმოების ხელმძღვანელები თვლიან, რომ სასიცოცხლო ციკლი არის სამი წელი, ხოლო იმ ფირმების ხელმძღვანელები, რომლებიც იყენებენ მაღალმწარმოებლურ ტექნოლოგიებს, სასიცოცხლო ციკლს ექვს თვედ მიიჩნევენ. ახალი პროდუქციის შექმნის სისწრაფე გაიზარდა გეომეტრიული პროგრესიით. მოკლე სასიცოცხლო ციკლი ზრდის პროექტების რაოდენობას. რესურსების ნაკლებობამ და კონფლიქტებმა შეიძლება გაართულონ გარემოზე კონტროლი. მაშინ როგორ შეურიგდება ბაზარი რესურსების პრობლემას? ამ ფაქტორმა პროექტების შერჩევისა და მართვის საკითხებთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა წარმოქმნა.

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლთან უშუალო კავშირში იმყოფება ცოდნა და ტექნოლოგიური აფეთქება. ბოლო ორი თუ სამი ათწლეულის განმავლობაში დაგროვდა გაცილებით მეტი ცოდნა, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. დღეს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 33%-ს ქმნის ახალ ცოდნაზე დაფუძნებული პროდუქცია. ახალი ცოდნა და ინოვაციები ბიზნესის ტექნოლოგიური საფუძველია.

არც ერთ ქვეყანასა და პროდუქციას არ შეუძლია გვერდი აუაროს გლობალურ კონკურენციას. მკაცრ კონკურენციულ ბრძოლაში გადარჩენა და წარმატება გვკარნახობს, მხარი დავუჭიროთ სიახლეებს. ბრძოლაში იმარჯვებენ საუკეთესო კომპანიები. პროექტის მართვა საწარმოს ზრდისა და მისი გადარჩენის დომინირებადი საშუალება ხდება. როგორც პროექტის მართვის ექსპერტი **პოლ დინს მური** აღნიშნავს, მომავალში „კომპანიები განიხილება არა, როგორც იერარქიული ფუნქციონალური ორგანიზაციები, არამედ, როგორც საკუთარი თავიდან პროექტების პორტფელის წარმომდგენი სწრაფად განვითარებადი საწარმოები, რომლებიც მუდმივად იცვლებიან, ახლდებიან და საჭირო

ხდება მათი გარდაქმნა უფრო სწრაფად, იაფად და უკეთესად" [**Clifford F. Graj, Erik W. Larson, Project Management, (Irwin McGraw-Hill, 2000), p. 514.].**

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროექტების ჩავარდნის მთავარი მიზეზია ცუდი დაგეგმვა. ზოგადი რეკომენდაციები იმაში მდგომარეობს, რომ მეტი ყურადღება და დრო დაეთმოს პროექტის გეგმის შედგენასა და მკაფიო საზღვრების განსაზღვრას. იცვლება პროექტის შემკვეთთა მოთხოვნებიც, მართვის უმაღლესი რგოლის სტრატეგიებიც და პრიორიტეტებიც, შესაბამისად კონკურენტებიც იცვლიან საქმიანობის სფეროს. ბიზნესის ახლანდელ სამყაროში განუსაზღვრელობა ფუფუნებაა, ხოლო ჯილდო დამყარებულია მოქნილობაზე. ერთ პროექტზე ერთდროულად რამდენიმე შორეული რეგიონიდან მომუშავე მმართველი გლობალური გუნდები პროექტის მენეჯერისაგან მოითხოვენ მართვის სტილის შეცვლას გარემო პირობების შესაბამისად. პროექტის მენეჯერები მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში სამუშაოდ უცნობი ბიზნესით და შეეგუონ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების უცნობ ქცევას.

მომავალში პროექტები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სტრატეგიულ მოთხოვნებთან, კავშირი სტრატეგიულ მიზნებსა და პროექტებს შორის ნათელი იქნება ორგანიზაციის ყველა წევრისათვის. პროექტების პორტფელი ორიენტირებული იქნება ორგანიზაციულ მიზნებსა და ბიზნესგეგმებზე. ორგანიზაციული რესურსები საგულდაგულოდ იქნება შერჩეული მოთხოვნათა შესაბამისად და პროექტების პრიორიტეტული სისტემის შექმნა-გამოყენება განიხილება, როგორც მართვის რგოლის მთავარი პასუხისმგებლობა.

ბოლო 30 წლის განმავლობაში მოხდა გადასვლა ტექნიკურად ორიენტირებული მენეჯერიდან კვალიფიციურ მენეჯერამდე. მსოფლიო კონკურენციამ პროექტების აქცენტი გადაიტანა ტექნოლოგიებზე, ინფრასტრუქტურაზე, სამომხმარებლო საქონელზე, ეკოლოგიურ საკითხებზე და შესაბამისად მოითხოვა პროექტის მენეჯერთა პასუხისმგებლობის გაზრდა ამ თვალსაზრისით. ამიტომ პროექტების შესრულებაზე ორიენტირებული კომპანიები პროექტების მენეჯერებს განიხილავენ ისეთ ადამიანებად, რომელთაც ცვლილებები შეაქვთ მომავალში.

ნუნუ ქისტაური

სახელმწიფოს როლი აუდიტორული საქმიანობის განხორციელებაში

სახელმწიფო აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირებას სათანადო კანონით ახორციელებს. ჩვენთან აუდიტორული საქმიანობა ეტაპობრივად დაინერგა. ჯერ ჩამოყალიბდა ახალი აზროვნება, ახალი მენტალიტეტი და, ამის შემდეგ, სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოთა რეფორმირების გზით შეიქმნა აუდიტორული საქმიანობის სამსახური.

ისევე, როგორც ყველა საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, ჩვენთანაც განხორციელდა მაკონტროლებელ ორგანოთა ტრანსფორმაცია. ამის შედეგად ჩამოყალიბდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელი სისტემა – პროფესიონალ აუდიტორთა ინსტიტუტი, რომლის ვალია, მთელ ქვეყანაში უზრუნველყოს კანონის უზენაესობა. ეს საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ვინაიდან ჩვენთან აუდიტორული საქმიანობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ამ საქმიანობის აქტიური მართვა-რეგულირება. ამის გამო შეიქმნა აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: აუდიტის განვითარების პირობების შექმნა, აუდიტორთა სწავლება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ატესტაცია, ლიცენზირება, ხარისხის კონტროლის განხორციელება, თვითრეგულირებად ორგანიზაციებთან კოორდინაცია და სხვა.

აუდიტურმა ორგანიზაციამ, გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი.

მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აუდიტის მართვა-რეგულირება, მისი ხარისხის კონტროლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამას აუცილებლად სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს და არა თვითრეგულირებადი პროფესიული ორგანიზაციები.

აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო გამოცდილების გადმოღება ნაციონალურ პირობებთან ადაპტაციით. ამ საფუძველზეა შემუშავებული და დანერგილი "აუდიტის საქმიანობის შესახებ" კანონი. ეს კანონი ჰარმონიზებულია ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების ამავე ტიპის კანონებთან.

საქართველოში მეცნიერებმა უნდა შექმნან აუდიტის პროფესიული მეთოდოლოგია, რომელიც ადეკვატური იქნება საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ელემენტებთან.

ჩვენს ქვეყანაში აუდიტორულ საქმიანობის მართავს და არეგულირებს აუდიტორული საქმიანობის საბჭო. სახელმწიფო, თავისი ფუნქციების განხორციელების დაცვის გარდა, თვითრეგულირებად ორგანიზაციებთან კოორდინაციასაც აწარმოებს.

მსოფლიოში აუდიტორული საქმიანობის რეგულირებაში სახელმწიფოს როლი იზრდება. ამის მიზეზი გახდა "ენრონისა" და "ველდ-კომის" ფიასკო, რის შემდეგაც აშშ-ში, აუდიტორულ საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, შეიქმნა აუდიტის რეგულირების სახელმწიფო დეპარტამენტი.

ჩვენი შეხედულებით, აუდიტის განვითარება (და საერთოდ აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირება) თვითრეგულირებადი ორგანიზაციების და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს, ანუ უნდა მოხდეს მათი საქმიანობის გონივრული შეუღლება (ერთმანეთისადმი შესაბამისობა).

ჩვენს ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობას საბჭოს საკმაოდ ძლიერი აუდიტის მარეგულირებელი ფუნქციები გააჩნია. ეს გარემოება სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ნაწილი თვლის, რომ გაუმართლებელია სახელმწიფოსათვის ყველა ფუნქციის გადაცემა, მიზანშეწონილად მიიჩნევს ზოგიერთი ფუნქციის (ატესტაცია, განათლების საკითხები და სხვ.) თვითრეგულირებადი პროფესიული ორგანიზაციებისათვის გადაცემას, ნაწილი კი სამართლიანად მიიჩნევს სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს აუდიტორულ საქმიანობაზე.

ამრიგად, მთელს მსოფლიოში აუდიტორულ საქმიანობაა სახელმწიფო არეგულირებს საზედამხედველო კანონების საშუალებით, ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში, გარკვეულ შემთხვევებში, ადგილი აქვს საზოგადოებრივ აუდიტორულ ორგანიზაციებზე ზოგიერთი ფუნქციის დელეგირებას. აქ მთავარია სახელმწიფოსა და პროფესიული ორგანიზაციების ინტერესთა დაბალანსების მიღწევა.

2005 წლიდან აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება სავალდებულო გახდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირებას ახორციელებს სახელმწიფო. საქართველოს კანონი "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" ძირითადად აგებულია ევროპარლამენტისა და ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივების მოთხოვნების საფუძველზე. სახელმწიფო უზრუნველყოფს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებას, აუდიტის სტანდარტების შემუშავებას, მეთოდო-

ლოგიურ უზრუნველყოფას, აუდიტორთა სერტიფიცირებას (განათლების სისტემის შექმნას) და ლიცენზირებას (აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების რეგისტრაცია და საჯარო რეესტრის წარმოება).

აუცილებელია აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მუდმივი სრულყოფა, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ფუნქციების მუდმივად განახლება, მათი ახლებური გააზრება. საჭიროა, კიდევ უფრო დაიხვეწოს საბჭოსა და თვითრეგულირებად ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა, განხორციელდეს მათ შორის ფუნქციების პრაგმატული ურთიერთგადანაწილება.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია, აუდიტორული საქმიანობის მართვა-რეგულირება განახორციელოს სახელმწიფომ, რომლის ვალია აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო წარმართვის (მართვა-რეგულირების) მექანიზმი ჩამოაყალიბოს მთლიანობითი სისტემის სახით. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინგრედიენტებს (შემადგენლებს):

1. საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, სტანდარტების შემუშავებას, ნორმატიული აქტების მიღებას.
2. აუდიტორთა სერტიფიცირებას, რაც გულისხმობს განათლების სათანადო სისტემის შექმნას.
3. მათ ლიცენზირებას (ესაა აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების რეგისტრაცია და საჯარო რეესტრის წარმოება).
4. აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების კონტროლი, რასაც ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო (ესაა აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი), რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, უზრუნველყოფს კანონმდებლობისა და ეთიკის კოდექსის დაცვას.

ნაირა ღვედაშვილი

ინოვაციების დანერგვის თავისებურებები მომსახურების სფეროში

მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ხდება ინოვაციები – მუდმივი განახლების პროცესი მეწარმეობის ყველა სფეროში. ბოლო წლებში სამამულო სერვისმა აითვისა მომსახურების

მრავალი სახე – კონსალტინგი, ინჟინერინგი, ლიზინგი, სათამაშო და შოუ-ბიზნესი და სხვა.

ინოვაციების დანერგვის აუცილებლობას ასტიმულირებს კონკურენტული ბრძოლა და ბაზრის მთელი რიგი სხვა მოთხოვნები. მათი გამოყენების მნიშვნელობა განპირობებულია, ასევე, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ცვლილებებით, მომხმარებელთა მოთხოვნებით და სურვილებით, ცვლილებებით თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაში.

ინოვაციური მენეჯმენტი სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ასევე, სამეწარმეო საქმიანობის სახეა, რომელიც მიმართულია, ინოვაციური პროცესების ეფექტური ორგანიზაციის საფუძველზე, ორგანიზაციის მიზნების მიღწევისაკენ.

მომსახურების სფეროში გამოყოფენ ინოვაციების შემდეგ ძირითად ტიპებს: ტექნიკურს, საორგანიზაციო-ტექნოლოგიურს, მმართველობითს, კომპლექსურს.

ინოვაციური პროცესი – ეს საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროების ბალანსირებულობის სრულყოფაა თითოეული რგოლის მუშაობის რენტაბელობაზე კონტროლისას. ყველა ინოვაცია ხორციელდება ფირმის მუშაობის სხვადასხვა მხარეების სისტემატური, კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, რომელშიც მთავარია მიღებული შედეგების შედარება არა უკვე მიღწეულთან, არამედ ბაზრის იმ პოტენციალთან, რომელიც არსებობს ამ პერიოდში.

სერვისის მრავალ საწარმოში არიან საინოვაციო მენეჯერები, ე. ი. სპეციალისტები, რომლებიც პროფესიულად არიან დაკავებულნი მმართველობითი საქმიანობით ფირმის მუშაობაში ინოვაციების დანერგვაზე. მთლიანობაში, ეფექტური ინოვაციური დანერგვა საშუალებას აძლევს საწარმოს, გაზარდოს მომსახურების გაწევის პროცესის მომგებიანობა, განამტკიცოს საქმის იმიჯი, მთლიანობაში, მოახდინოს თავისი მდგომარეობის სტაბილიზაცია ბაზარზე.

ინოვაციური პროცესი მოიცავს საწარმოო, საორგანიზაციო-ტექნოლოგიურ, მარკეტინგულ და მმართველობით საქმიანობას, იმის მიუხედავად, თუ როგორ აღნიშნავენ თვით მენეჯერები დანერგვის პროცესს და რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ამუშავებენ ისინი მას.

აცნობიერებენ რა სერვისულ პრაქტიკაში ინოვაციების დანერგვის უდიდეს სირთულეს, მეწარმეებმა და მენეჯერებმა უნდა დანერგონ

ინოვაციის ათვისების მთელი პროცესი, ყურადღებით ადევნონ თვალი მის მსვლელობას და შედეგებს. ამაში მათ ინოვაციური პროგრამის შემუშავება დაეხმარება.

ინოვაციური პროგრამა უზრუნველყოფს სისტემის „მარკეტინგი – ტექნიკური პოლიტიკა – წარმატებულ ფუნქციონირებას, რომელშიც მარკეტინგის როლი გამოიხატება საინფორმაციო უზრუნველყოფაში, ასევე, მიღწეული შედეგების შეფასების სისტემის ფორმირებასა და მონაწილეობის მიღებაში მთავარი მიზნების განსაზღვრისას.

ინოვაციური პროგრამის არსებობა ამარტივებს ორგანიზაციის რესურსების გამოყენებასა და მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებების არჩევას, მნიშვნელოვნად ამცირებს საშიშროებას, რომელიც გამომდინარეობს გარემოდან.

ინოვაციური პროგრამების შემუშავებისას შეიძლება შემდეგი პრინციპების გამოყენება: მნიშვნელობის პრინციპი, ვაკუუმის შევსების პრინციპი, კაპიტალდაბანდებათა მინიმუმის პრინციპი, ეკოლოგიურობის პრინციპი, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება ტრადიციული მომსახურების გაწევაში, მომსახურების ახალი სახეების დანერგვა, ახალი ტურისტული რესურსების ამოქმედება, ცვლილებები ტრადიციული ტურისტული მომსახურების წარმოებისა და მოხმარების ორგანიზაციაში, ტურისტულ მომსახურებათა და საქონლის გასაღების ახალი ბაზრების გამოვლენა და გამოყენება.

მკაცრი კონკურენციის პირობებში სერვისის ინოვაციური მეთოდების ძიებაში რიგი ტურისტული ფირმები შეიმუშავებენ და ნერგავრენ დასვენების ახალ სისტემებს. მაგალითად, დასვენების ერთ-ერთი ახალი სისტემა საქართველოს ბაზარზე გახდა თაიმშერი.

თაიმშერის გარდა, ტურისტული ფირმები იყენებენ სხვა ინოვაციურ მეთოდებს, რათა კვალდაკვალ გაჰყვნენ პროგრესს. მაგალითად, VIP მომსახურება. VIP – ეს საქმიანი ადამიანებია, რომელთაც თავიანთ ფულზე შეუძლიათ თავს ნება მისცენ გამოიყენონ „ყველაზე დიდი ხელშეწყობის რეჟიმი” საზღვარგარეთ მოგზაურობისას.

კულტურული ტურიზმის ახალი სახესხვაობის წარმოქმნასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ინოვაციაა საქართველოს ტურიზმში ცივილური ტურების ორგანიზაცია.

ქვეყნის სამუზეუმო ცენტრები დაკავებულნი არიან მომსახურების ახალი ფორმების ძიებით, რომლებსაც შეუძლიათ მათში მრავალრიცხოვანი ტურისტი მოიზიდონ.

ეს იმ ინოვაციების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც სერვისისა და ტურიზმის სფეროს საწარმოები იყენებენ მომსახურებათა ორგანიზაციასა და მომხმარებელთა მომსახურების ფორმებში.

შოთა შაბურიშვილი

ოფშორული ბიზნესის მექანიზმი

ტერმინი „ოფშორი“ (*off shore* – ნაპირებს მიღმა) პირველად ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოიყენეს ისეთი ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან თავის არიდების მიზნით, საქმიანობა საგადასახადო იურისდიქციის საზღვრებს გარეთ გადაიტანა. თანამედროვე პირობებში ეს ტერმინი უფრო ფართო გაგებით გამოიყენება და აღნიშნავს როგორც ფირმებს, რომლებიც სხვა ქვეყნებს იყენებენ თავისი საფინანსო საქმიანობის დაგეგმვის დროს, ასევე ზონებს (სახელმწიფო ან ტერიტორია), სადაც უცხოური კომპანიებისათვის მოქმედებს სპეციალური სავალუტო, საგადასახადო და ორგანიზაციული შეღავათები.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ოფშორული კომპანია მხოლოდ ქაღალდზე არსებული საწარმოა და იგი წარმოადგენს ანგარიშს ბანკში. ამ ანგარიშს ელექტრონული საშუალებებით მართავს ცრუ მაგიერი პირი, რომლის სახელზე რეგისტრირებული დოკუმენტები სეკრეტარულ კომპანიაში ინახება. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში, ოფშორული კომპანიები ჩვეულებრივი წესით მუშაობენ და სხვა ფირმებისაგან მხოლოდ დაბეგვრისა და კონფიდენციალობის დონით განსხვავდებიან. ამასთან, ოფშორულ კომპანიას შეიძლება სხვა ქვეყანაში ჰქონდეს ფილიალი, რომელშიც ის რეალურ საქმიანობას განახორციელებს.

იურიდიული თვალსაზრისით, ოფშორული კომპანია პრინციპულად არაფრით განსხვავდება სხვა საწარმოებისაგან. ის წარმოადგენს სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობების სრულუფლებიან სუბიექტს და შეუძლია გარიგებები სხვა იურიდიული პირების თანასწორად დადოს. მიუხედავად ამისა, „ოფშორული კომპანია“ არ არის იურიდიული ტერმინი. კანონში, რომლის საფუძველზეც ხდება მოცემული ტიპის ფირმების რეგისტრაცია, ისინი შეიძლება განისაზღვროს, როგორც არარეზიდენტები (Non Resident), გადასახადებისაგან გათავისუფლებული (Exept) ან საერთაშორისო ბიზნესის

კომპანიები (International Business Company) [მამულაშვილი ლ., ტუღუში გ. თავისუფალი ეკონომიკური ზონები – ოფშორული ცენტრები, თბილისი, 2005, გვ. 87.].

შეიძლება გამოვყოთ ოფშორული კომპანიის შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- მფლობელები არ შეიძლება იყვნენ მოცემული ოფშორული იურისდიქციის რეზიდენტები;
- ნებისმიერი კომერციული ოპერაცია უნდა განხორციელდეს რეგისტრაციის იურისდიქციის საზღვრებს გარეთ;
- კონტროლისა და მართვის ცენტრი განლაგებულია საზღვარ-გარეთ;
- საგადასახადო შეღავათები;
- ყოველწლიური სარეგისტრაციო მოსაკრებელის გადახდის ვალ-დებულება;
- რეგისტრაციის პროცედურის და საწარმოს მართვის სიმარტივე;
- წარდგენითი აქციების, ნომინალური მფლობელებისა და დირექ-ტორების გამოყენების შესაძლებლობა;
- საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოების ჩატარების შესახებ მოთხოვნების ფორმალური ხასიათი;
- მინიმალური მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტო-რული შემოწმების ჩატარებაზე;
- სავალუტო კონტროლის არარსებობა.

ოფშორული კომპანიის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ასევე დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე. მაგალითად, აშშ, გერმანია და შვეიცარია მკაცრ მოთხოვნებს აწესებს არარეზიდენტი კომპანიების მიმართ (დიდი სადამფუძნებლო კაპიტალი, გამკაცრებული ანგარიშგება, ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობა). ჰიბრალტარში ოფშორული ფირმის გახსნისათვის აუცილებელია, წარადგინოთ ბანკში ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტები და ბანკის რეკომენდაცია. ბევრი კუნძულოვანი ოფშორი, როგორც წესი, მაქსიმალურად ლიბერალურია. ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან კომპანიებიდან ყოველ-წლიური შენატანების მიღებაზე და ხშირად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასაც არ ითხოვენ (ბაჰამის, მარშალის, კაიმანის კუნძულები) [Налоговый рай без двойной бухгалтерии, ж.„Валютный спекулянт“, №4 (18), 2001, с.76-78.].

ქვეყნების დიდ ნაწილში არსებობს შეზღუდვები არარეზიდენტი კომპანიების საქმიანობაზე. თუ დაცული არ იქნება განსაზღვრული პირობები, მაშინ ოფშორულ ფირმებს მოუწევთ იგივე ოდენობის გადასახადების გადახდა რაც რეზიდენტ კომპანიებს.

ოფშორული კომპანიები სხვადასხვა მიზნით იქმნება, რომელთაგან აღსანიშნავია: დაბეგვრის ოპტიმიზაცია; საერთაშორისო იმიჯის შექმნა; ბიზნესის რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაციის დაფარვა; კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა და მასზე საკუთრების უფლების დაცვა. განვიხილოთ ამ მიზნების მიღწევის მექანიზმები.

1. დაბეგვრის ოპტიმიზაცია. გლობალიზაციის ეპოქაში ფირმები აქტიურად ახორციელებენ საერთაშორისო საგადასახადო სტრატეგიებს, რომელიც პრაქტიკაში შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ტერიტორიების ძებნაში გამოიხატება. ყველაზე ხშირად ოფშორული კომპანიები იქმნება რეზიდენტობის პრინციპით გადასახდელი გადასახადების (ძირითადად პირდაპირი გადასახადები) კანონიერი გზით მინიმიზაციისათვის. ამ დროს ბიზნესმენის მოტივები ზედაპირულია და შემდეგში მდგომარეობს – „რატომ გადავიხადო ზედმეტი თუ შესაძლებელია საერთოდ არ გადავიხადო“. თუ გადასახადების მინიმიზაცია, მაგალითად, ერთდღიანი ფირმების გახსნით, კანონდარღვევაა, ოფშორული კომპანიების გამოყენებით ეს ლეგალური გზით მიიღწევა. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლ. ხენდი აღნიშვნავს, რომ „ყველას აქვს უფლება ისე მოაწყოს თავისი ფულადი საქმეები, რომ გადასახდელი გადასახადები მინიმუმამდე შეამციროს... არავინაა ვალდებული ისე დაგეგმოს შემოსავლები და ხარჯები, რომ ასიამოვნოს ფინანსთა სამინისტროს... მოქალაქისათვის არ არსებობს არანაირი, მათ შორის პატრიოტული ვალდებულებაც კი, გაზარდოს გადასახადების გადახდა“ [Макдауэлл Д., Новис Г. Последствия отмивания денег и других финансовых преступлений, Экономические перспективы. Электронный журнал государственного департамента США, 2001, №2. http://usinfo.state.gov/journals/journal.htm.].

დაბეგვრის ოპტიმიზაციის მიზნით ფირმები აქტიურად იყენებენ ეგრეთ წოდებულ ტრანსფერტულ ფასწარმოქმნას (*transfer pricing*). ამ დროს ძირითადი მწარმოებელი კომპანია ბაზირებული მაღალი გადასახადების მქონე ქვეყანაში თავის პროდუქციას დაბალ ფასებში მიყიდის ოფშორულ ფირმას, რომელიც პროდუქციას უკვე რეალურ ფასად გადაყიდის. ამგვარად, მოგება თავს იყრის ოფშორულ ზონაში,

სადაც მინიმალური განაკვეთით იბეგრება. თუ გვსურს ოფშორული ფირმა (მაგალითად, ამერიკული კომპანია დელავერის შტატიდან) გამოვიყენოთ, როგორც გადასახადების ოპტიმიზაციის სქემის რგოლი, აუცილებელია დავარეგისტრიროთ უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Foreign Limited Liability Company (FLLC)). ამ შემთხვევაში შემოსავლები არ დაიბეგრება აშშ-ის ტერიტორიაზე იმ პირობით, თუ მისი წყარო იმყოფება ქვეყნის იურისდიქციის გარეთ. მაგალითად, თუ თქვენ ყიდულობთ საქონელს გერმანიაში და ყიდით საქართველოში, ამერიკაში რეგისტრირებული FLLC-ის გერმანული ფირმის კონტრაგენტად გამოყენების და შემდეგ საქონლის საქართველოში გაყიდვით მთელი შემოსავალი თავს მოიყრის ოფშორში და არ დაიბეგრება.

2. საერთაშორისო იმიჯის შექმნა. ბევრ ქვეყანაში ინვესტიციების მისაზიდად შექმნილია შეღავათიანი პირობები, რომელიც მხოლოდ უცხოურ კომპანიებზე ვრცელდება. მეორე მხრივ, საგადასახადო სამსახურები ოფშორული ფირმების კონტრაქტებს განსაკუთრებულად ამოწმებენ. რიგ ქვეყნებში მოქმედებს ანტიოფშორული კანონმდებლობაც. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია განაგებს იმ სახელმწიფოების და ტერიტორიების სიას, რომლებიც არ გასცემენ ინფორმაციას საგადასახადო და ფინანსურ ოპერაციებზე. დღეს ამ სიაში 7 ქვეყანა შედის: ანდორა, ლიბერია, ლიხტენშტეინი, მარშალის კუნძულები, მონაკო, ნაურუ და ვანუატუ. ამ სახელმწიფოების მიმართ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები იყენებენ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს. ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთაშორისო ჯგუფს (*ინანციალ ცტიონ თასკ ორცე)* შავ სიაში შეაქვს ყველა ის ქვეყანა, რომელიც აქტიურად არ იბრძვის ფულის გათეთრების წინააღმდეგ. დიდი შვიდეულის ქვეყნების მხარდაჭერით შექმნილი ფინანსური სტაბილურობის ფორუმი სისტემატურად აქვეყნებს ოფშორული ზონების საიმედოობის რეიტინგს, სადაც მთავარ კრიტერიუმს გამჭვირვალობის დონე წარმოადგენს, ანუ საიმედოდ მიიჩნევა ოფშორი, სადაც არ არსებობს საბანკო საიდუმლოება, განვითარებულია მაკონტროლებელი ორგანოები და კანონმდებლობა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოფშორული ზონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საიმედოობას. შესაბამისად, განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა ტერიტორიები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების გავლენის ზონაში იმყოფებიან [Лаханов Ю. Оффшори: надёжность и популярность, ж.”Валютный спекулянт”, №6 (8), 2000, с.74-75.].

ასეთ ვითარებაში ფირმის საერთაშორისო იმიჯის ასამაღლებლად შეიძლება მარტივი ხერხის გამოყენება. კომპანია რეგისტრირდება

ოფშორულ იურისდიქციაში (მაგ., ვირჯინიის კუნძულებზე), ოფისი კი (საფოსტო ყუთი) არსდება ლონდონში, აქვე იხსნება საბანკო ანგარიშიც. ამის შემდეგ ფირმა გარეგნულად გამოიყურება, როგორც ბრიტანული [Нетёсова А. Как работать с офшорами, ж. "Финансовый директор", № 2, 2005. www.fd.ru.].

არსებობს იმიჯის ამაღლების სხვა საშუალებებიც. მაგალითად, თანამედროვე სქემებში ოფშორული კომპანიის განთავსება ხდება არა პირველ (ხილულ), არამედ მეორე (შენიღბულ) დონეზე. პირველ დონეზე უნდა ფიგურირებდეს პრეზენტაბელურ, საიმედო ქვეყანაში (დანია, ესპანეთი, ინგლისი, კანადა და ა.შ.) რეგისტრირებული ფირმა. ამ პრეზენტაბელური ფირმის მფლობელად გვევლინება ოფშორული კომპანია, რომელიც შედავათიანი პირობების მქონე ტერიტორიაზეა რეგისტრირებული. ფინანსური ოპერაციები ასეთი პრეზენტაბელური ფირმების მეშვეობით, როგორც წესი, ოფშორულ კომპანიასთან სააგენტო შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. მიუხედავად მნიშვნელოვანი თანხისა, რომელიც ამ გზით საიმედო ფირმაზე გაივლის, უკანასკნელი გადასახადს იხდის საკომისიოდან, რაც მთლიანი ბრუნვის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს.

3. ბიზნესის რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაციის დაფარვა. ოფშორული კომპანიების გამოყენება ბიზნესმენს საშუალებას აძლევს, დარჩეს ინკოგნიტოდ. ოფშორული ფირმების გახსნა ძირითადად ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც დიდია კორუფციის დონე, ადამიანის უსაფრთხოება ნაკლებად დაცულია, საჯარო მოხელეები აქტიურად მონაწილეობენ ბიზნესში და სურთ ამის დამალვა. საქართველოში აქტიურად მიმდინარე პრივატიზების პროგრამებში მონაწილე ოფშორული ფირმების სიუხვეც ალბათ ამით აიხსნება. მაგალითად, მესაკუთრე, რომელსაც არ სურს თავის აფიშირება, ოფშორულ ფირმას გახსნის კვიპროსში ან ანტილიის კუნძულებზე (ჰოლანდია), სადაც დაცულია ოფშორული კომპანიის მფლობელის ანონიმურობა. შემდეგ ოფშორული კომპანია ყიდულობს ქართული საწარმოს აქციებს. იმის გარკვევა, თუ ვინ ფლობს სინამდვილეში ქართულ ფირმას, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, თუ მფლობელი თავად არ ისურვებს ამას.

ოფშორულ კომპანიასთან ეფექტიანი მუშაობისათვის ზუსტად უნდა განისაზღვროს მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის აუცილებელი დონე. იმისათვის, რომ დაიმალოს ინფორმაცია მფლობელის შესახებ, ოფშორულ ბიზნესში იყენებენ მართვის ისეთ ხერხებს, რომელიც შესაძლებელს გახდის მთლიანად ან თითქმის მთლიანად ამოიძირკვოს მისი სახელი საბუთებიდან (მაგალითად, აქციები წარმდგენზე). ხშირად ამისათვის იყენებენ

ნომინალურ აქციონერებს (თუ ამის საშუალებას იძლევა ოფშორული ტერიტორიის კანონმდებლობა) და ნიშნავენ ნომინალურ დირექტორებს (პრეზიდენტებს). ნომინალური აქციონერები საბუთებით გვევლინებიან ოფშორული კომპანიის დამფუძნებლებად, მაგრამ არ გააჩნიათ აქციების განკარგვის უფლება. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პრეტენზიები ასეთი აქციონერების მხრიდან, მათ ხელი უნდა მოაწერონ დეკლარაციას აქციების განკარგვაზე უარის თქმის შესახებ დამფუძნებლის სასარგებლოდ. ამგვარად, ოფშორული ტერიტორიის კანონმდებლობა დაცული იქნება, ხოლო რეალური მფლობელის სახელი არ შევა რეესტრში.

ნომინალური დირექტორის (პრეზიდენტის) თანამდებობაზე ხშირ შემთხვევაში ინიშნება იმ კომპანიის თანამშრომელი, რომელიც ოფშორულ ტერიტორიაზე ახორციელებს სარეგისტრაციო მომსახურებას. მისივე მონაცემები მიეწოდება სარეგისტრაციო ორგანოს. ნომინალური დირექტორის (პრეზიდენტის) უფლებების შეზღუდვისათვის, როგორც წესი, გამოიყენება „უარის წერილი“ – მის მიერ ხელმოწერილი განცხადება გათავისუფლების შესახებ თარიღის დასმის გარეშე, რომელიც მესაკუთრესთან ინახება. თუ მესაკუთრეს სურს, კომპანია მართოს თავისი სახელით, ამ შემთხვევაში მასზე გამოწერენ მინდობილობას.

აუცილებლობის შემთხვევაში სეკრეტარულ კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს სრული ნომინალური მომსახურება (*full-time nominal service*). ეს მომსახურება გულისხმობს, რომ მის მიერ დაქირავებული ოფშორული ფირმის თანამშრომლები არა მხოლოდ ნომინალურად ირიცხებიან, არამედ რეალურადაც მუშაობენ – ამზადებენ დოკუმენტებს, ხელს აწერენ კონტრაქტებს, ხვდებიან კონტრაგენტებს და ა.შ.

4. კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა და მასზე საკუთრების უფლების დაცვა. ოფშორული ფირმების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს დიდი თანხების საზღვარგარეთ გატანის პროცესს. მაგალითად, ქართულ საწარმოს შეუძლია შექმნას ოფშორული კომპანია, გააფორმოს მასთან მომსახურების გაწევის ან სესხის ხელშეკრულება და რეგულარულად გადარიცხოს მომსახურების ღირებულება ან სესხის პროცენტები.

ამას გარდა, აქციების და სხვა აქტივების ოფშორულ კომპანიაზე გაფორმება საკუთრების უფლების დაცვის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ოფშორული ფირმისათვის აქტივების ჩამორთვევა სასამართლო

გადაწყვეტილებითაც კი რთულია. ამისათვის საჭიროა მისი მესაკუთრის დადგენა (ამის გაკეთება, როგორც უკვე აღვნიშნეთ საკმაოდ რთულია), რის შემდეგაც სასამართლო აღმასრულებლებმა უნდა მოძებნონ ის და აიძულონ აქტივები გადასცეს ახალ მფლობელს. ოფშორულ კომპანიებთან სასამართლო დავების წარმოება საზღვარგარეთ არის საჭირო, რაც დამატებით ბარიერს წარმოადგენს. აქტივების დაცვის მიზნით, ხშირად იქმნება ოფშორული კომპანიების მთელი ჯაჭვი (ერთი ოფშორული ფირმა ეკუთვნის მეორეს, მეორე – მესამეს და ა.შ.). შედეგად, აქტივების რეალური მფლობელის დადგენა და მისთვის პრეტენზიის წარდგენა შეუძლებელი ხდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოფშორული სქემების დაგეგმვის პროცესი, მთელ რიგ საფრთხეებთან ერთად, დაკავშირებულია ფირმის მომგებიანობის ზრდასთან. ოფშორულ ბიზნესში რეალური მუშაობა, უკვე არსებული მექანიზმების მუდმივ აპრობაციასთან ერთად, ახალი გადაწყვეტილებების დაუღალავ ძიებას მოითხოვს. ამიტომ, ეს პროცესი კომპანიის საერთაშორისო საქმიანობის ოპტიმიზაციის ერთ-ერთ რთულ და ეფექტიან საშუალებად უნდა განვიხილოთ.

ეკა ჩოხელი

პროდუქციის ხარისხი და ISO სერტიფიკატი

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ქართული კომპანიები გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენა. რუსეთთან ურთიერთობის გართულებამ, რომლის ბაზარი ათეული წლების მანძილზე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო და რომელზეც ვითარდებოდა ქართული ბიზნესი, კომპანიებს მრავალი სირთულე შეუქმნა. იმ ხარისხის პროდუქცია, რომელიც რუსულ ბაზარზე წარმატებით იყიდებოდა, სხვა ბაზრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ქართულ ბიზნესს, არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, სხვა ბაზრების მოძიება და იქ დამკვიდრებისათვის ბრძოლა უხდება, რაც მკაცრი კონკურენციისა და ცვალებადი გარემოს პირობებში საკმაოდ რთულია.

წარსულში ფირმას შეეძლო წარმატებისთვის მიეღწია, თუ ბაზარს შესთავაზებდა პროდუქციას, რომელზეც იყო მოთხოვნა და კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასი. პროდუქციის მიწოდების

გაზრდამ, ბაზრის გაჯერებამ საქონლითა და ასორტიმენტის გაფართოებამ გაართულა ბიზნესში წარმატების მიღწევა. მხოლოდ ის კომპანია აღწევს ბაზარზე გამარჯვებას, რომელიც ყველაზე უკეთესად აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს და, შესაბამისად, რომელსაც ჰყავს მეტი მომხმარებელი. მომხმარებელს კი იმ კომპანიის პროდუქცია იზიდავს, რომლის მიერ შექმნილი საქონლის ხარისხი და ფასი რომლებიც ოპტიმალურია.

დღეს, აღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით, კომპანიების უმეტესობა, რომლებიც მიისწრაფიან მყარი კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად და წარმატების მისაღწევად, ძირითადად პრიორიტეტად უნდა მიიჩნევდეს ხარისხის მუდმივ სრულყოფას. მხოლოდ მისი საშუალებით შეუძლიათ კომპანიებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი იყოს კონკურენტული (კონკურენტებზე მაღალი) ან, მინიმუმ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რადგან სწორედ ხარისხი წარმოადგენს პროდუქციის იმ თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობას (დანიშნულება, საიმედოობა, ტექნოლოგიურობა, ერგონომიკულობა, ესთეტიკურობა, ტრანსპორტაბელურობა, ეკოლოგიურობა, უსაფრთხოება...), რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ხარისხის სრულყოფა პირდაპირ არის დაკავშირებული ტერმინთან „ხარისხის შესაბამისობა“ („conformance quality“). იგი გამოხატავს იმას, თუ რამდენად შეესაბამება პროდუქციის ხარისხი დადგენილ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები აისახება სტანდარტებში, რომელიც წარმოადგენს ხარისხის გარკვეული ნორმების, წესებისა და მახასიათებლების ერთობლიობას.

საერთაშორისო მასშტაბით, სტანდარტებს შეიმუშავებს „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)“. იგი 157 ქვეყნის ეროვნული სტანდარტიზაციის ორგანოს აერთიანებს და განსაზღვრავს ინდუსტრიულ და კომერციულ სტანდარტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ISO სტანდარტები მთელს მსოფლიოშია აღიარებული და გამოხატავს პროდუქციის ხარისხის – ეკოლოგიურობის, უსაფრთხოების, საიმედოობის, ეფექტურობის და ა.შ. დონეს. იგი მომხმარებელთა ნდობის საფუძველია, რადგან მყიდველები უპირატესობას ანიჭებენ იმ კომპანიის პროდუქციას, რომელსაც აქვს ISO-ს სტანდარტების სერტიფიკატი. ISO-ს სტანდარტები ხელს უწყობს ბიზნესში წარმატებას, რადგან მისი საშუალებით:

- პროდუქციის წარმოება და მიწოდება ხდება უფრო ეფექტური და სანდო;
- მაღლდება კომპანიის საექსპორტო შესაძლებლობები;
- ხდება ტექნოლოგიური სიახლეებისა და თანამედროვე მიღწევების, კომპანიის მართვის თანამედროვე ფორმების ურთიერთგაზიარება;
- ხდება მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

დღეს საქართველოში ISO-ს სტანდარტებს იყენებს მხოლოდ 23 კომპანია, რომელიც სერტიფიცირებულია TUV SUD-ის ოფიციალური წარმომადგენლის კომპანია „მენეჯმენტის სისტემების“ მიერ, რაც ძალიან მცირეა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გამუდმებით იზრდება როგორც უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პერსპექტივები.

ამრიგად, ხარისხზე ზრუნვა და ხარისხის მუდმივი სრულყოფა უნდა გახდეს აქტუალური ქართული კომპანიებისათვის. საერთაშორისო გამოცდილება, ცნობილ კომპანიებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქციით არის შესაძლებელი კომპანიის კარგი იმიჯის ჩამოყალიბება, მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მათი რიცხვის ზრდა და, საერთოდ, წარმატების მიღწევა.

ვანო ცერცვაძე

საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ეკონომიკაში

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრია მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის მძლავრი სტიმულატორია. ამ სფეროში, 4 ათასზე მეტ კომპანიაში დასაქმებულია 9 მლნ. ადამიანი. გარდა ამისა, ეკონომიკის ეს სექტორი დამატებით 20 მლნ-ზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნის სხვა დარგებში.

1996-2002 წლებში სამუშაო ადგილების რაოდენობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გაიზარდა 40%-ით, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის დარგში – 76%-ით. ქვეყნების ბიუჯეტში საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან 700 მლრდ. დოლარზე მეტი შედის.

1996-2002 წლებში საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საქმიანობის დაბეგვრის შედეგად, ბიუჯეტში შენატანები 37%-

ით გაიზარდა, რაც საშუალებას იძლევა დამატებითი სახსრებით დაფინანსდეს სკოლები, ჯანდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების წილი მსოფლიო ეკონომიკაში შეადგენს 1 ტრლ. დოლარს წლიურად, მათ შორის 330 მლრდ. მოდის კომპიუტერული აღჭურვილობის წარმოებაზე, 180 მლრდ. – პროგრამული უზრუნველყოფის ტირაჟირებაზე, ხოლო 420 მლრდ. საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების სფეროზე.

ტრადიციულ დარგებთან შედარებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრია გაცილებით სწრაფი ტემპებით ვითარდება, რისი წყალობითაც ამ დარგს შეუძლია შექმნას მეტი სამუშაო ადგილი, გაზარდოს საბიუჯეტო შენატანები და განავითაროს ეკონომიკა მთლიანობაში. რაც უფრო სწრაფია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიის ზრდის ტემპი, მით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია მას ეკონომიკისთვის.

ამ სფეროს დაჩქარებული განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა პროგრამული უზრუნველყოფის დარგი.

პროგრამული უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული მომსახურების დარგი ყველაზე უფრო შემოსავლიან სექტორს წარმოადგენს ამ სფეროში. 2001 წელს პროგრამულ უზრუნველყოფასა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა მთელი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს ხარჯების 60% (დიაგრამა 1). ეს დარგი გამოირჩევა ზრდის ტემპითაც. 1996-2002 წლებში პროგრამულ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები იზრდებოდა 6-ჯერ უფრო სწრაფად კომპიუტერულ მოწყობილობასთან დაკავშირებულ ხარჯებთან შედარებით (დიაგრამა 2).

პროგრამული უზრუნველყოფა და მომსახურება იწვევს მულტიპლიკაციის ეფექტს და სტიმულს აძლევს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას. კერძოდ, ვითარდება ადგილობრივი საცალო ვაჭრობა, ფართოვდება ადგილობრივი საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურების სფერო, რაც წარმოადგენს პასუხს ახალ მოთხოვნებზე, იზრდება საინფორმაციო ტექნოლოგიებზე გაწეული ხარჯების წილი ყველა იმ დარგში, რომელიც იყენებს ამ ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკური ეფექტის გავრცელებას ეკონომიკის სხვა სფეროებზე.

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს გავლენას ეკონომიკაზე ასუსტებს არალიცენზირებული პროგამების გავრცელება. სხვადასხვა ქვეყნებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სხვადასხვა ტემპი გააჩნიათ. თუ შევადარებთ იმ ქვეყნებს, რომლებიც გაცილებით მეტ სარგებელს იღებენ ამ სფეროს განვითარების შედეგად, ქვეყნებთან, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სრული ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედება, დავინახავთ, რომ მთავარი ფაქტორი პროგრამული უზრუ-ნველყოფის მეკობრულ გავრცელებას უკავშირდება.

დაბალი მეკობრული დონის მქონე ქვეყნებში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფერო დიდ როლს თამაშობს ეკონომიკურ ზრდაში. დადგენილია კომპიუტერული მეკობრეობის დონესა და მშპ-ში საინ-ფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს წილის უკუპროპორციული ურთი-ერთდამოკიდებულება.

ქვეყნები, სადაც კომპიუტერული მეკობრეობის დონე 30%-ზე დაბლაა, გამოირჩევიან ამ სფეროს განვითარების მაღალი დონით და,

შესაბამისად, ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენით (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია და ფინეთი – 3,5%-ზე მეტი წილით მშპ-ში), ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც კომპიუტერული მეკობრეობის დონე 85%-ს აჭარბებს, მთლიან შიდა პროდუქტში ამ სფეროს წილი 1,5%-ს ვერ სცდება.

მეკობრეობის დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები, როგორც წესი, გამოირჩევიან საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მეტი სამუშაო ადგილით, უფრო დიდი შენატანებით ბიუჯეტში და უფრო მეტი წილით მშპ-ში (დიაგრამა 3).



ლალი ხურცია

კომპანიის მართვის სტრატეგია

ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება და ყველა დეტალის გათვლა შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში. თუმცა, შესაძლებელია შეიქმნას ოპტიმალურთან მიახლოებული სტრატეგიული მოდელი, რომელიც თანამიმდევრულად გაიმეორებს ყველა ეტაპს თავიდან ბოლომდე. ყოველი ასეთი იტერაცია ადრეულ ეტაპზე დასახული მიზნებისა და ამოცანების დაზუსტებისა და კორექტირების შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საწარმოს სტრატეგიაზე მუშაობა იყოს დროში განგრძობადი და შეუწყვეტელი პროცესი.

თუ კომპანიას სურს, ჰქონდეს ფორმალიზებული სტრატეგია, მას შემდეგი სახის დოკუმენტებიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული: მისია, ხედვა, სტრატეგიული მიზნების სისტემა, სტრატეგიული გეგმა.

სტრატეგია წარმოადგენს არსებულიდან სასურველ მდგომარეობამდე მიღწევის გზას. სასურველი მდგომარეობა განისაზღვრება კომპანიის მისიითა და ხედვით, ხოლო მიღწევის გზა – მიზნებისა და სამოქმედო გეგმის სისტემიზაციით. შემუშავებულ გეგმაზე დაყრდნობით, შესაძლებელია მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმა – სტრატეგიის განხორციელება.

მისია არის მოკლე ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის "დანიშნულებას". იგი პასუხობს კითხვებზე: "რა ფასეულობას ვქმნით საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის, კაცობრიობისთვის?" ან "რა გვსურს შევცვალოთ ჩვენს ირგვლივ?"

ხედვა ასევე წარმოადგენს ტექსტს, რომელიც აღწერს კომპანიის მომავალს 5-10 წლის პერსპექტივაში, სადაც მოცემულია კომპანიის დამახასიათებელი ყველა აღსანიშნავი ნიშან-თვისება: კლიენტის პორტრეტი, საქონლის მახასიათებლები, ძირითადი ფასეულობები და ა.შ.

სტრატეგიული მიზნები – კომპანიის განვითარების ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ორიენტირები. მიზნები შემუშავდება არსებული მისიისა და ხედვის მიხედვით, ასევე დარგის სტრატეგიული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, სადაც ფასდება კონკურენციის დონე, არსებული რესურსები და კონკურენტული შესაძლებლობები.

სტრატეგიის რესურსებით უზრუნველყოფა. სტარეტეგიული გეგმების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი რესურსები. რესურსების გადანაწილება ბიუჯეტზე მუშაობის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამიტომ, მაჩვენებელთა დაბალანსებულ სისტემაში ჩადებული ინიციატივები მომდევნო კალენდარული წლის ბიუჯეტში ორგანიზაციულად ფორმდება მკვეთრად განსაზღრული პროექტის სახით თავისი სამუშაოების მოცულობით, ბიუჯეტით, პასუხისმგებლობებითა და რეალიზაციის ვადებით. ბიუჯეტის შემუშავებისა და შეთანხმების კვალდაკვალ ზუსტდება პროექტის ფინანსირების შესაძლებლობები, ცვლილებებს განიცდის წინასწარ დაგეგმილი მონახაზები.

დროითი ინტერვალები. დროითი ინტერვალების არჩევა დამოკიდებულია დარგისა და მთლიანად ეკონომიკის სტაბილურობაზე, ასევე, კომპანიის სასიცოცხლო ციკლზე. რა თქმა უნდა, 2-4 წლიანი გეგმების

განსაზღვრა გაცილებით უფრო ზუსტადაა შესაძლებელი ვიდრე 6-8 წლიანი გეგმებისა. მეორე მხრივ, თუ გვსურს, მივაღწიოთ გარკვეულ მიზანს 7 წლის შემდეგ, ქმედება ამ მიმართულებით უკვე დღესვე უნდა დავიწყოთ და მოვნიშნოთ შუალედური 2-4 წლიანი მიზნები. სხვა სიტყვებით, ორწლიან სამოქმედო გეგმაში უნდა გაიწეროს ის ინიციატივები, რომლებიც მიმართულია შემდეგი პერიოდის მიზნების მისაღწევად, ვინაიდან მომდევნო პერიოდის ხანგრძლივობა შესაძლებელია არასაკმარისი აღმოჩნდეს დასახული მიზნების მისაღწევად.

მიზნების სისტემის გადანაწილება. მაჩვენებელთა კორპორაციული სისტემის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სხვა ბიზნესერთეულების, დეპარტამენტებისა და განყოფილებების მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემა. სხვა სიტყვებით, უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნების გადანაწილება თანამშრომლების პირადი გეგმების დონეზე. ასეთი რამ კომპანიათა უმრავლესობაში ნამდვილად არ ხდება, თუმცა სასურველია. თანამშრომლების სტრატეგიული მიზნებისადმი მორგება, მათი გადამზადება და კვალიფაკაციის ამაღლება დაქირავებული პერსონალის მიზნებშიც უნდა შედიოდეს. განვითარების ყოველი მიმართულებისთვის უნდა დაიგეგმოს კომპეტენციის ზრდის მიმართულებები, დადგინდეს შედეგების მიღწევის ვადები და შეფასების კრიტერიუმები. აუცილებელია, მიზნების მიღწევა კომპანიის ყველა თანამშრომლის მუდმივ ორიენტირად იქცეს.

მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემის ძირითადი ღირებულება ისაა, რომ იგი საშუალებას გვაძლევს, შევიმუშაოთ რეგულარულად მოქმედი კონტროლის სისტემა, რომელიც ეყრდნობა არა მხოლოდ აღრიცხვის მკაცრ მაჩვენებლებს (მაგალითად, შემოსავლებს), არამედ შედარებით „რბილ“ მონიტორინგის მაჩვენებლებს (მაგალითად, კომპანიის იმიჯის).

მაჩვენებლების სისტემიდან სტრატეგიული მართვისკენ. სტრატეგიის ფორმალიზებით საფუძველი ეყრება სტრატეგიის განხორციელების მართვის სისტემის შექმნას: სამოქმედო გეგმის შემუშავება მართვის ყველა დონეზე; საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელების გადანაწილება; მოტივაციის სისტემის დანერგვა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს გემების ეფექტიანად განხორციელებას; ინიციატივების რესურსებით უზრუნველყოფა სტარტეგიული მიზნებისა და ბიუჯეტის დაკავშირებით.

მაჩვენებლების სისტემის ასამუშავებლად აუცილებელია მუდმივ საფუძველზე მომუშავე დაგეგმვის, მონიტორინგის, პასუხისმგებლობის, მოტივაციის სისტემის უზრუნველყოფა. სტრატეგიული მართვის ასეთი სისტემის შექმნა ითვალისწინებს შემდეგი ეტაპების განხორციელებას:

პირველი ეტაპი. დანერგვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მეორე ეტაპი. კომპანიის გარემოს სტრატეგიული ანალიზი, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასება.

მესამე ეტაპი. მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემის შემუშავება კორპორაციულ დონეზე: დაგეგმარების ჰორიზონტების განსაზღვრა; მიმართულების არჩევა; ორგანიზაციის ძირითადი მიზნის განსაზღვრა; პროექციის ყველა მიზნის შემუშავება, შეთანხმება და დოკუმენტირება; წარმატების კრიტერიუმებისა და ნორმატივების განსაზღვრა; საქმიანობის სტრატეგიული გეგმის მომზადება; სამოქმედო გეგმის ვადებისა და რესურსების შეჯერება; რეგლამენტისა და სტრუქტურის შემუშავება მაჩვენებლების კონტროლის მიზნით; სტრატეგიის გადასინჯვის რეგლამენტის შემუშავება.

მეოთხე ეტაპი. მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემის გადანაწილება დაბალ მმართველობით რგოლებზე, პირადი შემადგენლობის ჩათვლით: სტრუქტურის განსაზღვრა; გადანაწილების ჩატარება; სტრატეგიული რუკების შეთანხმება და დოკუმენტირება.

მეხუთე ეტაპი. სტრატეგიის რეალიზაცია და მისი განხორციელების მონიტორინგი.

მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე

ეკოლოგიური მეწარმეობის კონცეპტუალური ასპექტები

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკაში წამყვან ადგილს იკავებს მეწარმეობა. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაშიც.

მეწარმეობისათვის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ასპექტს წარმოადგენს თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებაში, რასაც თან სდევს სრული პასუხისმგებლობა მოსალოდნელ ეკონომიკურ შედეგებზე.

მეწარმეობაში წარმატებას აღწევს ის, ვინც სწრაფად რეაგირებს საზოგადოების შეკვეთაზე. ასეთი ამოცანის უფრო ოპერატიულად გადაწყვეტა შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესს. ამასთან, საქმიანობის მასშტაბები და საწარმოს ზომა მწარმოებელმა ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეარჩიოს მოსალოდნელი ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგების შეფასების გათვალისწინებით – პრიორიტეტების შეზღუდვებისა და ეფექტიანობის კრიტერიუმის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეკობიზნესი.

ეკობიზნესის კონცეპტუალური საფუძვლები და ძირითადი პრინციპები გადმოცემულია "სამეწარმეო საქმიანობის ქარტიაში", რომელიც მოამზადა საერთაშორისო სავაჭრო პალატამ 1990 წელს.

ამჟამად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით საქართველოზე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა იმას, რომ გარემო ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება უნდა იყოს ბიზნესის სფეროში ნებისმიერი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი.

ზემოხსენებულ ქარტიაში ჩამოყალიბებულია 16 პრინციპი, რომელთა რეალიზაციის მიზანია, საწარმოებმა მაქსიმალურად გაითავისონ ბუნებისდაცვითი ვალდებულებები, რათა საქმიანობის პროცესში გაითვალისწინონ ეკოლოგიური მოთხოვნები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: საწარმოებისათვის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრიორიტეტულობა; ინტეგრირებული მენეჯმენტი; პერსონალის ეკოლოგიური განათლების ამაღლება და გარემოსდაცვით ღონისძიებებში მასობრივი მონაწილეობა; მოსალოდნელი ეკოლოგიური შედეგების წინასწარი შეფასებები; მომხმარებლისათვის პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავის შესახებ რჩევების მიცემა და ა.შ.

უფრო კონკრეტული პრინციპები და დებულებები შემუშავდა მოგვიანებით, 1996 წელს, ორგანიზაცია GERES-ს მიერ. აღნიშნული ორგანიზაციის და მისი პარტნიორი სუბიექტების საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცვალებადი ტექნოლოგიური პროცესებისა და ინოვაციების მისადაგება გარემო ბუნების დაცვის პროცესებთან. ეკონომიკასა და გარემო ბუნებას შორის ურთიერთობის რეგულირებისა და ეკობიზნესის განვითარების მიზნით აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ პრინციპებს მრავალმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. ამ პრინციპებთაგან ძირითადია შემდეგი: ბიოსფეროს დაცვა; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აღწარმოებისათვის ხელშეწყობა; ნარჩენების გამოყენება; ენერგორესურსების დაზოგვა; რისკების შემცირება; ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოება;

საზოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფა არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ და ა.შ.

ეკოლოგიური მეწარმეობის ფორმები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ძირითადი და შემავსებელი ეკოლოგიური მეწარმეობა, ეკოლოგიური მეწარმეობა საკუთრების ფორმის და საქმიანობის სფეროების მიხედვით და სხვა.

ძირითადი მეწარმეობა, რომელიც დაკავშირებულია ეკოლოგიურ მოთხოვნებსა და შეზღუდვებთან, თავის თავში მოიცავს: ეკოტექნიკის წარმოებას; მცირე-ნარჩენიანი ტექნოლოგიების შემუშავებას და ა.შ.

შემავსებელია მეწარმეობა – როდესაც არსებული არაეკოლოგიური წარმოება დაკავშირებულია: ნარჩენების უტილიზაციასთან; ღონისძიებებთან, რომლებიც ხელს უწყობენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გაზრდას და სხვა.

გარდა აღნიშნული ფორმებისა, ცალკე გამოიყოფა მეწარმეობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სფეროში.

საქმიანობის სფეროების მიხედვით ეკოლოგიური მეწარმეობა შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც კომერციული (საქმიანობა მიმოქცევის სფეროში), ფინანსური (კრედიტები, აქციები და ა.შ.) და საშუამავლო (ეკომარკეტინგი, ეკოინფორმაცია და სხვა). ეკოლოგიური მეწარმეობიდან განსაკუთრებულად შეიძლება გამოიყოს აგრეთვე ეკოლოგიური დაზღვევა და ლიზინგი.

ეკოლოგიური მეწარმეობის ეფექტიანობა განისაზღვრება მისი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური შედეგების შედარებით მათ მისაღწევად საჭირო დანახარჯებთან.

ეკობიზნესის ეფექტიანობა შეიძლება სხვადასხვა დონეზე განისაზღვროს:

– ეროვნული ეკონომიკის დონეზე (დასაქმება, დამატებითი პროდუქცია და ა.შ.);

– რეგიონულ დონეზე (მეორადი რესურსების გამოყენება და სხვ.);

– ფირმის დონეზე (დამატებითი მოგების მიღება და ა.შ.).

წარმოების ეკოლოგიზაციის შესახებ ახალ მიდგომებს, როგორც წესი, კარგი შედეგები მოაქვს. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ეს ნარჩენების გამოყენების დროს. იზრდება ნარჩენებისაგან მოხმარების საგნების წარმოება და შესაბამისად მცირდება ნარჩენების განთავსებისა და გარემო ბუნების გაჭუჭყიანებისათვის გადასახადები, მცირდება გარემოსადმი მიყენებული ზარალი. ფირმები იაფი მეორადი

რესურსების გამოყენებითაც ღებულობენ დამატებით მოგებას. გარდა ამისა, მცირდება დანახარჯები პირველადი ნედლეულის მოპოვებაზე.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში "მწვანე" ბიზნესის განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მრავალი საწარმო ღებულობს სოლიდურ შემოსავალს გარემო ბუნების გაჭუჭყიანების შემცირების შედეგად. ნარჩენების უტილიზაციისა და ეკოსისტემის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მიზნით კომპანიები, სხვადასხვა სახის ღონისძიებებს ატარებენ. გარემო ბუნების დაცვა სულ უფრო მეტად ხდება კაპიტალის დაბანდების საიმედო სფერო. ეკობიზნესის დადებითი ეფექტების შესახებ ინფორმაცია ფართოდ ვრცელდება საზოგადოებაში, რაც ზრდის ბიზნესის ამ სფეროში მოღვაწე ფირმების რეპუტაციას და, აგრეთვე, ხელს უწყობს მოსახლეობის ეკოლოგიური აზროვნების ამაღლებას.

ეკოლოგიური მეწარმეობის ნიშნები საქართველოში პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის დასაწყისში – 1991 წელს – გაჩნდა, რასაც ბიძგი მისცა "მწვანეთა" მოძრაობის დაწყებამ. თუმცა, ბოლო წლებში ეკოლოგიური მეწარმეობის სუბიექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო ისინი, ვინც დარჩა, აქცენტს აკეთებს ბუნებრივი რესურსების რეალიზაციაზე.

საქართველოში ეკოლოგიურმა მეწარმეობამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ბიზნესში. ის წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც მსხვილი, ასევე საშუალო და მცირე ბიზნესის სახით. ეკოლოგიური ბიზნესის განვითარება ჩვენს ქვეყანაში უნდა მოხდეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას, მისი ძირითადი ეკონომიკური მიზნების რეალიზაციასა და, რაც მთავარია, ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებას.

დავით ჯალაღონია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდოლოგიური საფუძვლები საერთაშორისო სტანდარტებით

ფინანსური ანგარიშგება მაჩვენებელთა ისეთი სისტემაა, რომელიც ახასიათებს საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციებს და მოვლენებს დროის კონკრეტული თარიღისათვის. საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ბალანსი; მოგება-ზარალის უწყისი; ფულადი

საშუალებების მოძრაობის უწყისი; საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების უწყისი; ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები – ესაა აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებსაც ამუშავებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ) და რომელშიც, ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების მიხედვით, მოცემულია ის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, რომლებიც გასაგებს ხდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის არსს. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მომხმარებლისთვის აღქმადი და სასარგებლო, თუ იგი მომზადებული და წარდგენილია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული კონცეფციით, რომელიც მოიცავს: ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზანს; საბაზისო ვარაუდს იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდით და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით; ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს; ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს; ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების კრიტერიუმებს; ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ანგარიშგების მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, მისი მიზანია ინფორმაციის მომხმარებლებზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასეთი შინაარსით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება საშუალებას იძლევა, შეფასდეს საწარმოს ცალკეული რგოლის მენეჯერის საქმიანობა მასზე მინდობილი რესურსების მართვის შედეგების და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა საფუძველზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება ორ ძირითად საბაზისო ვარაუდს, ანუ დაშვებას: დარიცხვის მეთოდს და ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპს.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, საწარმოში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების ან სხვა მოვლენების აღიარება ხდება არა ფულადი საშუალებების მიღების ან გადახდის დროს, არამედ მათი მოხდენისთანავე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ასეთი დაშვების აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საწარმოს

სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, მაშინ, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დგება განსაზღვრულ დროში და ხელოვნურად ხდება ამ უწყვეტი სამეურნეო პროცესის შეწყვეტა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის უკვე არსებობს გაწეული, მაგრამ ჯერ კიდევ აუნაზღაურებული ხარჯები ვალდებულებების სახით და გამომუშავებული, მაგრამ ჯერ კიდევ მიუღებელი შემოსავალი აქტივების სახით. სწორედ დარიცხვის მეთოდის საფუძველზე გაწეული ხარჯების და მიღებული შემოსავლების, შესაბამისად, ვალდებულებებისა და აქტივების აღიარება ხდება არა ხარჯების ანაზღაურების ან შემოსავლების მიღების მომენტში, არამედ მათი მოხდენისთანავე, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მარტო წარსული სამეურნეო ოპერაციები, არამედ განისაზღვროს მომავალში გასანაღდებელი ვალდებულებები და მისაღები მოთხოვნები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მიხედვით იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც. ე.ი. იგულისხმება რომ საწარმო არ აპირებს და არ მოუწევს შეწყვიტოს თავისი საქმიანობა ან საგრძნობლად შეამციროს წარმოების მასშტაბები უახლოეს საპროგნოზო მომავალში.

საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული და შედგენილი ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასარგებლო მომხმარებლებისათვის, თუ ის აგებულია ისეთი ხარისხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედობა და შესადარისობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს იმ მომხმარებლებისათვის, რომელთაც აქვთ ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა. თუმცა, დაუშვებელია ინფორმაციის გამოტოვება მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ძნელად აღსაქმელია ზოგიერთი სხვა მომხმარებლისათვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სასარგებლოდ, თუ იგი შეესაბამება მომხმარებელთა მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნებს. ამასთან, ინფორმაციას მხოლოდ მაშინ გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ იგი გავლენას ახდენს მომხმარებლის

ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ ეხმარება მას, შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სასარგებლო, თუ ის საიმედოა. საიმედოა მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს არსებით შეცდომებს, არ არის ტენდენციური და სრულიად მიუკერძოებლად ასახავს საქმის რეალურ ვითარებას.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვალსაზრისით, ინფორმაციის საიმედობა ნიშნავს, ინფორმაციის უტყუარ, სამართლიან და თავისდროულ წარდგენას, ნეიტრალობას, წინდახედულობას, სისრულეს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულმა ინფორმაციამ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ტენდენციების განსაზღვრის მიზნით, უნდა უზრუნველყოს საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება და შეფასება წლების მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის შედარება უნდა განხორციელდეს როგორც დროის, ასევე მსგავსი საწარმოების შესაბამისი საფინანსო მაჩვენებლების მიხედვითაც.

საერთაშორისო სტანდარტების კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ხოლო სამეურნეო საქმიანობის შედეგების დასახასიათებლად კი – შემოსავლები და ხარჯები.

ჩამოთვლილი ხუთი ელემენტიდან – აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი – წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსის, ხოლო შემოსავლები და ხარჯები – მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მახასიათებელ ელემენტებს.

საერთაშორისო სტანდარტების კონცეპტუალური საფუძვლებიდან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ელემენტები შეიძლება შეფასდეს: პირვანდელი, მიმდინარე, სარეალიზაციო და დისკონტირებული ღირებულებით.

რეგიონული ეკონომიკის სექცია

კლიმენტი აჩელაშვილი

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების პრობლემების შესახებ

საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური სივრცის არაერთგვაროვნება და დიფერენციაცია არსებით გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობაზე. ეკონომიკური სივრცის არაერთგვაროვნებისა და დიფერენციაციის უარყოფითი მხარეების შესახებ საუბრის დროს არ იგულისხმება ქვეყნის რეგიონების მიხედვით სხვადასხვა დარგების თანაბარი განლაგება, რადგანაც სწორედ მათი არათანაბარი განლაგება წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზებული ეკონომიკური სივრცის გარდაუვალ თვისებას, რაც განპირობებულია შრომის რეგიონული განაწილებით, წარმოების კონცენტრაციითა და სპეციალიზაციით, მოსახლეობის ურბანიზაციით და ა.შ. არაერთგვაროვნება და დიფერენციაცია გაიგება, პირველ რიგში, როგორც შიდარეგიონული და რეგიონთაშორისი განსხვავებები ეკონომიკურ აქტივობასა და ცხოვრების დონეში. მათი შემცირება უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და სახელმწიფოს მთლიანობის გამყარებისათვის.

პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს ეკონომიკური სივრცის არაერთგვაროვნება და დიფერენციაცია მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს შემდეგი მიზეზებით აიხსნება: პირველი, კონკურენიციის მოქმედებით, რომლის დროსაც რეგიონები ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურითა და მენტალიტეტით სხვადასხვანაირად ადაპტირდებიან საბაზრო პირობებისადმი. მეორე, მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირება და გაიზარდა რეგიონების ეკონომიკური უთანაბრობა. მესამე, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან დარჩა არცთუ ისე მცირე რეგიონული ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური პრობლემები: ცალკეული რეგიონების ვიწრო სპეციალიზაცია, ზოგიერთი წარმოების მეტისმეტი კონცენტრაცია და რიგ რეგიონებში ჭარბი მოსახლეობა, პატარა ქალაქების კრიტიკული მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დეგრადაცია და ა.შ.

უახლოეს პერიოდში საქართველოს ეკონომიკური განვითარებისას, სავარაუდოა, არა ჩამორჩენილი რეგიონების წამყვან რეგიონებთან მიახლოება, არამედ წარმოების ზრდის დადებითი ტემპების მქონე რეგიონების რაოდენობის გაზრდა. ამასთან, რაც მეტი იქნება ეკონომიკური ზრდის ტემპები, მით მეტი იქნება ფინანსური რესურსების რეგიონთაშორისი გადანაწილების შესაძლებლობა რეგიონების სოციალური განვითარების დონეების გათანაბრებისათვის. მაღალი კონკურენტუნარიანობისა და ხელსაყრელი სამეწარმეო კლიმატის მქონე ცალკეული რეგიონების მზარდმა მიმზიდველობამ, კაპიტალისა და შრომის მობილურობის ზრდასთან ერთად, შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების კიდევ უფრო მეტ დიფერენციაციას.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრობლემად რჩება აუცილებელი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკისა და მისი რეგიონების ეფექტიან ფუნქციონირებას. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლებების დაცვას. საკუთრების უფლებების არასაკმარისი დაცვა საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას, დანაზოგებისა და ინვესტიციების სტიმულირებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. უნიტარული სახელმწიფოდან რეგიონული ფედერალიზმის სისტემაზე გადასვლა საქართველოში ცენტრსა და რეგიონებს შორის მრავალრიცხოვანი კოლიზიებით მიმდინარეობს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში. როგორც გამოცდილება მოწმობს, ამ პრობლემების იგნორირებას სხვადასხვა სახის ნეგატიური მოვლენები მოსდევს, რომლებიც შეიძლება კონკრეტული რეგიონების განვითარების კრიზისის მიზეზი გახდეს და სახელმწიფოს ერთიანობაც კი დაარღვიოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რეგიონული ეკონომიკური განვითარების "ოპტიმალური" მიმართულებების განსაზღვრის (ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე) საკმაო სირთულე, რადგანაც ეს გულისხმობს ეროვნული ეკონომიკისა და მისი რეგიონების განვითარების სხვადასხვა სცენარების დაწვრილებით ანალიზსა და შედარებას.

ახლო მომავალში ეკონომიკური განვითარების რეგიონული რეგულირების საკითხებისადმი ინტერესი საქართველოში კიდევ უფრო გაიზრდება, რადგანაც ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენები, რომლებიც ამჟამად ქვეყანაში ხდება,

მოსალოდნელია, რომ საკმაო ხანს გაგრძელდეს. მოხდება პოსტინდუს-ტრიულ და, საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა რეგიონების განსაკუთრებული ფუნქციებით და შემდეგ, რეგიონული ეკონომიკური განვითარება თვისებრივად ახალ დონეს მიაღწევს. ამავე დროს, ეკონომიკის ეკოლოგიზაციის გაძლიერებასთან ერთად, რეგიონებში გამკაცრდება მოთხოვნები გარემოს დაცვის მიმართ. რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე ძლიერ ზეგავლენას იქონიებს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები. ეკონომიკური განვითარების გლობალიზაციის პერსპექტივების გათვალისწინებით, ისმის კითხვა იმის შესახებ, შეძლებს თუ არა საქართველო ახალ პირობებში, ეფექტიანად დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკური სუვერენიტეტი, აქტიურ თუ პასიურ როლს ითამაშებს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.

ვახტანგ ბურდული

ტერიტორიულ დონეზე საერთო დანიშნულების მეწარმეობის განვითარების სახელისუფლებო და საბაზრო კოორდინაციის სრულყოფის გზები

ტერიტორიულ დონეებზე მეწარმეობის განვითარების ორი ძირითადი მიმართულების გარდაქმნის აუცილებლობა არსებობს: პირველი დაკავშირებულია ადგილობრივი კომუნალური, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტასთან, მეორე (რომელიც ჩვენი განხილვის საგანია) – მეწარმეობის სხვადასხვა დარგის საწარმოების (რომელთა ფუნქციონირება მოცემულ ტერიტორიაზე ხელსაყრელია) განთავსებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობასთან.

საქართველოში საჭიროა მეწარმეობის საერთო სექტორების (რომელიც არაა დაკავშირებული კომუნალურ მეურნეობასთან) ტერიტორიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმის შექმნა, ისეთის, როგორიც არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური რეგულირების ლიბერალიზაციასთან ერთად, მიმდინარეობს რეგულირების თანდათანობითი დეცენტრალიზაციის პროცესი და, ამავე დროს, ძლიერდება ცენტრის კონტროლი დანიშნულებისამებრ სახსრების ხარჯვის მიმართ. მოწინავე ქვეყანებში მეწარმეობის განვითარების ტერიტორიული რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმი სხვადასხვანაირია, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ზომებზე, ტრადი-

ციებზე, სამართლის სისტემებზე და ა.შ. მექანიზმი ასევე იცვლება ეკონომიკის განვითარების დონის ზრდის შესაბამისად, პოლიტიკური სიტუაციის და გარე ეკონომიკური ურთიერთობების შესაძლებლობების ცვლილებისა და სხვა გარემოებების გამო.

ეკონომიკის ძირითადი სექტორების განვითარება და ფუნქციონირება, უპირველეს ყოვლისა, რეგულირდება სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებით სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ამ რეგულირებაში განსაზღვრული როლი აქვს სხვადასხვა რანგის ტერიტორიულ რეგულირებას და მეწარმეთა საბაზრო კოორდინაციას.

მნიშვნელოვანია, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, მეწარმეებმა საბაზრო კოორდინაციის განხორციელების ხერხები დაადგინონ საქართველოში არსებული პირობების გათვალისწინებით. ტერიტორიული ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის იმ მიმართულებებს, რომელთა რეალიზაცია გულისხმობს მჭიდრო კავშირს ბიზნესთან. ამიტომ, მისი გატარება თანამედროვე პერიოდში შეუძლებელია სამეწარმეო საზოგადოებასთან ადგილობრივი ხელისუფლების დიალოგის გარეშე.

ბოლო პერიოდში მეწარმეობის განვითარების ტერიტორიული რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის ძირითადი საკითხებია: რეგიონული მონოსპეციალიზაციის დაძლევა და ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე მეწარმეობის ტერიტორიული დივერსიფიკაციის უზრუნველყოფის ხელშეწყობა როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში; მეწარმეობის ტერიტორიული რეგულირების ხელშემწყობი საფინანსო და არასაფინანსო ორგანიზაციების ჩამოყალიბება; ეროვნული მეწარმეების მიერ ახალი ტექნოლოგიების შემოზიდვის და მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვისა და ადგილობრივ საწარმოებთან მათი კოოპერირებისათვის, ტერიტორიულ დონეზე ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის ხერხების განსაზღვრა. ამჟამად გაჩნდა ტერიტორიების სწრაფი განვითარების ახალი შესაძლებლობანი. ისეთი მექანიზმების გამოყენების საფუძველზე, როგორიცაა ფრანჩაიზინგი და აუტსორტინგი,

რეგიონულ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარებას. ასეთი ცენტრები აუცილებელია, რადგანაც ემსახურებიან სოფლად შექმნილი პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებას, ხელს უწყობენ ახალი ტექნოლო-

გიების ათვისებას და უზრუნველყოფენ დასაქმების მკვეთრი ზრდისათვის პირობების ხელშეწყობას.

მექანიზმში აუცილებლად უნდა ჩაიდოს ყოველი რეგიონის მოსახლეობის ინტერესების დაცვის ელემენტები (უმუშევრობის ყველაზე მინიმალურ, ანუ ბუნებრივ დონემდე შემცირება, კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, პროფესიული გადამზადება და სხვა).

გადამწყვეტი მნიშველობა აქვს მეწარმეობის დახმარების საფინანსო ორგანიზაციებს. ესაა სხვადასხვა სახის რეგიონული (ან სახელმწიფო დონის რეგიონული ფილიალებით) მიზნობრივი სახელმწიფო, შერეული და კერძო ფონდი, რეგიონული დეპოზიტარიები, სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვა. მრავალია ასევე არასაფინანსო ხასიათის დამხმარე ორგანიზაცია, მაგალითად, ინჟინერინგული, საკონსულტაციო, ექსპორტის ხელშეწყობის და მარკეტინგული (სტრატეგიული ტერიტორიული მარკეტინგი ამჟამად ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება) ორგანიზაციები, ასევე ბიზნესის ინკუბატორები. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად იზრდება ტექნოპოლისების და ტექნოპარკების მნიშვნელობა, რომლებიც ინოვაციების შემუშავების უმნიშველოვანეს წყაროდ ხდებიან.

ტერიტორიული მიზნობრივი საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე სხვადასხვა ფონდი (რეგიონული განვითარების, სოციალური, ინოვაციების, საგარეო ეკონომიკური ოპერაციების რეგულირების, საპენსიო, სოციალური დაზღვევის, მოსახლეობის დასაქმების და ა.შ.) სხვადასხვა ფორმით არსებობს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში.

ტერიტორიულ დონეზე მეწარმეობის განვითარების წახალისებისათვის ასევე გამოიყენება: სახელმწიფო ინვესტიციები, ე.ი. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა პირველ ხანებში კერძო მეწარმეებზე დატვირთვის შემსუბუქებისათვის, სუბსიდიების მინიჭება, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო უსასყიდლოდ გადასცემს სახსრების გარკვეულ ნაწილს კერძო ინვესტორებს და სხვა.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირების ისეთი მეთოდები გამოიყენება, როგორიცაა სხვადასხვა სახის ფონდში საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა და მათ მიერ მცირე ბიზნესის საფინანსო მხარდაჭერა, გარანტიების გაცემა კომერციული ბანკების კრედიტებზე (შესაძლო დანაკარგების კომპენსაციით), სადაზღვევო ფონდების (“რისკების ფონდების”) შექმნა.

რეგიონული ფონდები საფინანსო საშუალებების აკუმულირებას შემდეგი წყაროების ხარჯზე ახდენენ: შესატანები ცენტრალური და ადგილობრივი ტერიტორიული ბიუჯეტებიდან; ანარიცხები სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციით მიღებული თანხებიდან; შესატანები საბანკო სტრუქტურებიდან; შესატანები სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციიდან; ანარიცხები სახსრებიდან, რომელიც მიღებულია საწარმოების რეგისტრაციით; შემოსავლები, მიღებული ფონდების სამეწარმეო საქმიანობისაგან; უცხოური ინვესტიციები; შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხები.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ინსტრუმენტების ნუსხას (როგორც ცენტრალურ, ასევე ტერიტორიულ დონეებზე). ამ ინსტრუმენტების რიცხვში შედის: რეგიონებში მეწარმეობის განვითარებისათვის შემუშავებული პროგრამების რეალიზაციისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები და ადგილებზე მობილიზებული საფინანსო სახსრები; სახელმწიფო შესყიდვები; საგადასახადო შეღავათები (მეწარმეობის წახალისების მიზნით), ტერიტორიულ დონეზე გამოიყენება ტერიტორიული გადასახადებიდან დროებითი გათავისუფლება (ან გადასახადების შემცირებული განაკვეთები); ინსტრუმენტები მეწარმეობისათვის კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნის, ფუნქციონირების უზრუნველყოფის და განვითარების სტიმულირებისათვის; ინსტრუმენტები მომუშავეების გადამზადებისათვის ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით; ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას (ესაა ახალი საწარმოების, ან საწარმოების, რომლებიც ღებულობენ საწარმოებში დამატებით მუშა ძალას, დროებითი (რამდენიმე წლის განმავლობაში) გათავისუფლება ადგილობრივი გადასახადებისაგან და სხვა); ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობს ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შესაქმნელად მაღალტექნოლოგიური ტრანსეროვნული საწარმოების მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებას ესაა – ძირითადი სახელმწიფო გადასახადების დროებითი შემცირება, წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიების შემოზიდვის განბაჟებისაგან გათავისუფლება, ადგილობრივი გადასახადების დროებითი მოხსნა, პროდუქციის ქვეყანაში რეალიზაციისა და ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ადგილობრივი საწარმოების კოოპერირების ვარიანტების შემოთავაზება (რაც ხელს უწყობს ორივე

მხარის ტრანსფორმაციული და ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებას) და სხვა.

ამჟამად, ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში განვითარებულ ქვეყნებში გაჩნდა სხვა მექანიზმი: რეგიონების მთავრობების უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობის გაფართოება და რეგიონებს შორის კონკურენციის განვითარება ინვესტიციების, სპეციალისტების, კვალიფიციური მუშა ძალის და სხვა კომპონენტების (მაგალითად, თანამედროვე ტრადიციული დარგების ტექნოლოგიების ან "მაღალი" ტექნოლოგიების) მოზიდვისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო და სოციალური უზრუნველყოფის გარემოს შექმნის საფუძველზე.

დიდი მნიშველობა აქვს ასევე სახელმწიფო, შერეულ და კერძო ბერკეტებს, რომლებიც ხელს უწყობს მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარებას, ტექნოპოლისების და ტექნოპარკების შექმნას, ვენჩურული კაპიტალის რეგიონებში მოზიდვას. ამისათვის გამოიყენება შემცირებული გადასახადების ან გადასახადებისაგან გათავისუფლების პრაქტიკა, სახელმწიფო ხარჯებით განსაკუთრებით ტექნოპოლისებისათვის საჭირო საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის განვითარების საბაზრო კოორდინაციას, რომელშიც ვგულისხმობთ: მეწარმეთა გაერთიანებული ჯგუფების მიერ სხვადასხვა რეგიონულ და, თუ საჭიროა, ცენტრალურ მთავრობასთან სხვადასხვა ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სარგებელს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლებები მოსახლეობის ინტერესებს იცავენ; მეწარმეთა მიერ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში საშუალო ან ფიქსირებული ფასების დადგენა განსაზღვრულ საქონელსა და განსაზღვრულ ბაზრებზე (ერთი კვირის, ორი კვირის და ა.შ. განმავლობაში), რაც მიღებულია მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში; ურთიერთშეთანხმებები ცალკეულ მეწარმეებს (კორპორაციებს) და ცენტრალურ ან რეგიონულ ხელისუფლებას შორის, ერთი მხრივ, სახელმწიფო შეღავათებზე საექსპორტო პროდუქციის შემუშავების და უცხოურ ქვეყნებში რეალიზაციის მიზნით, მეორე მხრივ, მეწარმეების (კორპორაციების) მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღებაზე; მეწარმეთა ასოციაციების შექმნა ცალკეული დარგების მიხედვით, რომლებიც თავის დარგებში წყვეტენ საკითხებს კეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, სამეცნიერო და სხვა დანიშ-

ნულების ერთობლივი (წილების მიხედვით) ჰოლდინგების შექმნაზე, რომლებიც იმუშავებენ დარგობრივი პროდუქციის თვისებების გაუმჯობესებაზე ან, განსაკუთრებით, პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობების ზრდაზე, რაც ასეთ სამუშაოებზე საერთო დანახარჯებს ამცირებს.

გიგა მაისურაძე

თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მათი როლი ბიზნესგანვითარებაში

თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკური სივრცის ნაწილს, სადაც მიღებულია შედავათებისა და სტიმულების ისეთი განსაკუთრებული სისტემა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში არ გამოიყენება.

თეზ-ის შექმნის მიზეზები განზოგადებული სახით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელება-დანერგვა;
- ბიზნესის აქტივიზაცია-განვითარება უცხოური კაპიტალის მოზიდვით;
- სავალუტო შემოსავლების მიღება და სავალუტო რეზერვების ზრდა;
- საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესება;
- სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება და დასაქმების დონის ამაღლება;
- ბიზნესის მართვისა და ადმინისტრირების მსოფლიო გამოცდილების მიღება;
- დეპრესიული რეგიონების (რაიონების) დაჩქარებული განვითარება;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ექსპორტის სტიმულირება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;

მსოფლიოში არსებობს სამი ათასზე მეტი სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ზონა. მათ შორის სპეციალური:

1. საფინანსო (ოფშორული)
2. სავაჭრო

3. ე.წ. ტექნოპარკები.

თეზ-ის შექმნის აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით ქ. ფოთში გაიხსნა მეორე ტიპის სპეციალური თავისუფალი სავაჭრო ზონა. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ოფიციალურად დაასახელა იმ ოთხი კომპანიის ვინაობა, რომლებიც ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესაქმნელად ინტერესთა გამოხატვის კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა.

ეს კომპანიებია: დუბაის პორტი „და ჯაფბა", „ჰაჩისონ ვესტ-პორტი", „ჰამბურგერ ჰაფერ და ლოჯისტიკი" და „რაკ ინვესტმენტი". საბოლოო არჩევანი არაბულ კომპანია „რაკ ინვესტმენტზე" შეჩერდა. ინვესტორმა უნდა მოახდინოს (სამუშაოები უკვე დაწყებულია) სრული მოდერნიზაცია, მოუმზადოს სამუშაო გარემო მსოფლიოს ცნობილ ბრენდებს. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნით საქართველომ პრეტენზია განაცხადა მსოფლიო ბაზართან ინტეგრირებაზე, რისთვისაც საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საინვესტიციო და საფინანსო ჯგუფების ხელშეწყობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თუ ინვესტორი არ აღმოჩნდა მაღალი დონის ოპერატორი ფირმა, ვერ შეძლო მსხვილი კაპიტალის მოზიდვა, ფირმების დაინტერესება ან სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევს ბიზნესში, ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა არ განვითარდება.

დღესდღეობით საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა შორის არ არსებობს ერთნაირი აზრი იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა ქვეყანაში იყოს თეზ-ი. ჩვენი აზრით, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ქ. ფოთში თეზ-ის არსებობა მიზანშეწონილია და მხარს ვუჭერთ შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქართველოს გააჩნია თეზ-ის ფუნქციონირების (1878–1886) ისტორიული გამოცდილება „პორტო ფრანკოს" (თავისუფალი ნავსადგური) სახით ქ. ბათუმში. აღნიშნულ პერიოდში ქ. ბათუმში აშენდა საზღვაო ნავსადგური, გაყვანილ იქნა ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი, ქ. ბათუმი ნავთობპროდუქტების ბირჟის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი გახდა. ამ პერიოდში შეიქმნა ქალაქის ინფრასტრუქტურა.
2. გეოპოლიტიკური მდებარეობა და ისტორიულად დიდ სავაჭრო გზებთან სიახლოვე არის ერთ-ერთი პირობა თეზ-ის შექმნისა და მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის. საქართველო ამ ორივე პირობას აკმაყოფილებს.

3. ქ. ფოთი ისტორიულად სტრატეგიული ობიექტია, ერთ-ერთი მთავარი პორტია „ტრასეკას" კორიდორში, კავკასიის სატრანს-პორტო ტრანზიტული ქსელის ნაწილია და ემსახურება ყველა სახის ტვირთბრუნვას, რაც მას ქ. ბათუმის პორტისაგან რადიკალურად განსხვავებულს ხდის. რუმინეთის ნავსადგური კონსტანცა ხდება სამხრეთ ევროპის მძლავრი პორტი, რომელსაც პარტნიორი სჭირდება, ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია და საერთაშორისო თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს. დღეს ფოთის პორტს საშუალოდ 8 მლნ ტვირთ-ბრუნვა აქვს და შეუძლია ეს მაჩვენებელი გაზარდოს, ხოლო ახალი პორტის აშენების შემდეგ გაასამმაგოს.
4. ქვეყანაში შექმნილია საკანონმდებლო ბაზა და მიღებულია თეზ-ის მარეგულირებელი კანონები (კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" – 2007 წ. ივლისი, მთავრობის 2008 წ. ივნისის № 131 და № 157 დადგენილებები და სხვ.). თეზ-ის ფუნდამენტური პრინციპებიდან თითქმის ყველას, სამოქმედოდ ლეგიტიმური ნორმატიული ბაზა გააჩნია.
5. თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ზონის ფუნქციონირება ქ. ფოთში საერთაშორისო ბიზნესთან დაახლოების და ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა.

დღეს შედეგებზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია, თუმცა გარკვეული მიღწევები სახეზეა, კერძოდ, წლის ბოლომდე ქ. ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მიაღწევს 10 მლნ ტ. დაწყებულია თეზ-ის ინტეგრირების პროცესი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე რიტმულად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწყობა. ქ. ფოთის პორტის სრული რეაბილიტაციისათვის 200 მლნ. დოლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული. შექმნილია კარგი პირობები საექს-პორტო, იმპორტისა და სატრანზიტო ტვირთების დასაწყობება-შენახვისათვის. მ/წ აგვისტოს ცნობილმა მოვლენებმა გარკვეულწილად იმოქმედა თეზ-ის ინფრასტრუქტურის, პორტის განახლების სამუ-შაოებზე, თუმცა მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა არ მოუხდენია.

თეა მუნჯიშვილი
რუსუდან სეთურიძე

თავისუფალი ეკონომიკური ზონები

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებულ ნაწილს (ტერიტორიასა თუ სეგმენტს) წარმოადგენს, სადაც შედავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემაა შემოღებული, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტებში) არ გამოიყენება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მათი შექმნის მიზეზისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელობის დონის თვალსაზრისითაც, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, განვითარებული და, ამასთან, დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნები თავისუფალ ზონებს რეგიონალური პოლიტიკის რეალიზების მიზნით ქმნიან. მისი ნათელი გამოვლინებაა თუნდაც დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი ზონები, რომლებიც ამ ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან მოშორებითაა (მაგალითად, ვირჯინიის კუნძულები) განლაგებული და რუსეთის ფედერაციის პერიფერიებზე შექმნილი ზონები, სადაც ცენტრალურ მთავრობას ზოგადად მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების განხორციელება უჭირს.

რაც შეეხება განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პოლიგონებს წარმოადგენს. ასეთ ქვეყნებს უცხოური კაპიტალის ნაკადებისათვის თავისი ეკონომიკის სრული გახსნა, განსაკუთრებული სავაჭრო თუ საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, მთელი ტერიტორიისა და ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით ხშირად არ სურთ ან არ შეუძლიათ; ამიტომ ისინი ეკონომიკის ლოკალურ "გახსნას" ზონების ჩამოყალიბების მეშვეობით ახორციელებენ. მას თუნდაც ჩინეთის მაგალითი ადასტურებს, სადაც ზონების შექმნის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და, პრაქტიკულად, საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ექსპერიმენტს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების მნიშვნელობის განხილვის დროს არ შეიძლება ყურადღება ისეთ საკითხზე არ გამახვილდეს, როგორიცაა ზონების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამასთან, საყურადღებოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ზონების ზეგავლენის დონე ეროვნულ ეკონომიკაზე საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ასეთი გავლენის საკითხი არცკი განიხილება.

თითქმის ყველა ტიპის ზონისათვის შემდეგი შეღავათებისა და გამარტივებული მექანიზმების მოქმედებაა დამახასიათებელი: საგარეო სავაჭრო შეღავათები, რომლებიც საბაჟო-სატარიფო ლიბერალიზაციას (საბაჟო გადასახადების შემცირება ან მოხსნა, ექსპორტ-იმპორტზე დღგ-სა და აქციზის შეღავათიანი სისტემის დაწესება და სხვ.) და არასატარიფო შეზღუდვების (ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა, კვოტირება, ლიცენზირება, რეგისტრირება) არარსებობას ეფუძნება; ფისკალური შეღავათები, რომლებიც პირდაპირი გადასახადების ლიბერალური სისტემის არსებობასთანაა დაკავშირებული; საფინანსო შეღავათები, რომლებიც სხვადასხვა ფორმის სუბსიდიებს, შეღავათიან საკრედიტო სისტემას, მიწისა და შენობებით სარგებლობის საიჯარო გადასახადის შემცირებულ განაკვეთებსა და სხვ. შეიცავს; სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვების არარსებობა; ადმინისტრაციული შეღავათები, რომელთა მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის, ანგარიშგების სისტემის, საგიზო რეჟიმის გამარტივება და სხვ.

საყურადღებოა, რომ ხსენებული შეღავათები მხოლოდ ზონის შიგნით ვრცელდება. შედეგად ზონიდან ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე საქონლის შეტანა ზუსტად იმ პროცედურებს ექვემდებარება, რაც ზოგადად იმპორტზეა დადგენილი. სწორედ ამიტომ ქვეყნის მოსახლეობის ზონაში შესვლა შეზღუდულია და მხოლოდ სპეციალური ნებართვითაა შესაძლებელი.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნამ და წარმატებულმა ფუნქციონირებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საქართველოს მძიმე საფინანსო და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ასეთი ზონების შექმნით მიიღწევა შემდეგი დადებითი შედეგები: მთლიანად ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა; შეღავათიანი რეჟიმი მოიზიდავს უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს; შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები; შესაძლებელი გახდება წარმოებაში თანამედროვე, მაღალეფექტური საშუალებების დანერგვა, მეცნიერების უახლეს მიღწევათა პრაქტიკაში გამოყენება; ადგილობრივი რესურსების, ნედლეულის მასალების ეფექტური გამოყენება; გაიზრდება ქვეყნის სიმძლავრეები მაღალხარისხოვანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით; განვითარდება ქვეყის ინფრასტრუქტურა; გაიზრდება ქვეყნის სავალუტო და სხვა სახის შემოსავლები, გაუმჯობესდება საგადასამხდელო ბალანსი და ა.შ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მათი აზრით, საკითხში გარკვეული ადმიანისათვის ზონის შექმნის იდეის აქტუალიზაცია მხოლოდ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეჟიმების გაუარესებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, სინამდვილეში არაფერი მსგავსი არ მომხდარა. უფრო მეტიც, კიდევ უფრო ლიბერალური გახდა. ბოლო პერიოდში მთელს ქვეყანაში არსებითად გამარტივდა ბიზნესის დაწყების ბიუროკრატიული პროცედურები, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაქმნელ ზონას ვერც ამ ტიპის შეღავათებს მივანიჭებთ. რაც შეეხება საქართველოში უცხოელთა უვიზო შემოსვლას, თუ ამ რეჟიმით ადრე მხოლოდ დსთ-ის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მოქალაქე სარგებლობდა, ბოლო პერიოდში მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ეს რეჟიმი აშშ-ის, ევრო-კავშირის ქვეყნების, შვეიცარიის, იაპონიის, ისრაელის და სხვ. სახელმწიფოთა მოქალაქეებზეც გავრცელებულიყო. მაშასადამე, შესაქ-მნელი ზონისათვის ვერც ამ შეღავათის მინიჭებას შევძლებთ. ბოლო ხანებში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო უაზრო გახადა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა და თუ მაინც მოხერხდება რაიმე დამატებითი შეღავათის გამოგონება, უმჯობესია, ეს უკანასკნელი მთელს ქვეყანაზე და არა მის ცალკეულ ზონებზე გავრცელდეს. თუ თავისუფალი ეკონომიკური ზო-ნის შექმნისათვის ზომები მაინც გატარდება, მაშინ მას მოჰყვება ყველა რეფორმისტულ მიდწევაზე უარის თქმა, ეკონომიკის ჩაკეტვა, რასაც ასევე ავტომატურად მოჰყვება ყველა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან ურთიერთობის გაფუჭება, საქართველოსათვის პარიზის კლუბის კარების დახურვა, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გასვლაზე. იმედია, მთავრობა დაფიქრდება და მიხვდება, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეის რეალიზაცია შეიძლება ყოველივე ამად არ ღირდეს.

საქართველოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი 2007 წლის 15 – 19 ოქტომბერს გაეცნო სპეციალური (თავისუფალი) ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების პოლონეთის გამოცდილებას. ვიზიტის ფარგლებში კომიტეტის ორი სპეციალისტი იმყოფებოდა ქ. ვარშავაში. პოლონეთში კანონი "სპეციალური ეკონომიკური ზონების რეგულირების შესახებ" მიიღეს 1994 წლის 20 ოქტომბერს. პირველი სპეციალური (თავისუფალი) ეკონომიკური ზონა შეიქმნა 1995 წელს. ამჟამად პოლონეთში ფუნქციო-

ნირებს 14 სპეციალური ზონა. აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2000 და 2003 წლებში. ცვლილებების მიზეზს ძირითადად ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურები წარმოადგენდა, რადგან EU წესები გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს სპეციალურ ზონებთან დაკავშრებით. აღნიშნულმა ცვლილებებმა ზონაში ოპერირებული კომპანიებისათვის შეღავათების შემცირება გამოიწვია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას საქართველოში, საჭიროა, გავიზიაროთ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურობა იმისთვის, რომ საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირებამ ქვეყნისათვის სასურველი დადებითი შედეგი გამოიღოს.

ზურაბ რევიშვილი

საქართველოში სასოფლო შინამეურნეობების ზომების შესახებ

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის (2004) მონაცემების საფუძველზე სასოფლო შინამეურნეობების ზომების, საწარმოო პოტენციალის, მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობებისა თუ კუთვნილი პირუტყვის რაოდენობების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა როგორც მათი მნიშვნელოვანი დიფერენციაცია, ისე მეტად მცირე ზომის მეურნეობების მაღალი ხვედრითი წონა. გამოკვლეული სასოფლო-სამეურნეო მიწით მოსარგებლე 691577 ათასი შინამეურნეობიდან 43,2%-ს ჰქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 75,2%-ს კი 1 ჰა-ზე ნაკლები. 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ 18,3%-ს, 2-2,99 ჰა-მდე - 3%, ხოლო 3-4 ჰა-მდე 1,4 %-ს. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების მცირე ზომის ფართობებიც კი დანაწევრებული და გაბნეულია 2-3 და, რიგ შემთხვევებში, უფრო მეტ ნაკვეთად.

საქართველოში საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეობაზე მოდიოდა 3,59 წევრი. მათ ჰქონდათ: 0,68 ჰა სახნავი, 0,14 ჰა მრავალწლიანი ნარგავებით 0,35 ჰა სათიბ-საძოვარი და 0,05 ჰა სხვა კატეგორიის მიწა. საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა: მსხვილფეხა საქონელი (კამეჩის ჩათვლით) - 1,71, მათ შორის ფური და ფურკამეჩი - 1,01, ღორი - 0,7, ცხვარი და თხა - 1,04 სული. ფუტკარი - 0,22 სკა,

ფრინველი - 13,8 ფრთა; ცხენი, ვირი და ჯორი - 0,08 და ბოცვერი - 0,022 სული.

მეურნეობის ზომა წარმოდგენას გვიქმნის მის ეკონომიკურ პოტენციალზე, გვიჩვენებს მეურნეობათა განვითარების დონეს, ამასთან, მეურნეობათა სპეციალიზაცია, ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნა, როდესაც მთავარ ორიენტირად იქცევა სასაქონლო წარმოება, განაპირობებს მათ მიერ 1-2 კულტურის წარმოებაზე ან ერთი სახეობის პირუტყვის მოშენებაზე რესურსების მიმართვას, შედეგად რიგ მეურნეობებში მოიმატებს სახნავი მიწები ან მრავალწლიანი ნარგავები, მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის, ფრინველისა თუ სკების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო შედარებებისას და შინამეურნეობების განვითარების ტენდენციების განსაზღვრისას, ქვეყნის შინამეურნეობის საშუალო ზომა წარმოადგენს მნიშვნელოვან განმაზოგადებელ მაჩვენებელს. საქართველოში, ჩვენი აზრით, აუცილებელია მიწების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ასევე აუცილებელია, სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების, შინამეურნეობების ფუნქციონირების არსებული ვითარების გათვალიწინებით განისაზღვროს პერსპექტული შინამეურნეობის ოპტიმალური ზომები როგორც ქვეყნის, ისე რეგიონებისთვის.

აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციაა წარმოების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს როგორც საბაზრო ძალების ზემოქმედებით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. ვფიქრობთ, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს ოპტიმალური ოჯახური მეურნეობების შენარჩუნებას. იგი არ უნდა უწყობდეს ხელს არც ძალიან მსხვილი მეურნეობების შექმნას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას.

შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობა მეტად დაბალია, სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები უმეტესად ხელის იარაღებით და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით ტარდება. აღწერის მონაცემებით, მეურნეობების მხოლოდ 2,1%-ს გააჩნდა საკუთრებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი), 0,16% ფლობდა კომბაინს, ხოლო 2,6%

– სატვირთო ავტომბილს, 8,4% – სხვა სახის ავტომობილს. უნდა აღინიშნოს, რომ შემორჩენილი სასოფლო-სამეურნეო პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამორტიზებულია და მეტად არაეფექტიანად ფუნქციონირებს.

მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობების უდიდეს ნაწილს არ აქვს კრედიტის აღების შესაძლებლობა, რეგიონების უმეტესობაში განუვითარებელია ინფრასტრუქტურა, რომელიც მოამარაგებდა მათ თესლებით, შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით. განუვითარებელია სამსახურები, რომლებიც მათ კონსულტაციებს გაუწევენ ახალი აგროტექნოლოგიების დანერგვაში, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდაში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში. ბუნებრივია, შინამეურნეობის აღნიშნული პრობლემები გავლენას ახდენს მათ მოსავლიანობასა და პროდუქტიულობაზე.

მრავალი წვრილი შინამეურენობის არსებობა მეტად ართულებს ერთგვაროვანი სასაქონლო ნედლეულის შექმნისა თუ შეკრების შესაძლებლობებს, რაც, ბუნებრივია, სერიოზული ბარიერია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მნიშვნელოვანი ინვესტირებისათვის ამ სფეროში. ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს იმგვარი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი, სანედლეულო რესურსების შექმნას.

ხელი უნდა შეეწყოს შინამეურნეობათა კოოპერატივების, გაერთიანებების, ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ამა თუ იმ კულტურისა თუ ნედლეულის მნიშვნელოვანი სასაქონლო პარტიების შეკრებასა და საკონტრაქტო მოთხოვნათა შესრულებაზე.

შინამეურნეობათა პერსპექტივების განსაზღვრისას მხედვლობაშია მისაღები კოორდინირების მიღწევა მოსავლის აღებასა და გადამუშავებაში. გადამამუშავებელი წარმოების რიგი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომარაგება უნდა წარიმართოს წინასწარი საკონტრაქტო ურთიერთობებით, ტექნიკური კრედიტების მიცემის საფუძველზე. მაგალითად, მსხვილ წისქვილს შეუძლია, დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შინამეურნეობებს მიაწოდოს გარკვეული ჯიშის ხორბ-

ლის თესლი, სასუქები, საწვავი და სხვ. და მოსავალი ჩაიბაროს გარანტირებული შეთანხმებული ფასებით.

საინფორმაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების ცენტრების (რაიონული, რეგიონული) სისტემის ფორმირებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმაროს გლეხებსა და ფერმერებს და მათ გაერთიანებებს ტექნიკის და სხვა წარმოების საშუალებების შეძენაში, ახალი ჯიშების და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარე ბაზრებზე სწორ ორიენტაციაში, მარკეტინგულ კვლევებში. სამთავრობო ხელშეწყობით, საჭიროა ისეთი დაბალპროცენტიანი საკრედიტო ხაზების ორგანიზება, რომელიც დაეხმარება შინამეურნეობებს და მათ გაერთიანებებს, ასევე სოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურეობის გამწევ ცენტრებს (სამსახურებს) ტრაქტორების, კომბაინებისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენაში. ასევე უნდა განვითარდეს სასოფლო შინამეურნეობების მიკრო-კრედიტებით უზრუნველყოფის სისტემაც.

თენგიზ ქავთარაძე

საქართველოში აგროწარმოების განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ზოგიერთი მიმართულება

1. ქვეყნის მთლიან დასაქმებაში, ბოლო სამ წელიწადში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილი ძალზე მაღალია (45 – 54%). იგი ჩამორჩება მხოლოდ ალბანეთს (57%). აღნიშნულ პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა 20,2%-დან 14,8%-მდე (ეს მაჩვენებელი ალბანეთში შეადგენს 46%-ს). სპეციალისტების აზრით, ამგვარი კლება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების აშკარა მატებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემცირების ტენდენციაზეც მეტყველებს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა საბაზრო სიტუაციის ჩვენთვის ახალი საანალიზო ობიექტების კვლევის გაფართოება და გულმოდგინე შესწავლა, როგორიცაა: საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება, კონკურენტუნარიანობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, გადარჩენის ბალანსი და სხვ.

2. მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობებში ფინანსური ანალიზის თავისებურებებიდან გამომდინარე, მათი საწარმოო საქმიანობის შეფასება რეკომენდებულია ჩატარდეს შემდეგი მიმართულებების მიხედვით: საწარმოო საქმიანობის პროგრამის ანალიზი; შრომითი რესურსების ანალიზი; ხარისხის ანალიზი; პროდუქციის მარკეტინგის ანალიზი. მათ უნდა უზრუნველყონ საწარმოოს მომგებიანობა, გადახდისუნარიანობის პროგნოზირება.
3. მცირე საწარმოს მომგებიანობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საბაზრო სიტუაციის ანალიზმა, რომელიც მიმართულია: მოთხოვნის მოცულობის, ზრდის ტემპის, მომხმარებლის სტრუქტურის კატეგორიის, მთავარი კონკურენტის, მათი სტრატეგიის ანალიზისაკენ. ბიზნესის ამოცანები მხოლოდ სიტუაციის ანალიზის, შედეგების და ბაზრის მიმდინარე ანალიზის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს.
4. მცირე საწარმოს მომგებიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა უპირატესობა გაგვაჩნდეს კონკურენტებთან შედარებით მოცემული პერიოდისათვის, ასევე მნიშვნელოვანია, ეფექტიანად განვახორციელოთ მიმდინარე საქმიანობა. მცირე საწარმოების სამეურნეო საქმიანობის ანალიზში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს გადარჩენის ბალანსის შედგენამ, რომლის მიზანია საკუთარი პროდუქციის წარმოების პერსპექტივების შეთანაწყობა საწარმოს რესურსთუზრუნველყოფის შესაძლებლობებთან.
5. მცირე საწარმოს გადარჩენის ბალანსის ანალიზი უნდა დავუკავშიროთ კონკურენტების სამეურნეო საქმიანობის ანალიზს. ამასთან, მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ, თუ ვინ ითვლებიან ძირითად კონკურენტებად, როგორია მათი სტრატეგია, გასაღების, გაფართოების მიზნები, კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეები. მცირე საწარმოების ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მიღწევის მეთოდების შემუშავებას, პროდუქციის ხარისხის, საქონლის იმიჯისა და სიიაფის მიღწევას.
6. ქვეყნის სამეურნეო სფეროში სწორად უნდა გაანალიზდეს და განისაზღვროს მოსახლეობის საკითხები. ჩვენგან განსხვავებით, თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტის წარმოება ახალი ცოდნის შეძენასთან და გავრცელებასთანაა დაკავშირებული. ამ სფეროში დასაქმებულია

უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე მატერიალურ წარმოებაში. განვითარების ასეთ მოდელზე გადასვლა საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ. მოსახლეობის განათლების დონემ უნდა განსაზღვროს სამეწარმეო სფეროს საბაზრო სიტუაციის ანალიზში ეკონომიკის განვითარების მიმართულება და ტემპი.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბესაძე რამაზ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ე.მ.დ., პროფესორი
2. **ანანიაშვილი იური** – თსუ სრული პროფესორი, ე.მ.დ.
3. **არევაძე ნანული** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
4. **აჩელაშვილი კლიმენტი** – ე.მ.დ., თსუ ასოცირებული პროფესორი
5. **ბარბაქაძე ხათუნა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
6. **ბენაშვილი ციალა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
7. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
8. **ბერულავა გიორგი** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.დ., პროფესორი
9. **ბიბილაშვილი ნანა** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.კ.

10. **ბურდული ვახტანგ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.დ.
11. **გაბრიჭიძე აბესალომ** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
12. **გამსახურდია თამარ** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ე.მ.დ.
13. **გველესიანი მერაბ** – ე.მ.კ.
14. **გვენეტაძე ლილი** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ე.მ.კ.
15. **გელაშვილი მადონა** – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
16. **გუმბერიძე მარინა** – თსუ დოქტორანტი, ე.მ.კ.
17. **გულუა ეკატერინე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
18. **დავლაშერიძე ნატა** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
19. **დათუნაშვილი ლინა** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ., დოცენტი
20. **თოთლაძე ლია** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
21. **კაკულია ეთერ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
22. **კაკულია ნაზირა** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
23. **კურატაშვილი ალფრედ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.დ., პროფესორი
24. **კურატაშვილი ანზორ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
25. **კვარაცხელია მურმან** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.დ., პროფესორი
26. **ლაზარაშვილი თეა** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.კ.
27. **მაისურაძე გიგა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
28. **მასურაშვილი სოსო** – თსუ ასოცირებული პროფესორი
29. **მესხია იაკობ** – ე.მ.დ., პროფესორი
30. **მექვაბიშვილი ელგუჯა** – თსუ სრული პროფესორი, ე.მ.დ.
31. **მექანწიშვილი ეკატერინე** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
32. **მიქიაშვილი ნინო** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ე.მ.კ.
33. **მუნჯიშვილი თეა** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

34. **ნათელაური იზა –** ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.კ.
35. **ნოზაძე ზურაბ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლი
36. **ნუცუბიძე ხათუნა** – სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის ასპირანტი
37. **პაპავა ვლადიმერ –** ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ე.მ.დ., პროფესორი
38. **პაპავა გიორგი** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი კონსულტანტი, ე.მ.დ., პროფესორი
39. **რევიშვილი ზურაბი** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
40. **სამადაშვილი უშანგი –** ე.მ.დ., თსუ ასოცირებული პროფესორი
41. **სარჩიმელია როლანდ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.დ., პროფესორი
42. **სეთური მაია** – თსუ ასოცირებული პროფესორი
43. **სეთურიძე რუსუდან** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
44. **ტიკიშვილი მზია** – თსუ ასოცირებული პროფესორი
45. **ტყეშელაშვილი გოდერძი –** სტუ დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი
46. **ფარესაშვილი ნინო –** თსუ ასისტენტ-პროფესორი
47. **ფუტკარაძე რამაზ –** თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
48. **ქადაგიშვილი ლეილა –** თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
49. **ქავთარაძე თენგიზ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
50. **ქეშელაშვილი გიული –** თსუ ასისტენტ-პროფესორი
51. **ქისტაური ნუნუ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
52. **ღვედაშვილი ნაირა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
53. **შაბურიშვილი შოთა –** თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

54. **შენგელია თემურ –** თსუ კათედრის გამგე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ე.მ.დ., პროფესორი
55. **ჩიქავა ლეო –** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ე.მ.დ., პროფესორი
56. **ჩიქობავა მალხაზ –** თსუ ასისტენტ-პროფესორი
57. **ჩოხელი ეკატერინე –** ე.მ.კ., აკადემიური დოქტორი
58. **ჩხეიძე თინათინ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ს.მ.მ.დ., პროფესორი
59. **ცერცვაძე ვანო –** თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დოქტორანტი
60. **ცუცქირიძე მარინე** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
61. **ხადური ნოდარ –** თსუ სრული პროფესორი
62. **ხარიტონაშვილი ჯემალ –** თსუ ასოცირებული პროფესორი
63. **ხურცია ლალი –** ე.მ.კ.
64. **ხუსკივაძე მამუკა** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.კ.
65. **ჯავახიშვილი რევაზ** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ე.მ.კ.
66. **ჯალაღონია დავით –** სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ს ა რ ჩ ე ვ ი

კლენარული სხდომა

რამაზ აბესაძე
პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპები 3
იური ანანიაშვილი
ეონასეორული ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის შესახებ 8
მერაბ გველესიანი
ქართული ეკონომიკური სასწაული შედგება თუ ვალები 13

დაბვახრჩობს?
იაკობ მესხია
მონეტარული პოლიტიკის ახალი სტრატეგია:
ინფლაციური თარგეთირება 16
ელგუჯა მექვაბიშვილი
გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს
ეკონომიკაზე ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი 23
გიორგი პაპავა
შერეული საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიული
საზოგადოების იდეალი! 25
ვლადიმერ პაპავა
ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი
ეკონომიკური პრობლემები 27
თემურ შენგელია
ეკონომიკური სინთეზი და ბიზნესის განვითარების
შესაძლებლობანი საქართველოში 32
ლეო ჩიქავა
დემოლობიურ კანონთა სისტემა 33
ნოდარ ხადური
საქართველოს ეკონომიკა და რუსეთის
“ლიბერალური” – იმპერია 35

ეკონომიკური თეორიის სექცია

ალფრედ კურატაშვილი
ხალხის ინტერესების რეალიზაციის პრობლემა და
ინსტიტუციონალიზმი 39
ალფრედ კურატაშვილი
ეკონომიკური სისტემის სრულყოფა ჭეშმარიტად
ადამიანური საზოგადოების მშენებლობის გზაზე 42
ანზორ კურატაშვილი
საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაცია
და სამართლებრივი ფაქტორი 45
ანზორ კურატაშვილი
სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის
არსი და მისი აქტუალობა თანამედროვე პირობებში 48
ნაზირა კაკულია
ნეკროეკონომიკურ პრობლემათა დაძლევის
შესაძლებლობანი პოსტკომუნისტური
ტრანსფორმაციის პირობებში 51
მურმან კვარაცხელია
ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები და
თანამედროვეობა 54

ჯემალ ხარიტონაშვილი
გარდამავალი ეკონომიკა – კლურალისტური
საზოგადოება 56
რევაზ ჯავახიშვილი
ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზები 60
Давлашеридзе Ната
ОБЕСПЕЧЕНИЕ ЗАНЯТОСТИ НАСЕЛЕНИЯ ЧЕРЕЗ СОЗДАНИЕ СВОБОДНЫХ ЭКОНОМИЧЕСКИХ ЗОН (МИРОВОЙ ОПЫТ) 63

მაკროეკონომიკის სექცია

ნანული არევაძე
შრომის ბაზარი და დასაქმების დონე საქართველოში 67
ხათუნა ბერიშვილი
ლიზინგის ბაზარი საქართველოში: საქონელბრუნვის
მოცულობა, სტრუქტურა განვითარების ტენდენციები 69
ხათუნა ბერიშვილი
ლიზინგის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში:
არსებული მდგომარეობა სრულყოფის გზები 71
ნანა ბიბილაშვილი
დასაქმების პროცესთა რეგულირების ზოგიერთი
ასპექტი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში 74
მადონა გელაშვილი
ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები 76
მარინე გუმბერიძე
თანამედროვე მსოფლიოს დემოგრაფიული პოლიტიკა 78
ეკატერინე გულუა
საქართველოს ინდუსტრიული განვითარების
პერსპექტივები 80
ლინა დათუნაშვილი
ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო – ქვეყნის
ეკონომიკის აღორძინების საფუძველი 83
ეკატერინე მეყანწიშვილი
სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია
ეკონომიკური ზრდის პროცესში 85
ნინო მიქიაშვილი
ადაპტური მოლოდინის მაკროეკონომეტრიკული
მოდელის შესახებ 88
იზა ნათელაური
გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეფექტიანი
დასაქმების მოდიფიცირებული მოდელის შესახებ 90

ხათუნა ნუცუბიძე
საქართველოს ეკონომიკის საჯარო სექტორი:
განვითარების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები 92
გოდერძი ტყეშელაშვილი
საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის
პრობლემები 94
ნინო ფარესაშვილი
უმუშევრობის შემცირება – ეკონომიკური ზრდის
მნიშვნელოვანი რეზერვი 99
მალხაზ ჩიქობავა
მოხმარების ფუნქციის შესახებ 102
თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე
გარემოს დაცვის ზოგიერთი ეკონომიკური
ასპექტი საქართველოში 106
მარინა ცუცქირიძე
დასაქმების დონის ზრდის პროცესთა მართვის
მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფის შესახებ 107

ფინანსების, საერთაშორისო ეკონომიკის სექცია

ხათუნა ბარბაქაძე
ფინანსური რესურსების მოზიდვის სტრატეგია 109
აბესალომ გაბრიჭიძე
ეფექტიანი ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპები 114
თამარ გამსახურდია
გადასახადები - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების
მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი 119
ლილი გვენეტაძე
ლიკვიდურობის მართვის როლი კომერციული ბანკების
ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში 121
ლია თოთლაძე
სავალუტო რისკების მართვის მექანიზმის
შემუშავების საკითხები 123
თეა ლაზარაშვილი
ინფლაციური ტარგეტირების თეორიული ასპექტები 126
რამაზ ფუტკარაძე
საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური
თანამშრომლობის აქტუალური საკითხები
1918-1921 წლებში 128

ბიზნესის პრობლემების სექცია

ციალა ბენაშვილი
დანახარჯების კლასიფიკაცია და სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება 135
Giorgi Berulava
MICROECONOMIC ISSUES OF ECONOMIC DEVELOPMENT IN GEORGIA 139
გულნაზ ერქომაიშვილი
უცხოური ინვესტიციების როლი ბიზნესის განვითარებაში 141
ნატო კაკაშვილი
აქტუარული გამოთვლების ამოცანები და დაზღვევის ობიექტები 144
ეთერ კაკულია
ბიზნესში სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში 148
სოსო მასურაშვილი
ინოვაციური ბიზნესის მართვის თავისებურებანი 152
უშანგი სამადაშვილი
მომხმარებლისა და საწარმოო პერსონალის ადგილი თანამედროვე ბიზნესში 156
როლანდ სარჩიმელია
წარმოების მართვა რისკის პირობებში დასაქმების ცვლილებებთან კავშირში 159
მაია სეთური
მარკეტინგის მართვის ზოგიერთი ასპექტის შესახებ 161
მზია ტიკიშვილი
საბანკო ელექტრონული სისტემების უსაფრთხოება 163
ლეილა ქადაგიშვილი
მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში 165
გიული ქეშელაშვილი
პროექტების მართვა: დღევანდელობა და მომავალი 169
ნუნუ ქისტაური
სახელმწიფოს როლი აუდიტორული საქმიანობის განხორციელებაში 171
ნაირა ღვედაშვილი
ინოვაციების დანერგვის თავისებურებები მომსახურების სფეროში 174
შოთა შაბურიშვილი
ოფშორული ბიზნესის მექანიზმი 176
ეკა ჩოხელი

პროდუქციის ხარისხი და ISO სერთიფიკატი 183
ვანო ცერცვაძე
საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ეკონომიკაში 185
ლალი ხურცია
კომპანიის მართვის სტრატეგია 188
მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე
ეკოლოგიური მეწარმეობის კონცეპტუალური ასპექტები 190
დავით ჯალალონია
ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდოლოგიური საფუძვლები საერთაშორისო სტანდარტებით 193

რეგიონული ეკონომიკის სექცია

კლიმენტი აჩელაშვილი
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
განვითარების პრობლემების შესახებ 197
ვახტანგ ბურდული
ტერიტორიულ დონეზე საერთო დანიშნულების
მეწარმეობის განვითარების სახელისუფლებო და
საბაზრო კოორდინაციის სრულყოფის გზები 199
გიგა მაისურაძე
თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მათი როლი
ბიზნესგანვითარებაში 204
თეა მუნჯიშვილი, რუსუდან სეთურიძე
თავისუფალი ეკონომიკური ზონები 206
ზურაბ რევიშვილი
საქართველოში სასოფლო შინამეურნეობების
ზომების შესახებ 210
თენგიზ ქავთარაძე
საქართველოში აბროწარმოების განვითარების პრობლემები
და მათი გადაჭრის ზოგიერთი მიმართულება 213

კონფერენციის მონაწილეები 215

დაიბეჭდა საქართველოს სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას – 2.11.2008.
ქაღალდის ზომა –
პირობითი ნაბეჭდი თაბახი –
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი –
ტირაჟი 150

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
36 94 77, 93 22 60, 99 68 53
ელ-ფოსტა: economisti 1@ rambler.ru